

178 /
1965/2



178/2


საბჭოთა სამართალი

10

საქართველოს კვლევითი კომიტეტის გამომცემლობა

1965

4



საბჭოთა სამართალი

N^o 4

ივლისი-აგვისტო

1965 წელი

ბამოცემის XII

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

69869

ვ. მერკვილაძე, ლ. თოიძე — საქართველოს რევოლუციური კომიტეტების როლის მეცნიერული გაშუქებისათვის	3
ვ. მაყაშვილი — ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის	19
ა. ფალიაშვილი — სახელმწიფო საქესპერტო დაწესებულებებში ექსპერტიზის ჩატარების ძირითადი პროცესუალური საკითხები	28

კომენტარები ახალ კანონმდებლობაზე

შ. ჩიკვაშვილი — მოქალაქეთა უფლება საცხოვრებელ ფართობზე	38
ა. გეგია — დებუტატის გაწვევის უფლების შესახებ ბურჟუაზიულ ქვეყნებში	48
აკ. მათიაშვილი — კვლავ გიორგი ჭილაშვილის შესახებ	57
შ. რობაქიძე, ზ. მენენგისერი — საქმე გაიხსნა 32 წლის შემდეგ	62
ნ. ტომანი — უკანასკნელი „კოზირი“	66

კრიტიკა და გიგლიოგრაფია

ვ. ფარქოსაძე — მონოგრაფია სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემებზე	80
ინფორმაცია	85





СОДЕРЖАНИЕ

В. Мерквиладзе, Л. Тоидзе — К научному освещению роли революционных комитетов Грузии	3
В. Макашвили —К вопросу эвентуального умысла	19
А. Палиашвили —Основные процессуальные вопросы проведения экспертиз в государственных экспертных учреждениях	28
КОММЕНТАРИИ К НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ	
Ш. Чигвашвили — О праве граждан на жилую площадь	38
А. Гегია —О праве отзыва депутата в буржуазных государствах	48
Ак. Матиашвили — Еще раз о Георгии Чилашвили	57
Ш. Робакидзе, З. Месенгисери — Дело раскрыто спустя 32 года	62
Н. Томан — Последний «kozyрь»	66
КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ	
В. Паркосадзе — Монография о проблемах государства и права стран народных демократий	80
Информация	85

შეკ. № 2731
ტირაჟი 5000
შე 03380

სარედაქციო კოლეგია

- ო. კაციტაძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,
- პ. ბერძენიშვილი, ი. დოლიძე, გ. ინწკირველი,
- მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი,
- ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—9-09 62

გადაეცა წარმოებას 5 VIII-65 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდდ 6 IX-65 წ. ანაწყობის ზომა 7 12; ქალაქის ზომა 70X108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინს ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.



საქართველოს ჩევროლუციური კომიჯოჯების როლის მასნიკაური გავუქებისათვის

3. მერკვილაძე, ლ. თოიძე

სოციალისტურმა რევოლუციამ საქართველოში რამდენადმე თავისებურ, რუსეთისა და ზოგიერთ სხვა რესპუბლიკებისაგან განსხვავებულ, ვითარებაში გაიმარჯვა. ერთ-ერთი თავისებურება ის იყო, რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დროს საქართველოს მშრომელებს, რუსეთის პროლეტარიატისაგან განსხვავებით, არ გააჩნდათ თავიანთი არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანო — საბჭოები. მენშევიკური მთავრობის ანტიხალხური პოლიტიკის შედეგად საბჭოების როლი არარაობამდე იყო დაყვანილი და ისინი ფაქტიურად უკვე აღარ არსებობდნენ.

საბჭოები საქართველოს სს რესპუბლიკაში 1921 წლის მიწურულსა და 1922 წლის დასაწყისში შეიქმნა. მანამდე მათ როლსა და ფუნქციებს ასრულებდნენ რევოლუციური კომიტეტები — პროლეტარიატის დიქტატურის დროებითი, საგანგებო ორგანოები, რომლებიც წარმომადგენდნენ საბჭოთა ხელისუფლების თემცა ნაკლებად დემოკრატიულ, მაგრამ მეტად მოქნილ და ოპერატიულ ორგანოებს. ამიტომ რევოლუციური კომიტეტების მოღვაწეობის შესწავლა, ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ მშენებლობაში მათი როლისა და ადგილის გარკვევა უთუოდ იწვევს მეცნიერულ ინტერესს.


უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა მრავალი საინტერესო გამოკვლევა, რომლებშიც საკანონმდებლო აქტებისა და სხვა სარწმუნო წყაროების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე განხილულია რევკომების მრავალმხრივი მოღვაწეობა, გაუქმებულია საქართველოში სახელმწიფოებრივი მშენებლობის მნიშვნელოვანი საკითხები. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია პროფესორ ი. მ. კაჭარავასა და პროფესორ გ. ა. ერემოვის მონოგრაფიები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის ცალკეული პრობლემების, კერძოდ, საბჭოთა სახელმწიფოებრივი მშენებლობის ისტორიის საკითხების მეცნიერულად დამუშავებაში.

ამასთან ერთად, უკანასკნელ წლებში გამოიცა დოკუმენტებისა და მასალების საინტერესო კრებულები საქართველოს რევოლუციური კომიტეტების მოღვაწეობის შესახებ. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა მეცნიერულად გავაუქმეთ პროლეტარიატის დიქტატურის საგანგებო ორგანოების — რევკომების მრავალმხრივი მოღვაწეობა, მათი როლი და კლასობრივი არსი.

უკანასკნელ დროს ქართულ ისტორიულ და იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ მოიკიდა ფეხი იმ აზრმა, რომ თითქოს საქართველოში რევოლუციური კომიტეტები წარმომადგენდნენ პროლეტარიატის დიქტატურის

«Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение Советской власти (февраль 1921 г. — март 1922 г.)», сб. документов и материалов, Сухуми, 1963; «Революционные комитеты Абхазии в борьбе за установление и упрочение Советской власти (февраль 1921 г. — февраль 1922 г.)», сб. документов и материалов, Сухуми, 1961; «Революционные комитеты Аджарии в борьбе за становление и упрочение Советской власти (март 1921 г. — январь 1922 г.)»; сб. документов и материалов, Сухуми, 1963

ამ კრებულებში შეტანილია ნორმატიული აქტები და ძვირფასი საარქივო, აგრეთვე სხვა მასალები, რომლებიც მოგვითხრობენ იმ გვირული ბრძოლის შესახებ, რომელსაც საქართველოს რევოლუციური კომიტეტები ეწეოდნენ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლების, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის.



ახალ, დროებით, გარდამავალი ხასიათის (დამხმარე) სახელმწიფოებრივ ფორმას. ეს თვალსაზრისი, რომელიც პირველად ი. მ. კაჭარავამ¹ და გ. ა. ერემოვმა² განავითარეს, შემდეგში სხვა მკვლევარებმაც გაიზიარეს.³ სათანადო კრიტიკული მიდგომის გარეშე ამ შეხედულებას იზიარებდა წინამდებარე სტატიის ავტორიც.⁴ ეს თვალსაზრისი არ გაიზიარა მრავალმა მკვლევარმა, რომელთაც შეცდომად მიიჩნიეს რევკომების გამოცხადება პროლეტარიატის დიქტატურის თუნდაც გარდამავალი ხასიათის სახელმწიფოებრივ ფორმად⁵. მიუხედავად ამისა კამათი ამ

1 ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, თბ., 1958, გვ. 35, 37, 60; ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის საქართველოში (სტატიების კრებული „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში“, თბ., 1957, გვ. 315); საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენით პერიოდში (საქართველოს ისტორია, ტომი III, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1960, გვ. 12); Советская Грузия в период восстановления народного хозяйства (სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1958, გვ. 9 — 10); ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბ., 1962, გვ. 416 — 417 (პროფ. ი. კაჭარავა ამ მონოგრაფიაში მიუთითებს, რომ აღნიშნული მოსაზრება მის მიერ გამოთქვა ჯერ კიდევ 1953 წელს (იხ. გვ. 416). უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მოსაზრება პროფ. კაჭარავამ პირველად განავითარა 1957 წელს გამოქვეყნებულ ზემოხსენებულ სტატიაში). მისი ვ. ე. რეცენზია ლ. თოიძის საკანდიდატო დისერტაციაზე (საქ. კ. ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი, 1963 წ.).

2 გ. ერემოვი, რას წარმოადგენდნენ რევკომები საქართველოში? (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1959 წლის 14 თებერვალი); საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, თბ., 1959, გვ. 4 — 5; ქრონოლოგიური კრებული (გაზ. „თბილისი“, 1960 წლის 4 იანვარი); საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები, თბ., 1960; გვ. 157).

3 ნ. სუმბაძე, საქართველოს რევკომების საკითხისათვის (თსუ „შრომები“, 1959, № 79, გვ. 70); ნ. ჩიქობავა, საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტი და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის საქართველოში (საკანდიდატო დისერტაცია, თსუ, 1961); ა. კინწურაშვილი, საქართველოს კომპარტიის ბრძოლა პარტიის რიგების ლენინური ერთიანობისათვის (საკანდიდატო დისერტაცია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი, 1965).

4 В. Мерквиладзе. В. И. Ленин и строительство основ советской национальной государственности, Тбилиси, 1959, стр. 86.

5 ნ. ტყეშელაშვილი, რეცენზია ი. კაჭარავას სადოქტორო დისერტაციაზე (თსუ, 1958 წ.); ი. თოიძე და ივ. სურგულაძე, რეცენზიები გ. ერემოვის სადოქტორო დისერტაციაზე (თსუ, 1963 წ.); უ. ბახტაძე, რევკომები საქართველოში (ეურნ. „მნათობი“, 1960, № 12. თუმცა უ. ბახტაძის დასახელებული სტატია არ არის დაზღვეული ზოგიერთი უზუსტობისაგან, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იგი პირველი გამოქვეყნებული შრომაა, რომელიც სპეციალურად ამ საკითხს ეხება და მასში რამდენიმე ანგარიშგასაწევი არგუმენტია მოყვანილი რევკომების შესახებ); ი. მირცხულავა, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის ისტორია (რეცენზია გ. ერემოვის წიგნზე „საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები“. ეურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1961 № 6); ლ. თოიძე, ბრძოლა საბჭოების შექმნისა და განმტკიცებისათვის საქართველოში (საკანდიდატო დისერტაცია, საქ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი, 1963 წ.); ი. ახალაია. Введение к сборнику «Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение Советской власти (февраль 1921 г. — март 1922 г.); მისივე, საქართველოში საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის რევკომების პერიოდის (1921-1922 წწ.) ისტორიის შესწავლის საკითხისათვის (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პედინსტიტუტების ისტორიის კათედრების გაერთიანებული სამეცნიერო სესია, მიძღვნილი დიდ სამამულო ომში გამარჯვების 20 წლისთავისადმი, მოხსენების თეზისები, თბ. 1965, გვ. 19—20); გ. ბრეჯაძე, საინტერესო წიგნი (რეცენზია ი. კაჭარავას წიგნზე „ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები“ ეურნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1963, № 11); მისივე, რეცენზია ა. კინწურაშვილის საკანდიდატო დისერტაციაზე; კ. წერეთელი, რეცენზია ა. კინწურაშვილის საკანდიდატო დისერტაციაზე (საქ. კ. ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი, 1965).

საკითხზე მაინც გრძელდება და იგი ზოგჯერ ცხარე დისკუსიის საუნად იქცევა ხოლმე.

ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ მკვლევარები, რომლებმაც წამოაყენეს დებულება რევკომების, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალი სახელმწიფოებრივი ფორმის შესახებ, საკითხს უკვე გადაწყვეტილად მიიჩნევენ. ალბათ ამით აიხსნება, რომ აღნიშნული დებულება შეტანილ იქნა საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში¹, რომელიც განკუთვნილია მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. გარდა ამისა ძნელია გაიზიარო მოსაზრება, იმის შესახებ, რომ თუ არ აღიარე რევკომები პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად ეს თითქოს პოლიტიკური შეცდომა იყოს².

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და მუშათა კლასის დიქტატურის დამყარება ხდება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის ზოგად, ყველა ქვეყნისათვის საერთო და სავალდებულო კანონზომიერებათა საფუძველზე. მაგრამ ამ კანონზომიერებათა გამოვლინების ფორმა ამა თუ იმ ქვეყანაში შეიძლება სხვადასხვა იყოს. ამას განაპირობებს თითოეული ქვეყნის კონკრეტული ვითარება, ისტორიულად ჩამოყალიბებული ეროვნული თავისებურებანი და ტრადიციები. სოციალისტური ქვეყნების განვითარების ისტორიულმა გამოცდილებამ საგსებით დაადასტურა ვ. ი. ლენინის ცნობილი დებულების სისწორე, რომ „ყველა ერთი განახორციელებს სოციალიზმს... მაგრამ ყველა განახორციელებს არა საგსებით ერთნაირად; თვითეული შეიტანს თავისებურებას დემოკრატიის ამა თუ იმ ფორმაში, პროლეტარიატის დიქტატურის ამა თუ იმ სახესხვაობაში, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეთა სოციალისტური გარდაქმნის ამა თუ იმ ტემპში“³.

დღემდე ცნობილია პროლეტარიატის დიქტატურის სამი სახელმწიფოებრივი ფორმა: პარიზის კომუნის ტიპის საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია, საბჭოების რესპუბლიკა და სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა.

პარიზის კომუნის გამოცდილების ღრმა შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე კ. მარქსმა პროლეტარიატის დიქტატურის ყველაზე მიზანშეწონილ სახელმწიფოებრივ ფორმად აღიარა პარიზის კომუნის ტიპის პოლიტიკური ორგანიზაცია. იგი მიუთითებდა, რომ კომუნა, ბოლოს და ბოლოს აღმოჩენილი პოლიტიკური ფორმაა, რომლის დროსაც შესაძლებელი იყო შრომის ეკონომიური განთავისუფლება მომხდარიყო⁴.

რუსეთის 1905-1907 და 1917 წლების რევოლუციათა გამოცდილების გავალისწინების საფუძველზე ვ. ი. ლენინმა შემოქმედებითად განავითარა მარქსიზმი და აღმოაჩინა პროლეტარიატის დიქტატურის ახალი, იმ პერიოდისათვის ყველაზე მიზანშეწონილი სახელმწიფოებრივი ფორმა — საბჭოების რესპუბლიკა. ვ. ი. ლენინის ამ აღმოჩენამ უდიდესი როლი შეასრულა რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საქმეში.

ამასთან ვ. ი. ლენინი საბჭოთა რესპუბლიკას პროლეტარიატის დიქტატურ-

¹ საქართველოს ისტორია, ტომი III, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1960, გვ. 12.

² ი. კაკარავა, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბ., 1962, გვ. 417.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 81.

⁴ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ორ ტომად, ტ. 1, თბ., 1963, გვ. 603.

რის ერთადერთ და ყველა ქვეყნისათვის სავალდებულო სახელმწიფოებრივ ფორმად როლი მიიჩნევდა. იგი მიუთითებდა, რომ „მთელი რიგი ქვეყნები და-რვეწენ და ბოლომდე მიიყვანენ საბჭოთა წყობილებას და პროლეტარული დიქტატურის ყოველგვარ ფორმას“.¹

ცხოვრებამ დაადასტურა ვ. ი. ლენინის ამ დებულების სისწორე. პროლეტარიატის დიქტატურის საბჭოთა ფორმასთან ერთად, რომელიც ერთადერთი იყო მეორე მსოფლიო ომამდე, ამჟამად არსებობს პროლეტარიატის დიქტატურის ახალი ფორმა — სახალხო დემოკრატია.

ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ პროლეტარიატის დიქტატურის პოლიტიკურ ფორმათა მრავალფეროვნება, სრულებითაც არ ცვლის მის არსს. „კაპიტალიზმიდან კომუნისმზე გადასვლამ, — მიუთითებდა იგი, — რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ მოგვეცეს პოლიტიკური ფორმების დიდი სიმრავლე და ნაირნაირობა, მაგრამ არსი ამასთან გარდუვალად ერთი იქნება: პროლეტარიატის დიქტატურა“.²

ამასთან ერთად, არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ რანაირიც არ უნდა იყოს სპეციფიკური პირობები და ეროვნული თავისებურებანი. მათ არ შეუძლიათ შეცვალონ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ზოგად კანონზომიერებათა ინტერნაციონალური ხასიათი.

ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მიუხედავად ეროვნულ თავისებურებათა უდიდესი სიმრავლისა, დამყარდა სწორედ საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოთა რესპუბლიკა აღმოჩნდა მუშათა კლასის დიქტატურის მისაღები და მიზანშეწონილი სახელმწიფოებრივი ფორმა ჩვენს ქვეყანაში მოსახლე ხალხისათვის, მიუხედავად მათი ეროვნული თავისებურებებისა და ისტორიული განვითარების საერთო დონისა. სოციალისტურმა რევოლუციამ რუსეთში გაიმარჯვა, როგორც საბჭოთა რევოლუციამ; მისი ღოზუნგი იყო „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“.

ჩვენი ქვეყნის გამოცდილება ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ საბჭოთა რესპუბლიკა მიზანშეწონილი სახელმწიფოებრივი ფორმა იყო რუსეთის ყოფილი იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, სადაც სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა, რომ საბჭოთა ორგანიზაციის იდეა გამოსადეგი იყო და მისი გამოყენება შეიძლებოდა „არა მარტო პროლეტარული, არამედ გლეხური ფეოდალური და ნახევრად ფეოდალური ურთიერთობის მიმართაც“.³

საბჭოთა რესპუბლიკა ასევე მიზანშეწონილი სახელმწიფოებრივი ფორმა იყო საქართველოსთვისაც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. ეს კარგად ესმოდათ ქართველ კომუნისტებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მენშევიკური მთავრობის დამხობის შემდეგ ერთი წლის მანძილზე საბჭოები არ არსებობდნენ და მათ მღვალეობას რევკომები ასრულებდნენ, საქართველო იწოდებოდა არა რევკომთა, არამედ საბჭოთა რესპუბლიკად. სოციალისტურმა რევოლუციამ საქართველოში გაიმარჯვა ღოზუნგით: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ მშრომელებისადმი საქართველოს რევკომის პირველსავე მოწოდებაში (1921 წლის 18 თებერვალი) ნათქვამი იყო: „ამიერიდან საქართველო სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკაა... წინ! საბჭოთა

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 115.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 508.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 289.

ხელისუფლებისათვის! გაუმარჯოს ახალშობილ, ბრძოლის ქარცეცხლიდან გა-
 მოსულ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას! თვით
 რევკომის სრული სახელწოდებაც კი—საქართველოს სოციალისტური საბჭოთა
 რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტი — გამოხატავდა იმას, რომ პროლე-
 ტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას აქ თავიდანვე საბჭოთა
 რესპუბლიკა წარმოადგენდა.


ჩვენ არ შეეჩერდებით საქართველოს რევოლუციური კომიტეტების მოღვა-
 წეობის დეტალურ დახასიათებაზე. ეს საკითხი საკმაოდაა გაშუქებული ისტო-
 რიულ და იურიდიულ ლიტერატურაში. აღვნიშნავთ, მხოლოდ რომ რევოლუ-
 ციური კომიტეტების შექმნა გამოწვეული იყო რესპუბლიკის მეტად რთული
 საშინაო და საგარეო პირობებით. ისტორიულად შექმნილ იმ თავისებურ ვითა-
 რებაში რევკომები, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დროებითი, საგანგებო
 ორგანოები საბჭოების არჩევენამდე ასრულებდნენ იმავე ფუნქციებს, რო-
 გორსაც საბჭოები სხვა რესპუბლიკებში. საბჭოთა სახელმწიფოებრივი მშენებ-
 ლობის ეს თავისებურება დამახასიათებელი იყო სომხეთის, აზერბაიჯანისა და
 სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისათვისაც. მაგრამ ამ თავისებურებას არ შეეძლო
 შეეცვალა და არც შეუცვლია პროლეტარიატის დიქტატურის საყოველთაოდ
 აღიარებული სახელმწიფოებრივი ფორმა. საქართველო ამ შემთხვევაში არავი-
 თარ გამონაკლისს არ წარმოადგენდა.

რევოლუციური კომიტეტები, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის დამ-
 ყარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის ორგანოები, სხვადასხვა ფორმითა
 და ორგანიზაციული სტრუქტურით არსებობდნენ რუსეთში, უკრაინაში, ბელო-
 რუსიაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ყირიმში, ციმბირში, შუააზიის რესპუბლი-
 კებში და სხვ. მათი დანიშნულება, ფუნქციები, მოღვაწეობის სფერო და სახელ-
 წოდებაც კი რევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე იცვლებოდა შექმნილი პოლიტი-
 კური ვითარების შესაბამისად.

1917 წლის ოქტომბერში, სოციალისტური რევოლუციის წინაღობებში,
 პეტროგრადის, მოსკოვისა და რუსეთის სხვა ქალაქების საბჭოებთან უმთავრე-
 სად იქმნებოდა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტები, რომლებიც წარმოად-
 გენდნენ შეიარაღებული აჯანყების ორგანოებს, საბჭოთა ხელისუფლების დამ-
 ყარებისათვის ბრძოლის საგანგებო ორგანოებს. სოციალისტური რევოლუციის
 გამარჯვების შემდეგ, სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის
 პერიოდში, როცა კვლავ საჭირო გახდა პროლეტარიატის დიქტატურის საგანგე-
 ბო ორგანოები, იქმნებოდა რევოლუციური კომიტეტები. რევოლუციური კომი-
 ტეტების ჩამოყალიბებისას გამოყენებულ იქნა სამხედრო-რევოლუციური კო-
 მიტეტების უდიდესი გამოცდილება.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ კონკრეტულ-ისტორიული პირობების შესაბამი-
 სად აღნიშნულ პერიოდში რევოლუციური კომიტეტების გვერდით იქმნებოდა
 სამხედრო-რევოლუციური კომიტეტებიც. დროებითი სამხედრო-რევოლუციური

¹ Борьба за победу Советской власти в Грузии. Документы и материалы (1917—1921 гг.), Тб., 1958, стр. 662.



კომიტეტები შეიქმნა აჭარაში,¹ აფხაზეთსა² და გორშიც³ კი 1921 წლის მარტში. მთელ რიგ შემთხვევებში ეს ორგანოები თავიანთ ხელში იღებდნენ სახელმწიფო ძალაუფლებას და, როგორც წესი, გადასცემდნენ ხოლმე სათანადო საბჭოებს. ეს იმას მოწმობს, რომ სამხედრო-რევოლუციური კომიტეტები და რევოლუციური კომიტეტები ერთი ტიპის ორგანოები იყო, რომელთა ფუნქციები და ამოცანები იცვლებოდა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შესაბამისად. იქ, სადაც საბჭოები არ არსებობდნენ, რევოლუციური კომიტეტები დროებით ასრულებდნენ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ორგანოების მოვალეობას და ამზადებდნენ პირობებს საბჭოების შესაქმნელად, რათა მათთვის გადაეცათ სახელმწიფო ხელისუფლება.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტებსა და რევოლუციურ კომიტეტებს დროებით უხდებოდათ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მოვალეობის შესრულება, ისინი რუსეთის სფს რესპუბლიკაში არ წარმოადგენდნენ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას.

პეტროგრადის საბჭოსთან შექმნილი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავდაპირველი დანიშნულება იყო არ დაეშვა პეტროგრადიდან რევოლუციური ჯარების გაყვანა, რასაც აპირებდა დროებითი მთავრობა. სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი მოქმედებდა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით.

1917 წლის 10 ოქტომბერს ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა პეტროგრადის საბჭოს ბოლშევიკ წევრებს გარდაექმნათ სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი შეიარაღებული აჯანყების ორგანოდ. პეტროგრადის საბჭოს აღმასკომმა 12 ოქტომბერს დაამტკიცა დებულება სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის შესახებ. დებულებს თანახმად სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი ითვლებოდა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულ ორგანოდ.

ამიერიდან სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ძირითად მოვალეობას შეადგენდა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დარექტივების საფუძველზე შეიარაღებული აჯანყების მომზადება და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის საჭირო პირობების შექმნა პეტროგრადსა და მის ახლომდებარე რაიონებში.

რევოლუციის მოახლოვებასთან დაკავშირებით სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მოღვაწეობის სფერო თანდათან ფართოვდებოდა, იზრდებოდა მისი ავტორიტეტი.

რევოლუციის დღეებში პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი წარმოადგენდა აჯანყების ხელმძღვანელ ორგანოს. დამახასიათებელია, რომ 25 ოქტომბერს, დილით, სოციალისტური რევოლუციის ძალთა წარმატებით შეტევის პროცესში, სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა პირველმა აუწყა რუ-

¹ Революционные комитеты в Аджарии в борьбе за установления и упрочения Советской власти (март 1921 г.—январь 1922 г.), сборник документов и материалов, Сухуми, 1963, стр. 3, 5, 10.

² Газ. «Правда», 4 марта, 1921 г.

³ «Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение Советской власти (февраль 1921 г. — март 1922 г.), сб. документов и материалов, Сухуми, 1963, стр. 32.

სეთის მშრომელებს დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის დამხობის შესახებ. რუსეთის მოქალაქეებისადმი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მოწოდებაში, რომელიც დაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ, ნათქვამი იყო, რომ სახელმწიფო ძალაუფლება გადავიდა პეტროგრადის საბჭოს ორგანოს — სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ხელში.¹

ამრიგად, პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი აჯანყების ორგანოდან ფაქტიურად გადაიქცა სახელმწიფო ხელისუფლების უმადლეს ორგანოდ. მაგრამ მას დიდხანს არ მოუხდა ამ როლის შესრულება. თავისი ფუნქციები მან იმავე დღეს გადასცა სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობას, რის შესახებ თითონვე აუწყა მშრომელებს. 1917 წლის 26 ოქტომბრის მოწოდებაში პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი იტყობინებოდა, რომ სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობა მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების აბსოლუტური უმრავლესობის სურვილის შესაბამისად მთლიანად თავის ხელში იღებს სახელმწიფო ძალაუფლებას. მთელი ძალაუფლება ადგილებზე, ნათქვამი იყო მოწოდებაში, გადადის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ნამდვილი რევოლუციური წესრიგის დამყარება.²

ამის შემდეგ პეტროგრადის საბჭოს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი განაგრძობდა არსებობას, როგორც რსფსრ მთავრობის დამხმარე ორგანო. სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობის მიერ არჩეულმა ახალმა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 30 ოქტომბერს თავისი 13 წარმომადგენელი მიავლინა პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის შემადგენლობაში. ამიერიდან იგი ითვლებოდა სრულიად რუსეთის ცაკის ორგანოდ და მას დაეკისრა შეესრულებინა რსფსრ სახკომსაბჭოს დავალებანი რევოლუციური წესრიგის დაცვის, კონტრრევოლუციასთან, საბოტაჟთან და სპეკულაციასთან ბრძოლის დარგში.

მას შემდეგ, რაც სოციალისტური რევოლუციის სამხედრო-საბრძოლო ამოცანები წარმატებით იქნა შესრულებული, სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ფუნქციები თანდათან შეიკვცა, ხოლო 1917 წლის 5 დეკემბერს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც ამოსწურა თავისი ისტორიული დანიშნულება, გაუქმებულ იქნა.

როგორც დავინახეთ, პეტროგრადის საბჭოს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის დანიშნულება, მისი მოღვაწეობის სფერო და ხასიათი იცვლებოდა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესაბამისად. აჯანყების ორგანოდან სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი გადაიქცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოდ; შემდეგ განაგრძობდა არსებობას როგორც მთავრობის დამხმარე ორგანო, ხოლო სოციალისტური რევოლუციის სამხედრო-საბრძოლო ამოცანების შესრულების შემდეგ მისი მოვალეობა ამოწურულად ჩაითვა და იგი გაუქმებულ იქნა.

სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის პერიოდში რევოლუციური კომიტეტები იქმნებოდნენ მტრის ზურგში და მათ მოვალეობას შეადგენდა ინტერვენტების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მოწყობა, პარტიზანული რაზმების

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 275.

² Большевицские военно-революционные комитеты. Сборник документов, М., 1958, стр. 30.

ხელმძღვანელობა, აგრეთვე მოსახლეობასა და თეთრი არმიების ჯარისკაცებში ბოლშევიკური აგიტაციის გამლა. სამხედრო რევოლუციური კომიტეტები იქმნებოდნენ ფრონტებზეც.

სამოქალაქო ომის პერიოდის რევოლუციური კომიტეტების მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სრულიად რუსეთის ცაკის 1919 წლის 24 ოქტომბრის დადგენილებას. ამ დადგენილების თანახმად დაწესებულ იქნა 3 სახე რევკომებისა: 1) რევკომები, რომლებსაც ქმნიდნენ მტრისაგან ახლად გათავისუფლებულ რაიონებში. მათი დანიშნულება იყო რევოლუციური წესრიგის დამყარება ადგილებზე, წითელი არმიის მოქმედი ნაწილებისათვის დახმარების აღმოჩენა, საბჭოების არჩევნებამდე ხელისუფლების ორგანოს ფუნქციების შესრულება; 2) რევკომები, რომლებსაც ქმნიდნენ ფრონტისპირა ზოლში. მტრის მოახლოებასთან დაკავშირებით საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები წყვეტდნენ თავიანთ მოღვაწეობას და რევკომები იქცეოდნენ ხელისუფლების საგანგებო ორგანოდ. ისინი თავიანთ მუშაობას მთლიანად უქვემდებარებდნენ ფრონტის საბრძოლო ამოცანებს, 3) რევკომები, რომლებიც იქმნებოდნენ ზურგში, საბჭოების აღმასკომებთან, როგორც სამხედრო ორგანო. მათი მოვალეობა იყო ყოველმხრივი დახმარება აღმოეჩინათ წითელი არმიის მოქმედი ნაწილებისათვის. უზრუნველყოთ თავდაცვითი ხასიათის ღონისძიებების გატარება, რევოლუციური წესრიგის დაცვა და სხვა. აღნიშნული რევკომები წარმოადგენდნენ სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების ორგანოებს. თავიანთი ამოცანების შესრულების შემდეგ ისინი ადგილს უთმობდნენ საბჭოებს. ეს რევკომები ერთმანეთისაგან არა მარტო დანიშნულებით, არამედ ზოგჯერ ორგანიზაციული სტრუქტურითაც განსხვავდებოდნენ.

ამრიგად, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღეებში და სამოქალაქო ომის პერიოდში შექმნილი რევოლუციური კომიტეტების მოღვაწეობის ხასიათი და კომპეტენციის სფერო თვით რუსეთშიც კი განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, რაც, ბუნებრივია, სავსებით კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან ისინი, ეს კომიტეტები, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მიზნით იქმნებოდნენ.

ზოგიერთი თავისებური მომენტი შეინიშნება საქართველოში 1921 წელს არსებული რევოლუციური კომიტეტების მოღვაწეობაშიც. საქართველოს რევოლუციური კომიტეტი შეიქმნა 1921 წლის 16 თებერვალს. მისი თავდაპირველი დანიშნულება იყო ხელმძღვანელობა გაეწია მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მშრომელთა შეიარაღებული აჯანყებისათვის. რევოლუციურმა კომიტეტმა ჯერ კიდევ საქართველოს მშრომელებისადმი თავის 18 თებერვლის მოწოდებაში გამოაცხადა მენშევიკური მთავრობა დამხობილად, ხოლო საქართველო — საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. მოწოდებაში აღნიშნული იყო, რომ რევოლუციური კომიტეტი მთლიანად თავის ხელში იღებს სახელმწიფო ხელისუფლებას.¹ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მეორე დღეს, 26 თებერვალს, რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ მთელ სახელმწიფო ძალაუფლებას თავის ხელში იღებს.²

¹ Борьба за победу Советской власти в Грузии, стр. 662.

² Борьба за упрочение Советской власти в Грузии. Сборник документов и материалов (1921—1925 гг.), Тб., 1959, стр. 3.

ამიერიდან საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის დანიშნულება არსებითად შეიცვალა, მისი ფუნქციები, უფლება-მოვალეობანი მნიშვნელოვნად გაიზარდა. აჯანყების ორგანოდან იგი, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ იქცა და ასეთად დარჩა მთელი ერთი წლის მანძილზე. იგი არ გადაქცეულა რესპუბლიკის მთავრობის დახმარებელი ორგანოდ. სათემო და სამაზრო რევკომები კი იმდროინდელ საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთ ორგანოებს წარმოადგენდნენ საბჭოების არჩევნებამდე. ამ ნიშნით საქართველოს რევკომები (სომხეთის სს რესპუბლიკაში იმ დროს არსებული რევკომების მსგავსად) მკვეთრად განსხვავდებოდა ზოგიერთ საბჭოთა რესპუბლიკაში, კერძოდ, რუსეთის სფს რესპუბლიკაში, თავის დროზე არსებული რევოლუციური კომიტეტებისაგან.


მიუხედავად ასეთი თავისებურებებისა და ურთიერთგანმასხვავებელი ნიშნებისა, საბჭოთა რესპუბლიკებში არსებული რევოლუციური კომიტეტები მათ წინაშე მდგომი საერთო ამოცანებისა და ფუნქციების მიხედვით, მაინც ერთგვაროვან, ერთი ტიპის ორგანოებს წარმოადგენდნენ. ისინი ყველგან საბჭოთა ხელისუფლების, პროლეტარიატის დიქტატურის დროებითი, საგანგებო ორგანოები იყვნენ. ხოლო ცალკეულ თავისებურებებს არ შეეძლოთ გადაექციათ რევკომები პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად, შეეცვალათ მათი, როგორც საგანგებო ორგანოების, ბუნება.

როგორც აღვნიშნეთ, პროლეტარიატის დიქტატურის საგანგებო ორგანოები სხვა საბჭოთა რესპუბლიკებშიც არსებობდნენ. მათ ზოგან სამხედრო-რევოლუციური კომიტეტები ერქვათ, ზოგან-რევოლუციური კომიტეტები, ზოგან კი სხვა სახელწოდებას ატარებდნენ. მაგალითად, აღმოსავლეთ ციმბირში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ ხანებში შეიქმნა ღარიბთა კომიტეტები, რომლებიც მოქმედებდნენ როგორც საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, იაკუტიაში იმავე პერიოდში საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების როლს ასრულებდნენ რევოლუციური შტაბები¹. აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში 1920 წლის ოქტომბრიდან 1921 წლის თებერვლამდე არსებობდნენ სასოფლო და საუბნო ღარიბთა კომიტეტები, რომელნიც რევკომების გაუქმების შემდეგ, საბჭოების არჩევნებამდე, საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს წარმოადგენდნენ².

ეს ორგანოები ისეთსავე მოვალეობას ასრულებდნენ, როგორც საქართველოში არსებული ადგილობრივი რევკომები. ამიტომ თუ ვაღიარებთ, რომ რევკომების სისტემა პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთი სახელმწიფოებრივი ფორმა იყო, მაშინ ეს შეხედულება ზემოთ ჩამოთვლილ ორგანოებზეც უნდა გავავრცელოთ. ასეთ შემთხვევაში კი პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად საბჭოთა რესპუბლიკის არსებობის პირობებში უნდა მივიჩნიოთ არა მარტო საბჭოები, არამედ სამხედრო-რევოლუციური კომიტეტები, რევოლუციური კომიტეტები, რევოლუციური შტაბები, ღარიბთა კომიტეტები და ა. შ. ანდა როგორღა დავადგინოთ პროლეტარიატის დიქტატურის რომელი სახელმწიფოებრივი ფორმა არსებობდა აზერბაიჯანის საბჭო-

¹ В. Т. Агалков. Из истории строительства Советской власти в Восточной Сибири. Иркутское книжное издательство, 1958, стр. 100.

² Ф. Ш. Шабанов. Развитие советской государственности в Азербайджане, М., 1959, стр. 54—55.



თა რესპუბლიკაში 1920 წლის ოქტომბრიდან 1921 წლის თებერვლამდე, როცა რევკომებიდან საბჭოებზე გადასვლამდე იქ შეიქმნა სახელმწიფო ხელისუფლების კიდევ ერთი დროებითი ხასიათის ორგანო — სასოფლო და საუბნო ღარიბთა კომიტეტები? ამასთან შენარჩუნებულ იქნა სამაზრო რევკომები, ხოლო ქ. ბაქოში ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა მუშათა, წითელარმიელთა და მატროსთა დეპუტატების საბჭო? ხომ არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ აზერბაიჯანში ერთსა და იმავე დროს პროლეტარიატის დიქტატურის სამი სახელმწიფოებრივი ფორმა არსებობდა?

ავიღოთ თუნდაც აჭარის მაგალითი, სადაც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წელს, საბჭოების არჩევნებამდე, სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებად მოგვევლინა ბათუმისა და ბათუმის ოლქის დროებითი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, ბათუმის საოლქო რევოლუციური კომიტეტი, აჭარის ასსრ რევოლუციური კომიტეტი, ღარიბ („ფუხარა“) გლეხთა კომიტეტების ცენტრალური ბიურო, ხოლო მათს პარალელურად აჭარის მეჭლისი. ამავე პერიოდში ადგილებზე სახელმწიფო ხელისუფლება ახორციელებდნენ ჯერ სასოფლო, სათემო რევოლუციური კომიტეტები, შემდეგ — ღარიბთა კომიტეტები. ამ მაგალითებიდანაც ჩანს, რომ არ შეიძლება რევკომები და საბჭოთა ხელისუფლების სხვა დროებითი ორგანოები მივიჩნიოთ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად.

რევკომების ბუნების განსაზღვრისათვის სახელმძღვანელო საწყისს წარმოადგენდა სრულიად რუსეთის ცაკ-ისა და მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭოს ზემოაღნიშნული დებულება რევოლუციური კომიტეტების შესახებ, რომელიც დამტკიცებულ იქნა 1919 წლის 24 ოქტომბერს. დებულება, რომელსაც ხელს აწერდნენ ვ. ი. ლენინი, მ. ი. კალინინი და ა. ს. ენუქიძე, ითვალისწინებდა რუსეთის სფს რესპუბლიკის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში საგუბერნიო და სამაზრო რევოლუციური კომიტეტების შექმნას. ამ დებულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სხვა რესპუბლიკებისათვისაც, სადაც შემდეგში დროებით შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების საგანგებო ორგანოთა ერთიანი სისტემა. კერძოდ, ეს დებულება ითვალისწინებდა მტრისაგან ახლად განთავისუფლებულ ტერიტორიაზე ისეთი რევკომების შექმნას, რომლებიც საბჭოებთან არსებული ორგანოები კი არ იქნებოდნენ, არამედ, საქართველოში 1921 წელს არსებული რევკომების მსგავსად, მოწოდებულნი იყვნენ თავიანთ ხელში აეღოთ სახელმწიფო ხელისუფლება და საბჭოების არჩევნებამდე შეენარჩუნებინათ იგი. ასეთ რევკომებს უნდა დაემყარებინათ რევოლუციური წესრიგი, მოემზადებინათ პირობები საბჭოების არჩევნებისათვის, ხოლო საბჭოების შექმნის შემდეგ სახელმწიფო ხელისუფლება მათთვის უნდა გადაეცათ. ამ დებულების მიხედვით რევკომები წარმოადგენდნენ პროლეტარიატის დიქტატურის საგანგებო ორგანოებს და არა გარდამავალი ხასიათის სახელმწიფოებრივ ფორმას. ეს გასაგებიცაა, რადგანაც რევკომების გამოცხადება პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად ეწინააღმდეგება ლენინურ მოძღვრებას საბჭოთა რესპუბლიკის შესახებ, რესპუბლიკისა, რომელიც წარმოადგენდა პროლეტარიატის დიქტატურის მისაღებ სახელმწიფოებრივ ფორმას ჩვენს ქვეყანაში, მიუხედავად მრავალი ეროვნული თავისებურებისა.

იგივე უნდა ითქვას საქართველოში 1921 წელს არსებული რევკომების შესახებ, რადგანაც ეროვნულ სპეციფიურ პირობებს არ შეიძლო საქართვე-

ლოს რევკომები გადაეყვია პროლეტარიატის დიქტატურის თუნდაც გარდამავალი ხასიათის სახელმწიფოებრივ ფორმად. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება საბჭოთა რესპუბლიკის შესახებ გამორიცხავს ასეთ შესაძლებლობას.

როგორც ცნობილია, ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკებში რევოლუციის პროცესში წარმოიქმნა ჩვენი რევკომების ანალოგიური ორგანოები. ასე მაგალითად, საერთაშორისო და შინაგანი რეაქციის ძალების წინააღმდეგ ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის წარმატებით შეტევის პროცესში, განთავისუფლებულ ტერიტორიაზე, გომინდანის ხელისუფლების ორგანოების ნაცვლად, შეიქმნა სამხედრო-საკონტროლო ან კიდევ სამხედრო-ადმინისტრაციული კომიტეტები, რომელთა წევრებს ნიშნავდა ცენტრალური სახალხო მთავრობა ან ფრონტის სამხედრო და პოლიტიკური ორგანოები.¹

კორეასა და ვიეტნამში 1945 წელს კონტრრევოლუციური ძალებისაგან განთავისუფლებულ ტერიტორიაზე აღმოცენდნენ სახალხო კომიტეტები, განთავისუფლების კომიტეტები, რომლებიც წარმოადგენდნენ ხელისუფლების დროებით ორგანოებს. მსგავსი ორგანოები სხვადასხვა სახელწოდებით შეიქმნა ევროპის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკებშიც (სახალხო საბჭოები, ეროვნული კომიტეტები და ა. შ.). მათი ძირითადი მოვალეობა იყო რევოლუციური წესრიგი დაეყარებინათ ადგილებზე, დაეძლიათ კონტრრევოლუციის წინააღმდეგობა, შეძლებისდაგვარად გაეტარებინათ დემოკრატიული გარდაქმნები და სხვ. თავიანთი მოვალეობის შესრულების შემდეგ ეს კომიტეტები ჩვეულებრივად ადგილს უთმობდნენ არჩევით ორგანოებს. საერთო ამოცანების მიხედვით ეს კომიტეტები ჩვენს ქვეყანაში არსებული რევკომების ანალოგიური იყვნენ. ზოგიერთი მათგანი, ჩვენში არსებული რევკომებისაგან განსხვავებით, შემდეგში გარდაიქმნა არჩევით ორგანოდ და იქცა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს პოლიტიკურ საფუძვლად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა ამ ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად, საგანგებო სამართლიანად, მიჩნეულია სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა და არა სახალხო საბჭოები, სახალხო კომიტეტები, ეროვნული კომიტეტები და ა. შ.

მარქსიზმ-ლენინიზმი განასხვავებს ძალაუფლებისათვის მუშათა კლასის ბრძოლის ორგანოებსა და პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას, ხელისუფლების დროებით, საგანგებო ორგანოებსა და სახელმწიფოს პოლიტიკურ საფუძველს. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ძალაუფლება შეიძლება აიღოს არა მარტო იმ ორგანომ, რომელიც მოწოდებულია გახდეს მომავალი სახელმწიფოს პოლიტიკური საფუძველი, არამედ იმ ორგანომაც, რომელიც ამ ამოცანას, გარკვეული მიზეზების გამო, უფრო ოპერატიულად განასორციელებს, ხოლო შემდეგ კი ძალაუფლებას გადასცემს მშრომელთა წარმომადგენლობით ორგანოებს.

„ვინ უნდა აიღოს ხელისუფლება? — წერდა ვ. ი. ლენინი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს 1917 წლის 24 ოქტომბერს, — ამას ახლა დიდი მნიშვნელობა არა აქვს; დაე იგი აიღოს სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა „ან სხვა რომელიმე დაწესებულებამ“, რომელიც განაცხადებს, რომ ხელისუფლებას გადასცემს მხოლოდ ხალხის ინტერესების, არმიის ინტერესე-

¹ Общая программа Народного Политического Консультативного совета Китая. Госполитиздат, М., 1950, стр. 9.



ბის... გლახთა ინტერესების... მშვიერთა ინტერესების ნამდვილ წარმომადგენლებს".¹ სამხედრო-რევოლუციური კომიტეტები და რევოლუციური კომიტეტები ვ. ი. ლენინის მიაჩნდა ძალაუფლებისათვის ბრძოლის ორგანოებად, საბჭოთა ხელისუფლების დროებით, საგანგებო ორგანოებად და არა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად, ასეთად მას რუსეთისათვის მიაჩნდა მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ვ. ი. ლენინის მითითებით სახელმწიფო ძალაუფლება რუსეთში 1917 წლის ოქტომბერში სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა აიღო „როცა დღეს ხელისუფლებას ვიღებთ, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ვიღებთ მას არა საბჭოების წინააღმდეგ, არამედ მათთვის“.²

1917 წლის ივლისში, პარტიის VI ყრილობაზე, ი. ბ. სტალინი გამოხატავდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ვ. ი. ლენინის აზრს, როცა მან რევოლუციური კომიტეტი დაახასიათა, როგორც ძალაუფლებისათვის მუშათა კლასის ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა და ორგანიზაციული თვალსაზრისით იგი მიიჩნია საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს არსებული მუნიციპალიტეტების, პარიზის კომუნის დროს არსებული ეროვნული გვარდიის ცენტრალური კომიტეტის მსგავს ორგანოდ.³ მარქსისტ-ლენინელები პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად რუსეთისათვის იმ დროს მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკას აღიარებდნენ. პარიზის კომუნის დროს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად მარქსიზმ-ლენინიზმი მიიჩნევს კომუნას (კომუნის ტიპის პოლიტიკურ ორგანიზაციას) და არა ეროვნული გვარდიის ცენტრალურ კომიტეტს.

საბჭოები, ისევე როგორც რევკომები, წარმოდგენენ ძალაუფლებისათვის მუშათა კლასის ბრძოლის ორგანოებს. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საბჭოები გახდნენ სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკური საფუძველი. საბჭოების ერთიანი სისტემა—საბჭოთა რესპუბლიკა — წარმოდგენს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას. მაგრამ, როგორც პრაქტიკა ადასტურებს, ძალაუფლებისათვის მუშათა კლასის ბრძოლის ყველა ორგანოს როლი შეუძლია გადაიქცეს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად, ან მის პოლიტიკურ საფუძველად. ამიტომ რევკომებში თუნდაც გარდამავალი ხასიათის სახელმწიფოებრივი ფორმის ძიებას ფაქტიურად მივყავართ ძალაუფლებისათვის მუშათა კლასის ბრძოლის ორგანოებისა და პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის გაიგივებად, რაც უდავო შეცდომაა. ასევე მცდარია საბჭოთა ხელისუფლების დროებითი, საგანგებო ორგანოების სისტემისა და პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის გაიგივება. უმართებულოა თვით საკითხის ასე დაყენებაც კი. მით უფრო გაუმართლებელია საბჭოთა რესპუბლიკაში ხელისუფლების დროებითი ცენტრალური ორგანოს გამოცხადება პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად⁴. პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა შეიძლება იყოს რესპუბლიკა (საბჭოების რესპუბლი-

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 269-270.

2 იქვე, გვ. 270.

3 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 3, გვ. 201.

4 სტატიების კრებული „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში“, თბ., 1957, გვ. 315; „საქართველოს ისტორია“, ტომი III, თბ., 1960, გვ. 12.

კა, სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა და ა. შ.) და არა ხელისუფლების დროებითი, საგანგებო, არაარჩევითი ორგანოები.

მარქსმა და ენგელსმა პარიზის კომუნის გამოცდილების ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბეს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის ძირითადი ნიშნები. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა აზრით პროლეტარიატის დიქტატურის ყველა სახელმწიფოებრივი ფორმის ერთ-ერთი ძირითადი და საერთო ნიშანია ის, რომ სახელმწიფო ხელისუფლების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს მასების უშუალო ორგანიზაციები. პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს პოლიტიკური საფუძველი უნდა იყოს მშრომელთა წარმომადგენლობითი, არჩევითი ორგანოები. „... არაფერი არ ეწინააღმდეგებოდა კომუნის იდეას ისე, როგორც საყოველთაო საარჩევნო უფლების შეცვლა იერარქიული ინვესტიტურით“¹—მიუთითებდა კ. მარქსი². ფ. ენგელსის აზრით ორი „ყველაზე უტყუარი ღონისძიებიდან“, რომელნიც კომუნამ გაატარა, ერთია ის, რომ ყველა თანამდებობაზე... კომუნა ნიშნავდა საყოველთაო საარჩევნო უფლებით ამორჩეულ პირებს, ამავე დროს ამომრჩეველთა ყოველგვარ შექცევით ამორჩეულთა უკან გამოწვევა“³. ვ. ი. ლენინი შრომაში „სახელმწიფო და რევოლუცია“ იმოწმებს ენგელსის აღნიშნულ დებულებას და უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევს მას⁴.

წინააღმდეგ ოპორტუნისტებისა, რომელნიც აცხადებდნენ, რომ პროლეტარიატის დიქტატურა გამოიწვევს წარმომადგენლობითი დაწესებულების მოსპობასო, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „წარმომადგენლობითი დაწესებულებები რჩება... ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დემოკრატია, პროლეტარული დემოკრატიაც კი, თუ არ არის წარმომადგენლობითი დაწესებულებები“⁵.

არაარჩევითი ორგანოების გამოცხადება პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად, ცხადია, აშკარა შეცდომაა, მაგრამ რეკომენდაციად რომ ყოფილიყვნენ არჩევითი ორგანოები, ისინი მაინც ვერ გადაიქცეოდნენ პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალ სახელმწიფოებრივ ფორმად საბჭოთა რესპუბლიკაში, რადგანაც საბჭოთა რესპუბლიკა თვით წარმოადგენს სახელმწიფოებრივ ფორმას, ხოლო რეკომენდაციები შეიქმნა არა როგორც დამხმარე, დამატებითი სახელმწიფოებრივი ფორმა, არამედ როგორც ხელისუფლების დროებითი, საგანგებო ორგანოები, რომლებიც დროის მცირე მონაკვეთში ცვლიდნენ საბჭოებს, ასრულებდნენ მათს როლსა და ფუნქციებს.

რეკომენდაციებს მოსახლეობა არ ირჩევდა, მათი შემადგენლობა ინიშნებოდა⁶. ამიტომ საბჭოებთან შედარებით რეკომენდაციები ნაკლებად დემოკრატიულ ორგანოები იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვერ გავიზიარებთ ზოგიერთ

¹ ინვესტიტურა — თანამდებობის პირთა დანიშვნის სისტემა.

² კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 601.

³ იქვე, გვ. 554.

⁴ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 560.

⁵ იქვე, გვ. 523.

⁶ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რუსეთის სინამდვილეში იყო შემთხვევები, როცა რეკომენდაციები ირჩევდნენ, მაგრამ მათ ირჩევდა არა მოსახლეობა უშუალოდ, არამედ თვით საბჭოები. ასე მაგ. მოსკოვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ 1917 წლის 25 ოქტომბერს კენჭის ყრით აირჩია სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი 7 კაცის შემადგენლობით (იხ. Больше-вистские военно-революционные комитеты, стр. 268—269).

მკვლევარის აზრს, რომ თითქოს რევკომებს „როგორც დანიშნით ორგანოებს, არ შეეძლოთ გამოეხატათ მშრომელთა ნამდვილი ნება“.¹

რევკომები, ისევე როგორც საბჭოები, თავიანთი არსით და კლასობრივი შემადგენლობით წარმოადგენდნენ მუშურ-გლეხური ხელისუფლების ორგანოებს. ისინი გამოხატავდნენ მშრომელთა ფართო მასების ნებას: დაეცვათ სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი. რევკომების შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა მუშათა კლასის ავანგარდი — კომუნისტური პარტია, რომელიც მშრომელთა ინტერესების უერთგულესი დამცველია. უფრო მეტიც, რევკომები მოღვაწეობდნენ კომუნისტური პარტიის მითითებებითა და უშუალო კონტროლით. ამიტომ რევკომის წევრთა არაარჩევითობას, აგრეთვე ადმინისტრირების მეთოდებს, რასაც ზოგჯერ ადგილი ჰქონდა რევკომების მუშაობაში, მოუხედავად იმისა, რომ ისინი რამდენადმე ზღუდავდნენ დემოკრატიულ საწყისებს, არ შეეძლოთ შეეცვალათ და არც შეუცვლიათ საბჭოთა ხელისუფლების დემოკრატიული პრინციპების არსი და ხასიათი. ამდენად რევკომებს, როგორც რევოლუციური ხელისუფლების ორგანოებს, პროლეტარიატის დიქტატურის საგანგებო ორგანოებს, რომელნიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ, შეეძლოთ გამოეხატათ მშრომელთა ნამდვილი ნება.

პროფ. ი. კაჭარავასა და პროფ. გ. ერემოვს მიიხინიათ, რომ პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალ სახელმწიფოებრივ ფორმად რევკომების აღიარება აუცილებელია პოლიტიკური თვალსაზრისითაც, რადგანაც ამით, მათი აზრით, ვპასუხობთ კითხვას „თუ რა სახელმწიფოებრივი ფორმით ხორციელდებოდა საქართველოში პროლეტარიატის დიქტატურა 1921 წლის თებერვლიდან 1922 წლის თებერვლამდე“², აგრეთვე უარყოფთ მტრების მიერ გავრცელებულ ცილისწამებას, „თითქოს საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ მოახდინა საქართველოს ოკუპირება და თითქოს რევკომები საგანგებო, საოკუპაციო ორგანოები იყო“³. ამ მკვლევართა აზრით მენშევიკები და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების წარმომადგენლები საქართველოში 1921 წელს დამყარებულ ხელისუფლებას იმიტომ უწოდებდნენ „საოკუპაციო რეჟიმს“, რომ მათ ვერ გაიგეს რევკომების სისტემის, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის მნიშვნელობა, „ამიტომ,—დაასკვნის პროფ. ი. კაჭარავა, —ის ამხანაგები, რომლებიც უარყოფენ რევკომების სისტემას, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალი ხასიათის სახელმწიფოებრივ ფორმას, მათდაუნებლიედ წყალს ასხამენ ჩვენი საერთო მტრების წისქვილზე“⁴. გამოდის, რომ ვინც რევკომებს პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალ ხასიათის სახელმწიფოებრივ ფორმად არ მიიჩნევს, ის პოლიტიკურ შეცდომას უშვებს.

არ შეიძლება გავიზიაროთ ეს შეხედულება შემდეგ გარემოებათა გამო:

ჭ ე რ ე რ თ ი, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ წელს პროლეტარიატის დიქტა-

¹ უ. ბახტაძე, რევკომები საქართველოში (ეურნ. „მნათობი“, 1960, № 12 გვ. 77).

² ი. მ. კაჭარავა, ქართულ-ისტორიოგრაფიის საკითხები, თბ., 1962, გვ. 416-417.

³ გ. ა. ერემოვი, რეცენზია ლ. თოიძის საკანდიდატო დისერტაციაზე (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, 1963).

⁴ ი. მ. კაჭარავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 417.



ტურის სახელმწიფოებრივი ფორმა საიძებელი როდი იყო. იგი თავიდანვე იყო განსაზღვრული. ამ ფორმას, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოადგენდა საბჭოთა რესპუბლიკა.

მეორე, პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალ სახელმწიფოებრივ ფორმად რევკომების აღიარებას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმის უარყოფისათვის თითქოს საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ მოახდინა საქართველოს „ოკუპაცია“, თითქოს საქართველოში 1921 წელს არსებობდა „საოკუპაციო რეჟიმი“. საბჭოთა ხელისუფლების მტრების ამ მონაცხროს გაქარწყლებისათვის საბჭოურ მეცნიერებას გააჩნია ბევრად უფრო სერიოზული, მეცნიერული არგუმენტები. აქ მთავარი ის კი არ არის, რომ ვამტიცოთ თითქოს საქართველოში 1921 წელს რევკომების სახით პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალი სახელმწიფოებრივი ფორმა არსებობდა, არამედ ვაჩვენოთ საქართველოს მშრომელების გმირული ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მათი ლტოლვა საბჭოთა რუსეთთან კავშირისაკენ; სათანადო შეფასება მივცეთ იმ ძმურ დახმარებას, რომელიც რუსეთის პროლეტარიატმა აღმოუჩინა საქართველოს მშრომელებს.


9869

ცნობილია, რომ 1918 — 1921 წლებში, მას შემდეგ, რაც საქართველოს მშრომელებმა საკუთარ თავზე იწვნიეს მენშევიკური ხელისუფლების სუსხი, მთელი საბჭოთა წლის განმავლობაში საქართველო საბჭოთა ხელისუფლებისათვის მშრომელთა აჯანყების ალში იყო გახვეული. აი, ამ რესპუბლიკის მშრომელებს აღმოუჩინა დახმარება გამარჯვებული პროლეტარიატის ქვეყნის, საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ 1921 წლის თებერვალ-მარტში და ისიც საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თხოვნით. ეს იყო რუსეთის პროლეტარიატის მიერ თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის მოხდის ნათელი დადასტურება.

მესამე, სრულებით არაა უარსაყოფი ის, რომ რევკომები საგანგებო ორგანოებია. რევკომები საბჭოების როლს ასრულებდნენ, ისინი მშრომელთა ინტერესებს გამოხატავდნენ, მათ წევრებად ინიშნებოდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის წარმომადგენლები. მიუხედავად ამისა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწენი რევკომებს, უმეტეს წილად, პროლეტარიატის დიქტატურის, საბჭოთა ხელისუფლების საგანგებო ორგანოებს უწოდებდნენ.

რაც შეეხება იმას, რომ საკადრისი პასუხი ვაცვთ ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოებრივი მშენებლობის ისტორიის ბურჟუაზიულ ფალსიფიკატორებს, რომლებიც „ამტიცებენ“ თითქოს რევკომები საოკუპაციო ორგანოები იყო, ამისათვის საკმარისია ვაჩვენოთ რევოლუციური კომიტეტების მრავალმხრივი მოღვაწეობის ხალხური ბუნება, დავახსიანოთ მათ მიერ გატარებული ღონისძიებანი ახალი სახელმწიფოებრივი აპარატის შექმნისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღდგენა-განვითარებისათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის და ა. შ. (როგორც ეს ნაჩვენებია მრავალი ავტორის შრომებში, მათ შორის თვით ი. კაჭარავასა და გ. ერემოვის საინტერესო გამოკვლევებში).

მეოთხე, მენშევიკები და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები საქართველოში 1921 წელს დამყარებულ ხელისუფლებას იმიტომ კი არ უწოდებდნენ „საოკუპაციო რეჟიმს“, რომ მათ ვერ ვაიგეს რევკომების სისტემას, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალი სახელმწიფოებრივი



ფორმის მნიშვნელობა, არამედ იმიტომ, რომ მათ სურდათ ნიადაგი მოემზადებინათ საქართველოში უცხოეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სამხედრო ინტერვენციისათვის. ამ პარტიებს სხვა არაფერი დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ ცილი დაეწამებინათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, საბჭოთა რუსეთისათვის.

მართლაც, და ვთქვათ, რომ რევკომები ვალიარეთ პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალ სახელმწიფოებრივ ფორმად, უფრო მეტიც, დავუშვათ, რომ 1921 წელს საქართველოში არსებობდა საბჭოები, განა გულუბრყვილობა არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ შემთხვევაში საბჭოთა ხელისუფლების ძტრები შესწყვეტდნენ ცილისმწამებლურ კამპანიას რუსეთის მიერ საქართველოს ვითომდა „ოკუპაციის“ შესახებ? განა მას შემდეგ, რაც საქართველოში კონსტიტუციური წესით ჩამოყალიბდა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა, კერძოდ მას შემდეგ, რაც შეიქმნა საბჭოები, მტრებმა შეწყვიტეს ლაყბობა საქართველოს „ოკუპაციაზე“? ცხადია, არა. უკრაინაში, როგორც ცნობილია, რევკომებთან ერთად თავიდანვე იყო საბჭოები, მაგრამ მტრებმა მაინც პროვოკაციულად გაჰყვირიან საბჭოთა რუსეთის მიერ უკრაინის ვითომდა ოკუპაციაზე.

მე ხ უ თ ე, მართალია, საქართველოში 1921 წელს პროლეტარიატის დიქტატურის საგანგებო ორგანოების (რევკომების) არსებობის გამო საბჭოთა ხელისუფლების შინაურმა და გარეშე მტრებმა დიდი ხმაური ატეხეს, მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად არააჩვევითი, დანიშნული ორგანოების (რევკომების) გამოცხადებით ბურჟუაზიული ფალსიფიკატორები სწორედ მაშინ მოიპოვებდნენ არც თუ ისე მცირემნიშვნელოვან საბაზს ასეთი ხმაურისათვის. სწორედ ეს იქნებოდა, ჩვენის აზრით, ძტრის წისქვილზე წყლის დასხმა, რადგანაც ანტიკომუნისტური იდეოლოგები, როგორც ვიცით, ცხოვრების გამოცდილებით დიდი ხნის შემოწმებული პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის „კრიტიკასაც“ არ ერიდებიან.

პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალ სახელმწიფოებრივ ფორმად რევკომების გამოცხადება მიუღებელია როგორც პოლიტიკური, ისე მეცნიერული თვალსაზრისით. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველივე დღიდან პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას საქართველოში წარმოადგენდა საბჭოთა რესპუბლიკა. ამაზე ნათლად მიუთითებს საქართველოს სს რესპუბლიკის თვით სახელწოდებაც. ხოლო მას შემდეგ, რაც პროლეტარიატის დიქტატურამ საქართველოში საბჭოთა რესპუბლიკის სახით თავიდანვე გარკვეული სახელმწიფოებრივი ფორმა მიიღო, განა იყო საჭირო კიდევ დროებითი (დამხმარე), გარდამავალი ხასიათის სახელმწიფოებრივი ფორმის ძებნა? ცხადია, არა.

ვეენტუალური განზრახვის საკითხისათვის

8. მათეზვილი

ვეენტუალური (არაპირდაპირი) განზრახვა — თეორიულად რთული და პრაქტიკულად მნიშვნელოვანი პრობლემა საბჭოთა სისხლის სამართლისა. განზრახვის ამ სახის გაგებისათვის უპირველეს ყოვლისა აუცილებელია მისი შემადგენელი ელემენტების დადგენა.

ვეენტუალური განზრახვის ინტელექტუალური მხარე შედარებით ადვილი გასარკვევია. ასეთი განზრახვით მოქმედი სუბიექტი ითვალისწინებს საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელების შესაძლებლობას. ვენტუალური განზრახვა არ გვექნება მაშინ, როდესაც პირი არ ითვალისწინებს, რომ მის მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს საზოგადოებრივად საშიში შედეგი, აგრეთვე მაშინ, როდესაც პირი ითვალისწინებს, რომ მის მოქმედებას საზოგადოებრივად საშიში შედეგი აუცილებლად მოჰყვება¹. უკანასკნელ შემთხვევაში ადგილი ექნება პირდაპირ განზრახვას.

ცხადია, განზრახვა საერთოდ და ვენტუალური განზრახვა კერძოდ, არ ამოიწურება ინტელექტუალური პროცესებით. განზრახვა არ ნიშნავს პირის მხოლოდ პასიურ წარმოდგენას იმ ცვლილებათა შესახებ, რომლებსაც კანონი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უკავშირებს. განზრახვა გულისხმობს მოქმედ სუბიექტს და ამიტომ — სუბიექტის ნების ამა თუ იმ დამოკიდებულებას ქმედობისა და მისი შედეგისადმი. ყოველი დანაშაულებრივი განზრახვის არსი გამოიხატება ნების მანკიერ წარმართვაში, სწორედ ასეთი ნების წინააღმდეგ არის მიმართული გაკიცხვა.

? როგორ არის დაკავშირებული სუბიექტის ნებასთან მის მიერ გამოწვეული საზოგადოებრივად საშიში შედეგი ვენტუალური განზრახვის დროს? სუბიექტს ამ შედეგის მიმართ რაიმე ემოციური განცდები არა აქვს. ვენტუალური განზრახვით მოქმედი პირი არ მიისწრაფვის ასეთი საზოგადოებრივად საშიში შედეგისაკენ, ამ უკანასკნელის განხორციელება მას არავითარ სიამოვნებას არ გვრის. დამნაშავე არათუ არ ინანებდა, არამედ შეიძლება ნასიამოვნებიც დარჩებოდა, თუ მის მიერ გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში შედეგი არ განხორციელდებოდა¹. ამგვარად, იმ მიზნების მიმართ,

¹ ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტის აზრით, ვენტუალური განზრახვა შეიძლება არსებობდეს მაშინაც, როდესაც დანაშაულის წარმოდგენაში საზოგადოებრივად საშიში შედეგი აუცილებლობით არის დაკავშირებული იეს ნიშნებთან (იხ. მაგალითად: Б. С. Утевский, Вина в советском уголовном праве, М., 1950, стр. 255; К. Ф. Тихонов, К вопросу о разграничении форм виновности в советском уголовном праве, „Правоведение“, 1963, № 3, стр. 83—84). მაგრამ საბჭოთა კრიმინალისტების უმრავლესობა ამ აზრს მხარს არ უჭერს (იხ. მაგალითად: А. А. Пионтковский, Учение о преступлении, М., 1961, стр. 361—364. ეს შეხედულება კრიტიკულად არის განიხილილი აგრეთვე ჩვენს წიგნში-Уголовная ответственность за неосторожность, М., 1957, стр. 31—33.

² Н. Д. Дурманов, Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, М., 1955, стр. 124.




რომლებსთვისაც მოქმედობს სუბიექტი, ამ შედეგს ყოველთვის თანამდევით ხასიათი აქვს, შედეგი მისი მიზნის გარეთ რჩება.

ევენტუალური განზრახვით მოქმედს შეიძლება სხვადასხვა მიზნები ჰქონდეს. ეს მიზანი თავისთავად შეიძლება მართლზომიერიც იყოს. მაგალითად, სახლის პატრონი წმენდს სახლის სახურავს და ისერის გაყინულ თოვლს ქუჩაზე, სადაც მრავალი გამვლელ-გამომვლელია. მიუხედავად მოთხოვნისა — შეწყვიტოს ასეთი საშიში მოქმედება, იგი არავითარ წესებს არ იცავს და გაყინული თოვლის დიდი გუნდით მძიმედ დააშავებს მოქალაქეს, რომელმაც ამ დროს მის სახლთან გაიარა. მიზანი, რომელსაც სახლის პატრონი ახორციელებს, თავისთავად მართლზომიერია. მას სურს გაწმინდოს სახლის სახურავი და ამით დაიცვას იგი დაზიანებისაგან. მაგრამ მანვე შედეგის — გამვლელის დაშავების მიმართ — იგი მოქმედებს ევენტუალური განზრახვით. პირი ითვალისწინებს აღნიშნული საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელებას და არ ვარაუდობს მის თავიდან აცილენას.

მაგრამ მიზანი, რომლითაც მოქმედობს ევენტუალური განზრახვის მქონე სუბიექტი, შეიძლება დანაშაულებრივიც იყოს. მაგალითად, ვინმე ეჭვიანობის მოტივით ესერის ცოლს და სურს მოჰკლას იგი. ოთახში, სადაც მან რევოლვერი გაისროლა, მრავალი ხალხია, დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ტყვია შეიძლება სხვა ადამიანსაც მოხვდეს და არ ვარაუდობს ასეთი შედეგის აცილენას. თუ ტყვია მართლაც სხვა პირს მოხვდა და მოჰკლა ან დააშავა იგი, ეს თანამდევი შედეგი მოცულია სუბიექტის ევენტუალური განზრახვით, მაშინ როდესაც ცოლის მოკვლის მიმართ მას პირდაპირი განზრახვა ჰქონდა. ასეთ შემთხვევებში, როდესაც პირი დანაშაულებრივი მიზნით მოქმედებდა, ორი სახის განზრახვის კომბინაცია გვაქვს: ძირითადი შედეგის მიმართ სუბიექტს აქვს პირდაპირი განზრახვა, ხოლო თანამდევი შედეგის მიმართ — ევენტუალური განზრახვა.

თუმცა ევენტუალური განზრახვა ყოველთვის ისეთ საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოიშობა, რომელიც რაიმე სხვა, განსაზღვრული მიზნის შესრულებაზეა მიმართული, მაგრამ ეს მომენტი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ევენტუალური განზრახვის ნებელობითი ელემენტი. ჩვენ სწორად არ მიგვაჩნია შეხედულება, რომლის თანახმად „ნებელობითი მომენტი ევენტუალური განზრახვის დროს იმით გამოიხატება, რომ სუბიექტს სურს ერთი შედეგის განხორციელება და არ სურს სხვა საზოგადოებრივად საშიშ შედეგთა განხორციელება ან იგი გულგრილად ეკიდება მათი განხორციელების შესაძლებლობას“⁶. აღნიშნულ ფსიქიკურ პროცესებს დიდი მნიშვნელობა აქვს ევენტუალური განზრახვის ბუნების გასაგებად, მაგრამ ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს ამ განზრახვის ნებელობით ელემენტებად, ე. ი. მის შემადგენელ ნაწილებად. ისინი ევენტუალური განზრახვის წარმოშობის ფსიქოლოგიური წინამძღვრები არიან და მის გარეთ მდებარეობენ. მაგალითად, მოქმედების მიზანი, რომლისკენაც მიილტვის პირი, როგორც დავინახეთ, შეიძლება მართლზომიერიც იყოს; ხოლო თუ პირი დანაშაულებრივი მიზნისაკენ მიილტვის, მაშინ ამ მიზნის მიღწევასთან დაკავშირებული საზოგადოებრივად საშიში შედეგი მოცულია პირდაპირი განზრახვით, რომელიც არსებობს თანამდევი შედეგის მიმართ ევენტუალურ განზრახვასთან ერთად და არ შთაინთქმება ამ

⁶ ა. ა. პონტოვსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 363.



უკანასკნელით. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს, რომ თანამდევნი საზოგადოებრივად საშიში შედეგის მიმართ არსებული ფსიქიკური დამოკიდებულების გასარკვევად აუცილებელია გავითვალისწინოთ ნებელობითი პროცესი მთლიანად, მხედველობაში მივიღოთ ნების ძირითადი მიმართულება, ვინაიდან პირის ფსიქიკური მდგომარეობის მხოლოდ მთლიანი სურათის წარმოდგენა მოგვცემს შესაძლებლობას ზუსტად დავადგინოთ ის ელემენტები, რომლებისგანაც ევენტუალური განზრახვა შედგება.

ევენტუალური განზრახვის ნებელობით ელემენტად არ შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ის, რომ პირს „არ სურს“ საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელება. ასეთი სურვილის უქონლობა თავისდათავად არ ადასტურებს დანაშაულებრივი ნების არსებობას, ე. ი. არ მიგვითითებს განზრახვის ამ სახის ნებელობით ელემენტზე. მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ამ ნეგატიურ მომენტს მნიშვნელობა აქვს ევენტუალური განზრახვის დახასიათებისათვის და პირდაპირი განზრახვისაგან მისი გამიჯვნისათვის.

დაბოლოს, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ევენტუალური განზრახვის ელემენტად სუბიექტის გულგრილი დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელების შესაძლებლობისადმი? ვიდრე ამ კითხვაზე ვუპასუხებდეთ, საჭიროა გავარკვიოთ ერთი, სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში სადავო საკითხი: ახასიათებს თუ არა საერთოდ ევენტუალური განზრახვით მოქმედ პირს გულგრილი დამოკიდებულება თანამდევნი შედეგისადმი, ტიპიურია თუ არა იგი ამ სახის განზრახვისათვის, იმისდა მიუხედავად, შეიძლება თუ არა იგი ნებელობით ელემენტად ჩაითვალოს.

მრავალი ავტორი ამ კითხვაზე დადებით პასუხს იძლევა. მაგალითად, რევოლუციამდელ იურიდიულ ლიტერატურაში პროფ. ნ. ტაგანცევი მიუთითებდა, რომ ევენტუალური განზრახვის დროს არსებობს დანაშაულის გულგრილი დამოკიდებულება დანაშაულებრივი შედეგისადმი. ნ. ტაგანცევის ეს მომენტი იმდენად არსებითად მიაჩნია ევენტუალური განზრახვისათვის, რომ იგი ამ სახის განზრახვას ხშირად „დანაშაულებრივ გულგრილობას“ უწოდებდა¹.

აღნიშნული მომენტის მნიშვნელობას აღიარებენ აგრეთვე საბჭოთა კრიმინალისტიკის როგორც ადრინდელი,² ისე უკანასკნელი წლების ლიტერატურაში³.

მითითება გულგრილ დამოკიდებულებაზე საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი ხშირად გვხვდება სასამართლო პრაქტიკაშიც ევენტუალური განზ-

¹ Н. С. Таганцев, Русское уголовное право. Лекции, часть общая, т. I, С.—Петербург, 1902, стр. 601—602 и др.

² А. А. Пионтковский, Уголовное право РСФСР, часть общая, М., 1924, стр. 135 и др. აგრეთვე მ.-სევე—Советское уголовное право, т. I, Общая часть, М.,—Л. 1929, стр. 242. ან ლიტერატურულ შეხედულებას პროფ. პონტოვსკი განითქვამს იურიდიულ წყაროებთან საკავშირო ინსტიტუტის ზეგნით. იხ. ზეგნით: М. М. Исаев, Вопросы уголовного права и уголовно-процессуальной практики в судебной практике Верховного суда СССР, М., 1948, стр. 61; М. Д. Шаргородский, Вина и наказание в советском уголовном праве, М., 1945, стр. 8.

³ Советское уголовное право. Часть общая, Изд. ЛГУ, Л., 1961, стр. 315; Советское уголовное право. Часть общая, под редакцией проф. В. Д. Меньшагина, проф. Н. Д. Дурманова и чл.—кор. АН СССР П. С. Ромашкина, М., 1962, стр. 144—145; Н. Д. Загородников, М. Н. Якубович, В. Ф. Кириченко, Ю. А. Демидов, Советское уголовное право (общая и особенная части), М., 1962, стр. 85.

რახვით ჩადენილი ქმედობისათვის პასუხისმგებლობის დასაბუთების დროს. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1946 წლის 27 სექტემბრის დადგენილებაში ს-ს ცნობილ საქმეზე, სადაც მოცემულია მნიშვნელოვანი პრინციპული დებულებანი ევენტუალური განზრახვის შესახებ, სხვათა შორის, ნათქვამია: „ს. ისროდა განზრახ სრულიად გულგრილად იმ შედეგების მიმართ, რომლებიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა მის მოქმედებას, ამ შემთხვევაში ეს შედეგები ორი მოქალაქის მოკვლის სახით განხორციელდა“¹. ასევე ახასიათებს პირის დამოკიდებულებას შედეგისადმი ევენტუალური განზრახვის დროს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია თავის 1948 წლის 25 იანვრის განჩინებაში ი-ს საქმეზე: „თუ საქმის გარემოებებით დადასტურდება, რომ ბრალდებულს ან სხვა პირებს, რომელნიც პასუხისმგებლობაში არ არიან მიცემული ამ საქმეზე, შეგნებული ჰქონდათ, რომ მათი მოქმედების შედეგად (ანთებული კოცონის დატოვებით ან ტყეში გაჩენილი ცეცხლის ჩასაქრობად ზომების მიუღებლობით) ხანძარი შეიძლებოდა ტყეს მოედებოდა, და თუ ისინი ამ შედეგს გულგრილად ეკიდებოდნენ, მაშინ მათ პასუხი უნდა აგონ სახელმწიფო ქონების ევენტუალური განზრახვით განადგურებისათვის რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლით“². იგივე მომენტი ნათლად ახაზული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1956 წლის 25 ივლისის განჩინებაში კ-ს საქმეზე: „როდესაც კ-მ ტრამვაის მსვლელობის დროს მოქალაქე შაქოვი ტრამვაის საფეხურიდან ჩამოაგდო, იგი გულგრილად ეკიდებოდა თავისი მოქმედების შესაძლებელ შედეგს... ამიტომ კ-ს მოქმედება კვალიფიცირებულ უნდა იქნას რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 137 მუხლით (მხედველობაშია რსფსრ-ის 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსი — ვ. მ.), როგორც არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი“³.

მთელი რიგი კრიმინალისტები არასწორად თვლიან იმ შეხედულებას, რომ „დანაშაულებრივი გულგრილობა“ ევენტუალური განზრახვით მოქმედი სუბიექტის ფსიქიკური განწყობილების აუცილებელ მომენტს წარმოადგენს. რუსეთის რევოლუციამდელ იურიდიულ ლიტერატურაში გ. კოლოკოლოვი, პ. პუსტოროსლევი, ს. პოზნიშევი და სხვ. მიუთითებდნენ, რომ „დანაშაულებრივი გულგრილობის“ ცნება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. მათი აზრით, ასეთი ცნება მხოლოდ მეცნიერთა წარმოდგენაში არსებობს და არა რეალურ სინამდვილეში. წარმოუდგენელია ადამიანი ითვალისწინებდეს, რომ მის მოქმედებას შეიძლება დანაშაულებრივი შედეგი მოჰყვეს და იგი ამ შედეგის მიმართ სრულიად გულგრილად იყოს განწყობილი. ზიანის განხორციელებას რომ მისთვის არასასურველი შედეგი მოჰყვება—სასჯელის შეფარდება,—ამას კი პირი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გულგრილად ეკიდებოდეს,

¹ „Судебная практика Верховного Суда СССР 1946 г.“, вып. VIII, М., 1947, стр. 7. (ხაზგ. ხელია ჩვენს ზეგ—ვ. მ.).

² А. А. Понтовский, Вопросы общей части уголовного права в практике судебного-прокурорский органов, М., 1954, стр. 20. (ხაზგ. ხელია ჩვენს ზეგ—ვ. მ.).

³ „Судебная практика Верховного суда СССР 1956 г.“ № 6, стр. 20.

მაშასადამე, იგი არ შეიძლება გულგრილად ეპყრობოდეს იმასაც, რაც ასეთი შედეგის საფუძველს წარმოადგენს¹.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ვვენტუალური განზრახვისათვის აღნიშნული მომენტის მნიშვნელობას უარყოფს პროფ. ბ. უტევსკი. მას მთელი რიგი მოსაზრებები მოჰყავს იმის დასამტკიცებლად, რომ ვვენტუალური განზრახვის დროს ფსიქიკურ დამოკიდებულებას საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელების მიმართ არა აქვს პასიური ხასიათი. ბ. უტევსკის აზრით, შეუძლებელია პირი აქტიურად არ განიცდიდეს საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელების შესაძლებლობას, რამდენადაც ასეთი წარმოდგენა ქმედობის ჩადენის ხელისშემშლელი მოტივია და რამდენადაც ეს მოტივი უპირისპირდება იმ წარმოდგენებს, რომლებიც პირს დანაშაულისაკენ უბიძგებენ. გულგრილობა მხოლოდ მაშინ არის, როდესაც ფსიქიკა არავითარ რეაგირებას არ ახდენს საქმის მსვლელობაზე. ყოველივე აღნიშნული, ბ. უტევსკის აზრით, იმას ადასტურებს, რომ ვვენტუალური განზრახვით მოქმედი სუბიექტისათვის დამახასიათებელი აქტიური უნდობლობა შედეგისა, რომლის განხორციელებასთანაც უარყოფითი გაცდებია დაკავშირებული, შეუთავსებელია გულგრილ დამოკიდებულებასთან შედეგის მიმართ².


მართლაც, ვვენტუალური განზრახვის წარმოშობის დროს ყოველთვის როდი აქვს ადგილი გულგრილ დამოკიდებულებას საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელების მიმართ, პირიქით, მოქმედს ხშირად არ სურს, რომ ეს შედეგი განხორციელდეს. ასეთი ნეგატიური დამოკიდებულება თანამდევ საშიში შედეგის განხორციელებისადმი ზემოქმედებას ახდენს მოტივაციური პროცესის განვითარებაზე. იმ კონკრეტულ გარემოებათა მიხედვით, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ პირის გადაწყვეტილებაზე, ასეთი სურვილის უქონლობას ამა თუ იმ ხარისხით მოქმედების შემაფერხებელი მოტივის მნიშვნელობა აქვს. და თუ, მიუხედავად ასეთი შემაფერხებელი მოტივისა, პირი მაინც იღებს გადაწყვეტილებას იმოქმედოს, ეს იმას ნიშნავს, რომ შემაფერხებელი მოტივი იმ მოტივზე სუსტი აღმოჩნდა, რომელმაც შეაგულიანა სუბიექტი თავისი მიზნის მისაღწევად ემოქმედნა. გამარჯვებული მოტივი სავსებით აბათილებს სხვა მოტივებს. მაგრამ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ „ბოლომდე და თვით გადაწყვეტილების მიღების დროსაც თითოეული მოტივი ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის ძალას, არც ერთი შესაძლებლობა თავისდა თავად არ არის გაბათილებული და გადაწყვეტილება ერთი მოტივის სასარგებლოდ იმიტომ კი არ მიიღება, რომ დანარჩენი მოტივების ქმედითი ძალა ამოწურულია, რომ სხვა ფსიქიკურმა მამოძრავებელმა ძალებმა დაჰკარგეს თავისი მნიშვნელობა, არამედ იმიტომ, რომ შეგნებულა აუცილებლობა და მიზანშეწონილობა ყოველივე ამის მსხვერპლად მიტანისა“³. ვვენტუალური განზრახვის შემთხვევებში ნასურვებ ძირითად შედეგს შეიძლება იმდენად ძლიერი ემოციური ელფერი ჰქონდეს, რომ დამნაშავე მზად იყოს რისკზე წავიდეს და მსხვერპლად მიიტანოს გარეშე, თანამდევ ინტერესები, ოღონდ სასურველ მიზანს მიაღწიოს.

მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც წარმოდგენა თანამდევ სა-

¹ П. Пусторослев, Русское уголовное право. Общая часть, Юрьев, 1912, стр. 327.

² Б. С. Утевский, Вина в Советском уголовном праве, М., 1950, стр. 259—260.

³ С. Л. Рубинштейн, Основа общей психологии, М., 1946, стр. 516.



ზოგადოებრივად საშიში შედეგზე არ იწვევს შინაგან წინააღმდეგობას და კონტრ-მოტივის ძალას არ აღწევს. ბრალეულის ფსიქიკური განწყობილებებისათვის აქ დამახასიათებელია სრული გულგრილობა სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი ან პირადი ინტერესისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობისადმი. პირის ყურადღება კონცენტრირებული არ არის იმაზე, რომ მან თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგისათვის შეიძლება ან აუცილებლად უნდა აგოს პასუხი.

ფსიქიკის ასეთ მდგომარეობას საფუძვლად უდევს ის, რომ პირი მისწრაფვის ვიწროპიროვნული მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ და მას არ ახასიათებს ტენდენცია დაისახოს საზოგადოებრივი მნიშვნელობის მიზნები. მაგალითად, დამნაშავეს ახასიათებს უკიდურესი ეგოიზმი, გულქვაობა, რის გამოც მას არ შეუძლია დაიცვას და ზრუნვით მოეპყროს სხვის ინტერესებს, პირიქით იგი სრულიად გულგრილად ეკიდება მის მიერ ზიანის მიყენების შესაძლებლობას.


ინდიფერენტული დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი ზოგჯერ შეიძლება თან ახლდეს მეტად აქტიურ განცდას, დაკავშირებულს პირის მიერ დასახული მიზნის მიღწევასთან. ასეთი ფსიქიკური განწყობილება ხშირად იმას ახასიათებს, ვინც დანაშაულს აფექტის ან ძვალბრძოლის დამკაფიოფილებაზე მიმართული ნება განსაკუთრებულ ინტენსიობას აღწევს და ჩადენილი ქმედობისა და, მით უმეტეს მისი თანამდევი შედეგის საზოგადოებრივ საშიშროებას და პასუხისმგებლობის შესაძლებლობას პირი გარკვევით და ნათლად არც ითვალისწინებს.

დაბოლოს, ევენტუალური განზრახვის დროს დამნაშავეს შეიძლება არა მარტო არ სურდეს საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელება, არამედ იმედიც კი ჰქონდეს, რომ „იღბალი“, გარემოებათა შემთხვევითი დამთხვევა, ააცდენს მას ამ შედეგს. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით უახლოვდებიან დანაშაულებრივი თვითიმედოვნების სფეროს, რომლის დროსაც პირი დარწმუნებულია, რომ საზოგადოებრივად საშიში შედეგი არ განხორციელდება, ვინაიდან მოუფიქრებლად ვარაუდობს, რომ განსაზღვრული გარემოებანი ხელს შეუშლიან მის განხორციელებას.

ის, რომ პირს არ სურდა საზოგადოებრივად საშიში შედეგი ან რომ მას იმედი ჰქონდა აცდინა იგი ან გულგრილად ეპყრობოდა მის განხორციელებას, — ფსიქიკური განწყობილობის ყველა ეს ნიუანსები — მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. მათ დადგენას მნიშვნელობა აქვს ევენტუალური განზრახვით მოქმედი სუბიექტის ბრალის ხარისხის განსაზღვრისათვის და პიროვნების დახასიათებისათვის, რაც ხელს უწყობს პასუხისმგებლობის დიფერენციაციას და მიზანშეწონილი დასჯითი ღონისძიების შერჩევას.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, არც თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის უნდომლობა, არც მისი აცდენის იმედი და არც გულგრილი დამოკიდებულება არ შეიძლება განხილულ იქნენ როგორც ევენტუალური განზრახვის შემადგენელი ელემენტები. ეს მომენტები ევენტუალური განზრახვის წარმოშობის წინამძღვრები არიან და არა თვით ასეთი განზრახვის ნაწილები.

აღნიშნული მომენტები მნიშვნელოვან, მაგრამ სხვადასხვანაირ როლს ას-



რულებენ ნების წარმოქმნის პროცესში. იმ შემთხვევაში, როდესაც პირს არ სურს თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელება (ან იმედოვნებს მის აცდენას), იქმნება მოპირისპირე ტენდენციების კონფლიქტი, ხდება სხვადასხვა გრძობებისა და ემოციების შეფასება მანამდე, ვიდრე პირი გადაწყვეტს იმოქმედოს თავისი მიზნების მისაღწევად. პირიქით, როდესაც იგი თავიდანვე გულგრილად ეკიდება თანამდევი შედეგის განხორციელებას, მაშინ ნების წარმოქმნისა და, მაშასადამე, ევენტუალური განზრახვის ფორმირება უფრო სწრაფად და უშუალოდ ხდება. ზიანის მიყენების რისკი შედის სუბიექტის ნებელობით გადაწყვეტილებაში — იმოქმედოს გარკვეული მიმართულებით, რაიმე განსაკუთრებული მოფიქრებისა და აწონ-დაწონის გარეშე. ეს გასაგებიცაა: წარმოდგენა თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის შესახებ არ გადაქცეულა დანაშაულის ხელშემშლელ მოტივად, ვინაიდან სუბიექტი მის განხორციელებას ინდიფერენტულად ეპყრობოდა.

ევენტუალური განზრახვის წარმოშობა იმ მომენტში ხდება, როდესაც წარმოდგენა თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელების შესაძლებლობის შესახებ, რომელიც მანამდე დანაშაულის ხელშემშლელ მოტივად გამოდიოდა ან რომელსაც პირი ინდიფერენტულად ეპყრობოდა, შედის პირის ნებელობით გადაწყვეტილებაში — იმოქმედოს გარკვეული მიმართულებით. პირს ურჩევნია თავისი მოქმედებით ზიანის მიყენების საფრთხე შექმნას, ვიდრე ხელი აიღოს იმ მოქმედებაზე, რომლის შემდეგობითაც მას განზრახული აქვს დასახულ მიზანს მიაღწიოს. იგი აუმჯობესებს რისკი გასწიოს, ვიდრე თავი შეიკავოს საშიში ქმედობის ჩადენისაგან. თანაც პირი თანამდევი საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელების მხოლოდ განყენებულ შესაძლებლობას კი არ ითვალისწინებს, არამედ მას საეჭვობით გარკვევითა აქვს წარმოდგენილი, რომ მის მიერ არჩეულ საშუალებას რეალურად შეიძლება მოჰყვეს აღნიშნული შედეგი. ამიტომ ნებელობის შინაარსში მარტო ის კი არ შედის, რასაც სუბიექტისათვის ერთგვარი ემოციური მიმზიდველობა აქვს, რისკენაც სუბიექტი მიილტვის, და საშუალებანი, რომლებიც ამ შედეგის მისაღწევადაა არჩეული, არამედ აგრეთვე ის შესაძლებელი ცვლილებანიც გარეშე სამყაროში, რომელთა აცილებასაც იგი არ გარაუდობს და რომელნიც სუბიექტის წარმოდგენაში თან სდევნენ მის მთავარ მოქმედებას.

ამგვარად, ევენტუალური განზრახვის ძირითადი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ გარკვეული მიმართულებით მოქმედების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს პირი სათვალავში იღებს და თავის წარმოდგენაში არ უკუაგდება თანამდევი მანვე შედეგის განხორციელების შესაძლებლობას. ამ მომენტის აღსანიშნავად სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში და კანონმდებლობაში სხვადასხვანაირ გამოთქმებს ხმარობენ. ზოგიერთი თვლის, რომ ევენტუალური განზრახვის საბოლოო ფორმირების კრიტიკულ მომენტში პირი „იწონებს“ თანამდევი შედეგის განხორციელებას. სხვათა შორის ამ გამოთქმას ევენტუალური განზრახვის განსაზღვრისათვის ხმარობდა გერმანიის საიმპერიო სასამართლო (რაინსგერიხტი) და ამჟამადაც ხმა-



რობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო სასამართლო (ბუნდესგერიხტი), აგრეთვე შვეიცარიის საკავშირო სასამართლო.¹

„მოწონება“ ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით ნიშნავს შეფასებით მსჯელობას, რომელიც გამოხატავს სუბიექტის დადებით ემოციურ განცდას ან თუ იმ გარემოების მიმართ. მაგრამ ასეთი დამოკიდებულება თანამდევნი შედეგისადმი არ ახასიათებს ევენტუალურ განზრახვას არც მის წარმოშობამდე და არც წარმოშობის მომენტში. დამნაშავის მიერ დასახული მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებული საზოგადოებრივად საშიში შედეგის სათვალავში მიღება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ პირი ამ შექმნის იწონებს. იგი თავს იძულებულად თვლის წავიდეს ამ რისკზე, ვინაიდან მეტად ინტენსიურად მისწრაფვის თავისი სურვილის დაკმაყოფილებისაკენ; მრავალ შემთხვევაში ევენტუალური განზრახვით მოქმედი სუბიექტი ნასიამოვნებიც კი დარჩებოდა, თუ თანამდევნი საზოგადოებრივად საშიში შედეგი არ განხორციელდებოდა.

გამოთქმები — პირი „დაეთანხმა“ თანამდევნი შედეგის განხორციელებას ან „შეურიგდა“ ან „შეგნებულად უშვებდა“ მას უფრო შეესაბამება პირის ფსიქიკურ განწყობილებას ევენტუალური განზრახვის წარმოშობის კრიტიკულ მომენტში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ავტორს „დათანხმების“ თეორიაშიც შეაქვს ემოციური მომენტი — დადებითი გრძნობა შედეგის მიმართ. ასეთი შეხედულება არაფრით არ განსხვავდება „მოწონების“ თეორიისაგან, ვინაიდან ასე გაგებული „დათანხმება“ იგივე „მოწონებაა“. მაგრამ კრიმინალისტთა უმრავლესობას „დათანხმების“ თეორია სხვაგვარად ესმის, სახელდობრ ისე, რომ ევენტუალური განზრახვის დროს პირი თავის წარმოდგენაში აქტიურად არ ეწინააღმდეგება შედეგის განხორციელებას.

„დათანხმების“ კრიტერიუმს იყენებს არა მარტო მრავალი ავტორი, რომელიც ევენტუალური განზრახვის საკითხს იკვლევს², არამედ ზოგიერთ ქვეყნის კანონმდებლობაც. მაგალითად, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, პირი განზრახ მოქმედებს მაშინაც, როდესაც იგი, „ითვალისწინებს რა, რომ მის მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს აკრძალული შედეგები, თ ა ნ ა ხ მ ა ა ეს შედეგები განხორციელდეს“³. „დათანხმების“ ნიშანი შეაქვს ევენტუალური განზრახვის განსაზღვრებაში 1950 წლის ბერძნულ კოდექსსაც (პ. 1-ლი, მუხ. 28)⁴.

ზოგიერთი კანონმდებლობა ევენტუალური განზრახვის დახასიათების დროს მიუთითებს, რომ პირი „ურიგდება“ თანამდევნი დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას. ასე მაგალითად ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკის 1950 წლის სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავდა, რომ შედეგი განზრახვითაა გამოწვეული მაშინაც, როდესაც პირმა „იცოდა, რომ შეუძლია მისი მიყენება და ურიგდებოდა მისი განხორციელების შესაძლებლობას“. ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის 1961 წლის კოდექსმა უარყო ეს ნიშანი

¹ O. A. Germann, Vorsatzprobleme, „Schweizerische Zeitschrift für Strafrecht“, 1961, S. 346—365.

² საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში „დათანხმების“ ცნების უპირატესობის თავგამოდებით ამტკიცებს პროფ. ბ. უტევსკი. იხ. ნისი ნაშრომი—Вина в советском уголовном праве, М., 1950, стр. 261—262.

³ Современное зарубежное уголовное право, т. I, М., 1957, стр. 527.

⁴ Современное зарубежное уголовное право, т. III, М., 1961, стр. 408.

და ამჟამად ევენტუალური განზრახვის განსაზღვრების დროს ხმარობს გამოთქმას — „ეთანხმებოდა“.

დაბოლოს, მთელი რიგი კოდექსები ევენტუალური განზრახვის დახასიათებისათვის მიმართავენ გამოთქმას — პირი „შეგნებულად უშვებდა“ საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელებას. ამ ფორმულას იყენებს საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა მისი არსებობის მთელ მანძილზე. ამავე ფორმულას უერთდებიან ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 1951 წლის სისხლის სამართლის კოდექსი (მუხ. 4), მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის 1942 წლის სისხლის სამართლის კოდექსი (მუხ. 5) და სხვ.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნული ფორმულის წინააღმდეგ გამოთქმული იყო ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნები. მიუთითებდნენ, რომ გამოთქმა — „შეგნებულად უშვებს“ — ყოველთვის ზუსტად როდი ახასიათებს ევენტუალური განზრახვით მოქმედი პირის ფსიქიკურ განწყობილებას, რომ ზოგჯერ ეს ფორმულა არ გამოდგება ევენტუალური განზრახვისა და დანაშაულებრივი რვათიმედოვნების მოსაზღვრე სფეროების ზუსტად გამოიჯენისათვის და ა. შ.¹

გამორიცხული არ არის, რა თქმა უნდა, რომ ზოგჯერ, განსაკუთრებით ხელოვნურად შექმნილ მაგალითებში ევენტუალური განზრახვის დახასიათებისათვის და მოსაზღვრე ცნებებისაგან გამიჯვნისათვის, „დათანხმების“ ან „შერიგების“ კრიტერიუმი უფრო მოსახერხებელია, ვიდრე „შეგნებულად დაშვების“ კრიტერიუმი, მაგრამ ისიც არ უნდა გაგუშვათ მხედველობიდან, რომ სხვა შემთხვევებში, პირიქით, მანვე შედეგის განხორციელების „შეგნებულად დაშვების“ კრიტერიუმი უფრო ზუსტად და აღეკვატურად გამოხატავს ევენტუალური განზრახვის არსს. საერთოდ არასწორი იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ამა თუ იმ საკანონმდებლო ფორმულას შეიძლება ჰქონდეს ისეთი სრულყოფილობისა და სიზუსტის პრეტენზია, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ სიძნელეს მისი პრაქტიკულად გამოყენების დროს. საკანონმდებლო ფორმულა მთლიანად ამართლებს თავის დანიშნულებას, თუ იგი განსაზღვრავს ძირითად გეზს, რომელსაც უნდა გაჰყვეს სასამართლო-საგამომძიებო პრაქტიკა და სოციალისტური სისხლის სამართლის მეცნიერება ევირტუალური განზრახვის განსაზღვრებისა და მომიჯნავე ცნებათაგან მისი განსხვავებისათვის.

თუ საკითხს ამ თვალსაზრისით მივუდგებით, მაშინ ვერ ვნახავთ არსებით განსხვავებას სხვადასხვა ფორმულებს შორის, რომლებიც განსაზღვრავენ ევენტუალური განზრახვის არსს „დათანხმების“ ან „შერიგების“ ან „შეგნებულად დაშვების“ გამოთქმების მეშვეობით. ყველა ეს ფორმულა ერთ ძირითად იდეას გამოხატავს, სახელდობრ იმას, რომ ევენტუალური განზრახვის დროს საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელების რისკი, რომელიც განუწყვეტლად და დაკავშირებული სუბიექტის ქმედობასთან, არა მარტო გათვალისწინებულია მოქმედის მიერ გადაწყვეტილების მიღების მომენტში, არამედ აგრეთვე შედის სუბიექტის ნებელობით გადაწყვეტილებაში და, მამასადამე, მისი ნებისყოფის შინაარსში.

¹ В. Я. Лившиц, К вопросу о понятии эвентуального умысла, „Советское государство и право“, 1947, № 7, стр. 36—37; Б. С. Утевский, Вина советском уголовном праве, М., 1960, стр. 261—262.

სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებებში ექსპერტიზის ჩატარების ძირითადი პროცესუალური საკითხები

ა. ფალიაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სასამართლოს ექსპერტიზების დიდი უმრავლესობა ამჟამად ინიშნება და ტარდება სათანადო სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებებში. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი¹ შეიცავს ნორმას, რომელიც ზოგადად აწესრიგებს ექსპერტიზის ჩატარების სპეციფიკას სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებებში. საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელისა და ექსპერტების ზოგიერთ უფლებას განსაზღვრავენ აგრეთვე სათანადო ინსტრუქციები; ამასთანავე ერთად უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული პირების მთელი რიგი უფლებებისა ჯერ კიდევ არ არის კონკრეტულად ასახული სამართლებრივ აქტებში. პროცესუალურ ლიტერატურაში არა ერთხელ იყო დასმული საკითხი სათანადო დებულების შემუშავების შესახებ, რომელიც უფრო დეტალურად განსაზღვრავდა საექსპერტო დაწესებულებებში ექსპერტიზის ჩატარების თავისებურებას.¹

ამ თემის გაშუქების მიზნით განხილული უნდა იქნეს შემდეგი ძირითადი საკითხი: საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელისა და ექსპერტების უფლებამოსილება სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებებში გამოკვლევის წარმოების პროცესში.

საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის უფლებამოსილება ექსპერტიზის ჩატარების პროცესში. საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს სისხლის სამართლის პროცესში უკავია დამოუკიდებელი პროცესუალური მდგომარეობა. ძირითადი ფუნქციების განხორციელების დროს იგი არ არის დამოკიდებული ექსპერტიზის დამნიშნავ პირზე. გამომძიებლის ან სასამართლოს მითითება მთელ რიგ საკითხებზე მისთვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. სწორედ ამიტომ, არ შეიძლება დავეთანხმოთ ა. ვ. დულოვის მიერ გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი არის ექსპერტიზის დამნიშნავი ორგანოს პროცესუალური თანაშემწე, ან თითქოს ექსპერტის მიმართ საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი სარგებლობს ექსპერტიზის დამნიშნავი პირის ყველა უფლებით.²

ექსპერტის მიმართ საგამომძიებლო სასამართლო ორგანოებს და საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს გააჩნიათ ზოგიერთი ერთნაირი უფლება.

¹ В. Л. Зотов. Работу криминалистических учреждений на должный уровень. Социалистическая законность, 1956, № 5, стр. 70.

² А. В. Дулов. Права и обязанности участников судебной экспертизы. Минск, 1962, стр. 262—263.

კერძოდ, დაესწროს გამოკვლევის ჩატარებას, კონტროლი გაუწიოს გამოკვლევის წარმოებას, დაწესებულ ვადაში ექსპერტიზის ჩატარებას, მაგრამ ასეთი მდგომარეობა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გაიგივდეს საგამომძიებლო — სასამართლო ორგანოებისა და საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის უფლებამოსილება ექსპერტის მიმართ.

საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი ექსპერტიზის ჩატარების პროცესში უფლებამოსილია: გაეცნოს ექსპერტიზის მასალებს, დანიშნოს ექსპერტი გამოკვლევის ჩასატარებლად და ამასთან დაკავშირებით შეასრულოს საქართველოს სსრ სსს კოდექსის 189-ე მუხლის მოთხოვნა, განსაზღვროს დრო ექსპერტის ჩასატარებლად, — შეუქმნას ექსპერტს სათანადო პირობები გამოკვლევის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის, გადაუზღვანოს ექსპერტის დასკვნა და ყველა სხვა მასალები ექსპერტიზის დამნიშნავ პირს, — უთანხმოების შემთხვევაში ექსპერტიზის დამნიშნავ პირს აცნობოს თავისი საკუთარი მოსაზრება ან საექსპერტო დაწესებულების სხვა ექსპერტთა აზრი.

მოკლედ განვიხილოთ აღნიშნული საკითხები.

1. საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები ექსპერტიზის მასალებს გამოსაკვლევად უზღვანის საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელიც ვალდებულია გაეცნოს მას და მიიღოს ერთ-ერთი რომელიმე გადაწყვეტილება: დაიტოვოს მასალები გამოკვლევის ჩასატარებლად, გამოითხოვოს დამატებითი მასალები, შესთავაზოს ექსპერტის დამნიშნავ პირს დაშვებული შეცდომის გამოსწორება, უარი განაცხადოს ექსპერტიზის ჩატარებაზე.

საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი ექსპერტიზის მასალებს ეცნობა შემდეგი თვალსაზრისით: გადმოგზავნილია თუ არა საქსპერტო დაწესებულების განკარგულებაში ყველა ის მასალა, რომელიც აღნუსხულია ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში (განჩინებაში); შედგენილია თუ არა ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილება საქართველოს სსრ სსს კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებული წესების დაცვით; გადმოგზავნილია თუ არა საექსპერტო დაწესებულების განკარგულებაში ყველა გამოსაკვლევად და შესადაარებელი ობიექტი; საკმარისიდაა თუ არა გამოგზავნილი ყველა სხვა საბუთები, რომლებიც დაკავშირებულია ექსპერტის მიერ დასადგენ გარემოებასთან; ვასაგებია თუ არა ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები; საჭიროა თუ არა ექსპერტის წინაშე დასმული საკითხების გადასაწყვეტად სპეციალური ცოდნის გამოყენება. ყველა ამ საკითხების დადებითად გადაწყვეტის შედეგად საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი ექსპერტიზის მასალებს იღებს წარმოებაში გამოკვლევის ჩასატარებლად.

იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის დანიშვნის პროცესში დაშვებულია შეცდომები ან სრულად არ არის წარმოდგენილი მასალა, საქსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება აქვს დაიტოვოს ექსპერტიზის მასალები, მაგრამ საქართველოს სსრ სსს კოდექსის 73-ე მუხლის შესაბამისად გამომძიებლის ან სასამართლოს წინაშე აღძრას შუამდგომლობა დადგენილ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. შემდგომში აღძრული შუამდგომლობის შესრულების შესაბამისად, საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი სწყვეტს საკითხებს გამოკვლევის ჩატარების შესაძლებლობის შესახებ.

საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება აქვს უარი განაცხადოს ექსპერტიზის ჩატარებაზე და დაუბრუნოს მასალები გამომძიებელს ან

სასამართლოს შემდეგ შემთხვევებში: როდესაც ექსპერტიზის დამნიშნავი პირი ვერ შეასრულებს საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის მოთხოვნას; ექსპერტის წინაშე დასმული საკითხების გადაწყვეტა არ შედის ექსპერტის კომპეტენციაში; არ არსებობს გამოკვლევის მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარების რეალური პირობები.

ექსპერტიზის ჩატარებაზე უარის თქმა უნდა გაფორმდეს სათანადო პროცესუალური საბუთით: შედგეს ცნობა იმის შესახებ, რომ ექსპერტის დასკვნის მიცემა შეუძლებელია.

2. საექსპერტო დაწესებულებებში გამოკვლევის ჩატარებას, როგორც წესი, ნიშნავს საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი, მაგრამ ამ უკანასკნელმა, გამომძიებლის ან სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე ექსპერტიზის ჩატარება უნდა დაავალოს შესაბამის ექსპერტს. საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს თავის ინიციატივით შეუძლია გამოკვლევის ჩასატარებლად დანიშნოს რამდენიმე ექსპერტი, ამასთანავე მას უფლება აქვს საექსპერტო კომისიაში შეიყვანოს შტატგარეშე ექსპერტი, ანდა სპეციალისტი საზოგადოებრივ საწყისებზე. ექსპერტიზის დამნიშნავი პირის მოთხოვნით ან თვით საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის ინიციატივით ექსპერტიზის ჩატარება შეიძლება დაევალოს სხვადასხვა საექსპერტო დაწესებულების ექსპერტებს. მაგრამ ამის შესახებ ყოველთვის უნდა ეცნობოს გამომძიებელს ან სასამართლოს. საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება აქვს აგრეთვე გამოკვლევის ჩატარება დაავალოს სხვადასხვა სპეციალობის ექსპერტებს, ე. ი. დანიშნოს კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარება.

საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის აღნიშნული უფლებები გამომდინარეობს საქართველოს სსრ სსს კოდექსის 189-ე მუხლის მოთხოვნიდან. ამავე მუხლის თანახმად საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი ვალდებულია ექსპერტიზის ჩამტარებელი პირი გააფრთხილოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ წინასწარი შეცნობით ცრუ დასკვნის მიცემისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების საპროცესო კანონმდებლობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოკავშირე რესპუბლიკებში დაწესებულია ექსპერტის გაფრთხილების სხვადასხვა წესი. ერთ შემთხვევაში ექსპერტს აფრთხილებს სექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი, მეორე შემთხვევაში ექსპერტიზის დამნიშნავი პირი (იხ. მაგალითად, აზერბაიჯანის სსრ სსს კოდექსის 185-ე მუხლი), ანდა ექსპერტები თავიდანვე გაფრთხილებულები არიან სამსახურებრივი მდგომარეობის მიხედვით (იხ. მაგალითად, ყაზახეთის სსრ სსს კოდექსის 55-ე მუხლი). პროცესუალურად ექსპერტის გაფრთხილება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ ხდება ან სათანადო ხელწერილის ჩამორთმევით, რომელიც დასკვნასთან ერთად ეგზავნება გამომძიებელს ან სასამართლოს (საქართველოს სსრ სსსკ 189-ე მუხლი), ანდა გაფრთხილების შესახებ ექსპერტი აღნიშნავს თავისი დასკვნის შესავალ ნაწილში. ასეთი წესი დადგენილია მაგალითად, უკრაინის სსრ სსს კოდექსის 196-ე მუხლით.

3. გამოკვლევის წარმოების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ექსპერტიზის ჩატარების ვადის სწორედ გასაზღვრას. ამჟამად ექსპერტიზის ჩატარების ზოგადი ვადები დადგენილია საუწყებო ინსტრუქციებით.

პროცესუალურ ლიტერატურაში ა. ი. ვინბერგისა და ვ. მ. ნიკიფოროვის¹ მიერ გამოთქმული იყო აზრი საპროცესო კანონმდებლობაში ექსპერტიზის ჩატარების ვადის დადგენის შესახებ. საწინააღმდეგო მოსაზრება ამ საკითხებზე გამოთქვეს რ. დ. რახუნოვმა, ა. ვ. დულოვმა.²

საპროცესო კანონმდებლობითი ექსპერტიზის ვადის დადგენის წინააღმდეგ მოსაზრება დასაბუთებულია იმ გარემოებით, რომ გამოკვლევის ჩატარების დრო განისაზღვრება მრავალი მიზეზით, რომლის გათვალისწინებაც კანონით შეუძლებელია. ეს რა თქმა უნდა სწორეა, მაგრამ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ხანგრძლივობაც ხომ ერთნაირი არ არის. მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა აწესებს მოკვლევისა და წინასწარ გამოძიების ვადებს და ამ ვადების გაგრძელების წესს. ამის საფუძველზე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ კანონში მიზანშეწონილია გათვალისწინებული იყოს ექსპერტიზის ჩატარების მაქსიმალური ვადა ერთი თვე და ამ ვადის გაგრძელება დაშვებული იქნეს მხოლოდ ექსპერტიზის დამნიშნავი პირის შეთანხმების საფუძველზე. რაც შეეხება ცალკეული ექსპერტიზების ჩატარების კონკრეტული ვადის დადგენას, ასეთი ხდება მხოლოდ საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ. გამოსარკვევი ობიექტების რიცხვის, გამოკვლევის სირთულის, ექსპერტიზის სახის, ექსპერტის დატვირთვის და ა. შ. მხედველობაში მიღებით.

4. საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი ვალდებულია მიიღოს ყველა საჭირო ზომები, რათა გამოკვლევა ჩატარდეს მაღალ დონეზე. ამასთან დაკავშირებით მან გულდასმით უნდა შეისწავლოს ექსპერტის ყველა განცხადება გამოკვლევის სრულყოფილად და ოპერატიულად ჩატარების შესახებ. საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელმა ექსპერტის დასაბუთებული განცხადების საფუძველზე უნდა მიიღოს შემდეგი ზომები: ადკრას შუამდგომლობა გამოძიებლის ან სასამართლოს წინაშე ექსპერტისათვის დამატებითი მასალების წარდგენის ან ცალკეული საკითხების გარკვევის შესახებ; საჭიროების შემთხვევაში ექსპერტიზის დამნიშნავ პირთან შეთანხმებით მოიწვიოს კონსულტანტი ექსპერტის დასახმარებლად; მოაწყოს საექსპერტო დაწესებულების სპეციალისტთა შეკრება სადავო საკითხების განსახილველად, უზრუნველყოს ექსპერტი ყველა საჭირო აპარატურითა და ხელსაწყოებით, რომელიც საჭიროა გამოკვლევის ჩატარებლად; ექსპერტიზის დამნიშნავი პირის მოთხოვნით ან ექსპერტის განცხადების საფუძველზე უზრუნველყოს გამოძიებლის, სასამართლოს ან ბრალდებულის დასწრება გამოკვლევის ჩატარების დროს.

საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის აღნიშნული უფლებების გამოყენება შექმნის ნორმალურ პირობას გამოკვლევის სრულყოფილად და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

5. გამოკვლევის დამთავრებისა და დასკვნის შედგენის შემდეგ ექსპერტი ვალდებულია ყველა მასალა გადასცეს საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს. ამასთან დაკავშირებით საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი ვალდებულია გულდასმით შეისწავლოს ექსპერტის მიერ წარმოდგენილი მასა-

¹ А. И. Винберг. Основные принципы Советской криминалистической экспертизы. Госюриздат, 1949, стр. 78—79. В. М. Никифоров. Экспертиза в советском уголовном процессе. Издательство ВЮА, 1947, стр. 129.

² Р. Д. Рахунов. Теория и практика экспертизы в советском уголовном процессе. Госюриздат, 1953, стр. 132. А. В. Дулов. Права и обязанности участников судебной экспертизы. Минск, 1962, стр. 70—71.



ლები და დარწმუნდეს იმაში, რომ: ექსპერტმა სრული და გასაგები პასუხი გასცა ყველა მის წინაშე დასმულ კითხვას, ჩაატარა თუ არა სრული და ობიექტური გამოკვლევა მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების გამოყენებით, ექსპერტის დასკვნა მეცნიერულად დასაბუთებულია და შედგენილია თუ არა არსებული წესის დაცვით, ექსპერტმა დასკვნა მისცა თუ არა თავის კომპეტენციის ფარგლებში.

აღნიშნული საკითხების დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი ექსპერტის დასკვნას ამოწმებს საექსპერტო დაწესებულების ბეჭდის დასმით და ყველა მასალას სათანადო მიმართვით უგზავნის ექსპერტიზის დამნიშნავ პირს.

6. საექსპერტო მასალების შესწავლის პროცესში ან კონტროლის გაწევის დროს საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელსა და ექსპერტს შორის შეიძლება თავი იჩინოს უთანხმოებამ პრინციპულ საკითხზე, კერძოდ, ექსპერტის დასკვნის სისწორის შესახებ. ასეთ შემთხვევაში საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება არა აქვს გააუქმოს ან შეცვალოს ექსპერტის დასკვნა, მაგრამ იგი უფლებამოსილია გაიტანოს სადავო საკითხი სპეციალისტების თათბირზე ან კიდევ გამომძიებელთან შეთანხმებით მოცემული ექსპერტიზის ხელმოწერედ ჩატარება დაავალოს სხვა პირებს. ასეთ კომისიაში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს იმ ექსპერტმა, რომლის დასკვნაც წარმოადგენს დავის საგანს, რადგანაც იგი უკვე წარმოადგენს დაინტერესებულ პირს. სწორედ ამიტომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ლიტერატურაში გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ აღნიშნულ საექსპერტო კომისიაში მიზანშეწონილია იმ ექსპერტის მონაწილეობა, რომლის დასკვნაც წარმოადგენს დავის საგანს.¹

სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების ზოგიერთი მოქმედი ინსტრუქცია ითვალისწინებს საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის უფლებას, როდესაც იგი დაადგენს ექსპერტის დასკვნის არსებით ხარვეზებს, ამის შესახებ სათანადო შეტყობინება გაუგზავნოს ექსპერტიზის დამნიშნავ პირს.² გარდა ასეთი შეტყობინებისა, ექსპერტიზის დამნიშნავ პირს ეგზავნება ხოლმე საექსპერტო დაწესებულების საწარმოო თათბირის ოქმი, რომელზედაც განხილული იქნა ექსპერტის სადავო დასკვნა. პრაქტიკაში არის აგრეთვე ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გამომძიებელი ან სასამართლო ჩატარებულ ექსპერტიზის უხარისხობის შესახებ ღებულობს სხვა ექსპერტის ან სპეციალისტების დასაბუთებულ წერილობით მოსაზრებებს. ჩატარებული ექსპერტიზის მცდარობის შესახებ შეიძლება აგრეთვე დაისვას საკითხი საექსპერტო დაწესებულებაში რევიზიის ჩატარების ან განმეორებითი ექსპერტიზის წარმოების შემდეგ.

მამასადამე, გარკვეულ შემთხვევაში გამომძიებლის ან სასამართლოს განკარგულებაში, მათ მიერ აღნიშნული ექსპერტის დასკვნის გარდა, შეიძლება აღმოჩნდეს სხვა საბუთიც, რომელშიც, როგორც წესი, დასაბუთებულია ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის უსწორობა. ამასთან დაკავშირებით ისმება კითხვა აღნიშნული საბუთების პროცესუალური მნიშვნელობის შესახებ. უნდა აღინი-

¹ А. Р. Шляхов. Процессуальные основы производства криминалистической экспертизы. М—1962, стр. 33; А. В. Дулов. Права и обязанности участников судебной экспертизы. Минск, 1962, стр. 33.

² Инструкция о производстве судебно-медицинской экспертизы. 1952 г., Инструкция Министерства Финансов РСФСР от 8 мая 1957 г., О производстве судебно-бухгалтерской экспертизы (пункт 36).

შნოს, რომ ასეთი დამატებითი საბუთი არ წარმოადგენს ექსპერტის დასკვნას მიუხედავად იმისა, რომ მისი შემდგენი ხშირად არის ექსპერტი ან კვალიფიციური სპეციალისტი. აღნიშნული საბუთი მიეკუთვნება მხოლოდ წერილობით დამტკიცებულ დოკუმენტს და იგი უნდა იყოს მიღებული მხედველობაში ექსპერტის დასკვნის სხვა მასალებთან ერთობლიობაში კრიტიკული შეფასების დროს. შეფასების შედეგად მოკვლევ პირს, გამომძიებელს, პროკურორს ან სასამართლოს შეუძლია მიიღოს ერთ-ერთი რომელიმე გადაწყვეტილება: ყურადღების გარეშე დატოვოს დამატებით წარმოდგენილი საბუთი ექსპერტის დასკვნის უსწორობის შესახებ ან დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა.


ამრიგად, საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს ან სხვა სპეციალისტის შეტყობინება ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის უსწორობის შესახებ წარმოადგენს წერილობითი დამატაცივებელი დოკუმენტის წყაროსა და იგი საჭიროებს საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების სათანადო შეფასებას.

ექსპერტის უფლებამოსილება გამოკვლევების ჩატარების დროს. სისხლის სამართლის პროცესში სასამართლო ექსპერტი წარმოადგენს აქტიურ ფიგურას. მოვალეობის გარდა კანონი მას ანიჭებს დიდ უფლებებსაც, რომლის განხორციელებაც საწინდარია ექსპერტიზის ყოველმხრივი, სრული, ობიექტური და ოპერატიული ჩატარებისათვის.

სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებებში გამოკვლევების ჩატარების დროს ექსპერტი უფლებამოსილია: — უარი განაცხადოს დასკვნის მიცემაზე, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში; — საჭიროების შემთხვევაში ექსპერტიზის დამნიშნავი პირის წინაშე აღძრას შუამდგომლობა, რათა ექსპერტიზას მასალები გადაეგზავნოს გამოსაკვლევად სხვა საექსპერტო დაწესებულებას; გამოითხოვოს გამოკვლევების სრულყოფილად ჩატარებისათვის ყველა დამატებითი მასალები; — გამომძიებლის ან სასამართლოს ნებართვით გაეცნოს საქმის იმ მასალებს, რომელიც შეეხება ექსპერტიზის საგანს, მონაწილეობა მიიღოს ცალკეულ საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარების დროს და შეკითხვები მისცეს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებს; — საჭიროების შემთხვევაში ექსპერტიზის დამნიშნავი პირის წინაშე აღძრას ისეთი შუამდგომლობა, რომელიც უზრუნველყოფს სრულყოფილ და დასაბუთებულ გამოკვლევების ჩატარებას; — აცნობებს ექსპერტიზის დამნიშნავ პირს იმ ახალი ფაქტების შესახებ, რომელიც ცნობილი გახდა გამოკვლევების ჩატარების პროცესში და ამას კი მნიშვნელობა აქვს გამოძიებისათვის ან საქმის სასამართლოში განხილვისათვის; საჭიროების შემთხვევაში თავისი ინიციატივით გააფართოვოს გამოკვლევების ფარგლები; გაასაჩივროს ექსპერტიზის დამნიშნავი პირის უკანონო მოქმედებანი.

მოკლედ განვიხილოთ აღნიშნული საკითხები:

1. სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებებში გამოკვლევების ჩატარებაზე უარის თქმა, როგორც წესი, წარმოებს საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, რომელიც პირველად კრიტიკული თვალსაზრისით ეცნობა ექსპერტიზის მასალებს. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ ყველა ის ძირითადი მოტივი, რომლის მიხედვითაც საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება აქვს უარი განაცხადოს ექსპერტიზის მასალების წარმოებაში მიღებაზე, მაგრამ თვით ექსპერტიც, კანონის მიხედვით, უფლებამოსილია უარი განაცხადოს გამოკვლევების ჩატარებაზე შემდეგ შემთხვევებში, როდესაც: იგი არ არის კვალიფიციური



პირი დასკვნის მიცემისათვის; მის წინაშე დასმული კითხვების გადაჭრა არ შედის ექსპერტის კომპეტენციაში; გამომძიებლის ან სასამართლოს მიერ არ იქნა წარმოდგენილი ყველა დამატებითი მასალა, რომელიც საჭიროა ყოველმხრივი და დასაბუთებული გამოკვლევისათვის; ექსპერტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს. ექსპერტის ასეთი უფლებები გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სსს კოდექსის 53-ე, 58-ე, 70-ე, 73-ე მუხლებში.

2. გამოკვლევის წარმოების პროცესში ზოგჯერ წამოიჭრება ისეთი კონკრეტული ვითარება, რომელიც საშუალებას არ იძლევა ჩატარდეს ექსპერტიზა მოცემულ საექსპერტო დაწესებულებაში. ასეთ შემთხვევებს მიეკუთვნება ექსპერტის სირთულე, მოცემულ დარგში მაღალკვალიფიციური ექსპერტის არ ყოლა, გამოკვლევისათვის შესაბამისი აპარატურისა და ხელსაწყოების უქონლობა, გამოკვლევის ჩატარება სტაციონალურ პირობებში და სხვა.

ასეთ შემთხვევებში ექსპერტს (ან საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს) უფლება აქვს რეკომენდაცია მისცეს გამომძიებელს ან სასამართლოს, რათა მასალები ექსპერტიზის ჩასატარებლად გადაეგზავნოს სხვა დაწესებულებას. ექსპერტის ასეთ რეკომენდაციაში ყოველთვის უნდა იქნეს ნაჩვენები გამოკვლევის ჩატარების შეუძლებლობის მიზეზი და მითითებული იმ საექსპერტო დაწესებულების შესახებ, სადაც მიზანშეწონილია გაიგზავნოს ექსპერტიზის მასალები გამოკვლევის ჩატარებისათვის.

3. ექსპერტიზის მასალების ზოგადი გაცნობის შედეგად, როგორც აღვნიშნეთ, საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება აქვს გამოითხოვოს დამატებითი მასალა გამოკვლევის სრულყოფილად ჩატარებისათვის, მაგრამ არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც წარმოდგენილი მასალების არასისრულე ცნობილი ხდება თვით გამოკვლევის პროცესში. ამიტომ, საქართველოს სსრ სსს კოდექსის 73-ე მუხლი ითვალისწინებს ექსპერტის უფლებას აღძრას მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს წინაშე შუამდგომლობა, რათა ექსპერტს გადაეცეს დამატებითი მასალები, რაც საჭიროა დასკვნის მისაცემად. ექსპერტის შუამდგომლობა დამატებითი მასალების წარმოდგენის შესახებ უნდა იყოს კონკრეტული და შეიცავდეს მითითებას იმის შესახებ, თუ რა სახის დამატებითი მასალები უნდა იქნეს წარმოდგენილი ან რა დამატებითი მონაცემები უნდა ეცნობოს მას.

ექსპერტის შუამდგომლობა უნდა შესრულდეს ოპერატიულად, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს თითქოს ექსპერტს უფლება აქვს ექსპერტიზის დამნიშნავ პირს მისცეს კონკრეტული ვადა შუამდგომლობის შესრულებისათვის. თუ კი გამომძიებელი ან სასამართლო აჭიანურებს ექსპერტის შუამდგომლობის შესრულებას, დამატებითი მასალების წარდგენის შესახებ, ექსპერტს უფლება აქვს გაუგზავნოს ექსპერტიზის დამნიშნავ პირს განმეორებითი თხოვნა, აცნობოს ამის შესახებ ზედამხედველ პროკურორს ან სასამართლოს. ექსპერტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს გამოკვლევის წარმოებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტიზის დამნიშნავი პირი ვერ უზრუნველყოფს დამატებითი საჭირო მასალის წარმოდგენას.

4. გამოკვლევის პროცესში ზოგ შემთხვევაში წამოიჭრება საკითხი სისხლის სამართლის საქმეების მასალებთან გაცნობის აუცილებლობის შესახებ. ექსპერტს უფლება აქვს გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის იმ მასალებს, რომლებიც დაკავშირებულია ექსპერტიზის საგანთან. ხშირად ასეთ მასალებს წარმოადგე-

ნენ: სავამომძიებლო და სასამართლო მოქმედებათა ოქმები, წერილობითი დოკუმენტები, ცალკეული ნივთიერ დამამტკიცებელი საბუთები, სხვა ექსპერტების დასკვნები, სამედიცინო ხასიათის სხვადასხვა ცნობები. სწორედ ამიტომ, კანონი ითვალისწინებს ექსპერტის უფლებას, რომ გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის იმ მასალებს, რომლებიც შეეხება ექსპერტიზის საგანს (საქართველოს სსრ სსს კოდექსის 73-ე მუხლი).

რაც შემთხვევებში სრულყოფილი გამოკვლევის ჩატარებისათვის საკმარისი არ არის ექსპერტის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების ასეთი გაცნობა. ექსპერტი უფრო ღრმად უნდა გაეცნოს საქმის მასალებს, დააზუსტოს მთელი რიგი ფაქტები და გარემოებანი, მონაწილეობა მიიღოს სავამომძიებლო და სასამართლო მოქმედებათა ჩატარებაში. ამიტომაც ექსპერტს უფლება აქვს დაესწროს მომკვლვეი პირის, გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს ნებართვით ბრალდებულის, მოწმის დაკითხვას ან სხვა სავამომძიებლო მოქმედებათა წარმოებას და აღნიშნული პირების ნებართვით მისცეს ბრალდებულს, მოწმეს ან პროცესის სხვა მონაწილეს შეკითხვები, რაც დაკავშირებული იქნება ექსპერტიზის საგანთან (საქართველოს სსრ სსს კოდექსის 73-ე მუხლი).

5. სასამართლო ექსპერტს უფლება აქვს აღძრას შუამდგომლობა ექსპერტიზის დამნიშნავი პირის წინაშე ყოველ საკითხზე, თუ კი მის გადაწყვეტას შეუძლია ხელი შეუწყოს გამოკვლევის ყოველმხრივ და სრულყოფილად ჩატარებას. კერძოდ, უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც გამომძიებლის ან სასამართლოს წინაშე ექსპერტი აღძრავს შუამდგომლობას შემდეგ საკითხებზე: გამოკვლევის ჩატარების პროცესში ჩაებას სხვა სპეციალისტები; ექსპერტს შეექმნას ნორმალური პირობები; ისარგებლოს მან სხვა სახელმწიფო ორგანოებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში არსებული ყველა საჭირო აპარატურითა და ხელსაწყოებით; გამოკვლევის წარმოებას დაესწროს ბრალდებული ან სხვა რომელიმე სისხლის სამართლის პროცესის დაინტერესებული მონაწილე, ანდა გამომძიებელი ან სასამართლოს შემადგენლობა.

ექსპერტის ყველა შუამდგომლობა მიმართული უნდა იყოს ექსპერტიზის დამნიშნავი პირისადმი და ამ უკანასკნელმა საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს საკითხი ექსპერტის შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან უარის თქმის შესახებ.

6. მომკვლვეი პირის, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოსა და ექსპერტის ურთიერთ დამოკიდებულება გამოკვლევის წარმოების დროს არ განისაზღვრება სხვადასხვა სახის შუამდგომლობის აღძვრასა და გადაწყვეტაში. ექსპერტიზის დამნიშნავი პირის მსგავსად, რომელიც ვალდებულია შეატყობინოს ექსპერტს ყველა ახალი ფაქტებისა და გარემოების შესახებ, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დასკვნის სისწორეზე, ასევე ექსპერტიც, თავის მხრივ, უფლებამოსილია აცნობოს გამომძიებელს ან სასამართლოს ყველა იმ ახალი ფაქტებისა და გარემოების შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაზე ან განხილვაზე. ექსპერტის ასეთი უფლება გამომდინარეობს პროცესუალური კანონმდებლობის არსიდან და პირდაპირ არის გათვალისწინებული სხვადასხვა სახის ექსპერტიზის წარმოების შესახებ მოქმედ ინსტრუქციაში.

ექსპერტიზის ჩატარების დროს, ექსპერტს მაგალითად შეუძლია დაადგინოს გამოსაკვლევი ობიექტის ან სხვა შესასწავლი მასალის უხარისხობა; რევიზიის აქტებისა ან სხვა ექსპერტთა დასკვნის შეცდომა; სხვადასხვა სახის ანგარიშებისა

და ციფრობრივი მონაცემების უსწორობა; ერთი და იმავე ფაქტის შესახებ საწინააღმდეგო მონაცემები; ახალი ფაქტები ან მონაცემები, რომლებიც ადრე უცნობი იყო ექსპერტიზის დამნიშნავი პირისათვის. ექსპერტს უფლება არა აქვს გვერდი აუაროს ამ ახალ ფაქტებს, იგი მოვალეა აღნიშნის შესახებ სასწრაფოდ აცნობოს ექსპერტიზის დამნიშნავ პირს (მომკვლევ პირს, გამომძიებელს, პროკურორს ან სასამართლოს).

7. მოკავშირე რესპუბლიკების მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების უმეტესობა დადებითად წყვეტს დღემდის ისეთ სადავო საკითხს, როგორცაა ექსპერტის უფლება აუცილებელ შემთხვევაში თავისი ინიციატივით გაფართოოს გამოკვლევის ფარგლები და თუ მას ექსპერტიზის მასალები საშუალებას აძლევს მისცეს დამატებითი პასუხი იმ კითხვებზე, რომელიც მის წინაშე არ იყო დასმული, მაგრამ თვით ექსპერტი თვლის, რომ ამ ახალი საკითხების გადაწყვეტას მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. ექსპერტის ასეთი უფლება გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სსს კოდექსის 192-ე მუხლში.

პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ექსპერტის ასეთ შემოქმედებით ინიციატივას სარგებლობა მოაქვს, რადგან იგი ავსებს გამომძიებლის ან სასამართლოს მიერ ექსპერტიზის დანიშნვის დროს დაშვებულ ხარვეზებს.

ექსპერტი უფლებამოსილია გაფართოოს გამოკვლევის ფარგლები და პასუხი გასცეს დამატებით კითხვებზე, როდესაც ახალი საკითხების გადაწყვეტა შედის ექსპერტის კომპეტენციაში, როდესაც გამოკვლევის ფარგლების გაფართოებას მნიშვნელობა აქვს ექსპერტის დასკვნის სისრულისათვის, სისხლის სამართლის საქმის სრულად გამოძიებისა და განხილვისათვის, როდესაც ამის საშუალებას იძლევა ექსპერტის განკარგულებაში მყოფი მასალები. ყველა სხვა შემთხვევაში ექსპერტი ვალდებულია, აცნობოს გამომძიებელს ან სასამართლოს გამოკვლევის ფარგლების გაფართოებისა და შეზღუდვის შესახებ.

8. ექსპერტის განცხადება ან შუამდგომლობა გულდასმით უნდა იყოს შესწავლილი ექსპერტიზის დამნიშნავი პირის მიერ და ასეთი შესწავლის საფუძველზე მიღებულ იქნას დასაბუთებული გადაწყვეტილება. თუ ექსპერტი თვლის რომ მომკვლევი პირი, გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო ზღუდავს კანონით გათვალისწინებულ მის უფლებებს, ან არ აკმაყოფილებს მის დასაბუთებულ შუამდგომლობას, ექსპერტს უფლება აქვს გაასაჩივროს მათი მოქმედება. ექსპერტის უფლება, გაასაჩივროს მომკვლევი პირის, გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედება, გამომდინარეობს საქართველოს სსრ სსს კოდექსის 219-ე მუხლის მოთხოვნიდან.

სასამართლო ექსპერტს საჩივარი შეუძლია გადასცეს უშუალოდ ზედამხედველ პროკურორს ან იმ მომკვლევი პირისა და გამომძიებლის მეშვეობით, რომლის მოქმედებაზეც შეტანილია საჩივარი. უკანასკნელ შემთხვევაში მომკვლევი პირი, გამომძიებელი ვალდებულია თავისი ახსნა-განმარტებით ოცდაოთხი საათის განმავლობაში საჩივარი გადასცეს პროკურორს. თვით პროკურორის მოქმედების გასაჩივრება კი უნდა მოხდეს ზემდგომ პროკურორთან.

პროკურორი ვალდებულია სამი დღე-ღამის განმავლობაში არსებითად განიხილოს ექსპერტის საჩივარი და შედეგები აცნობოს ექსპერტს. უარის თქმის შემთხვევაში პროკურორი ვალდებულია ჩამოაყალიბოს მოტივები, რის გამოც ექსპერტის საჩივარი ცნობილია უსაფუძვლოდ.

მომკვლევი პირის, გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს უკანონო

მოქმედებაზე ექსპერტს შეუძლია საჩივარი შეიტანოს პირადად ან სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის მეშვეობით, მაგრამ ორივე შემთხვევაში ექსპერტის საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული. კერძოდ, საჩივარში აღნიშნული უნდა იყოს იმ ორგანოს და თანამდებობის პირის ზუსტი დასახელება, ვისი მოქმედებაც საჩივრდება, ვის სახელზედაც დგება საჩივარი; დაწვრილებით უნდა დასაბუთდეს ის გარემოებაც, თუ ექსპერტის რა კანონიერი უფლებები იყო დარღვეული ან შეზღუდული და რაში გამოიხატა ეს; საჩივარი უნდა შეიცავდეს აგრეთვე ექსპერტის მოთხოვნას, რომლის გადაჭრაც ხელს შეუწყობს გამოკვლევის სრულყოფილად ჩატარებას.

ამრიგად, გამოკვლევის წარმოების დროს ექსპერტის უფლებების სრული განხორციელება და დაცვა იძლევა იმის გარანტიას, რომ სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებებში მეცნიერული გამოკვლევა ჩატარდეს სრულად, ყოველმხრივად ობიექტურად და საპროცესო კანონმდებლობის ყველა მოთხოვნის შესაბამისად.



ქართველთა ახალ კანონმდებლობაზე

მოქალაქეთა უზღაბა საცხოვრებელ უკუთხოვზე

შ. ნიკვაზიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ჩვენი ქვეყნის მთელი საბინაო ფონდი, თავისი დანიშნულების მიხედვით ოთხ ჯგუფად იყოფა:

1. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლები, რომლებიც განკუთვნილია საბჭოს მოქმედების რაიონში მცხოვრებ მოქალაქეთა საბინაო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, დამოუკიდებლად მათი სამუშაო ადგილისა;

2. სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლები, რომლებიც განკუთვნილია იმისათვის, რომ ბინებით დაკმაყოფილებულ იქნან შესაბამისი საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მუშები და პოსამასახურენი და აგრეთვე პენსიონერები, რომლებიც ამ ორგანიზაციებში მუშაობდნენ;

3. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლები, რომელთა საცხოვრებელი ფართობი ეძლევა მხოლოდ კოოპერატივის მეპაიე-წევრებს;

4. მოქალაქეთა პირადი საკუთრების სახლები, რომლებიც, როგორც წესი, განკუთვნილია მესაკუთრებისა და მათი ოჯახის წევრების საცხოვრებლად.

საბინაო ფონდების დანიშნულებით განისაზღვრება საცხოვრებელი ფართობის განკარგვის რეგლამენტაცია, ბინების განაწილების წესი, ზედმეტი ფართობის ჩამორთმევის წესი და სხვა სამართლებრივი ხასიათის საკითხები.

საცხოვრებელი ბინის მიცემა. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლებში საცხოვრებელი ბინების მიცემა წარმოებს აღმასკომების მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. ხოლო სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში — სათანადო ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღმასკომი არ ანაწილებს სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბინებს, არამედ მხოლოდ ამოწმებს სათანადო ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის ორგანოს გადაწყვეტილების სისწორეს, რის შედეგადაც ან ამტკიცებს ამ გადაწყვეტილებას, ან უარყოფს მას, თუ ის გამოტანილია კანონის მოთხოვნის დარღვევით: მაგალითად, აღმასკომს შეუძლია არ დაამტკიცოს დაწესებულების ადმინისტრაციისა და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილება იმ მოქალაქის ბინით უზრუნველყოფაზე, რომელიც ამ ორგანიზაციაში არ მუშაობს ან უკვე უზრუნველყოფილია ბინით სხვა სახლში და ა. შ.

აღმასკომს უფლება არა აქვს თვითონ შეცვალოს ბინის მიღების ერთი კანდიდატი მეორეთი, თუნდაც ეს უკანასკნელი ამავე ორგანიზაციაში მუშაობდეს.

ეს შეეცვლა უნდა მოახდინონ იმავე ადმინისტრაციამ და პროფკავშირის ადგილობრივმა ორგანომ, რომელთა ერთობლივი გადაწყვეტილებითაც შედგენილი იყო ბინების განაწილების პროექტი. ადმინისტრაციისა და პროფკავშირის ადგილობრივი ორგანოს ახალი გადაწყვეტილებაც უნდა დამტკიცდეს აღმასკომის მიერ.

იმ საერთო წესიდან, რომ საცხოვრებელ ფართობს საუწყებო საცხოვრებელ სახლებში ანაწილებს იმ ორგანიზაციის ადმინისტრაცია და პროფკავშირის ადგილობრივი ორგანო, რომლის მმართველობაშიც სახლია, კანონით დაშვებულია გამონაკლისები. მაგალითად, მენარდე მშენებელი ორგანიზაციისათვის გადაცემულ საცხოვრებელ ფართობს ანაწილებს ამ ორგანიზაციის ადმინისტრაცია და ამავე ორგანიზაციის მუშაკთა პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტი; ასევე საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტი, რომელიც საუწყებო სახლებში გამოეყოფა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს, განაწილება ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებით დემობილიზებული სამხედრო პირების, ომში დაღუპულ პირთა ოჯახებისა და სამამულო ომის ინვალიდების ჩასასახლებლად.

არსებული საბინაო ფართობების უფრო გეგმაზომიერი განაწილების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა ადგენს საბინაო-სანიტარულ ნორმას, ე. ი. საცხოვრებელი ფართობის მაქსიმალურ ზომას, რაც ერთ სულზეა გათვალისწინებული.

საქართველოს სსრ მოქალაქე სამართლის კოდექსით საბინაო-სანიტარულ ნორმად დაწესებულია თითოეული სულისათვის 12 კვ. მეტრი ფართობი. საბინაო-სანიტარულ ნორმას ის იურიდიული მნიშვნელობა აქვს, რომ ამ ნორმაზე მეტი დაკავებული საცხოვრებელი ფართობი დამქირავებელს შეიძლება ჩამოერთვას დადგენილი წესით. გარდა ამისა, ზედმეტი საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის შემთხვევაში ბინის ქირის გადახდევინება ხდება გადიდებული ტარიფით.

მაგრამ ეს ნორმა არ შეიძლება გაგებულ იქნას ისე, რომ თითქოს აღმასკომი ვალდებულია საცხოვრებელი ფართობის განაწილებისას მოქალაქეებს აუცილებლად ფართობი მისცეს საბინაო-სანიტარული ნორმის მიხედვით. ჩვეულებრივად საცხოვრებელი ფართობის განაწილება წარმოებს საბინაო ფონდის რაოდენობისა და მოქალაქეთა მოთხოვნათა გათვალისწინებით.

საბინაო-სანიტარული ნორმის გარდა არსებობს კიდევ საცხოვრებელი ფართობის სააღრიცხვო ნორმა. იმ მოქალაქეს, რომლის საცხოვრებელი ფართობი ამ ნორმას არ აღემატება, უფლება აქვს მოითხოვოს მისი საბინაო პირობების გაუმჯობესება. სააღრიცხვო ნორმებს ადგენს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი. ამასთან მხედველობაში მიიღებიან აღრიცხვაზე აყვანილი მოქალაქესთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრები და კმაყოფიან მყოფნი, მათ შორის დროებით წასულნიც, რომლებსაც ენახებათ საცხოვრებელ ფართობზე უფლება.

საბინაო ორგანოს უარი აღრიცხვაზე აყვანის შესახებ ან საცხოვრებელი ბინის მიცემაზე შეიძლება გასაჩივრებულ იქნას მხოლოდ ზემდგომ ორგანოში. სასამართლო ორგანოებს, როგორც წესი, უფლება არა აქვთ მიიღონ თავის წარმოებაში სარჩელი მოქალაქისათვის ბინის მიცემის, ან მიცემული ბინის ფართობის შეცვლის შესახებ.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სასამართლოს არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ექვემდებარებოდეს სარჩელი ბინის მიცემის შესახებ.

მოთხოვნა ბინის მიცემის შესახებ ზოგჯერ შეიძლება გამომდინარეობდეს მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულებისაგან. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ახალი სახლის მშენებელ ორგანიზაციას არა აქვს საშუალება ბინით დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მშენებლობის მიწის ნაკვეთზე ადრე არსებულ სახლში მცხოვრები ყველა პირები და ამიტომ იგი კისრულობს ვალდებულებას მისცეს უბინაოდ დარჩენილ მოქალაქეს დანგრეულის სამაგიერო ბინა ახლად აგებულ სახლში ამ უკანასკნელის დამთავრებისას. ამგვარი ვალდებულების გაფორმება ხდება ხელშეკრულებით, საგარანტიო წერილის სახით.

ასეთ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავის განხილვა და გადაწყვეტა ექვემდებარება სასამართლო ორგანოებს.

პრაქტიკაში ისმება საკითხი: გამოსახლებულ უნდა იქნან თუ არა საცხოვრებელი ბინიდან დამქირავებლის ოჯახის წევრები იმ შემთხვევაში, როცა დამქირავებელი საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით სხვა ბინას ღებულობს.

ამ საკითხის გადაწყვეტისას მთავარია დავადგინოთ: მისცეს თუ არა წინანდელ ბინაში დარჩენილმა პირებმა თანხმობა სხვა ბინაში გადასვლაზე და აღნიშნული არიან თუ არა ისინი ახალ ბინის დასაკავებლად დამქირავებლისთვის გაცემულ ორდერში.

თუ დამქირავებელს ახალი ბინა ეძლევა ოჯახის არა ყველა წევრისათვის ანდა თუ დამქირავებლის ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს არ განუცხადებია თანხმობა დაკავებული ბინის ნაცვლად სხვა ბინის მიღებაზე, ასეთ შემთხვევებში საბინაო ორგანოს მოთხოვნა ოჯახის ამ წევრების გამოსახლების შესახებ, შეიძლება არ დაკმაყოფილდეს.

ადგილობრივი საბჭოებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების საცხოვრებელ სახლებში არსებული ბინების დასაკავებლად ერთადერთ საბუთს წარმოადგენს ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის მიერ გაცემული ორდერი.

ორდერს იძლევა აღმასკომის საბინაო სამმართველო (განყოფილება) ან კომუნალური მეურნეობის განყოფილება — აღმასკომის გადაწყვეტილების შესაბამისად. ორდერში აუცილებლად ჩამოთვლილი უნდა იყოს ყველა პირი, ვისაც მიკუთვნებული აქვს უფლება ამ საცხოვრებელ ფართობზე.

ორდერში გამოხატული უფლების განხორციელებისათვის ჩვეულებრივ ინიშნება ვადა 10 დღემდე. თუ ამ ვადის განმავლობაში ბინას არ დაიკავენ მოქალაქე, საბინაო ორგანოს შეუძლია იგი თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს.

კანონით დადგენილი წესის დარღვევით გაცემული ორდერი სასამართლოს შეუძლია ბათილად ცნოს. კერძოდ, ორდერი შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი სასამართლოს მიერ იმ შემთხვევაში, როცა იგი გაცემულია უკვე დაკავებულ ბინაზე, არასაცხოვრებელ ფართობზე, საერთო სარგებლობის დამხმარე ფართობზე და სხვ.

ორდერის გაბათილების საფუძვლად არ გამოიყენება საბინაო ორგანოს მიერ გაუქმება თავისი გადაწყვეტილებისა ორდერის მიცემის შესახებ იმ მოსაზრებით, რომ მიცემულია იმაზე მეტი ფართობი, რაც თავიდან იყო ნაგარაუდევო, ან რომ საბინაო ორგანომ დაარღვია ბინებით დაკმაყოფილების რიგი, ან-

და ორდერის გაცემამდე შემოწმებული არ იყო დამქირავებლის საბინაო პირობები.

თუ ბინების მიცემის წესი დარღვეულია არა მარტო საბინაო ორგანოს თანამდებობის პირთა უსწორო მოქმედებით არამედ თვით დამქირავებლის არაკეთილსინდისიერი მოქმედების შედეგადაც, მაშინ კანონის დარღვევით მიღებული ორდერი უნდ გაუქმებულ იქნას.

აღმასკომის სპეციალური განკარგულებით სასამსახურო საცხოვრებელი ფართობი ეძლევათ იმ მუშეებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებით ვალდებული არიან იცხოვრონ სამუშაო ადგილას (მაგალითად, სახლმმართველად, კომენდანტად, გუშაგად, მეეზოვედ) ან სასამსახურო შენობაში (უმადლესი სასწავლებლების, მუზეუმების მუშაკები). სასამსახურო საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლება ისპობა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტასთან ერთად.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში საცხოვრებელი ბინები ეძლევა მხოლოდ ამ კოოპერატივის წევრებს. ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს არა აქვს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლის ბინების განკარგვის უფლება. ცალკეულ მოქალაქეთა პირადი საკუთრების სახლებში ბინის გაქირავება შეუძლია მხოლოდ სახლის პირად მესაკუთრეს.

საცხოვრებელი ფართობის ქირავნობას ხელშეკრულების დადება. მოქალაქესთან, რომლის სახელზეც გაცემულია ორდერი, საბინაო ორგანომ (სახლმმართველობამ) უნდა დადოს ორდერში აღნიშნული საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის ხელშეკრულება. ხელშეკრულება გაფორმდება წერილობით ხუთი წლის ვადით, ხოლო თუ ბინა სასამსახუროა, იმ ვადით, რაც ამ სამუშაოსთან არის დაკავშირებული.

ქირავნობის ხელშეკრულებას პირადი საკუთრების სახლში ბინის დაკავებამდე დამქირავებელი დებს პირად მესაკუთრესთან; ამ შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლება დამყარებულია ამ კოოპერატივის წევრობაზე და ხელშეკრულებით გაფორმებას არ მოითხოვს. ასეთ სახლში ფართობით სარგებლობის უფლება უფადო ხასიათისაა და გრძელდება მანამ, სანამ არ შეწყდება მოსარგებლის წევრობა ამ კოოპერატივში.

ადგილობრივ საბჭოს, სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციის სახლში საცხოვრებელი ბინის დამქირავებელს ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ აქვს უპირატესი უფლება განაახლოს ხელშეკრულება.

ხელშეკრულების განახლების განხორციელება შეიძლება დამქირავებლის მიერ ყველა იმ ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებისას, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. თუ დამქირავებელი ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებებს არ ასრულებს ან არაკეთილსინდისიერად ასრულებს, დამქირავებელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელით ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.

საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის ხელშეკრულების ახალი ვადით განახლების უფლება აქვს პირადი მესაკუთრის სახლში ბინის დამქირავებელსაც. მაგრამ, რადგანაც ასეთ სახლებში საცხოვრებელი ფართობი, როგორც

წესი, განკუთვნილია მესაკუთრისა და მისი ოჯახის წევრთა პირადი საბინაო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, კანონით საერთო წესიდან დაშვებულია ორი გამონაკლისი:

1. პირად მესაკუთრეს უფლება აქვს უარი თქვას დამქირავებელთან წინანდელი დადებული ხელშეკრულების ახალი ვადით განახლებაზე, თუ სასამართლო წესით დაამტკიცებს, რომ ფართობი საჭიროა პირადად მისთვის და მისი ოჯახის წევრებისთვის. ეს შეიძლება მოხდეს, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ სახლის მესაკუთრის საბინაო ან ოჯახური პირობები შეიცვალა, რის გამოც სახლის მესაკუთრესა და მასთან მცხოვრებ მისი ოჯახის წევრებს აშკარად არასაკმარისი საცხოვრებელი ფართობი აქვთ.

იმ შემთხვევაში, როცა სახლის მესაკუთრის და მისი ოჯახის წევრების საბინაო მოთხოვნილება შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას დამქირავებლის მიერ დაკავებული ფართობიდან ნაწილის ჩამორთმევით, დამქირავებლის მთლიანად გამოსახლება დაუშვებელია;

2. სახლის პირად მესაკუთრეს უფლება აქვს უარი თქვას ქირავნობის ხელშეკრულების ახალი ვადით განახლებაზე, თუ ქირავნობის ხელშეკრულება ერთი წლის ვადით არის დადებული და ამ ხელშეკრულებით დამქირავებელი ვალდებულია ერთი წლის შემდეგ ბინა გაათავისუფლოს.

დამქირავებლის გამოსახლება მესაკუთრის მიერ იმ საფუძვლით, რომ მას სურს სახლი გაასხვისოს, კანონით არ დაიშვება.

საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლება. ადგილობრივ საბჭოს სახლში საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხელშეკრულება დაიდება ოჯახის ერთ-ერთ სრულწლოვან წევრთან, მათი ურთიერთშეთანხმებით, თუ ასეთი შეთანხმება არ არის, ხელშეკრულება დაიდება ოჯახის იმ წევრთან, ვის სახელზეც გახსნილია პირადი ბარათი. ის პირი, რომელთანაც დადებულია ხელშეკრულება, ითვლება დამქირავებლად. საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება — მოვალეობანი ვრცელდება არა მარტო დამქირავებელზე. ოჯახის ყოველ წევრს უფლება აქვს ამ ოჯახის საერთო ფართობის თანასწორ წილზე მიუხედავად იმისა, თუ ფაქტიურად რომელ ოთახში ბინადრობს. აქედან გამომდინარეობს პრაქტიკული დასკვნა, რომ დამქირავებლის წასვლის ან გარდაცვალების შემთხვევაში მისი ოჯახის წევრები ენარჩუნებენ საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლებას.

დამქირავებლის ოჯახის წევრებად ითვლებიან: დამქირავებლის მეუღლე, მისი შვილები და მშობლები, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ. დანარჩენი ნათესავები და აგრეთვე დამქირავებლის რჩენაზე მყოფი შრომისუუნარო პირები შეიძლება ცნობილ იქნან დამქირავებლის ოჯახის წევრებად, თუ ისინი დამქირავებელთან ერთად ცხოვრობენ და მასთან საერთო მეურნეობას ეწევიან. დავა ამა თუ იმ პირის დამქირავებლის ოჯახის წევრობის თაობაზე წყდება სასამართლო წესით.

ოჯახის წევრად არ ითვლება დროებითი მობინადრე, მათ შორის შინამოსამსახურე, მიუხედავად ბინაში ცხოვრების ვადის ხანგრძლივობისა და ბინაში გაწერისა. საჭიროების შემთხვევაში ასეთი პირების გამოსახლება შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით სამაგიერო ბინის მიუცემლად.

დამქირავებლის ოჯახის წევრად ამა თუ იმ პირის ცნობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა საფუძვლით არის ჩასახლებული ეს პირი

სადავო ფართობში. თუ იგი ჩასახლებულია ამ ბინაში, როგორც ოჯახის წევრი, მაშინ იგი მოიპოვებს ფართობზე მუდმივი მოსარგებლის უფლებას. შემდეგში ეს უფლება მას შეენარჩუნება გამქირავებელთან ოჯახური ურთიერთობის შეცვლის ან შეწყვეტის მიუხედავად (მაგალითად, განქორწინების შემთხვევაში და ა. შ.)

საერთო წესით მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს, მაგრამ, როგორც მრავალჯერ მითითებულია სსრ კავშირის, უმაღლესი სასამართლოს მიერ, დამქირავებლის მიერ თავის საცხოვრებელ ფართობზე დამქორწინების მიზნით შესახლებული პირი არ შეიძლება გამოსახლებულ იქნეს მარტო იმ მოტივით, რომ მხარეთა შორის ქორწინება რეგისტრირებული არ არის.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ დამქირავებლისა და მასთან მცხოვრები სხვა პირის ახლო ნათესაობა, თავისთავად, ყოველთვის როდი იწვევს მეორე პირის ცნობას დამქირავებლის ოჯახის წევრად. ამ პირის ცნობა დამქირავებლის ოჯახის წევრად საცხოვრებელ ფართობზე უფლებით, თუ „დროებით მდგმურად“ ფართობზე უფლების გარეშე, დამოკიდებულია უპირველეს ყოვლისა მხარეთა ფაქტიურ ურთიერთობაზე.


მაგალითად, ერთ საქმეზე სასამართლომ არ ცნო გათხოვილი ქალიშვილის დამოუკიდებელი სარგებლობის უფლება ფართობზე, რომელზეც მისმა მამამ იგი და მისი ქმარი ჩაწერა დროებით, სხვა საცხოვრებელი ფართობის აღმოჩენამდე.

საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლების შესახებ დავასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში ხშირად აყენებენ საკითხს თუ რა იურიდიული მნიშვნელობა აქვს საცხოვრებელ ფართობზე ჩაწერას.

თავისთავად, საბინაო წიგნში ჩაწერა არ წარმოადგენს საფუძველს იმ საკითხის გადასაწყვეტად, აქვს თუ არა ამა თუ იმ მოქალაქეს დამოუკიდებელი უფლება ფართობზე. ჩაუწერლობა იმ ფართობზე, რომელზეც მოქალაქე შესახლებულია და ფაქტიურად ცხოვრობს როგორც ოჯახის წევრი, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ შესახლებულს არა აქვს მოპოვებული უფლება ამ ფართობზე. სასამართლო პრაქტიკაში საბინაო წიგნში პიროვნების ჩაწერის ფაქტი განიხილება როგორც ერთ-ერთი მტკიცება პირის უფლებისა, მაგრამ მარტო ამ ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა როდი ეძლევა.

ზოგიერთი სპეციფიკური თავისებურებით ხასიათდება დამქირავებლისა და მისი ოჯახის წევრთა უფლებები საცხოვრებელ ფართობზე სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საცხოვრებელ სახლებში. ამ სახლებში დამქირავებლებად შეიძლება იყვნენ მხოლოდ მოქალაქენი, რომლებიც შრომით ურთიერთობაში არიან შესაბამის საწარმოსთან, დაწესებულებასა ან ორგანიზაციასთან. ასეთ სახლებში დამქირავებლის ოჯახის წევრები ფართობით სარგებლობის დამოუკიდებელ უფლებას მოიპოვებენ იმ შემთხვევაში, როცა ორგანიზაციასთან შრომითი კავშირის გაწყვეტის შემდეგ დამქირავებელი შეიძლება გამოსახლებულ იქნას მხოლოდ სამაგიერო საცხოვრებელი ფართობის მიცემით. ამ პირობებში ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ახალი ვადით როგორც დამქირავებელთან, რომელმაც სახლის მფლობელ ორგანიზაციასთან შრომითი კავშირი გაწყვიტა, ისე მასთან მცხოვრებ მისი ოჯახის ყოველ სრულწლოვან წევრთან.

თუ დამქირავებელს შრომითი კავშირი სახლის მფლობელ ორგანიზაციას-



თან გაწყვეტილი აქვს ისეთი საფუძვლით, რაც უფლებას აძლევს ორგანიზაციას სასამართლო წესით გამოასახლოს დამქირავებელი სამაგიერო ბინის მიუცემლად, მაშინ დამქირავებლის ოჯახის წევრები ფართობით სარგებლობის დამოუკიდებელ უფლებას ვერ მოიპოვებენ, ვერც დადებენ ორგანიზაციასთან ქირავნობის ხელშეკრულებას და გამოსახლებულ იქნებიან დამქირავებელთან ერთად.

საცხოვრებელი ფართობის გაყოფა და გაერთიანება. დამქირავებლის ოჯახის წევრის დამოუკიდებელი უფლება საცხოვრებელი ფართობით სარგებლობისა, კერძოდ იმაშიც გამოიხატება, რომ გარკვეულ პირობებში (იზოლირებული ფართობის არსებობისას) ოჯახის სრულწლოვან და არსებობის დამოუკიდებელი წყაროს მქონე წევრებს უფლება აქვთ დადონ დამქირავებელთან ბინის ქირავნობის ცალკე ხელშეკრულება. ოჯახის მიერ დაკავებული ბინის გაყოფის საჭიროება შეიძლება სხვადასხვა მიზეზებით იყოს გამოწვეული, მაგალითად, უსიამოვნებით ოჯახის დანარჩენ წევრებთან, ოჯახის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებებით (დაქორწინებით, ბავშვების გაჩენით და სხვ.). საცხოვრებელი ფართობის გაყოფისათვის საჭიროა ოჯახის ერთად მცხოვრები სრულწლოვანი წევრების თანხმობა; შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში იმ პირს, რომელიც გაყოფას მოითხოვს, შეუძლია სასამართლოს მიმართოს.

საცხოვრებელი ფართობის გაყოფა უნდა სათანადოდ გაფორმებულ იქნეს სახლმმართველობაში. გაფორმება წარმოებს ოჯახის წევრთა წერილობითი განცხადების საფუძველზე, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობისას — სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სახლმმართველობა მოვალეა შემდგომი თვის პირველი რიცხვიდან გადაახდევინოს ბინის ქირა გაყოფილ ფართობებზე ცალ-ცალკე და გაუხსნას ოჯახის გამოყოფილ წევრს ცალკე პირადი ბარათი თუ სახლმმართველობა ამაზე უარს ამბობს, გამოყოფილ პირს შეუძლია მიმართოს სარჩელით სასამართლოს და მოითხოვოს ბინის ქირის განსაზღვრა, რის შემდეგ იგი ქირას გადაიხდის სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით.

საცხოვრებელი ფართობის გაყოფისას ოჯახის ყველა წევრს, მცირეწლოვანთა ჩათვლით, უფლება აქვს ფართობის თანასწორ წილზე. ოჯახის წევრის უფლება დამატებით ფართობზე მხედველობაში მიიღება იმ შემთხვევაში, როცა ეს უფლება გათვალისწინებული იყო საცხოვრებელი ფართობის დასაკავებლად ორდერის გაცემისას ან თუ ოჯახის რომელიმე წევრი ოჯახის დანარჩენ წევრებთან შეთანხმებით სარგებლობს ცალკე ოთახით როგორც მეცნიერმუშაკი ან მასთან გათანაბრებული პირი. ასეთ შემთხვევაში მთელი საცხოვრებელი ფართობის გაყოფისას უკანასკნელს ჯერ უნდა გამოაკლდეს ეს დამატებითი ფართობი და შემდეგ საცხოვრებელი ფართობის დარჩენილი ნაწილი თანასწორად გაიყოს ოჯახის ყველა წევრზე.

ოჯახის წევრთა შორის საცხოვრებელი ფართობის გაყოფის საკითხი წყდება დამქირავებლის მონაწილეობის გარეშე. მაგრამ დამქირავებელს შეუძლია არ დაეთანხმოს გაყოფას ტექნიკური ხასიათის საფუძვლებით. ზოგჯერ გაყოფისას იგეგმება საცხოვრებელი ფართობის სხვადასხვაგვარი გადაკეთება, რაც დამქირავებელს შეუძლია დაუშვებლად მიიჩნიოს. ასეთ შემთხვევებში საჭიროა სახლმმართველობის ნებართვა; თუ ასეთი ნებართვა არ არსებობს, საცხოვრებელი ფართობის გაყოფა შეიძლება მოხდეს სასამართლოს წესით.

საცხოვრებელი ფართობის გაყოფა არ შეუძლიათ მოითხოვონ სასამართლო

საცხოვრებელი ფართობის დამქირავებლის ოჯახის წევრებმა და აგრეთვე იმ საცხოვრებელი ფართობის მობინადრეებმა, რომელიც საწარმოს ან დაწესებულების სახლშია და რომლიდანაც დამქირავებელი შეიძლება სასამართლო წესით გამოსახლებულ იქნეს სხვა ბინის მიუცემლად სახლის მფლობელ ორგანიზაციასთან თავისი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ან დანაშაულის ჩადენისათვის შრომითი კავშირის შეწყვეტის გამო. ყველა სხვა შემთხვევაში საუწყებო სახლებში დამქირავებლის ოჯახის წევრები ისეთივე უფლებით სარგებლობენ ფართობის გაყოფის საკითხებში, როგორც აქვთ დამქირავებლის ოჯახის წევრებს ადგილობრივი საბჭოების კუთვნილ საცხოვრებელ სახლებში.

ერთ ბინაში ცალკე დამოუკიდებელი ხელშეკრულებებით მცხოვრებ მოქალაქეებს ერთ ოჯახად გაერთიანების შემთხვევაში უფლება აქვთ მოითხოვონ ერთ-ერთ მათგანთან დაიდოს ქირავნობის ერთი ხელშეკრულება მათ მიერ დაკავებულ ყველა საცხოვრებელ ფართობზე, სათანადო პირადი ბარათების გაერთიანებით.

გამქირავებლის უარი ერთი ხელშეკრულების დადების შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნას სასამართლოში.


ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ჩამორთმევა. საცხოვრებელი ფართობის მიცემისა და ხელშეკრულების დადების შემდეგ დამქირავებელს მისი ოჯახის ცალკეული წევრების საცხოვრებლად სხვაგან გადასვლის, გარდაცვალების ან სხვა მიზეზით შეიძლება აღმოაჩნდეს კანონით დადგენილ საბინაო-სანიტარულ ნორმაზე ზედმეტი ფართობი.

ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დამქირავებლის ოჯახის იმ წევრთა საცხოვრებელი ფართობი, რომლებიც იმყოფებიან სამხედრო ვადიან სამსახურში, არქტიკაში და შორეულ ჩრდილოებში და მათთან გათანაბრებულ რაიონებში სამუშაოდ, მივლინებაში საზღვარგარეთ, საავადმყოფოში — სამკურნალოდ, სხვა ქალაქში-სასწავლებლად, დამქირავებლისა და მისი ოჯახის წევრის კუთვნილი დამატებითი საცხოვრებელი ფართობი და აგრეთვე საცხოვრებელი ფართობი, რომელიც შინამოსამსახურეს ხვდება.

ზედმეტი ფართობის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ოთახი, რომელსაც ბუნებრივი განათება არა აქვს და აგრეთვე საერთო სარგებლობის სათავსოები (დერეფანი, სამზარეულო, სააბაზანო, საპირფარეო და სხვ.).

საცხოვრებელი ფართობის ზედმეტობისას კანონით დაშვებულია ზედმეტის იძულებითი წესით ჩამორთმევა, მაგრამ ამ უფლების განხორციელება შეზღუდულია გარკვეული პირობებით. ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი დამქირავებელს შეიძლება ჩამოერთვას, თუ ეს ფართობი წარმოადგენს ზომით არა ნაკლებ 12 კვადრატული მეტრის ცალკე იზოლირებულ ოთახს, თუ მისი ჩამორთმევის შედეგად ერთ ოთახში არ მოხვდებიან სხვადასხვა სქესის პირები, გარდა ცოლქმრისა და 10 წლის ასაკამდე მათი მცირეწლოვანი შვილებისა, ან მეუღლეები არ მოხვდებიან სხვადასხვა ოთახებში.

ადგილობრივი საბჭოს სახლში იზოლირებული ზედმეტი ოთახის ჩამორთმევა წარმოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელი თვითონ არ შეასახლებს განთავისუფლებულ ოთახში სხვა პირს საბინაო ორგანოსაგან გაფრთხილების მიღების დღიდან სამი თვის განმავლობაში; ამასთან ზედმეტ ფართობ-



ზე დამქირავებელს შეუძლია შეასახლოს არა მარტო საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად ადგილობრივი საბჭოს მიერ აღრიცხვაზე აყვანილი პირები, არამედ სხვა პირიც თავისი შეხედულებით.

დამქირავებლის მიერ ზედმეტი ფართობის იზოლირებულ საცხოვრებელ ოთახში შესახლებული პირი მოიპოვებს ამ ოთახზე დამოუკიდებელი სარგებლობის უფლებას და მასთან უნდა დაიდოს ქირავნობის ხელშეკრულება.

დამქირავებლის მიერ იზოლირებულ ოთახში სხვა პირის შესახლება მართლწომიერი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელს განზრახული აქვს განაგრძოს ამავე ბინაში ცხოვრება. ხოლო თუ იგი ამ ბინიდან წასვლას აპირებს, მაშინ იზოლირებულ ზედმეტ ოთახში გარეშე პირის შესახლება კანონსაწინააღმდეგოდ უნდა მივიჩნიოთ და არსებითად უნდა განხილულ იქნეს არა როგორც თავისთვის სასურველი მეზობლის შერჩევა, არამედ როგორც თავისი საცხოვრებელი ფართობის კანონსაწინააღმდეგო გადაცემა სხვა პირისათვის. თუ ასეთ გადაცემას თან ახლავს საფასურის მიღება, მაშინ იგი წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვას, რაც სისხლის სამართლის წესით ისჯება. ყველა ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულება ზედმეტი ოთახის გადაცემის შესახებ უნდა გაბათილდეს და შესახლებული პირი როგორც დროებითი მდგმური გამოსახლდეს.


კანონი ითვალისწინებს, რომ საბინაო ორგანოს უარი დამქირავებლის მიერ ზედმეტი ფართობის იზოლირებულ ოთახში შესახლებულ პირთან დამოუკიდებელი ხელშეკრულების დადების და მის სახელზე ცალკე პირადი ბარათის განსნის შესახებ, შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სასამართლოში.

იზოლირებულ ოთახში სხვა პირის შესახლების უფლების გარდა, კანონი დამქირავებელს უფლებას აძლევს მოსთხოვოს დამქირავებელს მისი გადაყვანა. სხვა, ნაკლები ფართობის ცალკე ბინაში. დამქირავებელს, რომელიც დამქირავებელს არ აღმოუჩენს ნაკლები ფართობის ცალკე ბინას, უფლება არა აქვს მოითხოვოს ზედმეტი ფართობის იზოლირებული ოთახის ჩამორთმევა.

თუ დამქირავებელი უარს იტყვის დამქირავებლის მიერ მისთვის აღმოჩენილ ცალკე ბინაზე და არ ისარგებლებს მიღებული გაფრთხილების შემდეგ უფლებით — თავისი არჩევით შეასახლოს იზოლირებულ ზედმეტ ოთახში სხვა პირი, საბინაო ორგანოს, შეუძლია სასამართლოს წესით მოითხოვოს ზედმეტი იზოლირებული ოთახის ჩამორთმევა; სხვა, ნაკლები ფართობის ბინაში დამქირავებლის გადაყვანის მოთხოვნის უფლება დამქირავებელს მინიჭებული არა აქვს.

სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელში საცხოვრებელი ფართობის დამქირავებელს უფლება არა აქვს ზედმეტი ფართობის იზოლირებულ ოთახში შეასახლოს გარეშე პირი ან მოითხოვოს თავის გადაყვანა სხვა ნაკლები ფართობის ცალკე ბინაში. ეს იმით აიხსნება, რომ სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლების საცხოვრებელი ფართობის სპეციალური დანიშნულებისა და ვათავისუფლების შემთხვევაში შეიძლება მიეცეს საცხოვრებლად მხოლოდ სახლის მფლობელ ორგანიზაციის მუშაკს. ამიტომ ზედმეტი იზოლირებული ოთახი შეიძლება სასამართლო წესით ჩამოერთვას ყოველ დამქირავებელს მიუხედავად იმისა, თუ რა საფუძვლით სარგებლობს იგი საცხოვრებელი ფართობით.

თუ ორგანიზაციის ადმინისტრაციას შესაძლებლად მიაჩნია დამქირავებლის გადასახლება სხვა ბინაში, მაშინ ეს საკითხი მან უნდა გადაწყვიტოს სათანადო პროფკავშირის (საქარხნო, საფაბრიკო) ადგილობრივ კომიტეტთან ერთად; გადა-



წყვეტილება უნდა წარედგინოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს დასამტკიცებლად და ახალ ბინაში შესახლებისათვის ორდერის გასაცემად.

თუ ბინაში, რომელშიც დამქირავებელი ცხოვრობს, განთავისუფლდა დამქირავებლის ფართობისაგან არაიზოლირებული მომიჯნავე საცხოვრებელი ოთახი, ეს უკანასკნელი უნდა გადაეცეს სარგებლობაში ამ დამქირავებელს.

თუ ტექნიკურად შესაძლებელია ამ არაიზოლირებული მომიჯნავე ოთახის გადაქცევა იზოლირებულად, სასამართლოს შეუძლია უარი უთხრას დამქირავებელს მის სარგებლობაში ამ ოთახის გადაცემაზე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი თავისი ფართობით ზედმეტია მომიჯნავე ოთახის დამქირავებლისათვის და თუ გადაკეთება არ აუარესებს ამ დამქირავებლის ან ამავე ბინაში მცხოვრები სხვა დამქირავებლის საბინაო პირობებს.

დამქირავებლის უფლება ზედმეტ იზოლირებულ ოთახში სხვა პირის ჩასახლების შესახებ არ გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომლებიც ცხოვრობენ მოქალაქეთა პირადი საკუთრების სახლებში.

დეპუტატის განცხადების უფლების შესახებ გუჩუაზიურ ქვეყნებში

ა. ზემი

დეპუტატის გაწვევის უფლება საბჭოთა საარჩევნო სისტემის უმნიშვნელო-
ვანესი პრინციპია. იგი უზრუნველყოფს ამომრჩეველთა კონტროლს თავიანთი
დეპუტატის საქმიანობაზე, დეპუტატის პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წი-
ნაზე, ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ნამდვილად
დემოკრატიული წარმომადგენლობითი ხასიათის გარანტიას.

სრულიად სხვა პოზიციებიდან უდგებიან დეპუტატის გაწვევის პრინციპს
ბურჟუაზიული სახელმწიფოები.

დეპუტატის გაწვევის უფლება კაპიტალიზმის განვითარების პირველ საფე-
ხურზე იწვევდა დიდ პოლემიკას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეთა
შორის. საკმარისია გავიხსენოთ რობესპიერის გამოსვლა ნაციონალური კონვენ-
ტის 1793 წლის 10 მაისის სხდომაზე: „ხალხს, რომლის რწმუნებულები არ არიან
მოვალენი ვინმეს ჩააბარონ ანგარიში თავისი საქმიანობის შესახებ, არ გააჩნია
არავითარი კონსტიტუცია... მე მინდა, რომ ხალხს ჰქონდეს უფლება გაათავი-
სუფლოს მის მიერ დანიშნული საზოგადოებრივი პირი მხოლოდ ერთი მოტივით
— გამოიყენოს განუსხვისებელი უფლება თავის რწმუნებულთა გადაყენებისა“.¹

ეს კონცეფცია ეყრდნობოდა XVII—XVIII საუკუნეების რევოლუციურ
თეორიებს, კერძოდ ბუნებითი სამართლის სკოლის დებულებებს და მათ ნიადაგ-
ზე აღმოცენებულ პრაქტიკას.


ჯერ კიდევ XV—XVII საუკუნეებში საფრანგეთის გენერალური შტატების
დეპუტატები, ისევე როგორც ინგლისის საგრაფოებისა და ადგილების წარმომად-
გენლები თემთა პალატაში მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული თავის ამომრჩე-
ვლებთან, რომლებიც აძლევდნენ მათ გრცელ რწმუნების სიგელებს. ეს რწმუნე-
ბანი იყო მკაცრი და მათი გადალახვა დეპუტატს არ შეეძლო. დაბრუნებისას დე-
პუტატები მოვალენი იყვნენ ჩაებარებინათ ანგარიში თავის ამომრჩევლებისათ-
ვის. როგორც ვხედავთ წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია იცნობს ე. წ.
იმპერატიულ მანდატს, რაც სავსებით შეესაბამებოდა მაშინდელ კლასთა თანა-
ფარდობას. ბურჟუაზიის და სხვა ფენებს ეშინოდათ, რომ დეპუტატს არ გადაეხ-
ვია გამოჩუქავებულ გეზისაგან და არ ეღალატა თავის ამომრჩევლებისათვის ახა-
ლი სიტუაციის შექმნისას.

ჩვენის აზრით, ეს უკვე საფეხურია დეპუტატის გაწვევის უფლების აღი-
არებისათვის. მართლაც, 1776 წელს ჩრდილოეთ ამერიკის შტატების კონტინენ-
ტალურ კონგრესიდან გაწვეულ იქნენ პენსილვანიის შტატის დელეგატები,
რომლებმაც უარი განაცხადეს „თავისუფლების დეკლარაციის“ ხელის მოწერა-
ზე.²

გაწვევის უფლებას ითვალისწინებდა ჩრდილოეთ ამერიკის შტატების კონ-

¹ А. Эмен. Общие основания Конституционного права. СПб, 1898, стр. 227.

² Encyclopedia Americana... ტ. 23, გვ. 266.



ფედერაციის „მუხლები“ (1781), რომლის მე-5 მუხლით ყოველი შტატი უფლებამოსილი იყო „ერთი წლის განმავლობაში ყოველ მომენტში გამოეწვია თავისი დელეგატები ან ზოგიერთი მათგანი და გაეგზავნა სხვანი წლის დამთავრებამდე“.¹

მაგრამ სულ მალე ე. წ. ნაციონალური სუვერენიტეტის კონცეფციის გამარჯვებასთან ერთად იმპერატიული მანდატისა და დეპუტატის გაწვევის უფლება მწვავე კრიტიკის ობიექტად იქცევა. ამ კონცეფციის თანახმად ბურჟუაზიული სახელმწიფოს პოლიტიკურ საფუძველს „სახალხო წარმომადგენლობითი ორგანო“ წარმოადგენს, რომელიც „მთელი ხალხის“ ინტერესებს გამოხატავს; ყოველი დეპუტატი „მთელი ხალხის წარმომადგენლად“ ცხადდება, იგი სრულიად დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში ამომრჩევლებისაგან, რის გამო უკანასკნელებს არავითარი უფლება არა აქვთ შეზღუდონ დეპუტატი რაიმე „იმპერატიული მანდატით“ და მოსთხოვონ მას რაიმე პასუხი რწმუნების ვადის დამთავრებამდე.

ბურჟუაზიული ქვეყნების სახელმწიფო სამართალმა მყისვე განამტკიცა დეპუტატის გაწვევის უფლებისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულება.

საფრანგეთის 1791 წლის კონსტიტუციის მესამე ნაწილს 11 განყოფილების მე-7 მუხლით „წარმომადგენლები, რომელნიც დეპარტამენტების მიერაა არჩეული, წარმოდგენენ არა ცალკეულ დეპარტამენტს, არამედ მთელ ერს; ამომრჩევლებს არა აქვთ უფლება მისცენ მათ რაიმე დავალება (განაწესი)“.² ანალოგიური დებულებანი ჩაიწერა 1793, 1795, 1848, 1875 წლების კონსტიტუციებში.³ იგივე ფორმულა კომუნისტთა წინააღმდეგობის მიუხედავად შეტანილ იქნა 1946 წლის კონსტიტუციაში (მუხ. 3). იგივეა საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციაში (განყოფილება I, მუხ. 3).⁴ იგივე ითქმის დღემდე მოქმედ ბელგიის 1831 წლის, დანიის 1915 და 1953 წწ. კონსტიტუციებზე⁵ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1949 წ. ძირითად კანონზე. უკანასკნელი ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს იმპერიალისტური ბურჟუაზიის შიშს დეპუტატის გაწვევის უფლების წინაშე. კონსტიტუციის III განყოფილების 38-ე მუხლის 1 პარაგრაფში ვკითხულობთ: „გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატები მთელი ხალხის წარმომადგენლებია, ისინი არ არიან შეზღუდილი არავითარი განაწესებითა და დავალებებით და ემორჩილებიან მხოლოდ თავის სინდისს“.⁶ რაც შეეხება აშშ-ს 1787 წლის და ინგლისის დაუწერელ კონსტიტუციებს, ისინი საერთოდ უგულვებელყოფენ დეპუტატის გაწვევის ინსტიტუტს, თითქოს ასეთი ცნება არც არსებობს საერთოდ.

როგორც ვხედავთ, კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის ეპოქის ბურჟუაზიული სახელმწიფო სამართალი საკმაოდ ერთსულოვანია დეპუტატების გაწვევის უფლების მიმართ. ასევე ერთსულოვანია არიან ბურჟუაზიული მეცნიერებიც.

¹ Конституции и законодательные акты буржуазных государств XVII—XIX вв. М 1947, стр. 172.

² Конституции и законодательные акты буржуазных государств XVII—XIX вв. М., 1947, стр. 258.

³ იქვე, გვ. 334; 451.

⁴ ნაციონალური სუვერენიტეტი ეკუთვნის საფრანგეთის ხალხს. ერის არც ერთ ნაწილს, არც ერთ ცალკეულ პიროვნებას არ შეუძლია მიიკუთვნოს მისი რეალიზაცია. „Конституции буржуазных государств Европы, М., 1957, стр. 847.

⁵ Конституции... Европы, стр. 98, 390.

⁶ Конституции... Европы, стр. 836.

მათი შეხედულებანი XVIII—XIX საუკუნეებში კარგადაა შეჯამებული ფრანგი მეცნიერი ა. ესმენის მიერ. ავტორი ყოველნაირად ცდილობს თეორიულად დაასაბუთოს „ნაციონალური სუვერენიტეტისა“ და „ამომრჩეველთა მიერ დებუტატების გაწვევის უფლების“ ურთიერთმეუთავსებლობა. იგი წერს: „არჩეულები ღებულობენ თავის რწმუნებას... არა იმ ამომრჩეველთა კოლეგიისაგან, რომელმაც ისინი აირჩია, არამედ მთელი ერისაგან. მართლაც, ისინი მონაწილეობენ სუვერენიტეტის ცხოვრებაში გასატარებლად. უკანასკნელი კი „მთელ ერს ეკუთვნის, ხოლო ხალხის არც ერთ ნაწილს, არც ერთ პირს არ შეუძლია მიიკუთვნოს მისი რეალიზაცია (საფრანგეთის 1791 წლის კონსტიტუციის მუხ. 1) და მით უმეტეს გადასცეს იგი სხვას.“¹ ესმენი, როგორც ვხედავთ, მხოლოდ აკავშირებს ერთმანეთს სუვერენიტეტის განუყოფლობას და განუსხვისებლობას დებუტატის უფლებრივ მდგომარეობასთან. ეს დებულება ტიპიურია ბურჟუაზიული სახელმწიფო სამართლისათვის, განსაკუთრებით კი საფრანგეთის კონსტიტუციური სამართლისათვის.

ვერმანელი სკოლის წარმომადგენელი ელინეკი ასე ასაბუთებს თავის უარყოფით დამოკიდებულებას დებუტატის გაწვევის უფლებისადმი: „პალატის წევრი მთელი ხალხის წარმომადგენელია. იურიდიულად ეს ნიშნავს იმას, რომ ის არის იმ კოლეგიის წევრი, რომლის ნებას წარმოადგენს და ამგვარად მისი ნება უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც ერთ-ერთი ელემენტთაგანი, რომელიც ქმნიან ხალხის ნებას და არა მოსახლეობის რომელიმე ჯგუფის ნებას. ამგვარად, ჩვენ უარყოფთ წოდებრივი სახელმწიფოს ისეთ სპეციფიკურ თავისებურებას, როგორიცაა: **ამომრჩეველთა მიერ დებუტატთა გაწვევა ან უკანასკნელთა რწმუნების შეზღუდვა**“ (ხაზგასმულია ჩემ მიერ—ა. გ.).

ბურჟუაზიული სახელმწიფოების მეცნიერები დღეს ანვითარებენ იმ იდეებსა და კონცეფციებს, რომლებიც XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა გ. ელინეკის, ა. ესმენის, ა. დაისის, ლ. ლიუგისა და სხვათა მიერ. ისინი ცდილობენ შეაჩერონ პროგრესული ძალების ძლიერი იერიში იმპერიალისტური საზოგადოების პოლიტიკურ ინსტიტუტებზე, ყველა ღონეს ხმარობენ, რათა მიჩქმალონ სოციალისტურ ბანაკში არსებული პოლიტიკური ინსტიტუტების დემოკრატიულობა. რასაკვირველია, პირველ რიგში ისინი წყევლა-კრულვით ილაშქრებენ „სახალხო სუვერენიტეტისა“ და „წარმომადგენლობითი ორგანოების“ წინააღმდეგ.

ჭეშმარიტი სახალხო სუვერენიტეტი, — სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ა. ლევინი,² — შეუთავსებელია ექსპლოატატორული კლასების მიერ ხალხის ეკონომიურ დაკაბალებასთან. მაგრამ ეს პრინციპი ბურჟუაზიული სახელმწიფოს პირობებშიც თამაშობს პროგრესულ როლს, როდესაც ის წამოიყენება ისეთ პოლიტიკურ-იურიდიულ ღონეზუნგად ან ნორმატულ მოთხოვნად, რომელიც უნდა გაითვალისწინოს დამფუძნებელმა ხელისუფლებამ კონსტიტუციურ დებულებათა შემუშავებისას, ხოლო სხვა სახელმწიფო ორგანოებმა მთელ თავის საქმიანობაში. იგი (ეს პრინციპი) აიარალებს ხალხს ლეგალური იარაღით თავისი უფლებებისა და ინტერესებისათვის საბრძოლველად. სწორედ ამიტომ ბურჟუა-

¹ А. Эсмен. Общие основания Конституционного права. СПб, 1898, стр. 151—152.

² Г. Еллинек, Общие учение о государстве, СПб, 1908, стр. 430—432.

³ И. Левин, Современная буржуазная наука государственного права, М., 1960, стр. 259—260.

ზიული მეცნიერები ყველაფერს აკეთებდნენ და აკეთებენ იმისათვის, რათა გაა-
 უქმონ და გამოვიგნონ ეს პრინციპი“.

განვიხილოთ რამდენიმე მოსაზრება, რომელიც ტიპიურია თანამედროვე
 ბურჟუაზიული სახელმწიფო სამართლის მეცნიერებისათვის.

ფრანგი მეცნიერი გ. ვედელი აცხადებს: „არჩეულები, რომელიც (საკა-
 კანმდებლო) კრებაში სხედან, არ არიან წარმომადგენლები ხალხის იმ ნაწილისა,
 რომელმაც აირჩია ისინი თავის საარჩევნო ოლქში, არც პარტიის წარმომადგენ-
 ლებია ისინი, ისინი წარმომადგენენ მთელ ერს“.¹

იმავე აზრს ატარებს გამოჩენილი თანამედროვე ფრანგი იურისტი მ. პრელო.
 1955 წლის გამოცემულ მონოგრაფიაში მარსელ პრელო მიუთითებს: „გამოთქმა,
 „დეპუტატი წარმომადგენს ერს“ უნდა გვესმოდეს იმ გაგებით, რომ ხელისუფ-
 ლება, რომელიც დეპუტატი უფლებამოსილია განახორციელოს, არის ხელისუფ-
 ლება არა მისი ამომრჩევლებისა, არამედ მთელი ერისა, ე. ი. სახელმწიფოსი“...²

ანალოგიურად წყვეტენ საკითხს ინგლისელი იურისტები უაიდი და ფილი-
 პსი: „ოლქის ამომრჩევლებს მორალურად არა აქვთ უფლება გამოიწვიონ მათ
 მიერ არჩეული პარლამენტის წევრი“.³

„დეპუტატი დამოუკიდებელია ამომრჩევლისაგან“—ასეთია, როგორც ვხე-
 დავთ, ძირითადი დებულება თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფომცოდნე-
 ობისა. ეს ბუნებრივაცაა, რადგან სწორედ დღეს ბურჟუაზიული პარტიების კან-
 დიდატები განსაკუთრებულ ფარისევლობით ექცევიან ამომრჩევლებს არ-
 ჩევნებამდე, აძლევენ მათ ათას პირობას, მაგრამ არჩევნების შემდეგ ივიწყებენ
 ამ დაპირებას. მხოლოდ ახალი არჩევნების დროს ეძლევათ ამომრჩევლებს
 საშუალება გამოუტანონ თავის დეპუტატს სათანადო განაჩენი და აირჩიონ სხვა.
 მართალია, ბურჟუაზიულ სამყაროში „არჩევა დეპუტატისა“ არც თუ ისე იო-
 ლი საქმეა. მხოლოდ პოლიტიკური პარტიების კანდიდატებს აქვთ შესაძლებლობა
 იყვნენ არჩეულები. რასაკვირველია, პირველ რიგში ეს შესაძლებლობა მსხვილი
 ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლებს აქვთ, მაგრამ ამ პირობებშიც
 მშრომელი მასა ახერხებს ყველაზე ულტარაქციული კანდიდატების ჩაგდე-
 ბას. გავიხსენოთ სენატორ ნოულენდის (აშშ) ისტორია, როდესაც ახალი არჩე-
 ნების დროს ბნელეთის მოციქული გაძევებული იქნა სენატიდან რეაქციული
 გამოსვლების გამო. იგივე ბედი ეწვია სხვა რეაქციონერებს: ჯ. ბანდკერს, ჩ. პორ-
 ტერსა და სხვებს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ იმპერიალის-
 ტური ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოები საკმაოდ დიდი ვადით ირჩევა,
 აშკარა ხდება, თუ რაოდენ დიდ პოლიტიკურ იარაღად შეიძლება ყოფილიყო
 ამომრჩევლის ხელში დეპუტატის გაწვევის უფლება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქადაგებენ რა დეპუტატის გაუწვევლობას, თა-
 ნამედროვე ბურჟუაზიული მეცნიერები ვერ მალავენ იმ ფაქტს, რომ დეპუტა-
 ტები ფაქტიურად დამოკიდებულნი არიან თავისი პოლიტიკური პარტიებისაგან.
 ისინი აღნიშნავენ, რომ კლასიკური დოქტრინები დეპუტატის დამოუკიდებლო-
 ბის შესახებ შეესაბამებოდა კაპიტალიზმის განვითარების პირველ საფეხურებს,
 როდესაც არ არსებობდნენ პოლიტიკური პარტიები და დეპუტატები მართლაც
 შეუზღუდავნი იყვნენ თავიანთ საქმიანობაში.

¹ G. Vedel, Manuel élémentaire du droit constitutionnel Paris, 1949, p. 131—132.

² М. Прело, Конституционное право Франции. М., 1957, стр. 60, 436—438, 452.

³ Уайд и Филлипс, Конституционное право, М. 1950, стр. 120.

მაგრამ დღეს, პარტიების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, დეპუტატი მთლიანად დამოკიდებულია იმ პალატისგან, რომელიც აყენებს მის კანდიდატურას და აწყობს მისი არჩევის ორგანიზაციას. ფაქტიურად პარტია აძლევს დეპუტატს იმპერატიულ მანდატს და ამოწმებს მის საქმიანობას.¹

ზოგიერთი ავტორი იძულებულია აღიაროს იმპერატიული მანდატის აუცილებლობა, მაგრამ ცდილობს დაუმორჩილოს ეს საწყისი პოლიტიკური პარტიების საქმიანობას. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამ პარტიების ზურგს უკან დგანან მსხვილი მონოპოლიები, რომელნიც ქვეყნის ეკონომიკასა და პოლიტიკაში ბატონ-პატრონები არიან, აშკარა ხდება ამ თეორიების ნამდვილი არსი. მაგრამ დეპუტატთა პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღიარების იქით არც შეცნინებთა უმრავლესობა მიდის. ისინი კატეგორიულად წინააღმდეგი არიან ამ პრინციპის იურიდიულად განმტკიცებისა. „გამოცდილება გვიჩვენებს, — წერს პროფ. ი. ლევინი,²— რომ დეპუტატზე ზემოქმედების ფაქტიური საშუალებანი, რომელნიც დღეს ბურჟუაზიულ და რეფორმისტულ პარტიებს გააჩნიათ საკმარისია, რადგანაც ისინი მის ყველაზე მტკიცვეულ ადგილებს ურტყამენ — ჯიბე, კარცია. იმავე საშუალებებს იყენებენ მემარცხენე პარტიების მერყევი ელემენტების მიმართ, რათა გადაიბირონ ისინი ბურჟუაზიის ბანაკში. სწორედ ამიტომ ბურჟუაზიული და რეფორმისტული პარტიები ილაშქრებენ კონსტიტუციაში ისეთი მუხლის შეტანის წინააღმდეგ, რომლებიც მისცემდნენ პარტიებს იურიდიულ საშუალებებს ზემოქმედება მოეხდინათ დეპუტატებზე პარტიის პროგრამისათვის დალატის ან დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში... ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ დღემდე ბურჟუაზიულ თეორეტიკოსთა მსჯელობა ვერ ახდენს ვერავითარ გავლენას კონსტიტუტიური კანონმდებლობის პრაქტიკაზე“.

მართლაც, გავიხსენოთ თანამედროვე წამყვანი იმპერიალისტური ქვეყნების პარლამენტების შემადგენლობა, მათი დაკომპლექტების წესი (საარჩევნო სამართალი) და სრულიად ნათელი გახდება იმპერიალისტთა პოზიცია. როგორ შეიძლება ლაპარაკი „სახალხო წარმომადგენლობაზე“ იქ, სადაც ხალხის უმრავლესობა, მშრომლები არ მონაწილეობენ საკანონმდებლო ორგანოების მუშაობაში. მაგალითად, აშშ-ს 88-ე მოწვევის კონგრესში (1963—1964) 535 წევრიდან (435 წარმომადგენელთა პალატაში და 100 სენატში) 200 ბანკირი, ბიზნესმენი, მსხვილი მიწათმფლობელი და პლანტატორია, 300-მდე პროფესიონალური პოლიტიკოსი და დიდგავლენიანი იურისტი, კონგრესის შემადგენლობაშია რამდენიმე ათეული მილიონერი, მაგრამ არც ერთი მუშა, ფერმერი ან მოსამსახურე.³ რა გასაკვირია, რომ მხოლოდ იმას, ვისაც აქვს ფული ან ვისაც მხარს უჭერენ ერთ-ერთი უმსხვილესი ბურჟუაზიული პარტიის მესვეურები, შეიძლება ჰქონდეს იმედი, რომ მას აირჩევენ კონგრესში. ამერიკული ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტ“ (ვაშინგტონი) არ მალავს იმ ფაქტს, რომ რობერტ კენედიმ სენატში ადგილის მოსაპოვებლად დახარჯა 2 მილიონი დოლარი. იგივე თანხა დაუჯდა საარჩევნო კამპანია რესპუბლიკელ კენნეტ კიტინგს.

¹ H. Finer, *Theory and Practice of Modern Government*, 1949, p. 374.

² И. Левин. *Современная буржуазная наука государственного права*, М. 1960, стр. 291.

³ „Международная жизнь“, 1964, № 10, стр. 144.

წარმომადგენელთა პალატაში ადგილისათვის, საარჩევნო კამპანია საშუალოდ უჭდება კანდიდატს 75 ათასი დოლარი, სენატში 600—800 ათასი დოლარი¹.

ამერიკელი მეცნიერები დღემდე ქადაგებენ აშშ-ს კონგრესის დემოკრატიულობაზე, მაშინ როდესაც თვით უმაღლესი სასამართლო იძულებული იყო ელიარებინა ის ფაქტი, რომ საარჩევნო ოლქების „გეოგრაფია“ პრაქტიკულად ძირს უთხრის ყოველგვარ დემოკრატიულობას და ამახინჯებს სახალხო წარმომადგენლობის პრინციპებს. თურმე ზოგიერთი საარჩევნო ოლქის მოსახლეობა რამდენჯერმე მეტია, ვიდრე სხვა ოლქებისა. მაგალითად მიჩიგანის ყველაზე ხალხმრავალ ოლქში ცხოვრობს 802 904 კაცი, ხოლო ყველაზე ხალხმცირეში 177431 და ყოველი მათგანი თითო-თითო დებუტატს ირჩევს კონგრესში. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ხალხმცირე ოლქები ძირითადად სოფლის რაიონებია, რომელიც კონსერვატიულ კანდიდატებს უჭერენ მხარს, ხოლო ხალხმრავალი ინდუსტრიული, მუშათა კლასის რაიონებია, რომელიც ლიბერალებს აძლევს ხმას, ჩვენთვის ნათელი გახდება ამ „საარჩევნო გეოგრაფიის“ ნამდვილი ბუნება. უმაღლესმა სასამართლომ ცნო ეს პრაქტიკა მართლსაწინააღმდეგო აქტად და მოითხოვა ოლქების გადანაწილება. ასეთი გადაწყვეტილება ეჭვის ქვეშ აყენებს წარმომადგენელთა პალატის 306 დებუტატის მანდატს.²

„ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის აკვანს“ უწოდებენ ინგლისის პარლამენტს, კერძოდ, თემთა პალატას და აქაც 630 დებუტატიდან 96 იურისტია, 71 ჟურნალისტი და მწერალი, 43 პროფკავშირული მუშაკი, 83 კომპანიის დირექტორი, არის აქ 45 მუშავ (ლეიბორისტები), მაგრამ ფაქტიურად ეს მათი ყოფილი პროფესიაა, დღეს ისინი პროფესიონალური პოლიტიკოსები არიან.³

ჩვენ აღარ გავაგრძელებთ ლაპარაკს ბურჟუაზიული პარლამენტის „წარმომადგენლობით“ ხასიათზე, რადგან ზემოთმოყვანილი ფაქტებიდან⁴ კარგად ჩანს მისი ნამდვილი სახე. ჩვენ დაგვირბა ეს ფაქტები, რომ გვეჩვენებინა იმპერიალისტური ქვეყნების უმაღლეს „წარმომადგენლობითი ორგანოების“ შემადგენლობა, რაც უფრო ნათლად ხსნის იმპერიალისტური ბურჟუაზიის ჯიუტობას ამომრჩეველთა მიერ დებუტატის გაწვევის უფლების აღიარებასა და განმტკიცებაში. განა ესოდენ დიდი ხარჯისა და პოლიტიკური მაქინაციების შედეგად არჩეულ დებუტატს გასწირავენ გასაწვევად, მაშინ ხომ მთელი პოლიტიკური შენობა ბურჟუაზიული პარლამენტარიზმისა ბეწვზე ჩამოეკიდება და სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის მონოპოლიების დიქტატურას.

მაგრამ იქ, სადაც ბურჟუაზიის მიაჩნია, რომ თამაში დემოკრატიზმში არაფერს ცუდს უქადის მას, ის მიდის, უფრო სწორად მიდიოდა, მშრომელი მასების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ასეთ უბნად ერთ დროს მიაჩნდათ ადგილობრივი თვითმმართველობა და ფედერაციაში შემავალი ერთეულების ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. ამიტომ არ იქნებოდა სწორი გვეთქვა, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფო სამართალი არ იცნობს დებუტატის გაწვევის უფლების ინსტიტუტს. ისეთ ქვეყნებში, როგორცაა აშშ, შევიცარია და

¹ „За рубежом“, 1965, № 6, стр. 22.

² „დოჩე ფოლკოცაიტუნგ“ (დოუსელდორფი), „За рубежом“, № 15, 1965 წლის 11 აპრილი, გვ. 19—22.

³ О. Орестов, Колыбель буржуазного парламента, „Правда“ от 21 июня 1965 г.

⁴ Я. Бельсон, Современное „буржуазное государство и народное представительство“, М. 1960, стр. 108—145.

ინაპონია, ეს ინსტიტუტი არსებობს, მაგრამ ვრცელდება მხოლოდ იგი შტატების (კანტონების) ხელისუფლების ორგანოებზე. შევეხთ ამ საკითხს დაწვრილებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დეპუტატის გაწვევის შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ XVII საუკუნეში (აშშ), მაგრამ სულ მალე ეს შემთხვევები და ნორმები გაქრა. მხოლოდ ხალხის ბრძოლის შედეგად იქნა შემოღებული შვეიცარიასა და აშშ-ში. შვეიცარიაში ეს ინსტიტუტი დამკვიდრდა 1857 წელს ორ კანტონში, ხოლო 1869 წელს — დანარჩენებში.

გაწვევის უფლება ვრცელდება მხოლოდ კანტონების არჩევით თანამდებობის პირებზე (მოსამართლეთა გარდა), მაგრამ აქაც კანტონის საკანონმდებლო კრება შეიძლება იქნეს გაწვეული მხოლოდ მთლიანად, ი. ი. გაიწვევა ყველა დეპუტატი ერთდროულად, რაც პრაქტიკულად კრების დეპუტატს ამომრჩევლებისაგან სრულიად დამოუკიდებელს ხდის. წესები, რომელნიც არეგულირებენ ადგილობრივი ორგანოების პირთა გაწვევას, იმდენად რთულია, რომ შვეიცარიელები არც კი „იწუხებენ თავს“ მათი გამოყენებით. თვით ბურჟუაზიული მეცნიერები აღიარებენ იმ ფაქტს, რომ შვეიცარიელები უკვე დიდი ხანია არ იყენებენ გაწვევის უფლებას“ და „გაწვევის უფლებამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა“.1. მართლაც, უკანასკნელად გაწვევის უფლება შვეიცარიაში გამოყენებული იყო XIX საუკუნის 80-ან წლებში.


მხოლოდ 1903 წელს დაინერგა დეპუტატის გაწვევის უფლება აშშ-ში. პირველად იგი აღიარებულ იქნა ქ. ლოს-ანჯელოსის სტატუტით, ხოლო შემდგომ შოედო სხვა ქალაქებსა და შტატებს. ეს პრინციპი ვრცელდება მხოლოდ ცალკეული შტატების საკანონმდებლო კრებების დეპუტატებსა და არჩევითი თანამდებობის პირებზე — ფუნქციონერებზე (გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, ზაზინადარი, შტატის მდივანი და ა. შ.).

გაწვევის წესი რეგულირდება ყოველი შტატის მიერ. მაგალითად, ორეგონის შტატში პეტიცია გაწვევის შესახებ ხელმოწერილი უნდა იქნეს 25 პროც. იმ ამომრჩევლებისა, რომელნიც წინა არჩევნებში მონაწილეობდნენ. თუ პეტიციის რეგისტრაციის შემდეგ პირი ხუთი დღის განმავლობაში ნებაყოფლობით არ იტყვის უარს თავის მანდატზე, ინიშნება სპეციალური არჩევნები, რომელიც უნდა შედგეს არა უგვიანეს 20 დღის ვადაში. ამ არჩევნებზე ამომრჩევლებს ურიგებენ ბიულეტენებს, სადაც ფუნქციონერის გვარის გვერდით ჩაიწერება ახლად წამოყენებული კანდიდატის გვარი. სპეციალურ გრაფაში 200 სიტყვის ფარგლებში უნდა ჩაიწეროს გაწვევის მოტივები. ასევე ადგილი ეთმობა ფუნქციონერს ახსნა-განმარტებისათვის. თუ არჩევნების შედეგად ფუნქციონერმა ვერ მიიღო ერთი წმით მაინც მეტი, ვიდრე მისმა მოწინააღმდეგემ, უკანასკნელი იკავებს ადგილს.²

აღსანიშნავია, რომ ორეგონის სტატუტი კრძალავს ფუნქციონერის გაწვევას ჰირველი ექვსი თვის განმავლობაში, რაც საგრძნობლად უზოროკავს ხელებს ამომრჩევლებს. იგივე სტატუტი მოითხოვს პეტციონერებისაგან პეტიციასთან ერთად შეიტანონ გარკვეული თანხა (საკმაოდ დიდი) არჩევნების ხარჯების დასაფარავად. ამგვარად, კენჭისყრა ფუნქციონერის გაწვევის თაობაზე მთელი სიმძიმით აწვება გაწვევის აღძვრის ინიციატორებს. პრაქტიკულად ეს ნიშნავს იმას, რომ რიგითი ამომრჩევლები თავს არიდებენ გაწვევის საკითხის აღძვრას.

¹ Hauriou Le droit de revocation populaire, unevue politique et parlementaire, 10/VII, 1924, p. 63—73, Braunias, Das parlamentarische Wahlrecht, 1932 t. II, p. 268.

² The Encyclopedia Americana, 1945, t. 23, стр. 266.



რადგანაც მათ ამინებთ ამ პროცედურასთან გათვალისწინებული ხარჯები. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ორეგონის შტატში გაწვევის შესახებ პეტიციას ხელს უნდა აწერდეს ამომრჩევლების არა ნაკლებ 25 პროც-ისა. შტატების უძოავლესობაში ეს რიცხვი აღიარებულია სტანდარტად.

ის ფაქტი, რომ გაწვევის წესი მჭიდროდაა დაკავშირებული ფულად ხარჯებთან, პრიორიტეტს ანიჭებს საზოგადოების იმ ფენებს, რომელთაც გააჩნიათ სათანადო თანხა და უბორკავენ ხელებს რიგით ე. წ. „საშუალო ამერიკელს“. სწორედ ამით სარგებლობენ პოლიტიკური პარტიები და მათ ზურგს უკან მდგარი მონობოლისტები, რომლებმაც დაიმორჩილეს გაწვევის ტექნიკა ისევე, როგორც საერთოდ ამერიკის შეერთებული შტატების მთელი პოლიტიკური ცხოვრება. როგორც რესპუბლიკური, ისე დემოკრატიული პარტია იყენებს გაწვევის წესებს „ურჩი“ ფუნქციონერის თავიდან მოშორებისათვის. მაგრამ ამ ხერხს არც თუ ისე ხშირად იყენებენ, რადგანაც ამომრჩევლის პოლიტიკური აქტივობის გაძლიერება კარგს არაფერს უქადის მონობოლიებს და ეს კარგად იციან მათ.

საერთოდ აშშ-ში, ისევე როგორც შვეიცარიაში, გაწვევის უფლება რიგითი ამომრჩევლისათვის უკვე დიდი ხანია ლიტონი სიტყვაა. თვით ბრიტანეთის ენციკლოპედიის აღიარებით აშშ ერთ-ერთ უდიდესი შტატის—კალიფორნიის, ყოველ ქალაქში ამომრჩევლები იყენებენ გაწვევის უფლებას 50 წელიწადში ერთხელ.¹

ამგვარად, გაწვევის უფლება აშშ და შვეიცარიაში ინერგება მხოლოდ XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე და ვრცელდება ძირითადად ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე, ხოლო ფედერალური წარმომადგენლობითი ორგანოები ამომრჩევლებისაგან სრულიად დამოუკიდებელი რჩება. იგივე ითქმის იაპონიის 1946 წ. კონსტიტუციაზე, რომელმაც აღიარა საზოგადოებრივი თანამდებობის პირთა გაწვევის შესაძლებლობა. „კანონი ადგილობრივი ავტონომიის შესახებ (1947 წ.) ითვალისწინებს, რომ ადგილობრივი კრებები მთლიანად ან მათი ცალკეული დეპუტატები, აგრეთვე გუბერნატორები, მერები და მამასახლისები შეიძლება გაწვეულ იქნენ თუ კი ამას მოცემული რაიონის ამომრჩეველთა უმრავლესობა მოითხოვს.

ასეთია ბურჟუაზიული სახელმწიფო სამართლის თეორია და პრაქტიკა დეპუტატის გაწვევის უფლების საკითხში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფო სამართალი პრინციპში უარყოფს დეპუტატის გაწვევის უფლებას. ის ფაქტი, რომ აშშ, შვეიცარია და იაპონიაში ეს პრინციპი მოქმედობს ადგილობრივი და შტატების უმადლეს ორგანოთა მიმართ, ვერ უარყოფს ამ დებულებას, რადგანაც ცნობილია, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოს პოლიტიკურ საფუძველს პარლამენტი წარმოადგენს, ხელისუფლების ცენტრალური უმადლესი ორგანოები და არა ადგილობრივი. ჩვენ უკვე არაფერს ვამბობთ ამ დეპუტატის გაწვევის უფლების რეალიზაციაზე თანამედროვე ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ამგვარად, თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფოების „წარმომადგენლობითი“ ინსტიტუტები უარყოფენ ჭეშმარიტი წარმომადგენლობის ერთ-ერთ მთავარ საწყისს — დეპუტატის გაწვევის უფლებას. საგულისხმოა, რომ თუ ხალხის დემოკრატიული ბრძოლის შედეგად ბურჟუაზია იძულებული გახდა წასულიყო დათმობაზე საარჩევნო სამართლის საერ-

¹ The Encyclopedia Britanica, т. 10, p. 10.

თო ლიბერალიზაციის დარგში, პარლამენტებიდან დეპუტატის გაწვევის უფლების აღიარებაზე ის კატეგორიულ უარს აცხადებს. უფრო მეტიც: თანამედროვე ეტაპზე თეორეტიკოსთა ძირითადი მიზანია საერთოდ დისკრიმინაცია უქნან ამ პრინციპს და ამოიღონ ის იქიდანაც, სადაც ის ჯერ კიდევ ნომინალურად მაინც არსებობს. მაგრამ როგორ შეიძლება სერიოზული ლაპარაკი იმაზე, თითქოს საკანონმდებლო ორგანოს არჩევითი პალატების წევრები დამოუკიდებელნი არიან თავისი ამომრჩევლებისაგან და მათი უფლებები განსაზღვრულია მხოლოდ კონსტიტუციით, ანდა რად ღირს ის მტკიცება, რომ წარმომადგენლები არ წარმომადგენენ თავის ამომრჩევლებს, არამედ მთელ ხალხს. არა, რაგინდ არ ცდილობდნენ ბურჟუაზიული მეცნიერები, ისინი ვერ მისცემენ დავიწყებას იმ პრინციპებს, რომელნიც კაპიტალიზმის ჩასახვის და განვითარების პირველ საფეხურზე აღმოცენდნენ კლასთა რეოლუციური შეჯახებების შედეგად. „წარმომადგენლობითი ორგანო“ სწორედ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტად „წარმომადგენლობითად“, თუ წარმომადგენლების გამგზავნელებს — ამომრჩევლებს ექნებათ უფლება აქტიური ზემოქმედება მოახდინონ თავის რწუნებულეებზე და დეპუტატის უვარგისობის შემთხვევაში გამოიწვიონ იგი და შეცვალონ ახლით.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში არსებული კომუნისტური და სხვა პროგრესული პარტიები დაჟინებით მოითხოვენ დეპუტატის გაწვევის უფლების აღიარებას. საფრანგეთის კომპარტიის XIV ყრილობას ერთ-ერთი მთავარ ამოცანად მიაჩნია, „ბრძოლა არჩეულ პირთა მიმართ ამომრჩეველთა განუწყვეტელი კონტროლისათვის, მათი გაწვევის უფლებისათვის“.¹

ანალოგიური მოთხოვნაა შეტანილი იაპონიისა და სხვა კომპარტიების პროგრამებშიც.² ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც ყველასათვის, ვინც იბრძვის დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, არ შეიძლება ერთ-ერთ ძირთად ლოზუნგად არ იყოს — „ხელისუფლების ყველა ძირითადი ორგანოს არჩევითობა და დეპუტატთა მჭიდრო კავშირი ამომრჩევლებთან, რომელთაც ყოველ დროს შეუძლიათ გამოიწვიონ ნდობადაკარგული დეპუტატი და შეცვალონ იგი ახლით. ამ ბრძოლაში, კაპიტალისტურ სამყაროში პროგრესულ ძალებს გზას შუქურასავით უნათებს სოციალისტურ ბანაკში არსებული თეორია და პრაქტიკა.

ამგვარად, ბურჟუაზიული სახელმწიფო სამართალი განზრახ უარყოფს დეპუტატის და მის ამომრჩევლებს შორის რაიმე კავშირის არსებობას და ყველაფერი მხოლოდ „პირის შერჩევის“ მექანიკურ აქტამდე დაყავს. რა გასაკვირია, რომ ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლები მოხვდებიან ისინი თუ არა პარლამენტში მაშინვე ივიწყებენ თავის დაპირებებს ამომრჩეველთა მიმართ. თუ გავითვალისწინებთ, რომ მათი რწმუნების ვადა საკმაოდ დიდია (აშშ სენატში — 6 წელი, საფრანგეთის წარმომადგენლობით კრებაში — 5 წელი, სენატში — 6 წელი, ინგლისი თემთა პალატაში — 5 წელი), ჩვენთვის ნათელი გახდება ის პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც იქმნება ქვეყანაში ამ დროის განმავლობაში. დეპუტატის გაწვევის უფლების უარყოფა ბურჟუაზიული სახელმწიფოს სამართლის თეორიასა და პრაქტიკის მიერ ნათელი მაგალითია „თავისუფალი სამყაროს ქვეყნების“ ცრუ დემოკრატიზმისა.

¹ XIV съезд французский компартии 18—21 июля 1956, М. 1956, стр. 282.

² „За грочный мир, за народную демократию, 28/II 1954 г, 11/V 1951 г, 23/XI 1951 г.“



გუბრუნდებით დაბეჭდილს

კვდავ გიორგი ჭილაშვილის შესახებ

ა. ა. მათიაშვილი

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1963 წლის № 1-ში დაიბეჭდა ს. ჯორბენაძის წერილი: „ი. გ. ჭილაშვილი — დიდი მოაზროვნე და სახელოვანი იურისტი“. წერილი დაწერილია საქმის ღრმა ცოდნით და სიყვარულით. იგი წამროადგენს პირველ წვლილს, რომელიც გ. ჭილაშვილის — ამ ჭეშმარიტად დიდი მოაზროვნის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის საქმეშია შეტანილი.

ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით ს. ჯორბენაძის მიერ მოცემულ შეფასებას, რომელიც გ. ჭილაშვილის მოღვაწეობას ეხება. მაგრამ საარქივო და სხვა დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით გვსურს უფრო სრულად გადმოვცეთ დიდი მოაზროვნის ბიოგრაფიული ცნობები. ეს მით უფრო საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ზემოხსენებულ წერილში მოტანილი ზოგიერთი თარიღი (მაგალითად, ჭილაშვილის პროკურორად დანიშვნის, ფინანსთა სამინისტროს უწყებაში სამსახურის, გარდაცვალების და ა. შ.) ზუსტი არაა. ამასთან შეეხებით გ. ჭილაშვილის ცხოვრების იმ მომენტებს, რომლებიც ადასტურებენ მისი მოღვაწეობის პროგრესულ ხასიათს.

გიორგი (იაკობ) გაბრიელის-ძე ჭილაშვილი დაიბადა 1792 წელს. 1803 წლიდან მისი ოჯახი ვახტანგ ბაგრატიონთან იმყოფება პეტერბურგში. აქ მან თავისი დროის კვალობაზე შესანიშნავი განათლება მიიღო.

გ. ჭილაშვილი სამსახურს პირველად შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში იწყებს მთარგმნელის წოდებით.

1807 წლის 7 ნოემბერს იგი უმაღლესი ბრძანებით საგუბერნიო მდივნის თანამდებობაზე იქნა დამტკიცებული. 1808—1813 წლებში მუშაობს ვახტანგ ბაგრატიონთან მდივნად და მთარგმნელად. 1808 წლიდან ასრულებდა აგრეთვე მთარგმნელის მოვალეობას უმაღლესად დამტკიცებულ კომისიაში, რომელსაც უნდა განეხილა დარეჯან დედოფლის ვალების საკითხი ¹.

სამსახურში პირველ სერიოზულ წარმატებას გ. ჭილაშვილი 1810 წლის 15 ივლისს აღწევს, როცა წარჩინებული სამსახურისათვის წოდებია

მრჩევლის ტიტული მიენიჭა. 1813 წლის 15 მაისს იგი გადაპყავთ სხვადასხვა გადასახადებისა და გამოსაღებების დეპარტამენტში კანცელარიის თანამშრომლად, ხოლო ორი წლის შემდეგ ამავე დეპარტამენტში მაგიდის უფროსის თანაშემწედ ნიშნავენ.

1815 წლის 15 დეკემბერს გ. ჭილაშვილს კოლეგიის ასესორის წოდება მიეკუთვნა, ხოლო 1817 წლის 25 მარტის უმაღლესი ბრძანებით სახალხო განათლების დეპარტამენტს მიეწერა საგანგებო დავალებათა შესრულებისათვის. ამ სამუშაოზე მან ცოტა ხანს დაჰყო და 1818 წლის 16 თებერვალს თავისი თხოვნით განათავისუფლდა.

რასაკვირველია გ. ჭილაშვილი, როგორც სამშობლოს ღირსეული პატრიოტი, არასოდეს არ იწყებდა საქართველოს. მისი თხოვნა აქ მუშაობის შესახებ დაკმაყოფილებული იქნა და 1820 წლის 3 სექტემბერს საქართველოს უმაღლეს მმართველობაში სამსახურისათვის იგზავნება, ამავე წლის 2 დეკემბერს მას კარის მრჩევლის წოდება მიენიჭა.

გ. ჭილაშვილის საქართველოს პროკურორად დანიშვნა მოხდა 1821 წლის 1 აგვისტოს. ამავე წლის ოქტომბრიდან იგი უშუალოდ შეუდგა პროკურორის მოვალეობის შესრულებას.

იმდენად ნაყოფიერი და მრავალმხრივი იყო გ. ჭილაშვილის პროკურორის თანამდებობაზე მუშაობა, რომ თავისუფლად შეიძლება მას სპეციალური გამოკვლევაც მიეძღვნას. რა თქმა უნდა ამ მცირე წერილში ამის გაკეთება შეუძლებელია. მაინც შევჩვიდებით ზოგიერთი მომენტზე.

ლოგიკური იქნება დაიწყოთ 1822 წლის 6 თებერვლით, როცა გ. ჭილაშვილმა ერთლოფთან აღძრა შუამდგომლობა, რათა საქართველოში დაეწესებინათ ვეჟილების შტატის თანამდებობა. მისი აზრით ეს აუცილებელი იყო მართლმსაჯულების დაცვის მიზნით, აგრეთვე იმ მიზნით, რომ ვეჟილებს გაეწიათ მეთვალყურეობა მასრებში, რათა არ აეკრიფათ ხალხისაგან აკრძალული გადასახადები და ა. შ., რომლებიც შეიძლება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მიზეზი შექმნილიყო ².

¹ საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2, საქმე 6136.

² Акты. т. VI, ч. I, стр. 48.

გ. ჭილაშვილის ეს წინადადება, ბუნებრივია, ნაკარნახევი იყო იმ დიდი ბორტომქმედებებით, რომლებიც მაშინდელ საქართველოში მძიმე სოციალური ჩაგვრის ვითარებაში ხდებოდა. მართო პროკურორს რასაკვირველია ყველაფრისათვის ზედამხედველობის გაწევა არ შეეძლო, სწორედ ამიტომ მოითხოვდა ჭილაშვილი ადგილებზე ვეჭილგების დანიშვნას. მთავარმართებლობამ ეს წინადადება მიიღო, მაგრამ პროკურორის მიზანს სრული განხორციელება მაინც არ ეწერა, რადგან არაიშვიათად საქართველოს მასრებში დანიშნული ვეჭილგები თვითონ იხლართებოდნენ ანგარებათა და სხვადასხვა ბოროტებათა ქსელში.

პირველ ქართველ პროკურორს ეკუთვნის აგრეთვე აზრი საბატონო რიგის ბეგარა — ვალდებულებათა განსაზღვრის შესახებ. გ. ჭილაშვილმა ეს აზრი ოფიციალურად გამოთქვა 1823 წელს, როცა მან მთავარმართებელს აღნიშნულ საკითხზე პატიკაი წარუდგინა¹. პროკურორის წინადადების შინაარსი ის იყო, რომ შეენელებინათ ის დაძაბული მდგომარეობა, რაც XIX საუკუნის 20-იან წლებში გლეხებსა და მებატონეებს შორის შეიქმნა. გ. ჭილაშვილის თანახმად ეს მოხდებოდა იმ შემთხვევაში თუ მტკიცედ განისაზღვრებოდა ის ბეგარა — გადასახადები, რომლებიც გლეხს მებატონის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა. იგი საკუთარი თვალთ ხედავდა რაოდენ თვითნებობას მიმართავდნენ მებატონეები ყმათა დაბეგვრის საკითხში და სურდა ბოლო მოეღო ამ მოვლენისათვის, რაც საქართველოში გაუთავებელი შეხლა-შემოსლის მიზეზი ხდებოდა.

თუმცა მთავარმართებლობამ 1823 წლის სექტემბერში გ. ჭილაშვილის წინადადება მიიღო და შეაგროვა კიდევაც ცნობები ბატონყმური რიგის ბეგარა-ვალდებულებათა შესახებ, მაგრამ საქართველოს უმაღლესი მმართველობის საერთო კრების დადგენილება, რომლითაც ასეთ ბეგარათა ნორმირება ხდებოდა, მთავრობამ საბოლოო ანგარიშით უარყო იმ მოტივით, რომ განსაზღვრული საბატონო ბეგარები თვით რუსეთშიც არ არსებობდა.

გლეხთა ინტერესების დაცვითაა ნაკარნახევი გ. ჭილაშვილის შემდეგი მოსაზრებაც: თავისუფლების მაძიებელი ის გლეხი, რომელიც კამერული აღწერით არც ხაზინაზე იქნებოდა მიწერილი, არც მებატონეებზე (ე. ი. გამოტოვლილი იქნებოდა აღწერაში) თავისუფლების შესახებ სასამართლოში სარჩელის აღძვრისთანავე ჩაეთვალათ სახაზინო უწყების კუთვნილად, დაებეგრათ ისინი სახა-

ზინო გადასახადებით, ხოლო მათი საქმეები სასამართლო წესით ეწარმოებინათ².

რასაკვირველია, გ. ჭილაშვილის ჩანაფიქრი იმაზე უფრო შორს მიდიოდა, ვიდრე მას ამისი თქმა ოფიციალურად შეეძლო. მართლაც, საქმე იმაშია, რომ სახაზინო გადასახადები გაცილებით ნაკლები იყო საბატონოზე, ხოლო თავისუფლების მაძიებელთა საქმეები ძალიან დიდხანს ჭიანჭყლდობდა. ხშირად ისინი მრავალი, ზოგჯერ ათეული წლებითაც კი გრძელდებოდა. პროკურორი ალბათ თავის ვარაუდს იმაზე აგებდა, რომ თუ თავისუფლების მაძიებელი გლეხი სინამდვილეში ამა თუ იმ მებატონის კუთვნილი აღმოჩნდებოდა, იგი საბოლოოდ თუ არა, დროებით მაინც იქნებოდა მებატონის მარწმუნისაგან თავისუფალი. ჩვენის აზრით არც ის უნდა იყოს გამორიცხული, რომ შეიძლება კამერულ აღწერაში გამოტოვებული სახაზინო ან საეკლესიო გლეხი რომელიმე მებატონეს უსამართლოდ მიეთვისებინა. ასეთ შემთხვევაში გ. ჭილაშვილის ალბათ სამძიმოდ მიაჩნდა გლეხის დამორჩილება მებატონისადმი სასამართლო ინსტანციებში საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მით უმეტეს რომ გადაწყვეტილება სენატს უნდა დაემტკიცებინა, რაც დიდ დროს მოითხოვდა.


პროკურორის ასეთ აზრს 1823 წლის 23 ნოემბერს საქართველოს უმაღლესი მმართველობის საერთო კრება უარყოფდა. თავის დასკვნას კრება იმით ასაბუთებდა, რომ ამჟამად კამერული აღწერების შემოწმება მიმდინარეობს და ვინც გამოტოვებულია, რომელ უწყებასაც ეკუთვნოდეს, იმას მიეწერებოთ. თანაცო, — მიუთითებდა კრება, — თუ საქმის გამოუძიებლად აღწერაში გამორჩენილ გლეხებს თავიდანვე ხაზინის უწყებაში მყოფად ჩავთვლით და შემდეგ კი ისინი სინამდვილეში საბატონო გლეხები აღმოჩნდებიან, მათ ხომ სასამართლო ადგილთა გადაწყვეტილებისა და უმაღლესი კონფირმაციის გარეშე მებატონეებს ვეღარ დაგუბრუნებთ, რაც მათი უფლებების ხელყოფა იქნებაო³.

ჩვენ დაწვრილებით აღარ შევჭერდებით 1824 წლის 22 თებერვლის კანონზე, რომლის ავტორიც გ. ჭილაშვილია. როგორც ცნობილია აღნიშნული კანონით იმ გლეხებს, რომლებიც მებატონის ვალში იყიდებოდნენ, თავის გამოსყიდვის უფლება მიეცათ. მართალია ამ კანონს არ შეეძლო ბატონყმური სისტემის საგრძნობი შერყევა, მაგრამ იმ დროს იგი გლეხობისათვის მაინც სასიხარულო მოვლენას წარმოადგენდა. ხსენებული კანონის პროექტი გ. ჭილაშვილის მიერ იმდენად ორიგინალურად და

1 სცსა, ფონდი 214, საქმე 46, ფურცელი 7.

2 სცსა, ფონდი 1, საქმე 483, ფურც. 1.

3 სცსა, ფონდი 1, საქმე 483, ფურც. 1—2.



ჭკვიანურად იყო შედგენილი, რომ მთავრობამ იგი თითქმის მთლიანად უცვლელად დაამტკიცა. ვრცელ და საინტერესო მიმოწერას აღნიშნული კანონის შესახებ ვხვდებით საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივის № 2 ფონდის № 1190 საქმეში.

პროკურორის თანამდებობაზე მუშაობის დროს გ. ჭილაშვილი ასრულებდა მთელ რიგ საპასუხისმგებლო დავალებებს. 1822 წლის 18 აპრილს იგი შეყვანილ იქნა იმ კომისიაში, რომელსაც ვახტანგის კანონები ქართული ენიდან რუსულ ენაზე უნდა გადაეთარგმნა. მანამდე არსებული ორი თარგმანი მეტად მდარედ იყო შესრულებული. ვინაიდან რუსული კანონების გვერდით საქართველოს საუწყებო ადგილები ვახტანგის კანონებსაც იყენებდნენ, ისინი დიდ სიძნელეს და გაუგებრობას აწყდებოდნენ კარგი თარგმანის უქონლობის გამო.

მთავრობის ნებართვით საქართველოს მთავარმართებელმა გენერალმა ა. პ. ერმოლოვმა გუბერნატორ რ. ი. ხოვენს თავმჯდომარეობით 1822 წელს შეადგინა განსაკუთრებული კომისია. მასში გ. ჭილაშვილის გარდა შედიოდნენ კარის მრჩეველი მურავიოვი და სამოქალაქო მრჩეველი ს. ჭილაშვილი. კომისიაში ხდებოდა ცვლილებებიც. მასში სხვადასხვა დროს შედიოდნენ კარის მრჩეველი ნ. ფალავანდიშვილი, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორი ბუკრინსკი და კოლეჯის ასესორი ჩუბინიშვილი. კომისიის უცვლელი წევრი იყო გ. ჭილაშვილი, რომელმაც ეჭვგაგარეშეა თავის მხრეზე გადაიტანა მთარგმნელობითი მუშაობის ძირითადი ტვირთი.

1824 წლის დამლევი კომისიამ თავისი მუშაობა დაასრულა. მთავრობამ მის ნამუშევარს მაღალი შეფასება მისცა. აი, რას სწერდა 1824 წლის 11 დეკემბერს გენერალი ერმოლოვი რ. ი. ხოვენს ამავე წლის 3 ივლისს კომისიის მიერ წარმოდგენილი თარგმანის შესახებ: „ქართული კანონების თარგმანი თავისი სიწმინდით და მკაფიოებით მთლიანად აკმაყოფილებს მთავრობის მოლოდინს“¹.

1823 წლის აპრილიდან გ. ჭილაშვილი მონაწილეობს იმ კომიტეტში, რომელსაც უნდა გამოეველინა კერძო პირების მიერ საქართველოში მითვისებული სახაზინო ქონება. 1825 წლის 31 დეკემბერს იგი წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენით იქნა დაჯილდოებული.

მცირე ხნით გ. ჭილაშვილს კვლავ პეტერბურგში ვხვდავთ. 1826 წლის 30 იანვარს იგი ინიშნება იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტში ექსპედიტორის თანამდებობაზე, ხოლო 1827 წლის 7 აპრილს მიეწერა ფინანსთა სამინისტროს ამიერკავკასიაში საგანგებო დაჯალბებით გასაცავანად. ამავე წელს ის ჩამოდის საქართველოში ქვეყნის

ფინანსური მდგომარეობის მიმოხილვისათვის.

1828 წლის 28 მარტს უმაღლესი ბრძანებით გ. ჭილაშვილი თბილისის სამხედრო გუბერნატორთან ინიშნება განსაკუთრებულ დავალებათა შესასრულებლად. ამავე წლის 16 ივნისს შეყვანილ იქნა იმ კომიტეტის წევრად, რომელიც შეიქმნა აზერბაიჯანის პროვინციათა მოსაწყობად.

1828 წლის 16 ნოემბერს გ. ჭილაშვილს კოლეჯის მრჩეველის ტიტული ენიჭება, ხოლო 1829 წლის 7 ივნისს შეყავთ კომისიაში, რომელსაც უნდა განეხილა ჩვენი ქვეყნის ფარგლებში შემოჭრილ სპარსეთთან დაზარალებულთა პრეტენზიები.

1829 წლის 23 დეკემბრიდან 1830 წლის 20 იანვრამდე გ. ჭილაშვილი დუშეთის მაზრაში იმყოფებოდა საქართველოს სამხედრო გზის რაიონში 5 სხვადასხვა ადგილზე აღმოჩენილ ჯამის აღსაყვითად ზომების მიღების მიზნით.

1830 წლის 2 მაისიდან 1830 წლის 17 ოქტომბრამდე მივლინებული იყო სენატორებთან მეჩნიკოვთან და კუტაისოვთან, რომლებიც ამიერკავკასიის რევიზიას აწარმოებდნენ. ამის შემდეგ იგი იგზავნება ელიზაბეტპოლისის მაზრასა და ყარაბაღის პროვინციაში განსვენებულ გენერალ-ლეიტენანტ მადათოვის ქონებისა და მასზე არსებული პრეტენზიების გამოსარკვევად, აგრეთვე ამ მხარეთა საუწყებო ადგილების სარევიზიოდ.


გ. ჭილაშვილი 15 წლის უმწიკვლო სამსახურისათვის 1830 წლის 22 აგვისტოს წარჩინების ნიშნით იქნა დაჯილდოებული. ამავე წლის 31 დეკემბერს იგი ინიშნება თბილისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის მმართველად.

1831 წლის 31 მარტს გ. ჭილაშვილი შეიყვანეს იმ კომიტეტში რომელსაც უნდა განესაზღვრა მუდმივი წესები ქ. თბილისის მცხოვრებთა საბინაო ბევარა-ვალდებულებათა შესახებ.

თბილისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის გაუქმებასთან დაკავშირებით 1831 წლის 2 აგვისტოს გ. ჭილაშვილი გადაყვანილი იქნა მთავარმართებელთან სავანგებო დავალებათა შესასრულებლად. ამავე წლის 4 სექტემბერს მას სამოქალაქო მრჩეველის წოდება მიენიჭა. სამსახურში იგი ყოველთვის დახასიათებული იყო როგორც „ნიჭიერი და ღირსეული“.

1832 წლის 17 იანვარს გ. ჭილაშვილი დაჯილდოებულ იქნა წმ. ანას მე-2 ხარისხის ორდენით. ეს იყო მისი უკანასკნელი წარმატება. 1832 წლის შეთქმულების აღმოჩენასთან დაკავშირებით იგი ერთ ადგილზე იქნა გაყენილი. მართალია გ. ჭილაშვილი შეთქმულების უშუალო მონაწილე არ ყოფილა, მაგრამ სრულიად უეჭველია მისი იდეური კავშირი მასთან. მთავრობას ამის შესახებ, რომ მეტად სარწმუნო ცნობები ექნებოდა — ეს უდავოა. არც ისა

¹ АКТЫ, т. VI, ч. I, стр. 75.



შემთხვევითი, რომ გამარჯვების შემთხვევაში შეთქმულები გ. ჭილაშვილს ერთდროულად განათლებისა და შინაგან საქმეთა მინისტრების პოსტებზე უმიზნებდნენ.

1832 წლის შეთქმულებასთან იდეური კავშირი კიდევ უფრო ამაღლებს გ. ჭილაშვილს, როგორც დიდ მოაზროვნეს. თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ უკანასკნელ წლებში ქართველი საბჭოთა ისტორიკოსები 1832 წლის შეთქმულებას ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ ეტაპად მიიჩნევენ, ჩვენს მიერ ნათქვამი დებულების მართებულება ცხადი შეიქმნება.

უარესად საინტერესოა გ. ჭილაშვილის 1838 წლის მისის პატატი საქართველოს მთავარმართებელ ევგენი ალექსანდრეს-დე გოლოვინისადმი. მოგვყავს იგი მცირედენი შემოკლებით: „ვიყავი რა თქვენი აღმატებულების წინამორბედთან (ბარონ როზენთან — ა. მ.) განსაკუთრებულ დაეაღებათა შემსრულებლად მე არა მქონდა ბედნიერება დამემსახურებინა ან ჩემი წოდების შესაბამისი საცხოვრებელი ადგილი, ან რაიმე წახალისება სამსახურში. მე ძალიან ჩამოვრჩი ჩემს თანატოლებს და ჩემი ხვედრი მით უფრო მძიმე იყო, რომ ჩემი სამსახურისადმი მუდმივი გულმოდგინობის დროს არ ვმონაწილეობდი და არ ვიცი ჩემგან რაიმე დანაშაული. ასეთ ვითარებაში წმინდა სინდისისათვის არაფერია მკაცრ მართლმსაჯულებასზე უფრო სასურველი, რომელშიც იგი პოულთბს თავისი შინაგანი მოწოდების უნამდვილეს გამომხატურებას, და მე მრავალჯერ ვითხოვდი გაეორკეცებინათ, გაესამკეცებინათ სასჯელის ზომა თუკი ჩავიდინე რაიმე დანაშაული და მით მოედით ბოლო ჩემი გაუგებრობისათვის; და თუკი მე არაფერი ამის მსგავსი არ ჩამიდენია, მაშინ მოაქციეთ სამართლიანი ყურადღება ჩემს უმწიკვლო სამსახურს და გამისენით გზა შემდგომი დამსახურებისათვის, ურომლისოდაც ჩემი შეძლების უკიდურესი შეზღუდულობის დროს, კიდევ ვსტლებით დამძიმებულს, არ შემძლიან არსებობა-მეტეი.

დიდება თქვენი აღმატებულების მკაცრი სამართლიანობის და მწყალობელი ყურადღების შესახებ ყველასადმი, ვისაც ბედნიერება ჰქონდა ემსახურა და ყოფილიყო თქვენი უფროსობის ხელკეპით, წინ გიძღოდათ იმ მხარეშიც, სადაც თქვენმა მოწყალებითმა ყურადღებამ, რომელიც თქვენმა აღმატებულებამ ჩემს მიმართ ვამოიჩინა განსაკუთრებით პირველი პირადი ახსნა-განმარტების დროს ჩემს შესახებ, ჩემშიც გამოაცოცხლა იმედი მომავალზე.

როგორც აქაური მკვიდრი... შეჩვეული აქაურ მხარეს, მე რასაკვირველია პირველ რიგში ვისურვებდი აქვე განმეგრძო სამსახური... მაგრამ თუ ამჟამინდელი სამოქალაქო გარდაქმნის შემდეგ არაფერი იქ-

ნება მხედველობაში ჩემი დამსახურებული წოდებისა და ჩემი სამსახურის მსვლელობისათვის შესაბამისი საქმე, მაშინ გავებდავდი უმორჩილესად მეთხოვა თქვენი აღმატებულებისათვის გავებდენიერებინეთ თქვენი მოწყალებით შუამდგომლობით სამსახური-სათვის მ. პეტერბურგში მთავარ საფოსტო სამმართველოში გადასაყვანად“¹

დასასრულ გ. ჭილაშვილი იმედს გამოთქვამდა, რომ პეტერბურგში გადაყვანის საქმეში დაეხმარებოდა აგრეთვე თავადი ა. ნ. გოლიცინი, რომელიც პირადად იცნობდა მის უმწიკვლო მუშაობას.

როგორც წერილიდან აშკარად ჩანს, ცარიზმი ფარულად უსწორებდა ანგარიშს, გ. ჭილაშვილს მისი პროგრესული აზროვნებისა და 1832 წლის შეთქმულებასთან იდეური კავშირის გამო. მართალია გ. ჭილაშვილისათვის ოფიციალურად არავითარი ბრალი არ დაუდგიათ შეთქმულებასთან დაკავშირებით, მაგრამ მის მონაწილეობასთან სიახლოვე და იდეური კავშირი მთავრობისათვის საკმარისი აღმოჩნდა რეპრესირებულ მდგომარეობაში ემყოფებინა თავისი ეპოქის ეს შესანიშნავი მოაზროვნე.

თუ სადამდე მიდიოდა შურისძიება, მჭევრმეტყველურად დადაბებს შემდეგი ფაქტი: გ. ჭილაშვილი 1832 წლის შეთქმულებამდე სამსახურის სარბი-ელზე თითქმის ყოველ წელს წარმატებას წარმატებულზე აღწევდა, შეთქმულების შემდეგ მას არავითარი გასაქმნი არ მისცეს, ახალგაზრდული სიცოცხლის ბოლო 7 წელი მას იდუმალი ტანჯვის წლებად გადაუქცეს.

მაგრამ დაგუბრუნდეთ საკითხს იმის შესახებ თუ რა ბედი ეწია მის წერილს გოლოვინისადმი.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ე. ა. გოლოვინი თანაგრძნობით მოეცადა გ. ჭილაშვილის თხოვნას და 1838 წლის 25 მაისს პირადად აღძრა შუამდგომლობა თავად გოლიცინის წინაშე, რათა ჭილაშვილი მისი თხოვნის შესაბამისად გადაეყვანათ პეტერბურგში. ამასთან გოლოვინი მიუთითებდა, რომ ჭილაშვილის წოდების შესაფერი სამუშაო მას არ გააჩნდა. ამიტომ დაბეჯითებით თხოვდა დახმარებას.

1838 წლის 27 ივნისს თავადი გოლიცინი აცნობებდა გოლოვინს, რომ ჭილაშვილის შესახებ მოელაპარაკებოდა იმპერატორს მისი მოგზაურობიდან დაბრუნებისთანავე.

პეტერბურგიდან ბოლოს მეტად არასასურველი ცნობა მოვიდა. 1838 წლის 2 ნოემბერს გოლიცინი იტყობინებოდა, რომ ფოსტის დეპარტამენტში ჭილაშვილისათვის არ აღმოჩნდა თავისუფალი ადგილი, რომ ამის შემდეგ მან მეორედ სთხოვა იმპერატორს ჭილაშვილის შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაყვანა სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობაზე დანიშვნის მიზნით. მაგრამ ვერც თავად გოლიცი-

¹ სცსა, ფონდი 2, საქმე -5156.

ნის იმპერატორთან ორგზისმა ვიზიტმა გამოიღო შედეგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ბლუდოვმა განაცხადა, რომ არა აქვს შესაძლებლობა ჭილაშვილი თავის სამინისტროში გადაიყვანოს.

რასაკვირველია, ყოვლად დაუჯერებელია, რომ იმპერატორს გ. ჭილაშვილისათვის რაიმე სამსახურის გამონახვა ვერ შესძლებოდა. ცხადია, ეს იყო იმ შურისძიების გაგრძელება, რასაც თავისი ეპოქის ამ მოწინავე ადამიანისა და დიდი მოაზროვნის მიმართ იჩენდნენ.

პეტერბურგიდან საბოლოო პასუხი ჯერ კიდევ მიღებული არ იყო თბილისში, როცა ძალღონითა და უშრეტო ენერგიით დაჯილდოებული გ. ჭილაშვილი სიცოცხლეს გამოოქალმა. იგი დაიღუპა თალიშის პროვინციის ქალაქ ლენქორანში 1838 წლის 5 ნოემბერს. იგი თვით მთავარმართველმა გოლო-

ვინმა გაგზავნა სპეციალური დავალებით 1838 წლის სექტემბერში. მაგრამ თალიშის ცუდმა კლიმატმა და იქ შეყრილმა სენმა ორიოდე თვეში სიცოცხლე მოუსწრაფა სახელოვან ქართველ პატრიოტს. ასე იმსხვერპლა ცარიზმმა ერთი ამაგდარი და ღვაწლმოსილი ადამიანი, რომელიც იბრძოდა სიმაართლისა და ჰუმანიზმისათვის.

გ. ჭილაშვილს დარჩა სამი შვილი. განათლებული მამა განათლებული შვილების აღზრდაზე ოცნებობდა. მისი ვაჟიშვილი მიხეილი ცარსკოე სელოს ლიცეუმში სწავლობდა, ხოლო ქალიშვილები ნინო და ელისაბედი ეკატერინეს ინსტიტუტში ეუფლებოდნენ ცოდნას. ყველა მათგანმა დამთავრა ხსენებული სასწავლებლები, რითაც ყველაზე კარგი საჩუქარი უძღვნეს სახელოვანი მამის ნათელ ხსოვნას.

საქმე გიხსნა 32 წლის შემდეგ

დილის ბინდ-ბუნდში შავ ხაზებად მოჩანს მთებზე შეყუჟული სოფლები. შორს, სადღაც ცის დასალიერში შავი ზღვა გაწოლილა. ნაპირს შემხვდარი ზღვის ტალღების ხმა მგზავრის ყურამდე აღწევდა. უცნობმა ბოლჩა ძირს დააგდო, შემდეგ თვალეზამდე ჩამოფხატებული ქუდი თავიდან მოიძრო, შუბლი ზღვიდან მონაბერ ნიავს მიუშვირა, ჯერ გზას მალულად გადახედა, შემდეგ გზიდან მის ფეხქვეშ გაწოლილ სოფელს დააშტერდა, ერთხანს გაოგნებული იყო, ეტყობოდა რაღაცას ფიქრობდა, ბოლოს ბოლჩას ხელი დასტაცა, ქუდი ისევ თვალეზზე ჩამოიფხატა და სწრაფი ნაბიჯით უკან გაბრუნდა, შემდეგ ნაბიჯები შეანელა, ბოლოს სულ გაჩერდა. ორიოდე წუთს ასე იყო ჩაფიქრებული, შემდეგ ისევ შემობრუნდა, გზა განაგრძო, თან თავისთვის ჩურჩულებდა.

— არა, შეუძლებელია, შეუძლებელი კი არა წარმოუდგენელია, 32 წლის შემდეგ ვინმეს ვახსოვდე? არა, ეს არ მოხდება. ის სახარელი ღამეც დავიწყებული ექნება ყველას და შესაძლებელია იმ დროიდან დღემდე სოფელში ცოტა გადარჩა ვინმე ცოცხალი. — მგზავრი ერთხანს ჩუმდა მიდიოდა, შემდეგ კი ისევ განაგრძო ჩურჩული. მომხერდა ამდენი ხეტიალი, როდემდე უნდა ვათრიო ჩემი ბებერი ძელები აქეთ-იქით. მაგრამ ჩემი ბედისწერა ხომ არ მიმათრევს, ჩემივე აღსასრულისაკენ? არა და სად უნდა წავიდე ამაზე უკეთეს ადგილზე? აფხაზეთი ხომ განთქმულია თავისი კურორტებით, ბუნებით, ხალხით, ყველაფერი სისულელეა, არაფერიც არ მოხდება. აქ აფხაზეთში ვერჩები, ავერ გუდაუთის რაიონში, სოფელ ლიხნს ავიჩრე. აბა წავედით.

ამჯერად უცნობი წინ მტკიცე ნაბიჯებით წავიდა. მალე იგი სულ გაუჩინარდა.

* * *

ლამაზი სოფელია ლიხნი. იგი წიწვიანი მთის ძირასაა გაშენებული. კოხტა, მწვანეში ჩაფლული ოდა სახლებიდან კარგად მოჩანს ცსრათვალა მზის სხივებზე მოლივლივე ზღვა.

გამრჯე და სტუმართმოყვარე ხალხია ლიხნელები. შრომაც უყვართ და დასვენებაც.

ერთ საღამოს სოფლის მოედანზე ახალგაზრდებს ტაშფანდური გაეჩაღებინათ. ხანში შესული აფხაზები კი ერთი დიდი ფიჭვის ქვეშ ჩამომხსნდარიყვნენ, ყალიონს აბოლებდნენ და თან ახალგაზრდების გართობას თვალს ადევნებდნენ.

სოფლის შარავნაზე მგზავრი გამოჩნდა. ეტყობოდა ფეხით დიდი გზა გამოეწეო. ტანსაცმელი ერთიანად დამტვერიანებოდა. ხანდახან შეისვენებდა და დამფრთხალი აქეთ-იქით იხედებოდა.

როდესაც მგზავრი ფიჭვის ქვეშ შეკრებილთ მიუ-

ახლოვდა, მოხუცებმა თავაზიანად მიიწ-მიიწიეს და ადგილი დაუთმეს.

— საით გაგიწევია შეილო, გეტყობა დიდი გზა გამოგივლია, თუ არ გეჩქარება დაისვენე, ქარი ამოიღე. უკვე შედამდა. თუ გვიკადრებ იგახშმე, ღამე აქ გაათიე. დილით კი ისევ შენს გზას ეწევი მხნე და ჯანიანი. ნუ გერიდება შეილო, სტუმარი ჩვენი სიხარულია.

მოხუცმა აღმასხანმა ჩიბუხი ხელისგულზე დაიბერტყა, შემდეგ მის ირგვლივ შეკრებილთ გადახედა და უცნობს მამაშვილურად მხარზე ხელი დაადვა.

უცნობი იქვე ჩამოჯდა, თავი ჩაღუნა და მიწას უახროდ ჩააცქერდა, ერთხანს იყუჩა, შემდეგ კი ძლივს ამოილულულა.

— სრულიადაც არ მეჩქარება. აბა საით უნდა წავიდე, სახლი მე არა მაქვს და კარი. დაგებტიალობ და ვარ, სადაც დამიღამდება, იქ ვათენებ. ასეთი ყოფილა უბედური კაცის ბედი.

აღმასხანმა გაკვირვებით გადახედა უცნობს, შემდეგ თეთრ წვერზე ხელი დანჯად გადაისვა, შეკრებილთ გადახედა, რომლებიც უცნობს ინტერესით ათვალთვრებდნენ და მას მშვიდი ტკბილი ხმით მიმართა: — ცხოვრებაში გამარჯვებული ის გამოვა, ვისაც შრომა და საქმე უყვარს; შენ, შეილო გეტყობა ბედმა ერთხელ გიმუხთლა და მას უკან ცხოვრებაზე ხელი ჩაგიქნევია. გამხნევი, ნუ გეშინია. დარჩი ჩვენს სოფელში, ხალხს გაეცანი, შეიყვარე ისინი და ხალხიც შენ შეიყვარებს. თუ შრომა არ გეზარება იყავი აქ ჩვენთან, ხელს შეგიწყობთ. შენი სახელი შეილო?

— მიხეილ კრივოსიჩინი.

— აბა, შეილო მიხეილ, რას იტყვი, დარჩები ჩვენთან თუ ისევ შენს გზას დაადგები?

— თქვენთან დავრჩები, — ყრულ უპასუხა მ. კრივოსიჩინმა აღმასხანს და თავი ზევით არ აუწევია.

* * *

სოფელი მხარში ამოუდგა მიხეილ კრივოსიჩინს, ბინაც გამოუყვეს, სატყველ-სასამელს არ აკლებდნენ და ყურადღებას.

მ. კრივოსიჩინი უცნაურად იქცეოდა. მუშაობის დამწყებაზე არ ფიქრობდა, სახლთან შეხვედრას გაურბოდა, სოფელში მხოლოდ ღამით თუ გამოვიდოდა და მაშინაც არემარეს მკლური თვალებით ზეურავდა.

ერთხელ საღამოთი სოფლის განაპირა მოხეტიალე მ. კრივოსიჩინს გზაზე შემოსვდა კარიერებზე მომუშავე მუშა, რომელიც გაკვირვებით დააცქერდა მას და შემდეგ შეყვირა.

— ბიჭოს, ამას ვის ვხედავ! შენ აქ საიდან გაჩნდი, მეუბნელო?

მ. კრივოსიჩინმა ერთხანს უნდობლად უცქირა უცნობს, შემდეგ შუბლი თანდათან გაეხსნა და როგორც იქნა ორიოდე სიტყვა ამოღერდა.

— ივანე შენ? მე ვიცოდი, რომ შენ კარგახანია დაანებე თავი კრანსოდარის მხარეში ცხოვრებას და საქართველოში გადმოდი სამუშაოდ, მაგრამ აქეთ თუ შეგხვდებოდი არ მეგონა.

მე აქ კარგახანია ვმუშაობ, ხელფასი კარგი მაქვს, ბინაც მომეცა, ერთი სიტყვით ცხოვრების კმაყოფილი ვარ. შენ, შენ რას აკეთებ, კიდევ ძველებურად, ხომ არ აპირებ მრუდე გზით სიარულს, აღარ უნდა იკმარო? რას აპირებ ასლა.

— ვნახთ, — ორჭოფულად უპასუხა მ. კრივოსხინმა. ეს მხარე კარგია, მაგრამ აქ გული არ მიდგება, აქ დიდი ხნის წინათ ერთ ჩემს ნაცნობს რამოდენიმე კაცი შემოაკვდა და თვალწინ სულ ისინი მიდგანან. არა, უნდა წავიდე აქედან. ამ ერთ კვირაში აქ ვეღარ მნახავ.

მ. კრივოსხინი არც კი გამოშვებობებია დიდი ხნის უნახავ მეგობარს და ძუნძულით გზას გაუყვა.

ივანე ვორობიოვი ერთხანს გაოგნებული იდგა მ. კრივოსხინის მოულოდნელი წასვლის გამო, შემდეგ თავისთვის ჩილაპარაკა, — არა აქ რაღაც სხვა ამბავია, რა მკვლელობაზე ლაპარაკობდა. რაიმე ავიხომ არ ვანუზრახავს მაგ უბედურს, რამდენჯერ მოიხალდა ციხე. ეტყობა ჭკუა მაინც ვერ უსწავლია. არა, ამის ასე დატოვება არ შეიძლება.

ი. ვორობიოვი იმ დღეებში იწვია გუდაუთის რაიონის მილიციის უფროსის მოადგილეს ალექსი ნანბას და მ. კრივოსხინის მიმართ თავისი ეჭვები გაუზიარა.

ალექსიმ გულდასმით მოუსმინა ი. ვორობიოვის, ბლოკნოტში მისი მისამართი და თან რაღაც ჩაინიშნა. მადლობა გადაუხადა მას და შეთანხმდნენ, რომ პირველსავე შემთხვევაში ერთმანეთს დაუკავშირდებოდნენ.

როდესაც ი. ვორობიოვი წავიდა, ალექსი წამოდგა, ერთხანს ფანჯრიდან უცქერდა მიმავალს, შემდეგ პაპირისი ამოიღო, ცეცხლი მოუკიდა და თავისთვის ჩილაპარაკა.

— ამ საქმის გადადება არ შეიძლება. სასწრაფოდ უნდა დაგვიდგეს რა კაცია ეს კრივოსხინი, შემდეგ რომელ წელს მოხდა ჩვენს რაიონში დანაშაული, რომელსაც ოჯახის წევრთა ამოწყვეტა მოყვა. დასადგენია აგრეთვე მთელი რიგი სხვა საინტერესო საკითხები. ალექსიმ ანთებული პაპირისი საფერფლეზე დააგდო, ზარის ღილაკს თითი დააჭირა და მდივანს თხოვა მორიგე ოპერატიული მუშაკისათვის მიეხმო.

როდესაც ალექსიმ საჭირო დაავლებანი მისცა კრივოსხინის შესახებ ოპერატიულ მუშაკს, ტელეფონის აპარატზე საჭირო ნომერი აკრიფა და გუდაუთის რაიონის პროკურორს მაქსიმე ასიბას დაუკავშირდა.

— ალო, გამარჯობათ ამხანაგო მაქსიმე. ალექსი ნანბა გაწუხებთ. ერთ ფრიალ საინტერესო საქმეზე უნდა მოველაპარაკოთ. თქვენთან იქნებით? კარგი, აბა ახლავე მოვიდარ.

ალექსიმ ყურმილი დადო, მდივანს დაუბარა სადაც იქნებოდა და სწრაფად გავიდა.

რაიონის პროკურორი მოხვნელთა მიღებას ამთავრებდა, როდესაც კაბინეტში ალექსი ნანბა შევიდა.

— მოუსვენარი კაცი ხარ ალექსი, ალბათ რაიმე საინტერესო საქმე გაქვს, შენ ისე არ მოხვიდოდი, აბა გისმენ.

როდესაც პროკურორმა საქმის შინაარსი მოისმინა, იგი ჩაფიქრდა და შემდეგ ალექსის მიმართ: — ძალიან საინტერესო საქმეა, ვინ იცის ეგებ ფარდა ახვადოს ერთერთ საშინელ დანაშაულს. თქვენ თქვენი მხრივ მიიღეთ რაიმე ოპერატიული ღონისძიებანი?

— დიას.

— კარგი, მაშინ ესლავე დაავადებით თუ მკვლელობის რა გაუხსნელი საქმეა ჩვენთან არქივში.

ათი წუთიც არ იყო გასული, რაიონის პროკურორის კაბინეტში არქივის გამგემ რამდენიმე საქმე შემოიტანა.

საქმეების გადათვალიერებისას ალექსის ყურადღება ერთმა მომცრო ტანის № 54 საქმემ მიიპყრო, რომლის ყდაზე ეწერა „კოლმეურნე გუმბას ოჯახის მკვლელობის გაუხსნელი საქმე. 1932 წელი“.

ალექსიმ საქმე რამდენჯერმე გულდასმით გადაფურცლა და შემდეგ პროკურორს გადააწოდა.

— ამ საქმეზე რას იტყვით?

პროკურორმა საქმე გადაათვალიერა და ალექსის მიუბრუნდა:

— კი მაგრამ ეს მკვლელობა ხომ 32 წლის წინათ არის მომხდარი. ზუსტად 32 წლის წინათ.

— სწორედ ამით არის საინტერესო ეს საქმე, ეს ერთადერთი შემთხვევაა ჩვენს რაიონში ოჯახის ყველა წევრის ამოწყვეტის. ჩვენი ცნობებით კი კრივოსხინი სწორედ ასეთ მკვლელობაზე საუბრობდა ვორობიოვთან.

საჭიროა საქმის ყველა დეტალის დაზუსტება, უნდა მოინახოს და დაიკითხოს 1932 წლის გუმბას ოჯახის მკვლელობის ყველა მომსწრე. კრივოსხინის შესახებ კი უტყუარი ცნობები უნდა შევკრიბოთ.

ეს ცნობები ხვალ უკვე ხელთ გვექნება, ამის შესახებ სათანადო განკარგულება უკვე გავეცე.

როდესაც ალექსი ნანბა პროკურორს გამოემშვიდობა და გავიდა, მაქსიმე კიდევ ერთხანს ათვალიერებდა გუმბას ოჯახის მკვლელობის გაუხსნელ საქმეს. იგი ოდნავ გარნიზებული ჩასცქეროდა გაყვითლებულ ფურცლებს, 32 წლის წინათ დატრიალებულ საზარელი მკვლელობის შემაზრუნე დოკუმენტებს და თითქმის ხედავდა გასისხლიანებულ ნაჯახს, რომელიც ბოროტ ადამიანს ზეადემართა და ბოროტ მოზიემე თავლებით ამყად დასცქეროდა მის მიერ ნაჯახით თავგაბობილ ხუთ უსულო გემს, და მეექვსე სისხლში მოფარისხალე თოხი წლის ბიჭს. მიცვალებულთა განაწავალები სახეები თითქოსდა დამნაშავის დასჯას მოითხოვდნენ.



პროკურორმა თვალზე ხელი გადაისვა, საქმე დახურა და მშვიდი მტკიცე სმით წარმოსთქვა: — ვნახოთ, ვინ იცის ეგებ კვალს წავაწყვდით.

საქმე კი ელვის სისწრაფით ყველასდა მოულოდნელად დასასრულს უახლოვდებოდა. დადგენილი იქნა კრივობიჟინის პიროვნება. იგი მეტად შავბნელი წარსული მქონე აღმოჩნდა. 1938 წელს გასამართლებული ყოფილა მკვლელობისათვის და 10 წელი მიუსჯიათ. სასჯელის მოხდის შემდეგ კიდევ ახალი დანაშაული, კიდევ 5 წლით პატიმრობა. გამოირცხული არ იყო, რომ იგი ესლაც ემზადებოდა დანაშაულის ჩასადენად და რაც მთავარია გუდაუთის რაიონის სოფელ ხოფის სოფლის საბჭოს მაშინდელმა თავმჯდომარემ ხარაზიამ, ამავე სოფლის მცხოვრებელმა დაუთიამ და გუმბას ბიძაშვილმა ა. გუმბამ ამოიციხეს 1932 წელს მათ სოფელში გუმბას სახლის მშენებლობაზე მომუშავე მ. კრივობიჟინი ფოტოსურათით.

ძაფის კვანძი გაიხსნა.

საჭირო იყო მ. კრივობიჟინის პატიმრობაში აყვანა. ღამის 10 საათი იქნებოდა. სოფელი ლიხნის კოლმეურნეთა ობლა-სახლები ილიჩის ნათურებით იყო გაჩირადდებული, მხოლოდ სოფლის განაპირა მდგარ პატარა ქოხიდან არ გამოდიოდა სინათლე.

მილიციის ორი ოპერატიული მუშაკი ქოხის ჭიშკართან შეჩერდა. სიბნელეში ხეები დევებით წამოშორებულიყვნენ. ხუთ წუთსაც არ გაეგლო, რომ ეზოში სმელი ტოტების ლაწუნი გაისმა. კიდევ ერთი წუთი და ბოხიანი მამაკაცი ჭიშკართან გაჩნდა. მთვარის შუქზე მილიციის ოპერატიული მუშაკები ხედავდნენ თუ როგორ ათვალერებდა იგი გარემოს, ბოლს ჭიშკარი გააღო და ცალი ფეხი გადმოდგა გამოსასვლელად, რომ შებრმა მტკიცე ხმამ იგი აღვილზე გააშეშა.

— მოჭალაქე კრივობიჟინ, თქვენ ჩვენთან უნდა წამოხვიდეთ მილიციის განყოფილებაში.

— მე, მე, კი მაგრამ რა დავაშავე?

— ისეთი არაფერი, ჩვენ თქვენი წარსულის ზოგიერთი დეტალის დაზუსტება გვიინტერესებს, — უპასუხა ოპერმუშაკმა.

პროკურორის კაბინეტში კრივობიჟინის თავი ჩაედუნა, ხელები თმებში ჩაეკლო და ათიოდე წუთს ასე იყო გარინდებული.

პროკურორი მაქსიმე ახიბა პაპიროსს მალიმალ წვედა და მის წინ მჯდომს თვალს არ აშორებდა.

კრივობიჟინმა თავი აიღო და თვალს საწერ მაგიდისაკენ გააპარა, სადაც „ყაზბევის“ გახსნილი კოლოფი იდო.

— მოსწიეთ, — შესთავაზა პროკურორმა.

— მე ველოდები თქვენს ჩვენებას. ამჯერად კი სწორი გადაწყვეტილება მიიღეთ, აღიარება შევბას მოგცემთ.

კრივობიჟინმა ანთებული ასანთი გამოართვა პროკურორს, ორიოდ ნაფაზი დაარტყა, შემდეგ რა-

დაც გადაწყვეტილება მიიღო, ამოიხსრა და პროკურორს მიმართა:

— დავეწიე. დავრწმუნდი, რომ წინააღმდეგობის გაწევა უკვე შეუძლებელია, არ გვერთოთ, რომ მოსალოდნელი სასჯელის შიში მალაპარაკებს ამას; ან თქვენს მიერ შეკრებილმა უტყუარმა ფაქტებმა და მოწმეებმა შემაშინა. არა, მე სულ სხვა რამემ მომიყვანა ამ მოსაზრებამდე. როდესაც სოფელ ლიხში მოვხვდი, ერთხელ კიდევ დაფიქრდი და გადავხედე ჩემი ცხოვრების-შავბნელ გზას. იმ ყურადღებამ და მხრუნველობამ, რაც ამ სოფლის კეთილმა ადამიანებმა აღმომიჩინეს, სადაც ჩემში გააღვიძა მიძინებული ადამიანი და როგორც კი თქვენს ხელში მოვხვდი, მივხვდი, რომ ჩემი წარსული ცხოვრება დასრულდა. არ გვერთოთ, რომ ან სასჯელის მეშინოდეს, ანდა თავს გაცოდებდეთ. არა, მე მინდა ერთხელ მაინც დავმეგვანო ადამიანს, მოვიშრო წარსულის კოშმარული საშინელება. მე, მე, ესლაც თვალწინ მიდგას ის სისხლიანი დღე, როდესაც...

— დამშვიდდით, მე გისმენთ.

— მაშინ 19-20 წლის ბიჭი ვიყავი, როდესაც კრასნოდარის მხარედან წამოვედი სამუშაოდ. დურგლობა მეხერხებოდა და ვიფიქრე წავიმუშავებდი და ცოტა ფულს დავაკრებდდი.

— სამუშაოდ აფხაზეთში გუდაუთის რაიონის სოფელ ჭირხვათში მოვხვდი. აქ გავიცანი ვინმე კლიჟენკო, რომელიც ამავე რაიონის სოფელ კუპალბაში მუშაობდა დღიურ მუშად მშენებლობაზე. ჩვენ თანდათან დავმეგობრდით და გადაწყვიტეთ ერთად გვემუშავა.

კრივობიჟინი ოდნავ ჩაფიქრდა და შემდეგ განაგრძო: — 1932 წელი იყო თუ არ ვცდები, აპრილის თვე, ჩვენ სოფელ ხოფში გადავიდით და მუშაობა დავიწყეთ გუნათა გუმბას სახლის მშენებლობაზე. მასპინძელი ტანასოვანი აფხაზი, შესანიშნავი კაცი გამოდგა. გარდა ხელფასისა საჭმელ-სასმელს არ გვაკლებდა.

ერთ დღეს კლიჟენკომ, სამუშაოს დამთავრების შემდეგ შემოთთავაზა სოფლის გარეთ გაგვევირნა. მე დავთანხმდი. როდესაც ხის ძირას წამოვწყვიტეთ კლიჟენკომ პირდაპირ განხილო, რომ განზარალებული ჰქონდა გავუკარცვა გუმბა, რომელსაც სახლის ასაშენებელი ფული ქონია შენახული. გეგმა უბრალო იყო: საღამოს, როდესაც ოჯახის ყველა წვეჭრი დაძინებდა ნაჯახით ხელში დაუვლიდით საწოლებს და მიძინარებს თავებს დავუხუთქავდით.

კრივობიჟინი კვლავ გაჩერდა და შემდეგ განაგრძო: — ღამის 12 საათი იქნებოდა. თვალში თითს ვერ მიიტანდა კაცი ისეთი კუნაპეტივით ღამე იყო. ჩვენ იქვე ეზოში დაუმთავრებლად ბინაში გვეჩინდა გამოილი საწოლი. ფრთხილად ჩამოვედით კიბიდან და პატარა ჯარგვალს მივუახლოვდით, სადაც დროებით ახალი ბინის დამთავრებამდე ჯ. გუმბას ოჯახი იყო შეხიზნული.

პატარა ჯარგვალში ექვს ადამიანს ეძინა; ოჯახის უფროს ჯგუნთა გუმბას, მას, მეუღლეს, მინაშ გუმბა-



ზუბხას, მათ სამ მცირეწლოვან შვილს ვიქტორს, ბა-
ბუცას და ვლადიმერს და ჯგუნთას ძმას გუდისას.

ჭრაქის შუქზე ყველაფერი ნათლად მოჩანდა, პირ-
ველად ნაჯახი ოჯახის უფროსის თავზე მე ავდმართე
და თავი გავუბე. შემდეგ, შემდეგ... რა მოხდა აღა-
რაფერი მახსოვს. ეს კი კარგად დავიმასსოვრე, რომ
იატაკი სისხლით იყო დატბორილი, ყველანი უსუ-
ლოდ ძირს ეყარნენ, თუ არ ვცდები ერთი პატარა
ოთხნობიერი წლის თავვაპობილი ბიჭი ფართხალეობდა.

— ის პატარა ბიჭი ვლადიმერი იყო, მხოლოდ ის
გადარჩა ცოცხალი.

— გასისხლიანებული ნაჯახით ხელში შუა ოთახ-
ში ვიყავი გაშეშებული, რომ ამ დროს კლიჟენკომ
ნაჯახი ძირს დააგდო და კარადას ეცა. უჯრები გად-
მოაბრუნა, მალე 13.000 მანეთსაც მიაგნო. ფულს და
სხვა ნივთებს თავი მოეუყარეთ, თავი წეს-
რიგში მოგიყვანეთ და სოფლიდან გავიპარეთ.

— თქვენ და კლიჟენკო შემდეგშიაც ერთად მოქ-
მელებდით?

— არა იმის შემდეგ, რაც ჩვენ ნაძარცვი გავიყავით
ერთმანეთს დავცილდით, შემდეგ კი გავიგე, რომ

კლიჟენკო გარდაცვლილიყო. ჩემი შემდგომი ცხოვრე-
ბის ამბავი კი კარგად იცით. აი, ეს არის სულ ჩემი
ცხოვრების თავი და ბოლო, — დაამთავრა კრივოსი-
ჟინმა და თვალი იატაკს მიაშტერა.

— პროკურორმა ზარის ღილს თითი დააჭირა.

— გაიყვანეთ პატიმარი კრივოსიჟინი, — მიმართა
მან კარებთან გაჩერებულ მილიციის მუშაკს. კრივო-
სიჟინი წელათრეული გავიდა კაბინეტიდან.

ასე გაიხსნა კოლმეურნე გუმბას ოჯახის 32 წლის
წინათ მომხდარი მკვლელობის საქმე.

პირსისხლიანი მკვლელის საქმე ამასწინათ გაარჩია
გუდაუთის რაიონის სახალხო სასამართლომ და მ. ი.
კრივოსიჟინს ღირსეული სასჯელი მიუზღო.

შ. ნ. როზაჰიძე,

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრი-
გის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმარ-
თველოს უფროსის მოადგილე.

ზ. მესენზისკარი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს
პლენუმის მდივანი.



უკანასკნელი „კოზიჩი“

1. კოზიჩი სამშვიდობოზე

მატარებლის მთავარი კონდუქტორი ნიკოლიმოვი დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ სახლისკენ მიიჩქაროდა. მან ვოგზლის მოედანი გადასჭრა და ის-ის იყო ქუჩის მოსახვევში უნდა შეეხვია, რომ შავგვრემანი, ასე ოცდახუთი წლის გამხდარი ყმაწვილი შეეფეთა.

— გამარჯობათ! ხარიტონ იაგორის ძე! — ახალგაზრდამ ქუდი მოწიწებით მოუხადა.

— ჰო... ჰო... — გააგრძელა სიტყვა რკინიგზელმა და სალამზე პასუხი არ გაუცია — მაშ, დაბრუნდი?

— დავბრუნდი, ხარიტონ იაგორის ძე!

— რატომღაც ძალზე ადრე გამოუშვიხართ... ახალგაზრდამ დამნაშავესავით რაღაცის ახსნა დაიწყო...

ნიკოლიმოვა სიცილით განაგრძო:

— მაშ, კარგი ყოფაქცევისა და შრომისათვის ვალაზე ადრე ვაგათავისუფლეს და კვლავ ჩვენ მხარეს ესტუმრე?

— დედა მყავს აქ, ხარიტონ იაგორის ძე. ცოდვაა მართლ...

— ადრე რატომ არ შეიცოდე? — მოიღუშა ძველი რკინიგზელი — ახლა რას აპირებ, კვლავ ძველი ხელობა ვინდა გაიხსენო?

— რას ამბობთ, ხარიტონ იაგორის ძე. მეყო რაც მივქარე. პირობა დავდე... თუმცა ვინ დამიჯერებს? ჩემს სიტყვას რა ფასი აქვს, სანამ საქმით არ დავამტკიცებ, რომ მეც ადამიანი ვარ...

— ცხოვრება დავგანახებს — უიმედოდ უპასუხა ხარიტონ იაგორის ძემ, წასვლა დააპირა; მაგრამ უეცრად გაახსენდა:

— შენი ძმაკაცი რაღაზე ვაათავისუფლეს ასე ადრე? იმას ხომ შენზე მეტი ცოდვები ჰქონდა ჩადენილი?

— რომელი ძმაკაცი, ხარიტონ იაგორის ძე? — ძლივს ამოილულულა ახალგაზრდამ.

— რას თვალთმაქობ. არ იცი ვიხეც გეუბნები? საშა კოზიჩი მყავს მხედველობაში. რომელიღაც სადგურში უნახავთ. ნეტა რაზე უშვებენ ციხიდან მაგისთანა ბანდიტებს?

— შეუძლებელია, ხარიტონ იაგორის ძე. მას ხომ თხუთმეტი წელი მიუსჯეს...

— თავიდან უნდა მოეცილებიათ ის არამზადა! — ბრაზიანად შესძახა ნიკოლიმოვა.

ახალგაზრდა დაიხნა. იგი გააოცა იმ ამბავმა, რომ კოზიჩი გარეთ დასეირნობდა.

— მაინც ვის უნახავს? — შეეკითხა იგი ბოლოს შიშით.

— აღარ მახსოვს. — დაბნეულად უპასუხა ნიკოლიმოვა. — თუმცა აშკარაა... რადგან კვლავ დაიწყო ვიღაცამ ჩვენ გზებზე ცელქობა... როცა შენ და კოზიჩი ციხეში იჯექით, მაშინ სიმშვიდე სუფევდა... მაშ, გამოსწორება გადაწყვიტე? — კვლავ უნდობლად შეეკითხა კონდუქტორი. — რა მეთქმის, ვისურვებ წარმატებას ახალ გზაზე!

2. სროლა ვაგონის სახურავზე

წვიმა ვაგონის კედლებს გაშმაგებით ეხეთქებოდა, ცივი წინწყლები ეშხეფებოდა გასამხედროებულ მცველ ეგოროვს, რომელსაც თოფი ფეხებს შორის ჩაედო და აძაგაგებული ცდილობდა ბრეზენტის ლაბადაში გახვეულიყო.

„დახურულ ბაქანზე რომ არ გავსულიყავი სულმთლად დავსველდებოდი. — ფიქრობდა ეგოროვი, თან ყურს უგდებდა ქარის სისინსა და წვიმის შხაპუნს. უეცრად შიშით აწრიალდა: უცებ რომ...? მაგრამ ეს აზრი მაშინვე უარყო“. — „განა ამისთანა ამინდში გაბედავს ვინმე მატარებელზე შემობტომას?“

აი, წვიმამ ნელ-ნელა გადიღო. ნათლად მოისმა ბორბლების ხრჭალი და მატარებლის ქშენა. ღრუბლებს შორის მთვარე გამოსრიალდა. ეგოროვი ძირს, მიწაზე, ვაგონის ჩრდილებს დასცქეროდა. მატარებელი მიჰქროდა და მისი სილუეტი აღბეჭდილიყო ოდრო-ჩოლო ფერდობზე ისე, როგორც თეატრის სცენაზე — ჩრდილები. უეცრად ერთ-ერთი სახურავი ჩაიხნიჭა. პირველად მცველს ფერდობის ბრალი ეგონა.

მაგრამ რატომ ჩაიხნიჭა მხოლოდ ერთი ვაგონის სახურავი? მცველი მაშინ მიხვდა საქმის ვითარებას, როცა უცნაურად ამობურცული ადგილი ადამიანის სილუეტად იქცა. ეგოროვმა იმწამსვე თოფი მოიმარჯვა. მერე გადადიქრა. მოაჯირს ეცა, მაღლა აძვრა და სველ სახურავზე გაწვა. ადამიანის მუქი მოხაზულობა ახლა ნათლად გამოჩნდა.


— ეი, ვინა ხარ? — ხმამაღლა შესძახა ეგოროვმა და ჩაჩმახი შემართა.

უცნობმა არ მოუხედავს. იგი სახურავიდან დაბლა რაღაცას ყრიდა.

ეგოროვმა ესროლა...

სახურავზე მყოფმა სწრაფად მოიხედა და იმწამსვე მცველის თავთან ტყვიამ გაიხუზუნა. ატყდა ორმხრივი სროლა. მთვარე კვლავ ღრუბლებში მიიმალა და ეგოროვმა ვერ შეინიშნა დაჭრა თუ არა ბანდიტი.

მალე სადგურის ნათურები აციმციმდა. მატარებელმა შეანელა სიჩქარე და ბოლოს შეჩერდა. ეგოროვი ძირს ჩამოხტა და იმ ვაგონისკენ გაიქცა, სადაც მძარცველი იმყოფებო-



და. ბეჟანზე არავინ იყო. ეგოროვი კვლავ მალდა აცოცდა. იქ, პროექტორების შუქზე შეინიღნადან ოთხკუთხად ამოღუნული სახურავი შენიშნა.

3. კაპიტან სტრელცოვს დავალებას აძლევენ

საგზაო მილიციის უფროსი პოლკოვნიკი კოვალიოვი მაგიდას ჩაფიქრებით დასცქეროდა. წინ გრიბოვოდან გამოგზავნილი დეპეშა ედო; მატარებლიდან ფასიანი ტვირთის მოპარვის აუწყებდნენ.

— კვლავ ცხრაას რვიდან — ნაღვლიანად თქვა მან.

პოლკოვნიკს ღია ფანჯრიდან შემოჭრილი გრილი ნიავი სახეს უფრილებდა. შემოდგომა ძალას იკრეფდა. სამხრეთის ქარი ხშირად მიჰქროდა. მზე იშვიათად გამოდიოდა. თითქმის ყოველდღე წვიმდა.

პოლკოვნიკი მაგიდიდან წამოდგა, ფანჯარა დაკეტა, რაფაზე თითები აათამაშა და კვლავ ფიქრი განაგრძო.

„მეორედ ძარცვავენ ცხრაას რვას. ეტყობა ეს მატარებელი ვიღაცას ძალზე შეუყვარდა...“

მერე პოლკოვნიკმა ყველა თავისი თანამშრომელი გაიხსენა და ჩაფიქრდა; რომელი გავგზავნა შემთხვევის ადგილას?!

— სტრელცოვი ხომ არ აჯობებდა? ჰო, სწორედ სტრელცოვი.

პოლკოვნიკმა მორიგეს დაურეკა და უბრძანა კაპიტანი სტრელცოვი მოსულიყო.

მალაღი, სწორი სახის ნაკვეთებიანი ახალგაზრდა კაპიტანი უფროსის ოთახში კიტელის სწორებით შემოვიდა.

— საინტერესო საქმე მსურს შემოგთავაზოთ, ვასილ ნიკოლოზის ძე — უთხრა კოვალიოვმა და სკამზე მიუთითა.

— გისმენთ. — მოკლედ გამოვასუხა სტრელცოვი და ფეხზე დგომას განაგრძობდა. რკინიგზის მილიციაში მოსვლამდე სტრელცოვი სხვა განყოფილებაში მუშაობდა, რომლის უფროსმაც, როგორც კოვალიოვის თანამშრომლები იხსენდნენ „თავისებურად გამოაწრთო“. თვით პოლკოვნიკი არ კიცხავდა სტრელცოვს გადამეტებული პედანტიზმისთვის. პირიქით, მოსწონდა მისი დისციპლინა, მით უფრო რომ კაპიტანი შინაგანადაც ვაკეატური შემართებისა იყო.

— აი, გაეცანით. — კოვალიოვმა დეპეშა გაუწოდა კაპიტანს. — საკმაოდ სერიოზული საქმეა. გატაცებულია ათასი მანეთის საქონელი. ამასთანავე ეს პირველი შემთხვევა როდია.

— ახლავე გავემგზავრო? — ჰკითხა სტრელცოვმა დეპეშა რომ გადითხზა.

— დიახ, ვასილ ნიკოლოზის ძე. ახლავე. ...ვაგონის დათვალიერების შემდეგ ექსპერტმა დაადგინა, რომ თუნუქის სახურავი ამოჭრილი იყო ბურღით, ზუსტად ისევე როგორც ამასწინათ.

„თვითეულ დამნაშავეს თავისი ხელწერა აქვს“ — დასძინა ექსპერტმა. ალბათ, იცითქამ ხაზზე საშუა კოზირი ბატონობდა. მას თავისებური დამაზახსიათებელი ნიშანი ჰქონდა. იგი უპირველეს ყოვლისა ვაგონის სახურავის კუთხეებს ბურღით ხერხეტდა, მერე შიგ დანას სდებდა და ხერხავდა.

— აქც ხომ ზუსტად იგივე მეთოდი გამოყენებული? — წამოიძახა სტრელცოვმა.

— დიახ, — დაუდასტურა ექსპერტმა.


— ესე იგი, შესაძლოა რომ... — სტრელცოვს რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ ექსპერტმა შეაწყვეტინა.

— არა, შეუძლებელია. საშუა კოზირის თხუთმეტი წელი აქვს მისჯილი.

4. კოზირის ყოფილი ხელშემწყობი

სტრელცოვმა საგზაო დისპეჩერისგან შეიტყო, რომ მატარებელ 908-ის ბრიგადა უკან ბრუნდებოდა, ნახევარ საათში სადგურში იქნებოდა და ამიტომ დაცდა გადაწყვიტა.

ღრო ზოზინით გადიოდა. როგორც იქნა



მატარებელი ჩამოდგა. სტრელცოვი წარუდგა ნიკოდიმოვს და ვაგონის გაძარცვის ამბავი გამოკითხა:

— საინტერესო ვერაფერს გეტყვით, ამხანაგო კაპიტანო — უხალისოდ გამოეპასუხა მთავარი კონდუქტორი. — ეტყობა გამოცდილი ქურდია. ჩემი აზრით კოზირი უნდა იყოს.

— რატომ გგონიათ? — ჰკითხა სტრელცოვმა. — კოზირი ხომ სასჯელს იხდის?

— ჰოდა მოუხდია, ალბათ, — დაბეჯითებით განაცხადა კონდუქტორმა. — თქვენ ხომ ბანდიტები გეცოდნებათ?! ისეთი ვაღთს სჯით, რომ რიგინად ამოსუნთქვასაც ვერ ასწრებთ, ისინი კვლავ გარეთ არიან და ძველ ხელობას მისდევენ.

— გმადლობთ, ამხანაგო ნიკოდიმოვ! — ერთ-ერთ გაჩერებაზე მადლობა გადაუხადა სტრელცოვმა და გამოემშვიდობა.

— რაზე, ამხანაგო კაპიტანო?! — გაკვირვებით შეიშშუშნა მხრები მან. — ვერაფერში რომ ვერ გამოვალდექით? ერთ რამეს გირჩევთ: კოზირის ყოფილ ძმაკაცს პეტია უუკოვს გავსაუბრეთ. ამბობენ, თითქოს მან გასცა გოკირო. ზუსტად არ ვიცი, ამჟამად პეტია ვადასახლებიდან დაბრუნდა და ჩვენს დეპოში მუშაობს.

— რჩევისათვის მადლობას მოგახსენებთ. უმჯობესად გავესაუბრები.

უუკოვთან შეხვედრამდე სტრელცოვმა ყოველგვარი ცნობები შეკრიბა მის შესახებ და დაადგინა, ქურდების ბანდაში პეტრე უუკად ცნობილი კოზირის ძმაკაცი უუკოვი, სასჯელის მოხდის შემდეგ სახლში დაბრუნდა და სამსახური დაიწყო ვაგონ-შემკეთებელ დეპოში. ბრიგადირისა და ოსტატის გადმოცემით იგი იქ კეთილსინდისიერად მუშაობდა.

სტრელცოვი უუკოვს საორთქმავალო დეპოს კანტონაში შეხვდა.

— გამარჯობათ, პეტრე იაგორის ძე. — მიმართა კაპიტანმა.

უუკოვმა თუმცა სალამზე უპასუხა, მაგრამ უნდობლად შეხვდა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

კაპიტანმა მოწმობა გაუწოდა. უუკოვი დიხანს ათვალეირებდა სახუტს. მერე კაპიტანს დაუბრუნა და შემცბარი ხმით უთხრა:

— გისმენთ, უფროსო!

— რატომ უფროსო? — გაიცინა სტრელცოვმა. — არ გადაიფიქრეთ ძველი ჩვეულება?

დაბნეულმა უუკოვმა რაღაც ჩაიბურღლუნა.

— შენც ერთი, რა, — მხიარულად უთხრა კაპიტანმა. — რა საჭიროა წარსულის გახსენება. მე იმიტომ გამოვიძახე, რომ რჩევა გკითხოთ.

— საამოვნებით, ამხანაგო კაპიტანო. — ნაძალადევად გაიღიმა უუკოვმა.

სტრელცოვმა ჯიბიდან რამდენიმე სურათი ამოიღო.

— აბა, შეხედეთ!

ერთ-ერთ სურათში ოთხკუთხედ ჩახერგილი ვაგონის სახურავი იყო გამოსახული. დანარჩენებში ფართო პლანიტ—ხერელი და ცალკეული დეტალები.

უუკოვი გაფიქრდა.

— თქვენ ხომ ერთ ღროს ცნობილ საშუა კოზირის ბანდაში მონაწილეობდით? — უთხრა კაპიტანმა და ისეთი იერი მიიღო თითქოს პეტიას აღელვება ვერ შენდნო — მისი „მუშაობის მეთოდები“, რა თქმა უნდა გეცოდინებათ?

უუკოვმა თავი ჩაჰქინდრა.

— კარგად დააკვირდით სურათს — კვლავ განავრძო სტრელცოვმა მშვიდი კილოთი. — განსაკუთრებით ამას. ხედავთ! აი, აქ, კუთხეში, გარკვევით მოჩანს სამკუთხედი ფორმის ნახერეტი. ეს ვაგონის სახურავის გახერხვის კოზირისებური მეთოდი ხომ არაა?

უუკოვი სურათებს დაკვირვებით ათვალეირებდა და ხელის თითები საგრძნობლად უკანაგაღებდა.

— არ გოცდეთ კოზირი რომ ვახსენე. — პეტიას პასუხს არ დაუცადა და ისევ განავრძო სტრელცოვმა. — ის დაჭერილია და სასჯელს იხდის. მაგრამ სჩანს ბანდაში იყო კიდეც ვიღაც, რომელსაც მატარებლის გაძარცვის იმგვარივე მეთოდი შეეძლო გამოეყენებინა. აი, თქვენ უნდა მიგვეითოთ, ვის შეეძლო მის გზას დასდგომოდა?!

უუკოვმა მაშინვე არ უპასუხა.

— კოზირის მეთოდს ვერაფერს გამოიყენებდა! — ხმადაბლა, მაგრამ დამაჯერებლად განაცხადა მან ბოლოს.

— ვითომ რატომაო?! ნუთუ ასე შეუძლარებელია?

— არა, უბრალოდ არავინაა, რომ მისი მეთოდი განახორციელოს, რადგან ჩემს გარდა ბანდაში არავინ იყო. თუ არ ჩათვლით იმათ, ვინც ნაქურდალებს ასაღებდა.



— აა... — ამოხენეშა ჩაფქრებულმა კაპიტანმა და თითები მაგიდაზე აათამშა. სტრელცოვმა არ იცოდა კოზირის ბანდის „სტრუქტურა“ და ახლა, თავისთავს უსაყვედურებდა, რომ ამაზე დროზე არ დაინტერესდა.

— რაც შეეხება „საქმეს“, კოზირისას ჰგავს, — დაბეჯითებით თქვა ჟუკოვმა. კვლავ სურათებს რომ დასცქეროდა.

— რაო?! — წამოიყვირა ჟუკოვის პასუხით გაოცებულმა სტრელცოვმა — შეუძლებელია! კოზირი ვადასახლებულია და ამნისტია მისთანაზე არ ვრცელდება!

— მაგის რა მოგეხსენოთ, მაგრამ ეს ნამდვილად მისი ნამოქმედარია! — ჯიუტად გაიმეორა პეტრამ. — ნახვრეტები ზუსტად ისეთივე სამწახანაგოვანი ბურღით არის ამოჭრილი, როგორსაც საშვა ფლობდა. ბურღი პირადად მე ვაფუყეთე. კოზირი სახურავს ბურღავდა, სამკუთხა ხვრელს დანით ხვრხავდა და მერე ლუნავდა ისე როგორც სურათშია. ერთი სიტყვით, ეს მისი ნამოქმედარია!

„რაშია საქმე?“ — გაიფიქრა სტრელცოვმა. — მთავარ კონდუქტორს და ჟუკოვს ეჭვი არ ეპარებათ რომ მატარებელი № 908 კოზირის გაქურდულია. ნუთუ სცდებიან?

— გმადლობთ, პეტრე იავორის ძე. — უთხრა კვლავ მშვიდად სტრელცოვმა. — იმედი მაქვს რომ შემდეგშიც არ დაიხარებთ დახმარებას.

— მაგაში ეჭვი არ შეგებაართ, ამხანაგო კაპიტანო. მხოლოდ გთხოვთ, ჩვენი საუბარი საიდუმლოდ დარჩეს, თორემ კოზირი შეიტყობს და...

— ჯერ ერთი, ჩემთვის ხელსაყრელი არაა ვინმეს რაიმე მოვუყვე. — დაამშვიდა სტრელცოვმა. — მეორეც, ძნელად დასაჯერებელია, რომ კოზირი სამშვიდობოზეა, თუმცა ასეც რომ იყოს, რას დაგაკლებთ?

— როგორ თუ რას? — გაოცდა ჟუკოვი და გამხდარი სახე გაუფიქრდა. — მომკლავს ან საშუალოდ დამასახჩრებს.

— ალბათ, მკვლელობა მისთვის ჩვეულებრივი ამბავია! ცეცხლმსროლელი იარაღი აქვს?

— არ ვიცი, ამხანაგო კაპიტანო, ჩემთვის არაფერს უცნობებია. — თქვა ჟუკოვმა ისე ბრანხანად, რომ სტრელცოვმა საუბარი სხვა დროისათვის გადასდო.

კაპიტანისთვის ერთი რამ ნათელი იყო. პეტრის ძალზე ეშინოდა კოზირის.

5. ნუთუ ნამდვილად კოზირია?

სტრელცოვი ჟუკოვს გამომეშვიდობა თუ არა, კოვლიოცს ეახლა.

— თქვენ თვითონ ვასილი ნიკოლოზის ძე

ერთი ხსნით ნიკოდიმოვისა და ჟუკოვის დაქინებას, რომ კოზირი გარეთ დასეირნობს? — ჰკითხა პოლკოვნიკმა.

— ეტყობა აქვთ რაღაც საფუძველი! — დაბნეულად უთხრა სტრელცოვმა.

— ეგ რა პასუხია! — გაიცინა პოლკოვნიკმა.

— ამჟამად გარკვევით არაფრის თქმა არ შემიძლია — მიუგო კაპიტანმა. — ფაქტები არ გამაჩნია. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი რამაა ნათელი. რკინიგზაზე მოქმედობს გამოცდილი ქურდი და კვალსაც მოხერხებულად ფარავს. დანა, რომლითაც მძარცველმა თუნუქის სახურავი გასტრა, ვერსად მოგვხახეთ.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს?! — თქვა პოლკოვნიკმა და თან რაღაც ქაღალდებს არჩედა.

— როგორ თუ რა? — გაოცდა კაპიტანი. — ამით ირკვევა დამნაშავეს გამოცდილება და სიფრთხილე.

— დაუშვით ასეა. მაგრამ, რატომ გგონიათ რომ ამ საქმის ჩამდენი კოზირია?

— ვანა ამდენი დამთხვევა საოცარი არაა? პირველი — ვაგონის გაძარცვის მეთოდი მეორე — ზუსტად ცოდნა რომელ ვაგონშია ფასიანი ტვირთი. ხომ არ ფიქრობთ რომ რკინიგზაზე კოზირის ორეული დახეტილობს?

ეს სიტყვები კაპიტანმა ისე აღგზნებით წარმოთქვა, რომ აღელვებისგან ოდნავ გაფითრდა კიდეც.

პოლკოვნიკმა გაიღიმა.

ასე ზეპირად მსჯელობა გაუმართლებელია კაპიტანო. კოზირი რომ გაქცეულიყო უეჭველად გვაცნობებდნენ. ამასთანავე დამნაშავეები, არ უბრუნდებიან იმ მხარეს, სადაც დანაშაული ჩაიდინეს.

— მართალია, მაგრამ არსებობს გამონაკლისიც, კოზირს ჟუკოვის გარდა არ ყავდა მეგობარი?

— არა ყავდა ვასილ ნიკოლოზის ძე. ჟუკოვიც მხოლოდ ატყობინებდა თუ რომელი ვაგონი იყო ძვირფასეულობით დატვირთული. დანარჩენს თვითონ საშვა აკეთებდა.

— რა საშუალებით აწვდიდა ჟუკოვი საჭირო ცნობებს? — ჰკითხა სტრელცოვმა უფრო თავის თავს ვიდრე პოლკოვნიკს. — შესაძლოა, ახლაც იმავე მეთოდით იღებს ინფორმაციას მძარცველი?

— რატომ არ შეეკითხეთ თვით ჟუკოვს?

— ჯერჯერობით ყასილად არ შევეხე მაგ საკითხს, რადგან ძალზე დაშინებულია კოზირითა და ვშიშობდი, რომ არ მეტყუოდა. თქვენ არ გახსოვთ რა საშუალებებით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს?

— არ მახსოვს — უპასუხა პოლკოვნიკმა. — ეს ხომ სამი წლის წინათ მიხდა. კარგად



მასსოვს მხოლოდ ის, რომ ყუკოვი ვაგონების დამთვალეირებლად მუშაობდა.

ჩაფიქრებული კოვალიოვი, რომელიც ოთახში ბოლოს სცემდა, უეცრად კაპიტნის წინ შეჩერდა:

— თვით ყუკოვზე ხომ არ გაქვთ რაიმე ეჭვი?

— არა მგონია, რომ ძველ ხელობას მიყოს ხელი, ამხანაგო პოლკოვნიკო.

— მაინც უფრთხილდით. მე კოზირის შესახებ დღესვე დავაზუსტებ ყველაფერს.

6. ლეიტენანტი კარცევი სულით ეცემა

მილიციის მუშაებმა მატარებლის შედგენის მეთვალყურეობა სატვირთო პარკიდან დაიწყეს. მეორე დღეს სტრელცოვმა იქ კარცევი გაგზავნა, თვითონ კი შეუღდა იმ ადგილების შემოწმებას, სადაც მატარებლებს ტვირთად დენდ და საეჭვო ვერაფერი შენიშნა. ამ ხნის განმავლობაში რკინიგზის მილიციაშიც არავითარი საინტერესო ცნობა არ მიუღიათ. ბაზრებში, მაღაზიებში, სამკერვალო სახელოსნოებშიც არ აღმოჩნდა ნაქურდალი ნივთების კვალი. შეწყდა ქურდობა მატარებლებში.

„რაშია საქმე? — ფიქრობდა სტრელცოვი. — რატომ მიჩუმდა ყველაფერი? სად მაღავენ ან სად ასადებენ ნაქურდალს? შესაძლოა ჩვენ დავაფრთხეთ? არა, თუ ნამდვილად კოზირია, ასე ადვილად არ დაშინდებოდა. ბოლოს და ბოლოს უნდა გავარკვიოთ ვინაა ქურდი?!

როგორც იქნა მოვიდა ცნობა, რომ თხუთმეტი წლით მისჯილი ალექსანდრე კოზირევი ერთ თვეზე მეტია პატიმრობიდან გამოიქცა.

— ახლა, ვასილ ნიკოლოზის ძეც — უთხრა კოვალიოვმა. — გვაქვს ერთგვარი საფუძველი ეჭვი შევიტანოთ კოზირზე. დიდი მუშაობა დავგვირდებთ.

კაპიტანი გულს არ იტყუნდა. ამხნევებდა თავის მეგობარ კარცევს.

— აბა, მიშა, საქმეს კარგი პირი უჩანს.

— მაგრამ ხელშესახები რომ არაფერი გვაქვს?

— სამაგიეროდ ცნობილია, რომ დამნაშავეს ვიღაც აწილის ცნობებს. ის ხელისშემწყობი უნდა აღმოვაჩინოთ და იქიდან დავიწყობთ ქსელის გასხნა.

— პარკში ხომ საეჭვო ვერაფერი ვნახეთ და საერთოდ... — კარცევმა სიტყვა უიმედო ოხვრით დამთავრა.

სტრელცოვმა უკმაყოფილოდ შეხედა ლეიტენანტის დაღვრემილ სახეს.

— წადით, დაისვენეთ ლეიტენანტო. საუბარი ხელს ვანავრძობთ.

— კეთილი, — ხმადაბლა უპასუხა ლეიტენანტმა.

როგორც კი კარცევი გავიდა, ოთახში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. კოვალიოვი ურცხვად.

— ვასილ ნიკოლოზის ძეც. ახლახან ყუკოვმა დარეკა. ეტყობა ძალზე აღელვებულია. მიღება მთხოვს. ჩემი აზრით, მისი გამოჩენა ჩვენთან არ ივარგებს. უმჯობესია თქვენ მიხვიდეთ.

— გასაგებია, ამხანაგო პოლკოვნიკო.

7. ტყვია კედელში

სტრელცოვს კარები პეტამ გაუღო.

— დედა მეზობლებთან გავგზავნე — რატომღაც ჩურჩულით უთხრა მასპინელმა კაპიტანს. მჭრქალი სინათლის (ოთახში ენთო მხოლოდ მაგიდის ნათურა) შუგ აჩრდილებსაგან ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ყუკოვის ოთახი სხვადასხვა ნივთებით იყო გაქედილი.

— დაბრძანდით, ამხანაგო კაპიტანო. — ყუკოვმა სრულიად მშვიდად, სტუმართმოყვარული შესტით მაგიდასთან მიიპატიჟა.

კაპიტანი გაოცდა: „აქი პოლკოვნიკმა მითხრა რაღაც აღელვებული იყო...“

— არ მინდოდა თქვენი შეწუხება, ამხანაგო კაპიტანო. — ჩურჩულებდა პეტია და თან სუფრას ასწორებდა. — მე თვითონ მინდოდა მოსვლა... უტებ გაჩუმდა, სწრაფად მივარდა ფანჯარას და ფარდა გულმოდგინედ გაასწორა.

— იცით, რა მინდოდა მეტქვა! — კვლავ აჩუჩულდა მასპინძელი. — გახსოვთ, რომ შემეკითხეთ, აქვს კოზირის იარაღი? აქვს, ტ. ტ. სისტემის რევოლვერი, ამხანაგო კაპიტანო. აი, მისი იარაღის ნამოკმეღარი.

ყუკოვმა მაგიდის ნათურას უქეფარი მოხსნა და უფერულ შპალერგაკრული კედლის ნაწილი გაანათა. ერთ ადგილას შპალერი გახეული იყო და ხის კოჭები ერთმანეთს ოდნავ დასცილებოდა. პეტამ შპალერის ბოლო ორი თითით ოდნავ ჩამოსწია.

— ხედავთ ამ ნახვრეტს? მასში ჩემთვის გამიზნული ტყვია... მასპინძელს ხმა აუკანკალდა, ხარბად დაეწაფა მაგიდაზე მღვარ ჩაიდანს, დალია და განაგრძნო: — სიტყვა შევუბრუნე იმ მხეცს... ფსიქოპატს! შემდეგ ძალზე მეშინოდა მისი. ხელ-ფეხი მიკანკალებდა, როცა გაბრაზებით შემომხედავდა. შესანიშნავი მსროლელი იყო და საკვირველია, როგორ დამაცლა. მას შემდეგ მის ბრძანებებს უსიტყვოდ ვასრულებდი.

პეტამ კვლავ მოსვა ჩაიდიდან რამდენიმე ყულუბი. — ახლა რომ გაიგოს ჩვენი საუბარი, (შესაძლოა იცის კიდევ) აღარ ამაცილებს.

— რატომ გგონიათ რომ იცის? — გაოცდა სტრელცოვი.

— დედამ მითხრა, ერთ საღამოს ჩვენს ფან-

ჯარასთან კოზირის მსგავსი კაცი დადიოდა. აი, ეს მინდოდა მეტყვა. თუ ნამდვილად ისაა აუცილებლად ანდერძს ამიგებს.

სტრელცოვი მიხვდა, პეტია ისე იყო დაშინებული, რომ ყველაფერ კოზირი ელანდებოდა. „იქნებ, კოზირი ნამდვილად ეძებს ჟუკოვს?“

— შესაძლოა სამუკას კვლავ სურს თქვენი გამოყენება? — გულგრილად შეეკითხა სტრელცოვი.

— რას ბრძანებთ, ამხანაგო კაპიტანო, ხმა დაიარსა თითქოს კოზირი მე გავეცი და ეტყობა, ახლა ანგარიში უნდა გამისწოროს... კიდევ რომ მომენდომებინა განა შემეძლო დაბეზლება? რა ვიცოდი მასზე? ის ყველაფერს მარტო აკეთებდა. მე მხოლოდ ცნობას ვაწვდიდი ძვირფასეულობით დატვირთული ვაგონების შესახებ.

— საინტერესოა როგორ ახერხებდით?

— მაგისათვის დიდი ეშმაკობა არაა საჭირო. — ნაღვლიანად გაიღიმა მასპინძელმა. — მე როგორც ვაგონების მეთვალყურე ვიცოდი სად რა იყო მოთავსებული. სამუკას დეპეშით ვატყობინებდი, რომლის შინაარსს მხოლოდ იგი ხედავდა.

— ალბათ, ვაგონის ნომერს აცნობებდით!

— არა, რატომ ნომრებს? ღამით ვაგონზე ნომრების ამოკითხვას შეესძლებდა? მე ვატყობინებდი ძვირფასეულობით დატვირთული ვაგონი მატარებლის დასაწყისიდან მერამდენე იყო. ეს ძალზე იოლია...

— დიახ, ძალზე იოლი ხერხია... თქვა ჩაფიქრებულმა კაპიტანმა, წამოდგა და ჟუკოვს ხელი გაუწოდა. — გმადლობთ, პეტრე იავორის ძე. კოზირზე რაიმე თუ შეიტყვეთ...

— შეგიძლიათ იმედი იქონიოთ, ამხანაგო კაპიტანო. — აჩქარებით გაეპასუხა ჟუკოვი. — მაგ ამბით თქვენზე უფრო მე ვარ დაინტერესებული.

8. პოლკოვნიკ კოვალიოვის გეგმა

მეორე დღეს პოლკოვნიკმა კოვალიოვმა გამოიძახა სტრელცოვი.

— აბა, ვასილი ნიკოლოზის ძე — მხიარულად უთხრა მან. — აი, აგერ, ახლოს დაჯექით და ზოგიერთ რამეში გავერკვეთ.

სტრელცოვი მაგიდას მიუჯდა.

კოვალიოვმა რკინიგზის გეგმა დაუღო.

— ხედავთ, — პოლკოვნიკმა თითი გააყოლა გეგმას. — აქ ყველა ფოსტა აღნიშნული. მოდით და გავერკვეთ. საიდან, კერძოდ, რომელ სადგურიდან უკეთესო ვინმეს ფართულად მატარებლების მიმოსვლა დაეთვალისწინებინა. თქვენი ყურადღება სადგურ ღუბუხაზე მინდა გავამახვილო. იქ, თუ გახსოვთ, ხშირი ბუჩქნარი სადგური-

დანვე იწყება. სამეთვალყურედ იმ ადგილ-ში უკეთესი ადგილი ძნელი მოსაძებნია.

— დიახ, — არც თუ ისე დაბეჯითებით დაუდასტურა კაპიტანმა და გონებადაცხადი იმ სადგურის ადგილმდებარეობის გახსენებას ცდილობდა.

— თქვენი ყურადღება მინდა გავამახვილო კიდევ იმაზე — განაგრძობდა პოლკოვნიკი — როგორც გეგმაზე ხედავთ, ეს სადგური დიდი არაა და არც ბევრი მატარებელი მოძრაობს. ასე რომ, ძალზე ადვილია ყველაფერს დანახვა.

— თქვენი აზრით, ვიღაცა სწორედ ამ სადგურიდან ათვალისწინებს მატარებლების მოძრაობას?

— არა მარტო მატარებლებს, არამედ ვაგონებსაც, რომელშიც ძვირფასი ტვირთია. ფოსტაც იქვე ახლო მასლო მდებარეობს. ხვალვე გაემგზავრეთ და ყველაფერი დეტალურად დაათვალიერეთ.

9. სადგური ღუბუხა

„რა ღმერთი გამიწყრა, რომ გუშინ სულელური ეჭვებით განვიმსჯეალე — ნაღვლიანად ფიქრობდა ლეიტენანტი კარცევი. — სწორი იქნება ვასილი ნიკოლოზის ძე, ჩემს მაგიერ რომ სხვა ვინმე შეარჩიოს.“

დღის დასასრულს სტრელცოვმა გამოიძახა ლეიტენანტი და ყსილად ქალადგებში იქექებოდა, თითქოს ახალგაზრდა თანამშრომლის მოთმინების შესწავლას ცდილობდა.

— მიშა, იცი რა?! — უთხრა ბოლოს კაპიტანმა. — აი, ეს, ხელმოსაწერად პოლკოვნიკ კოვალიოვს წაუღე, და ხვალისათვის მანქანა შეუყვეთ. სადგურ ღუბუხაში უნდა წავიდეთ.

ისინი დილა ადრიან გაემგზავრნენ. ბეჯითად შეისწავლეს ღუბუხის ადგილმდებარეობა.

ბუჩქნარიდან მართლაც ნათლად ჩანდა სადგურის ტერიტორია.

— ყველაფერი ხელისგულივით ჩანს — აღნიშნა კაპიტანმა. — უკეთესი ადგილი მატარებლის დათვალისწინებისათვის ძნელი წარმოსადგენია.

სტრელცოვმა და კარცევმა მოითათბირეს შემდგომ როგორ მოქცეულიყვნენ და სხვადასხვა მხარეს გაემართნენ. ლეიტენანტი სოფლის, ხოლო კაპიტანი სადგურის საფოსტო განყოფილებას ესტუმრა.

ერთი საათი გავიდა სხვადასხვა კალიგრაფიით დაწერილი დეპეშა-ბლათსების დათვალისწინებაში, მაგრამ კაპიტანმა და ვერც ლეიტენანტმა საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს.

— თქვ გაგახარებთ პოლკოვნიკს — ნაღვლიანად თქვა კაპიტანმა, როცა მძღოლის გვერდით მოთავსდა. — არ გამართლდა მისი ვარაუდი...

— რატომ, ამხანაგო კაპიტანო? — შეეკითხა კარცევი. — ვანა კოზირისთვის მარტო დუბუკადან შეეძლოთ გაეგზავნათ დეპეშა? მეზობელი სადგური? მაგალითად პრუდკი? აქიდან ვერ გაგზავნიდნენ?

— ვერა, მიშა, ვერ გაგზავნიდნენ. — დაბეჯითებით თქვა სტრელცოვმა — დროს დიდი მნიშვნელობა აქვს და სანამ იქ მიაღწევდა ცნობა...

— მაშ, რაშია საქმე? — დაბნეულად შეეკითხა კარცევი.

— საქმე იმაშია, მიშა, რომ არასწორი გეგმა შევიმუშავეთ. ჩვენ გვეგონა კოზირი შაბლონურად მოქმედებდა, მაგრამ ეტყობა სულ სხვანაირად აქვს საქმე ორგანიზებულს.

— სახელდობრ რა, ვასილი ნიკოლოზის ძეგ?

— თუ გნებავთ კავშირი!

10. კვანძი იხსნება

დუბუკვიდან დაბრუნებულმა სტრელცოვმა შემოწმების შედეგები პოლკოვნიკს მოახსენა. კოვალიოვმა ბეჯითად მოუსმინა და მერე უთხრა:

— გუშინ, სადგურ პრუდკაში დამით საყელო აწეული და კეპახაოფხატული ყუკოვი უნახავთ. ერთი სიტყვით, ისე იქცეოდა, თითქოს ცილოზდა არავის ეცნო. როგორ ფიქრობთ, რაში დასჭირდა იქ გამგზავრება?

— რა ვიცი — გაკვარვებით ვაასაგსავა ხელეზი სტრელცოვმა. — რა თქმა უნდა, გამგზავრება შეეძლო რაიმე საქმეზე, მაგრამ თუ რატომ ცილოზდა ვერავის ეცნო, ეს მართლაც საოცარია.

კოვალიოვმა რამდენიმე ხნის ღუმისის შემდეგ უპასუხა:

— ყუკოვის პრუდკაში გამგზავრებამ დამაეკვა და ამიტომ იქ უფროსი ლეიტენანტი ბატურიანი გაგზავნავენ. აი, ახლახან მომასხენეს, რომ ბატურიანი დაბრუნდა და ორივე მოვისმენთ რას მოგვახსენებს.

ბატურიანი დიდხანს არ ალოდინა. მალე შემოვიდა, კაპიტანს თავი დაუქრა და კოვალიოვის მაგიდაზე ქალაქები დააღაზა.

— ეს გახლავთ, პრუდკის საფოსტო განყოფილების შემოწმების შედეგი.

— ჰო, ჰო... საინტერესოა! — გამოცოცხლდა პოლკოვნიკი — გაეცანით ვასილ ნიკოლოზის ძეგ.

ბატურიანს მხოლოდ ორი დეპეშის ტექსტი ამოეწერა. პირველში ეწერა: — „მიტია ცხრაშეტში ჩვიდმეტით ჩამოვა“ მეორეში: „ოცნი სრულწლოვანი ხდება კატია. არ დაგავიწყდეს მილოცვა თვრამეტში“ ორივე დეპეშის ხელმოწერა და გაგზავნის დრო სხვადასხვა იყო.

— მიხვდით საქმის ვითარებას ვასილი ნიკო-

ლოზის ძეგ? — შეეკითხა პოლკოვნიკი. — ეს საკმაოდ გულუბრყვილო შიფრია.

— ამ დეპეშების შინაარსი ჩემი აზრით ასეთია: პირველის — „ფასიანი ტვირთი მეცხრაშეტე ვაგონში. მცველი მეჩვიდმეტეში“. მეორესი — ფასიანი ტვირთია მეოცეში. მცველი მეთვრამეტეში“ — წარმოთქვა ბატურიანი.

— მაგრამ, ასეთი თვითნებური განმარტება საფუძველს მოკლებულია — წარმოთქვა სტრელცოვმა.

— დეპეშის გაგზავნის დროს ზუსტად ემთხვევა მატარებელ ცხრაასრვის გაქურდავს. ესეც საფუძველს მოკლებულია? — შეეკითხა ბატურიანი.

— შესაძლოა ეგეც შემთხვევითობის ბრალია, ისევე როგორც დეპეშების თვითნებური განმარტება. — ჯიუტობდა სტრელცოვი.

— დაუშვით ეგრეა, განაგრძობდა ბატურიანი. — მაგრამ პირველად მატარებლის გაძარცვის დროს მცველი ნამდვილად მეჩვიდმეტე ვაგონში იმყოფებოდა. ხოლო ძვირფასი ტვირთი მეცხრაშეტეში. თქვენი აზრით ესეც შემთხვევითობაა? ამასთანავე მეორე დეპეშის ტექსტიც ემთხვევა მატარებელ ცხრაას რვის გაძარცვას!

— ერთი დამთხვევა შესაძლოა შემთხვევითობას მიეწეროს — დაასკვნა კოვალიოვმა — მაგრამ შემთხვევითობა ორჯერ არ მეორდება.

11. სტრელცოვი კვლავ ხვდება ყუკოვს

მეორე დღეს სტრელცოვი სამუშაო ოთახიდან თითქმის არ გამოსულა. მის მაგიდაზე ცნობარები, მატარებლის განაწესები და რკინიგზის სადგურის სქემები იყო გაშლილი. დაბნეულა როცა კაპიტანმა შინ წასვლა გადაწყვიტა, უცებ ტელეფონი აქვარუნდა. მორიგე მოახსენა: ვილაც მოქალაქეს თქვენი ნახვა სურსო.

— რა გვარია? — ჰკითხა ნაწყენი კილოთი სტრელცოვმა, რადგან კიდეც რამდენიმე ხანს მოუხდებოდა დარჩენა.

— ყუკოვი, — უპასუხა მორიგე.

— პეტრე იაგორის ძე, — გაოცდა სტრელცოვი, — ახლავე შემოუშვით.


ყუკოვს ძველი ლაბადა ეცვა. ხელში კეზი ეკაზა.

— მამატიეთ, ამხანაგო კაპიტანო, ასე გვიან რომ შეგაწუხებთ, მაგრამ ერთი ტიპი ვნახე და...

— კოზირი?

— არა, სხვა, მასთან ერთად სასჯელს იხდიდა.

— კოზირთან რაიმე საერთო ჰქონდა?



— როგორ გითხრათ... — გაურკვევლად წარმოთქვა ეუკოვმა.

— დაბრძანდით! — სთხოვა კაპიტანმა, — და დწვრილებით მომიყევით.

— ამჟამად ზუსტად არაფრის თქმა არ შემიძლია. მხოლოდ ვფიქრობ, რომ კოზირთან აქვს კავშირი.

— მისი გვარი ხომ არ გახსოვთ?

— გვარი არ მახსოვს, ზედმეტ სახელად „ეუკოვლს“ ვეძახდით.

— რატომ მიინდამინც „ეუკოვლს“?

— ამბობენ თითქოს უკრაინულ კულაკის ოჯახში დაიბადაო. და ამიტომ „ეუკოვლი“ შეარქვეს. მაგრამ, მე მარტო ამისთვის არ მოვსულვარ, ამხანაგო კაპიტანო.

ეუკოვმა ჯიბიდან ამოიღო ვაცრეცილი სურათი. მანვე გამოსახული იყო საშუალო ხნის მუქთმიანი, რაღაც უსიამოვნო, უფრო მეტიც, მრისხანე შესახედაობის კაცი.

— ეს კოზირია. — თითქმის რაღაც შეუმჩნეველი მოწიწებით წარმოთქვა ეუკოვმა.

სტრელცოვით ერთხანს ცნობისმოყვარეობით ათვალერებდა ცნობილი ბანდიტის ფიზიონომიას. მერე ჰკითხა:

— როგორი მოყვანილობისაა?

— ჩაფსკენილია. ცირკის მოჭიდაეეს ჰგავს, ძალზე ღმირიერია. თუ ხელი შემოგარტყა, მტრისას. გამოგადგებათ ეს სურათი?

— გამოგადგება, პეტრე იაგორის ძეგ. აი, თქვენ თქვით რომ „ეუკოვლს“ ჯერჯერობით ვერაფერს გეთყვითო. ეს წამოგცდით თუ მერე მოგვიყვებით რაიმეს მის შესახებ?

ეუკოვმა არც თუ ისე დარწმუნებით უპასუხა: — ამხანაგო კაპიტანო, შესაძლოა შემდეგში მოვიყვებ თუფრო ზუსტად.

12. კაპიტან სტრელცოვის ვერსია

ეუკოვი წავიდა თუ არა სტრელცოვმა კოვალიოვს მიაციხა და ხმაამოუღებლად სურათი გაუწოდა. კოვალიოვმა დახედა.

— საშვა კოზირი? საიდან გაქვთ ეს სურათი?

— ეუკოვმა მოიტანა.

— ეუკოვმა? — გაოცდა პოლკოვნიკი.

— დიახ, დაუდასტურა სტრელცოვმა და მოუყვა ეუკოვთან საუბარი.

პოლკოვნიკი ყურადღებით უსმენდა და როცა კაპიტანმა დაამთავრა, ჰკითხა:

— მაშასადამე პრუდში მოგზაურობაზე არაფერი უთქვამს?

— არა, მაგრამ ვფიქრობ რომ სწორედ იქ შეხვდა ამ „ეუკოვლს“.

ორივე გაჩუმდა. ბოლოს პოლკოვნიკმა დასძინა:

— პრუდკის სადგურზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

— აუცილებლად, ამხანაგო პოლკოვნიკო და იი, რატომ. — სტრელცოვმა ამოიღო ასოებით აჭრელებული ქაღალდი და კოვალიოვს გაუწოდა — მე შევამოწმე დეპეშის გაგზავნისა, და ამ სადგურში მატარებელ ცხრაასრვის მოსვლის დრო. გამოირკვა შემდეგი: მატარებელი ჩამოდის პრუდკში ჩვიდმეტ საათზე. ხოლო დეპეშები გაგზავნილია პირველი — ჩვიდმეტ საათზე და ოცდახუთმეტ წუთზე, მეორე — ჩვიდმეტ საათსა და ორმოც წუთზე, მაშასადამე მატარებლის ჩამოსვლის დაახლოებით ოცდახუთმეტის ორმოცი წუთის შემდეგ დრო საქმარისია, რომ დაათვალიერო მატარებელი და ხელსაყრელ გარემოების შემთხვევაში ყველაფერი ზუსტად შეატყობინო კოზირს ან მისი თანამონაწილეს სადგურ გრიზოვოში.

— ესეიგი თქვენ ფიქრობთ, რომ ვიღაც კოზირისთვის საჭირო ცნობებს სადგურ პრუდკში აგროვებს? — შეეკითხა კოვალიოვი.

— უღაღო. — დამაჭერებლად უთხრა სტრელცოვმა. — და ეს ინფორმაცია გრიზოვოში აღწევდა არა უმეტეს თხუთმეტ ოც წუთში, დაუშვით ნახევარ საათში. მაშასადამე, დაახლოებით თვრამეტ საათზე. მატარებელი ცხრაასრვა კი ჩადის იქ ოცსა და ოცდაათ წუთზე. მძარცველის განკარგულებაში ორ საათ ნახევარია. ამ ხნის განმავლობაში რა თქმა უნდა რიგიანად მოეშალება. თქვენ რას იტყვიან?

— ლოგიკურად ყველაფერი სწორია, — ხოზინით უპასუხა კოვალიოვმა.

— პრაქტიკულად? — დაიძაბა სტრელცოვი.

— ნახევარი საათის წინ — უპასუხა კოვალიოვმა — დარეკა გრიზოვოს სადგურის უფროსმა და შემატყობინა რომ პრუტკიდან გუსაკოვისა და ტიურინის სახელზე გაგზავნილი დეპეშები ჯერ-ჯერობით არავის მოუკითხავსო.

— რას ამბობთ, ამხანაგო პოლკოვნიკო? — გაოცდა სტრელცოვი და გონებადაბნეულმა კოვალიოვს პაპიროსი სთხოვა. მოუკადა, ნაფასი დაარტყა და რადგან არ ეწყოლა სული შეეგუბა და ხევივდა აუტყდა.

— ჩემო ძვირფასო, განა უაზრობა არაა ტყუილუმბრალოდ დეპეშების გაგზავნა? — აღნიშნა კოვალიოვმა.

— მაგრამ ხომ გაიგზავნა?


— სწორედ მაგაშია საქმე.

ორივე ჩაფიქრდნენ.

— რა იქნება, ასე რომ მოვიტყუებ — წარმოთქვა სტრელცოვმა და მოყვა გეგმას, რომელიც დიდი ხანია მოფიქრებული ჰქონდა.

კოვალიოვმა ყურადღებით მოუსმინა კაპიტანს და თავი გაღიქნა.

— არა მგონია ასე ადვილად გაებას იმ მანეში, რომლის დაგებასაც თქვენ ცდილობთ.



— ჩვენ რას ვკარგავთ?
— თუნდაც იმას, რომ თუ ვერ დავივირთვით, დაშინდება. ჩვენ კი ჯერ ბევრი რამ არ ვიცით..

— ყველაფერი ნათელია... — დაიწყო აღელვებულმა სტრელცოვმა, მაგრამ პოლკოვნიკმა უკმაყოფილოდ გააწყვეტინა:

— ნუ ჩქარობთ. მოდით მოვითათბიროთ. პირველი და მთავარი საფუძველი დეპეშის გაგზავნისა არის მმარცველისათვის ძვირფასი ტვირთისა და დაცვის განლაგების შეტყობინება.

კოვალიოვმა აუჩქარებლად მოქაჩა პაპიროსი, უფრო კოხტად მოთავსდა სავარძელში და განავრძო: — მეორე ის, რომ ბოროტმოქმედს აინტერესებს მატარებელი ცხრაას რვა. არც ესაა სადავო. იგი მიდის გრიბოვოში დამით. ეს დამინაშავისთვის სავსებით ხელსაყრელია. კიდევ რა პირობებია მისთვის ხელსაყრელი?

— ამინდი. მოკლედ მოსჭრა კაპიტანმა.
— დიხ. ამინდი. ღრუბლიანი და ბნელი. ეს სამი პირობა ჩვენი აზრით ექვს არ იწვევს. დანარჩენი საიდუმლოებით არის მოცული.

— ყოველივე ზემოჩამოთვლილი ჩემი გეგმის განხორციელებას ხელს უწყობს. — დაბეჯითებით თქვა სტრელცოვმა, რომელსაც პოლკოვნიკის მოსაზრებებმა ხასიათი წაუხდინეს. კაპიტანს მოეჩვენა რომ პოლკოვნიკი სიფრთხილის გამო საქმის ვითარებას განზრახ ართულებდა, რათა უარეყო ან დროებით გადაედო მისი გეგმის განხორციელება.

კოვალიოვი ფანჯარას მიუახლოვდა, გააღო და რაფს ჩამოეყრდნო, მერე სტრელცოვისკენ მკვეთრად შემოტრიალდა, გადაწყვეტილი ხელი ჩაიქნია და წამოიძახა:

— ე, რაც არის არის, ვირისკოთ, ვასილ ნიკოლოზის ძე!

ავდრიანი ამინდი იღვა. წვიმადა. ჰქროდა ქარი. სადგურ პრუდკში სატვირთო მატარებელი ნომერი ცხრაასრვა ჩამოდგა. ვაგონების კარებები და საკეტები შეამოწმა ვასამხედროებელი დაცვის ახლაგზრდა თანამშრომელმა. იგი სიცივისგან გათოშილიყო. თოფიც კი, რომელიც ილიაში ამოეღო, რაღაც არა შემართულად გამოიყურებოდა.

დაიძრა თუ არა მატარებელი, თანამშრომელი მაშინვე ჩამოხტა კიბიდან და მეორე გადახურულ ვაგონს მიაშურა, რომელიც ქარისგან დაცული იყო. ამგვარი გარემოება თითქმის ხელსაყრელი გახლდათ, რათა კოზირი „საქმეზე“ წასულიყო. მეკავშირეს უთუოდ უნდა ეცნობებინა მისთვის, მაგრამ იმ დღეს გრიბოვოში დეპეშა არავის გაუგზავნიდა.

— რაშია საქმე? — შეეფოთებოთ შეეკითხა სტრელცოვი პოლკოვნიკ კოვალიოვს. — ნუთუ მიხვდნენ ჩვენს განზრახვას?

— ყველაფერი მოსალოდნელი... — გაურკვევლად უპასუხა პოლკოვნიკმა.

მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ, ერთ-ერთმა ოპერწმუნებულმა, რომელიც სადგურ პრუდკში მორიგეობდა, პოლკოვნიკს მოახსენა: გრიბოვოში შემდეგი შინაარსის დეპეშა გაიგზავნათ:

„ღეიდა პაშამ მისამართი შეიცვალა. მოსწერეთ ხოლმე შემდეგ მისამართზე: კრასინის ქუჩა, ნომერი ოცდასამი, ოთახი ოცი. გორნოსტაევი“.

— და მერე ეს, შეესაბამება მდგომარეობას? — ჰკითხა კოვალიოვმა.

— ზუსტად, ამხანაგო პოლკოვნიკო. — დაუდასტურა ოპერწმუნებულმა. — ფასიანი ტვირთი ოცდასამში, მცველი მეოცე ვაგონში.

— შეიტყვეთ დეპეშის გამგზავნის ვინაობა?

— დიხ, მეთვალყურეობის ქვეშ ავიყვანეთ. იმ კაცს ჩვენ ვიცნობთ... ორლიოკოვია, სადგურში ლუდით ვაჭრობს.

შუალამისას კოვალიოვს გრიბოვიდან დაუტყვეს.

— ცხრაასრვის მოსვლამდე ნახევარი საათი დარჩა. გორნოსტაევის სახელზე გამოგზავნილი დეპეშის მისაღებად კი არავინ მოსულათ.

— კეთილი, — მშვიდად უპასუხა პოლკოვნიკმა.

13. საფარში

საშინელი დღე იყო. მოღრუბლული, წვიმიანი. ისეთი ცივი ქარი ჰქროდა რომ სამგზავრო ლაბადას შიგნითაც აღწევდა. პრუდკის სადგურში სატვირთო მატარებელი ჩამოდენი-მე წუთით შეჩერდა. ვასამხედროებულმა თანამშრომელმა, რომელსაც ილიაში თოფი ჰქონდა ამოჩრილი, სწრაფად დაათვალიერა მეოცე გადახურული ვაგონის დალუქული კარები და მერე ბაქანზე ავიდა.

ვაგონსა სასტვენის ხმა. მატარებელი დაიძრა. გვერდზე ჩაიქროლეს ბოძებმა, ქოხებმა, გზაჯვარედინზე მდებარე გზის მაჩვენებელმა ნათურებმა...

ვაგონის ბნელ კუთხეში, რომელიც მცველმა დაათვალიერა, კაპიტანი სტრელცოვი იჯდა. უეცრად მან ყურადღება დაძაბა. პირველად ბორბლების რიტმული ხმაურის გარდა ვერაფერი გაარჩია. მაგრამ, აი, მადლა სახურავზე, რაღაც ახმაურდა. სტრელცოვი გაინაბა. იქნებ მოეჩვენა? თუმცა ნათლად მოესმა მძიმე საგნის ბრახუნი, რომელმაც თითქმის გასჭრა თუნუქის სახურავი და ვაგონის ზედა ფიცარი.

ბოროტმოქმედმა სახურავზე გააკეთა ოთხი ნახვრეტი და წარმოიშვა დაახლოებით სამი ოთხი მეტრის ოთხკუთხედი, მერე ერთ-ერთ



მათვანში ჩასდო დანის მავგარი რკინა და ხე-
რხვა დაიწყო. ყოველივე ამას ძალზე მოხერ-
ხებულად და სწრაფად აკეთებდა.

სტრელცოვს, რომელიც მამაც კაცად ითვლე-
ბოდა, შიშისაგან თმები აებუტრძვლა. იგი თითე-
ბით უნებლიედ იარაღის ტარს ჩაეჭიდა. მან
შეამჩნია, როგორ დაიწვია ყრუ გრუხუნით და-
ბლა სახურავი და მერე ყველაფერი მიჩუმდა.

— რა მოხდა, იქ, მალა?

უეცრად თითქმის კაპიტნის თავთან სროლა
გაისმა. მის მოყვა მეორე... სტრელცოვმა დას-
კვნა: პირველად კოზირმა ისროლა. ალბათ, კარ-
ცევს არ ეყო ნებისყოფა და ნერვიულობისაგან
ფრთხილად ვერ მიუახლოვდა ბოროტმოქმედს.
ნეტა, რით დამთავრდა შეტაკება?

სროლა შეწყდა თუ არა სახურავზე ფეხების
ბრახუნი გაისმა. მოცდას აზრი აღარ ჰქონდა.
კაპიტანი მხრებით მიაწვდა ვაგონის გახერხილ
ჭერს და ხმაურით აანგრია. სტრელცოვი თავი-
სუფლად აძვრა და გაიქცა იქითკენ, სადაც სა-
მუხრუტე ბაქანი მდებარეობდა. სანამ დაბლა
ჩაძვრებოდა, სახურავზე გაწვა და დაბლა გა-
დინებდა. არავინ ჩანდა. სტრელცოვი სწრაფად
ჩახტა და ჯიბის ფარანი აანთო. სინათლე მუ-
ქად აირეკლა სველ კედლებზე, მოეფინა ჭუჭ-
ყიან ბაქნის იატაკს, მერე მოაჯირს ვადაანათა
და გვერდზე მდებარე ვაგონის ბნელი კუთხე
გაანათა. წვიმამ გადაიღო. ცა აღრინდელივით
მოდრუბულულიყო. გარეთ ბნელოდა. მატარებე-
ლი ქშენით ისე ნელ-ნელა ადიოდა აღმართზე
თითქოს ეს-ესაა გაჩერდებო.

ალბათ „კოზირი“ ჩახტა. რა თქმა უნდა კარ-
ცივიც დაედევნებოდა. ნეტავი სად არიან ამ-
ჟამად?

14. სახლი გზის პირად

სტრელცოვი აჩქარებით გაემართა გრიბოვოს
მიმართულებით და ოდნავ ჩამიჩუმზე ყურად-
ღებას ამახვილებდა. ასი მეტრიც არ ჰქონდა
გავლილი რომ ვიდაცამ შეუძახა:

— შეჩერდი! ვინ მივსი!

სტრელცოვს მილიციის მუშაკი ეგონა, მავ-
რამ რკინიგზის დარაჯი აღმოჩნდა, რომელსაც
ფარანზე ბრევენტის პლაშის კალთა გადაეფარ-
ებინა.

— ძალიან კარგი რომ გნახეთ, ამხანაგო კა-
პიტანო. — წარმოთქვა მან. — ლეიტენანტი ეს-
ესაა აქ შემეფეთა და ვაჩვენე საითაც გაიქცა
მატარებლიდან ჩამომხტარი კაცი.

— საით გაიქცა? — სიტყვა შეაწყვეტინა
სტრელცოვმა.

— სოფლისკენ, — უპასუხა დარაჯმა და ხელი
მინდვრებისკენ გაიშვირა.

სოფლამდე რომ მანძილი შეემოკლებინა კაპი-

ტანი პირდაპირ დამრეცილ ბორცვისკენ გაემა-
რთა. როცა ტალახში ამოგანგლული, ოფლად-
გადვრილი სტრელცოვი ბორცვზე ავიდა, პატარა
ბილიკზე შეამჩნია კაცი, რომელიც მისკენ მო-
დიოდა. სტრელცოვმა დაუძახა:

— ეი, რომელი ხარ?

— სერჟანტი ეგოროვი! — გამოეპასუხა უც-
ნობი.

— ასე რატომ ყვირიხარ? — გაბრაზდა
სტრელცოვი. — იქნებ ვინ გეძახით?

— ხმაზე გიცანიო, ამხანაგო კაპიტანო. —
ამჟამად ჩურჩულთ სცადა თავის გამართლება
მან.

— ვინმესთვის ხომ არ მოგიკრავთ თვალი?

— არა, ამხანაგო კაპიტანო. მხოლოდ, აი,
იქ, განაპირა სახლთან ძალი რაღაც საეჭვოდ
აყევდა.

— როგორ თუ საეჭვოდ?

— თითქოს გააფთრებული უცხოს უყევდა,
მერე უეცრად დაღუშდა.

— მაშ, მივიდეთ იქ.

ისინი ხეებს შორის ფრთხილად მიიპარებო-
დნენ და სოფლის ბოლოში მდებარე სახლს
მიუხალოდნენ. მესერიდან დაახლოებით ხუთი
მეტრის დაშორებით სტრელცოვმა ხეს ამო-
ფარებული კაცი შენიშნა და აღნაგობაზე მა-
შინვე ლეიტენანტი კარცევი ამოიცნო.

— მიშა! — დაუძახა ხმადაბლა.

კარცევი მოულოდნელობისაგან შეკრთა და
სწრაფად შემობრუნდა.

— რას მეტყევი ახალს? — მაშინვე პირში
მიახალა კაპიტანმა.

— გამოვეკიდე... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად მო-
ხსენა ლეიტენანტმა. — თუმცა რას დავეწეოდი
მან აქ, ყველა ბილიკი ზეპირად იცის. მე კი
სიბნელეში და ტალახში... მოკლედ კინალამ
გამექცა, მაგრამ როცა სახლს მიუახლოვდა სწო-
რედ ამ დროს იღბლად ძაღლმა გასცა.

— რატომ გგონია რომ სახლი მისია? — ჰკი-
თხა კაპიტანმა.

— ძაღლის ყეფა მაშინვე შეწყდა. მაშასადა-
მე, სახლი მისია ან იქ ცხოვრობს მისი საუ-
კეთესო მეგობართაგანი. ამჟამად ძაღლის გამო
ვდგევარ აქ და ვერ გადამიწყვეტია როგორ
მოვიქცე. რომ მივიდე, ძაღლი აყევდება.

— მართალი ხარ... ეშმაკმა დასწყველოს ეგ
პირუტყვი! — შეიკურთხა სტრელცოვმა — მაშ,
რა ვქნათ, მიუღი დღე ასე ხომ არ ვიდგებით?

15. კვლავ ხელიდან გაუსხლტათ

ისინი თამამად მიუახლოვდნენ სახლს. მათ
გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, ძაღლი არ
აყევდებულა. როგორც კი ეზოში ფეხი შედგეს
ოთახში სროლა გაისმა.



— მომეყვით! დაიძახა სტრელცოვმა.

სირბილის დროს მან ხელით ანიშნა კარცევს, რომ სახლისთვის უკნიდან შემოევიღო. თვითონ და სერჟანტი კარებს ეცნენ. დიდი წვალეების შემდეგ ჩაკეტილი კარი გააღეს და შევიდნენ. კაპიტანმა ჯიბის ფანარით ოთახის კედელი გაანათა და მერე სინათლე ჩართო. მილიციის მუშაკებმა დაინახეს, რომ იატაკზე საცვლებს ამარა მთლად გასისხლიანებული კაცი ეგდო. მეორე ოთახში სახურავის ასასვლელთან მაღალი სკამი იდო და ზედ ტალახიანი ფეხების კვალი ეტყობოდა.

— ერაშინს! სწრაფად, სახურავზე! — უბრძანა სტრელცოვმა და დაჭრილს დააცქერდა.

იგი თვალედაბლა დაიხრია, მძიმედ კენკსოდა და სახეზე აუტანელი ტკივილი აღბეჭდოდა.

— ვინ დაგვრათ? — შეეკითხა კაპიტანი.

დაჭრილმა პასუხად მხოლოდ დაიკვნესა და თავი სამზარეულოსკენ უსიცოცხლოდ გადაიქნია.

სტრელცოვმა ხალათი გადაუხსნა.

— ხელში დამჭრა... — მისუსტებული ხმით წარმოთქვა მამაკაცმა და კვლავ აკვნესდა.

— ცოტახანს მოითმინეთ. ახლავ შევიხვეთ. — დაამშვიდა კაპიტანმა და თან ოთახს ათვლიერებდა.

— აი, პირსახოცი აიღეთ, — დაჭრილმა განჩინა მითითა.

სანამ სტრელცოვი ჭრილობას უხვევდა, ეროშინი სახურავიდან ჩამოვიდა.

— გაგვექცა, არამზადა — აღშფოთებით თქვა მან. — სახურავზე გრძელი ჯოხია, ალბათ, მისი საშუალებით გადახტა მეზობელ ეზოში.

— მერე და, დროს რაღას კარგავთ? — გაბრაზდა კაპიტანი — ახლავ დაედევნეთ!

მალე ლეიტენანტი კარცევიც დაბრუნდა და მოახსენა:

— კვალი სრულიად არ ჩანს, ამხანაგო კაპიტანო. ამასთანავე წვიმამ დაუშვა და ირგვლივ ყველაფერი ატალახდა...

— მამ, იცით როგორ მოიქცეით? — გააწყვეტინა საუბარი სტრელცოვმა. — დაუეჯავირდით ელანკსა და გრიბოვოში მყოფ ოპერატიულ ჯგუფებს. აბა, იმოქმედეთ!

ლეიტენანტი რომ წავიდა, სტრელცოვი დაჭრილის მახლობლად სკამზე ჩამოჯდა.

— როგორაა საქმე. გტყვიათ.

— ძალიან. ეტყობა ძვალა დაზიანებული.

— შეძლებთ ჩემს კითხვებზე პასუხის გაცემას?

— ვეცდები...

— თქვენი გვარი?

დიმიტრი ეგორის ძე გორობჩიკი. აი, იქ, კოსტუმის ჯიბეშია საბუთები...

— ის ტიპი როგორ მოხვდა თქვენთან?

გორობჩიკმა მაშინვე არ უპასუხა და როცა ლაპარაკი დაიწყო, მის ხმაში დამნაშავე ადამიანის წუხილი გაისმა.

— სამი თუ ოთხი თვის წინათ გავიცანი. მითხრა სავაჭრო დარაში ვმუშაობო. ერთხელ მანქანითაც წაიყვანე... მძლოლად ვმუშაობ ავტობუსზე.

გორობჩიკი კვლავ აკვნესდა და თვალები დახრია.

სანამ იგი ტკივილს იოკებდა კაპიტანმა საბუთები გაუხსნა.

— შემდეგ რამდენჯერმე შეეხვდით, — სული მოითქვა გორობჩიკმა. — ერთხელ სახლშიც მოვიდა ჩემთან. ძვირფასი საკოსტუმე შემომთავაზა, მაგრამ მაშინ ფული არ მქონდა და აი, დღეს კვლავ მომაკითხა. სოფელში კრებას უნდა დავესწრო და შეიძლება საღამოს შენთან გავითო დამეო.

— გვარი არ უთქვამს? — ჰკითხა სტრელცოვმა.

— ტინონოვიო თუ ტინორევი... ზუსტად არ მახსოვს. სახელად საშუა ჰქვია. დიდხანს ვუცავ. მერე დასაძინებლად დავეწვი, რადგან დილით ადრე სამსახურში უნდა წავაუღოყავი. დალილი ვიყავი და მაშინვე ჩამეძინა. უცრად ძილში პოლკანის ღრენა შემომესმა. წამოვდექი. შეგუძახე ძალღს და ჭიშკარი გავადე.

— მოითმინეთ! — შეაწყვეტინა სტრელცოვმა. — ამჟამად სადაა თქვენი პოლკანი?

— მარანში ჩაავადო იმ არამზადამ. არ გეხმით, ახლაც იქ ფახფუხობს... ჰოდა, გავაღე ჭიშკარი, შემოვიყვანე სახლში, — განავრძობდა გორობჩიკი. — რაღაც უცნაურად იქცეოდა, მძიმედ სუნთქავდა, მთლად ტალახში იყო მოთხერილი...

— როგორი შესახედავია?

— ჩაფხვნილი, მხარბუკიანი, ბოშასავით შავ-გვრემანია და თვლებიც მუქი აქვს.

— ამას ხომ არ გავს? სტრელცოვმა კოზირის სურათი აჩვენა.

დაჭრილი დააკვირდა და მერე არც თუ ისე დამაჯერებლად წარმოთქვა.

— ისე რა...

გორობჩიკს ეტყობა კვლავ ატკივდა ხელი, აკვნესდა, კბილები ააკრაქუნა.

„ღარ გავაწვალე კითხვებით“, — გაიფიქრა სტრელცოვმა, მაგრამ გორობჩიკმა თვითონვე განავრძო:

— ვიგრძენი, რომ რაღაც შეემთხვა. გავიფიქრე კიდევ, ნასვამი ხომ არ არის მეთქი? და ამ დროს თქვენც დააკაუნეთ ჭიშკარზე. კარების გაღება რომ დავაპირე, კისერში ხელი მომიკიდა და მითხრა: „არ გავადო კარის გაღებაო“. შიშით კინაღამ ფეხები მომეკვეთა და უნებლიედ კარებისკენ რამოდენიმე ნაბიჯი გა-



დავდგი. საშკამ მაშინვე იძრო რეგოლვერი და მესროლა... აღარაფერი მახსოვს. როცა გონს მოვედი, ოთახში ბნელიდა (ეტყობა შუქი გამოართო) და თქვენც შემოხვედით...

კაპიტანმა სახლი დათვალიერა, მაგრამ საეჭვო ვერაფერი შენიშნა. კარებს ნატყვიარი აჩნდა.

ჩანს „კოზირმა“ იმ დროს ესროლა გორობჩიკს, როცა ეს უკანასკნელი კარებისკენ გაემართა.

„როგორ დავეხმარო დაჭრილს?“ — ფიქრობდა კაპიტანი. ამ დროს ოთახში შემოვიდა ადგილობრივი პოლიციის მედისინის და, წამლებითა და სახვევებით ხელში. იგი ლეიტენანტ კარცევს გამოეგზავნა. ამგვარად „კოზირის“ დაპატიმრება ვერ დაგვირგვინდა წარმატებით, იგი თითქოს მიწამ ჩაყლაპა.

საშკა „კოზირის“ კვალს მეორე დღესაც ვერ მიაკვლიეს. მესამე დღეს სოფელში პოლკოვნიკი კვალიოვგი ჩამოვიდა.

— მაშ, კვლავ გაგიძვრათ ხელიდან? — რატომღაც ძალზე მშვიდად იკითხა მან.

— ვერ გავიგეთ მიწამ უყო პირი თუ ცამ. — ნაღლიანად უბახუხა კაპიტანმა.

— რატომ არაფერს შევითხებით კოზირის მეგობარ ორლიკოვზე? ჩვენ იგი უკვე დავაპატიმრეთ. — თქვა სიცივისგან წელში მოხრიალმა პოლკოვნიკმა.

— დავითხეთ კიდევ?

— დავითხეთ... ჯერ-ჯერობით ჯიუტობს.

— ჩემის აზრით „კოზირის“ საქმეებში მისი თანამონაწილეობა ეჭვს არ იწვევს, — დამაჯერებლად თქვა სტრელცოვმა.

— მე ძალზე მაეჭვებს ორლიკოვის სრულიად დამარწმუნებელი ტონი; „კოზირის“ საქმეში ვერავითარ ბრალს ვერ დამდებთ.

— საერთოდ, რა ტიპია?

— რეციდივისტი. ორჯერ მოუხდია სასჯელი. პროტექციით მოეწყო სადგურ პრუდკოში გამყიდველად. გამოტყდა რომ სისტემატურად ურევდა ლულში წყალს, მაგრამ „კოზირის“ საქმეებში მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფხ.

— ეუკოვს რომ შევახვედროთ ეგ ორლიკოვი, ურიგო არ იქნება! — თქვა სტრელცოვმა.

— რა მიზნით? — წარბეხა აქიმა პოლკოვნიკმა.

სტრელცოვი სდუმდა. მას რატომღაც ზჯეროდა რომ ეუკოვისა და ორლიკოვის ერთმანეთთან დაპირისპირებით რაღაც გაირკვეოდა.

— გახსოვთ, რომ მოგახსენეთ. ამასწინათ ეუკოვი ვიდაც საეჭვო კაცს შეხვდა მეთქი? — მიმართა სტრელცოვმა პოლკოვნიკს. — მაშინ, განვებ დამწვრილებით არაფერი მიკითხავს. ხომ შესაძლოა რომ სწორედ ორლიკოვს შეხვდა?

ჩემი აზრით დაპირისპირება საქმეს ხელს არ შეუშლის!

კოვალოვი რამდენიმე წუთს ჩაფიქრდა. მერე დასტურის ნიშნით თავი დაიქნია.

სტრელცოვმა იმავე დღეს გამოიძახა ეუკოვი.

— გახსოვთ, პეტრე იაგორის ძეგ, — ჰკითხა მან საშკა „კოზირის“ ყოფილ მეგობარს. — ამასწინათ რომ მითხარით „კურკულს“ შეეხვედით?

— როგორ არა, ამხანაგო კაპიტანო. კარგად მახსოვს.

— ჰოდა, ერთ ტიპს გაჩვენებთ, კარგად დაუჯერდით. შესაძლოა იცნო.

— კეთილი, ამხანაგო კაპიტანო. — თავი დაუქნია ეუკოვმა.

— თქვენგან მხოლოდ ერთ რამეს მოვიტხოვთ. ხომ არ არის ის ტიპი სწორედ ის „კურკული“ მატარებელში რომ შეეხვედათ.

— ეგ ადვილი საქმეა. — კვლავ თავი დაუქნია ეუკოვმა.

სტრელცოვს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ორლიკოვი იგივე „კურკული“ და ეუკოვთან შეხვედრა პატიმარს თავგზას აუბნევდა. რადგან ეუკოვს შეეძლო სხვა რამეშიც ემხილა იგი. მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად დატრიალდა.

ორლიკოვი სრულიად არ დაბნეულა. პირიქით გაუხარდა კიდევ ძველ მეგობართან შეხვედრა. ეუკოვმა ორლიკოვის დანახვისთანვე გაწბილებულმა წამოიძახა:

— ა... გამარჯობა „სემეფორო!“ . მე მეგონა „კურკულს“ ვიხილავდი. „კურკულის“ ხსენებაზე ორლიკოვს სახე წამოუწითლდა, რაც მხედველობიდან არ გამოჩენია სტრელცოვს. თუმცა „სემეფორო“ იმ წამსვე მოეგო გონს და გულგრილად წარმოთქვა.


— ეჰ, ნეტა, რამ გავახსენა „კურკული“. დიდი ხანია მასზე არაფერი ისმის.

— როგორ, შენი მეგობარი იყო და ნუთუ არაფერი გაგიგონია?

შენც კარგად იცი რომ „კოზირთან“ ერთად ჩავარდა, — მშვიდად მიუგო ორლიკოვმა. — ალბათ, სასჯელს იხდის.

ამგვარად სტრელცოვმა მნიშვნელოვანი ვერაფერი გაიგო და ბრძანა პატიმარი წაეყვანათ.

— იცი რას გეტყვით, — უთხრა ეუკოვმა სტრელცოვს, როგორც კი მარტო დარჩნენ. — აჰ, რაღაც სულ სხვა ამბავია.. შეუძლებელია ორლიკოვმა არაფერი იცოდეს „კურკულის“ შესახებ. ადრე თქვენთვის ნათქვამი მაქვს, რომ მე და კურკული ერთად ვიხიდილი სასჯელს, ერთ-ერთ მშენებლობაზე, მხოლოდ სხვადასხვა უბანზე, ამიტომ არ ვიცი მისი გვარი. ამასთანავე ჩვენ ხომ უმთავრესად ერთმანეთს შედგებდით სახელებით მიგმართავთ ხოლმე. სასჯელში



მოხიზადა „კურკულმა“ თუ ამნისტიით გამოვიდა, ეს არ ვიცი, მაგრამ ჩემი თვლით რომ ვნახე ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ. მატარებელში მოვკარი თვალი, სპეციალურად სადგურ პრუდროკამდე გავყევი. იგი „კოზირის“ ნდობით აღჭურვილი პირი იყო და ხელს უწყობდა ნაქურდალის გასაღებაში და ამიტომ ძალზე დაინტერესდი გამეგო სად დასახლდა და რას საქმიანობდა ამჟამად, მაგრამ სადგურში ჩამოვიდა თუ არა უეტრად ისე გაქრა, რომ თვალი ვერსად მოვკარი.

სტრელცოვმა გაუწოდა ყუკოვს საშუალო ხნის მამაკაცის სურათი, რომელიც ეტყობა საქმიდან ამოვლო.

- ბეტრე ეგორის ძეგ. ხომ არ გინახავთ ეს კაცი სადმე?
- ყუკოვმა შეხედა თუ არა სურათს დაიძახა:
- ეს ხომ „კურკულა“!
- დარწმუნებული ხართ?
- რა თქმა უნდა, ისაა.

17. გადამწყვეტი მოქმედება

სტრელცოვმა ყუკოვთან საუბარი კოვალიოვს მოახსენა. პოლკოვნიკმა მაშინვე ბრძანა:

— მოემზადეთ. ახლავე უნდა წავიდეთ. თან რომელიმე სერჟანტი წამოიყვანეთ.

კოვალიოვმა მძღოლს მანქანა გრიბოვოს მილიციის განყოფილებასთან გააჩერებინა და კარცევის გვერდით მჯდომ სერჟანტს სთხოვა შესულიყო განყოფილების უფროსთან და ეკითხა სად იყო ამჟამად გამოძიებული ბატურინი.

რამდენიმე წუთის შემდეგ სერჟანტი ბატურინთან ერთად დაბრუნდა.

— დაჯექით! — მოკლედ უბრძანა პოლკოვნიკმა უფროს ლეიტენანტს და მანქანა კვლავ გზას გაუდგა. — მომახსენეთ რა არის ახალი?

— იმ დღეებში, როგორც ჩვენ ვფიქრობდით, ერთი ტელეგრაფისტი მორიგეობდა.

- რა გვარია?
- ავერანოვი.
- მერე გამოტყდა?
- არა, სდუმს.
- სდუმს? — იკითხა პოლკოვნიკმა.

— დიახ სდუმს. — დაუდასტურა უფროსმა ლეიტენანტმა მაგრამ, ყველაფერი ნათელია. ავერიანოვი ქმრის გვარია. მისი ნამდვილი გვარი გორობჩიკია.

— გორობჩიკი? — კვლავ იკითხა პოლკოვნიკმა და კაპიტანმა შენიშნა, როგორ განათდა მისი დაღილი სახე. — მამსადამე, ყველაფერი ნათელია.

ნახევარი საათის შემდეგ მანქანა სოფელ

პირველ მაისის ბოლოს მდებარე სახლთან შეჩერდა.

კარიბჭეზე სტრელცოვმა დააბრაზუნა, ეზოში ძაღლი აყეფდა. კაპიტანმა ცოტა შეიცადა და კვლავ დააბრაზუნა. კვლავ არავინ გამოსულა სახლიდან. მხოლოდ ძაღლი იღრინებოდა.

— იქნებ გაიქცა? — წაიჩურჩულა სტრელცოვმა.

— არა, არ გაიქცეოდა! — დარწმუნებით თქვა კოვალიოვმა. — აბა, სად უნდა გაიქცეს? ჯერ ერთი დღეა, მეორეც, თუ მიხვდა რისთვის მოვედით, იმასაც ვაითვალისწინებდა რომ სახლს ალყა ექნება შემორტყმული. სულელი არაა, პირიქით ბოლომდე განავრძობს უდანაშაულო ადამიანის როლის განსახიერებას.

სტრელცოვმა გადაწყვიტა კიდევ დაებრაზუნებინა და სწორედ ამ დროს მამაკაცის ბოხი ხმა გაისმა.

— ადგილზე ვოკან! რას აყეფდი!

გორობჩიკს არც უკითხავს ვინ აბრაზუნებდა და სწრაფად გააღო კარები.


კაპიტანმა ლაბადის ჯიბეში რევოლვერის ტარს ხელი მოუჭირა. მასპინძელი ღიმილით შეეგება:

— ა... ეს თქვენ ბრძანდებით, ამხანაგო კაპიტანო. გამარჯობათ!

— გამარჯობათ „კოზირის“ ორეულო — დინჯად უპასუხა სტრელცოვმა.

— ბოდიში, რა, რის „კოზირი“ — გაოცდა გორობჩიკი. — თქვენი ხუმრობის არაფერი მესმის.

— სრულებით არ ვარ ხუმრობის ხასიათზე, — სიტყვა გააწყვეტინა კაპიტანმა. — გეწყინათ, „კოზირის“ ორეული, რომ გიწოდეთ? მაშ,



„კურკულს“ დაგიძახებთ, შესაძლოა ეს ზედმეტი სახელი უფრო მოგეწონათ.

გოროზიკის ისე ეკავა თავი რომ სახეზე აღელვება სრულიად არ ეტყობოდა.

— თქვენი ნებაა, — უპასუხა გოროზიკმა განაწყენებული კილოთი. — იხუმრეთ რამდენიც გნებავთ. ეტყობა ვილაცაში გერევით...

— ამჟამად არა, — თქვა ამდენხანს მღუმარედ მყოფმა პოლკოვნიკმა, რომელიც ცნობის-მოყვარეობით ათვალთვრებდა გოროზიკს. — ამხანაგო სერჟანტო, ჩასვით მანქანაში!

როცა გოროზიკი კოვლიოვის ოთახში შეიყვანეს, აღშფოთებული ალაპარაკდა.

— ვანა ეს შეიძლება, პატივცემულო უფროსო. როგორც კი დამნაშავე სასჯელს მოიხდის და პატიოსან გზას დაადგება, მაშინვე რაღაც შარს მოსდებენ.

— ესე იგი, არ უარყოფთ რომ ქურდები „კურკულს“ ვეძახიან, არა? — ჰკითხა კოვლიოვმა.

— რატომ უნდა ვუარყო? — მხრები აიჩეჩა გოროზიკმა. — მაგაზე ადვილი დასადგენი რაა. თუმცა გულახდილად რომ ვთქვათ, როცა სამსახურში ვეწყობოდი, დამავიწყდა ნასამართლობა ანკეტაში აღმენიშნა. „კოზირს“ რატომ მეძახით მაინც ვერ გამოვიგა?

— „კოზირის“ ორეულს?! — გაუსწორა კოვლიოვმა. — თქვენ ხომ მის სახელს ამოფარებული საქმიანობდით?

— როგორ თუ ამოფარებულე? არც მიფიქრია...

— მართალია. პირველად არ გიფიქრიათ — მკაცრად გააწყვეტინა სიტყვა პოლკოვნიკმა. — ჯერ გსურდათ მისი მეთოდები გამოგეყენებინათ. შერე როცა ხმა გავრცელდა, რომ თქვენ მიერ ჩადენილ საქმეებს „კოზირს“ აბრალეზდნენ გაგებარდათ, რადგან გეგონათ გამოძიება არასწორ გზას დაადგებოდა. შეცდომაში

შეგვიყვანე, გვითხარი თითქოს ვილაც ბანდიტმა დაგჭრა, რომელიც გარეგნობით „კოზირს“ მოგავდა. სინამდვილეში კი ლეიტენანტმა კარცევემა გესროლათ სატვირთო მატარებლის სახურავზე.

— იცით, რა ვითხრათ! — წამოიძახა გააფთრებულმა გოროზიკმა, — მაგას დამტკიცებულა.

— დამტკიცებთ კიდეც! — დინჯად უპასუხა კოვლიოვმა და პაპიროსი გააბოლა. — თქვენი დაც, ავერიანოვი — გოროზიკი, ალბათ მოყვება რაღაც-რაღაცეებს... დუნდაც იმას, თუ როგორ გატყობინებდათ გუსაკოვსა და ტიურინის სახელზე გამოგზავნილ დეპეშების შინაარსს. ამასთანავე საქმეს მცირეოდენ სინათლეს მოჰყენეს თქვენი მკვამირე „სემაფორად“ წოდებული ორლიკოვიც.

გოროზიკს არ სურდა ფარ-ხმალის დაყრა. ამიტომ პოლკოვნიკისა და კაპიტანის მოსაზრებებს ჯიუტი დუმლით, ხან ირონიული ღიმილით პასუხობდა. გამოტყდა მხოლოდ მაშინ, როცა მის სახლში საიდუმლო ზვრელს მიაგნეს, სადაც ნაქურდალი ნივთები ელავა.

ამ საქმეებთან დაკავშირებით კაპიტანი სტრელცოვი დაინტერესდა თვით „კოზირის“ ბედით და ვაარკვია, რომ იგი ციხიდან გაქცევის დროს მძიმედ დაჭრეს და დაიღუპა ერთ-ერთ ჭაობში.

— შეიძლება თამამად ითქვას, რომ მოვიშორეთ უკანასკნელი „კოზირი“, — შვებით ამოისუნთქა კაპიტანმა.

— იმედი ვიქონიოთ, — დაახუსტა კოვლიოვმა. — რომ სიტყვითა და საქმიანთა ის ყოფილიყო ავაზაკთა ბრბოს უკანასკნელი წარმომადგენელი.

თარგმნა ბორის მირცხულავამ.

მონოპოლია სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის პრინციპებს*

სარეცენზიო ნაშრომი წარმოადგენს საზღვა-
არგარეთის სოციალისტური ქვეყნების სახელ-
მწიფოსა და სამართლის პრინციპების მონო-
გრაფიულ გამოკვლევას.

ეს წიგნი არის პირველი და მეტად ნაყო-
ფიერი ცდა იმისა, რომ დახმარება გაეწიოს
მეცნიერების ამ დარგით დაინტერესებულ
სტუდენტობას, აგრეთვე ყველა სხვა პირს.

ავტორმა მეტად რთული ამოცანა დაისახა.
მისი მიზანი იყო მოეცა საზღვარგარეთის სახა-
ლხო დემოკრატიის ქვეყნების სახელმწიფოსა
და სამართლის ორიგინალური განმარტება, და-
ედგინა ის ძირითადი სახელმწიფოებრივი და
სამართლებრივი ურთიერთობანი, რომლებიც
აღმოცენდებიან საზღვარგარეთის სოციალის-
ტური ქვეყნების მძლავრი ეკონომიური განვი-
თარების, პოლიტიკური ცხოვრების ჩამოყალი-
ბების პროცესში. ეჩვენებინა ამ ურთიერთო-
ბების რეგულირების სწორი გზები და მეთო-
დები. ავტორის მიზანი იყო წარმოედგინა აგრე-
თვე იმ ძირითადი წყაროების ნუსხა, რომელიც
ხაფუძვლად დაედო საზღვარგარეთის ქვეყნე-
ბის სახელმწიფოსა და სამართლის სისტემის
ჩამოყალიბებას. ამ საკითხების გადმოცემის
შემდეგ ავტორი ითვალისწინებდა ზოგად ფორ-
მებში შეხებოდა საზღვარგარეთის სოციალის-
ტური ქვეყნების კონსტიტუციური წყობის სა-
კითხებს და კომუნისტური და მუშათა პარტიე-
ბის ხელმძღვანელ როლს სოციალიზმის გზით
სახალხო დემოკრატიის ქვეყნების განვითარე-
ბაში.

წიგნის ავტორმა მის წინაშე დასახული რთუ-
ლი ამოცანა წარმატებით გადაწყვიტა. ამაში
მას დაეხმარა მეთოდოლოგიურად სწორად
არჩეული გზა.

სარეცენზიო ნაშრომი შეიცავს 8 თავს. პირ-
ველ თავში გადმოცემულია საზღვარგარეთის
სოციალისტური ქვეყნების სახელმწიფო სამა-
რთლის ცნება, საგანი, წყაროები და სისტემა.
ამ თავში ავტორის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ
სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სახელმწიფო
სამართალი მებრძოლი, პარტიული მეცნიერება
და რომ იგი მტკიცედ ვითარდება რევიზიონიზ-
მთან, დოგმატიზმთან, ოპორტუნიზმთან, ბურ-
ჟუაზიულ იდეოლოგიასთან შეუთრეგებელ
ბრძოლაში.

იურიდიულ მეცნიერებაში ერთ-ერთ რთულ
პრობლემას სამართლის განმარტება წარმოად-
გენს. სამართლის სხვადასხვა დარგების განმარ-
ტების ვარიანტების სიმრავლე დღემდე გრძელ-
დება. ამიტომ არის, რომ ყოველი მკვლევარის
მიერ ჩამოყალიბებული სამართლის ამა თუ იმ
დარგის განმარტება დიდ ინტერესს იწვევს.
სამართლის კონკრეტული დარგის ყოველ ახალ
კარგ განმარტებას სიზუსტე შემოაქვს.

ყურადღებას იპყრობს მონოგრაფიის მე-
რველ თავში მოცემული სახალხო დემოკრატიული
ქვეყნების სახელმწიფო სამართლის განმარტე-
ბა. ავტორის გამოთქმით „სახალხო დემოკრა-
ტიული ქვეყნების სახელმწიფო სამართალი წუ-
რმოადგენს სახალხო რესპუბლიკების სამართ-
ლის ძირითად დარგს, რომელიც, გამომდინარე
მუშათა კლასისა და სხვა მშრომელი მასების
ნება-სურვილიდან, განამტკიცებს სახალხო-დე-
მოკრატიულ საზოგადოებრივ და სახელმწიფო-
ებრივ წყობილებას, სახელმწიფო აპარატის
სტრუქტურას, მისი ჩამოყალიბებისა და მოღ-
ვაწეობის უმთავრეს პრინციპებსა და მოქალა-
ქეთა უფლებრივი მდგომარეობის ძირითად სა-
წყისებს“.

* ა. კარანაძე. საზღვარგარეთის სოციალისტური
ლობა. „ცოდნა“, 1964 წ. გვ. 164

ამ განმარტების სრულყოფასა და სიზუსტეში ავტორს შეიძლება შევედით. სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სახელმწიფო სამართალი არა მარტო განამტკიცებს, არამედ, რაც მთავარია, აწესრიგებს სახალხო დემოკრატიულ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების პირობებში აღმოცენებულ ურთიერთობებს, აღგენს საარჩევნო სისტემის ძირითად პრინციპებს და სხვა (ეს საკითხები განმარტებაში გამოტოვებულია). მაგრამ განმარტებაში მოსაწონია ის, რომ ავტორის მიერ ორიგინალურად არის ჩამოყალიბებული საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების სამართლის ზოგადი შინაარსი.

პირველ თავში განმარტებულია სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სამართლის, როგორც უმაღლესი სოციალისტური ტიპის სამართლის ცნება, სახელმწიფო სამართლებრივ ურთიერთობათა შინაარსი, ჩამოყალიბებულია სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტების სახეები, გაშუქებულია სახელმწიფო სამართლის სისტემის ძირითადი საკითხები.

საარეცენზიო ნაშრომის II თავის შინაარსი მეტყველებს, რომ ავტორს ღრმად შეუსწავლია საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციების პრინციპები, ის ძირითადი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური პირობები, რაც საფუძვლად დაედო ამ ქვეყნებში ახალი კონსტიტუციების მიღებას. ამ თავში ავტორი ხაზს უსვამს საზღვარგარეთის უმრავლესი სოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციების ნახევრად პროგრამულ ხასიათს, ამასთან არც ერთი წუთითაც არ უშვებს მხედველობიდან იმ ჭეშმარიტებას, რომ სოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციები უკვე მიღწეულის იურიდიულ კონსტატაციას რომ ახდენენ.

ჩვენ სავსებთ ვეთანხმებით ავტორს იმ აზრში, რომ „რიგი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოების ძირითადი კანონები პირდაპირ მიუთითებენ ქვეყნის მომავალი განვითარების პერსპექტივებზე, სოციალიზმის გამარჯვების უზრუნველყოფის ამოცანებზე. ამდენად ისინი, ცხადია, აგრეთვე პროგრამული ხასიათის მქონე სამართლებრივი აქტებია. მაგრამ მათი ასეთი პროგრამულობა არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს მათს რეალობას, არ აძლევს

მათ ფიქტიურ ხასიათს. პირიქით, იგი წარმოადგენს სწორედ მათი არაფიქტიური ხასიათის გამოვლინებას“ (იხ. გვ. 24, 25).

ცნობილია, რომ საზღვარგარეთის სოციალისტური სახელმწიფოების ძირითადი კანონები — კონსტიტუციები ერთი ტიპისა არიან. მაგრამ აქედან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ ისინი ერთმანეთს ემთხვევიან ან ერთიდაიგივე შინაარსს გამოხატავენ. ცალკეული სახალხო დემოკრატიის სახელმწიფოების კონსტიტუციები განსხვავდებიან ერთმეორისაგან იმისდა მიხედვით თუ როგორია მათი სოციალ-ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური განვითარების დონე.

ამ თავის დასკვნით ნაწილში ავტორი სწორად მიუთითებს, რომ სახალხო დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციები უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტებია-სახალხო რესპუბლიკების ორგანოთა მთელი მიმდინარე საქმიანობის იურიდიული ბაზა და საფუძველია. ყველა კანონი ან სახელმწიფო ორგანოების აქტი უუქველად უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოკლებულია იურიდიულ ძალას და უნდა გაუქმდეს.

ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით განსაკუთრებით ნათლად ვლინდება საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების სახელმწიფო და სამართლის კლასობრივი ბუნების პრინციპიალურად განსხვავებული ხასიათი კაპიტალისტური ქვეყნების სახელმწიფო და სამართლის კლასობრივი ბუნებისაგან. ეს კარგად ესმის ავტორს და ამიტომ არის რომ იგი ნაშრომის III თავში პოლიტიკურად სწორ ანალიზს უკეთებს საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლებს. ამ თემის გაშუქებისას დოც. ა. კარანაძეს გამოყენებული აქვს ახალი პერიოდის მასალები ციფრობრივი მონაცემებით, მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტები.

სახალხო რესპუბლიკები მუშათა და გლეხთა სახელმწიფოებია, სადაც ხელმძღვანელი და წამყვანი როლი მუშათა კლასს ეკუთვნის. ეყრდნობა რა ობიექტურ ისტორიულ მონაცემებს, ავტორი სწორად უსვავს ხაზს იმ



ფაქტს, რომ სახალხო-დემოკრატიული ფორმის სოციალისტურმა სახელმწიფომ საესებით გაამართლა თავისი პოლიტიკური დანიშნულება. მისი მეშვეობით მშრომელმა მასებმა უდიდესი ისტორიული გამარჯვებები მოიპოვეს. ამავე დროს ავტორი ამხვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ ზოგიერთ სახალხო რესპუბლიკებში მეურნეობა და ეკონომიკა ჯერ კიდევ ერთგვაროვანი არ არის, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის ეკონომიკას, მრავალწყობიანობა ახასიათებს, რომ სოციალისტური სექტორის გვერდით, სახალხო რესპუბლიკების მეურნეობაში არსებობენ კაპიტალისტური, ზოგან აგრეთვე სახელმწიფო-კაპიტალისტური და წვრილსასაქონლო წყობა-ნი.

მართალია ამ თავში აღნიშნულია სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს ისტორიულ როლზე სახალხო მეურნეობის სოციალისტურ ყადაზე გარდაქმნის საქმეში, მაგრამ ჩვენი აზრით ნაშრომი უფრო მეტად მოიგებდა რომ განსაკუთრებული ინტენსივობით გასმოდა ხაზი სახალხო დემოკრატიული სახელმწიფოების, როგორც ყველაზე მძლავრი იარაღის, რევოლუციური და შემტევი ხასიათის გარდამქმნელი ძალის როლს სახელმწიფო-კაპიტალისტური და წვრილი სასაქონლო მეურნეობის მაქსიმალური შეზღუდვისა და შემდეგ კი საესებით ლიკვიდაციის საქმეში.

მკითხველი უდაოდ დიდი ინტერესით გაეცნობა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში არსებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სამ ძირითად სახეს,

სახალხო დემოკრატიული ქვეყნების საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის დახასიათებისას ავტორი დამაჯერებლად გადმოსცემს სახალხო-დემოკრატიული რეჟიმის პირობებში მუშათა კლასის, გლეხთა კლასისა და ინტელიგენციის ფართო სამოქმედო ასპარეზს.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოებში ერთიანი სამეურნეო გეგმის მნიშვნელობას. ამასთან დაკავშირებით ავტორი წერს, რომ „კომუნისტური და მუშათა პარტიების თვალსაჩინო დამსახურებაა ის, რომ მწვავე კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში მათ

მიადწიეს ხალხის მხრივ სახალხო-სამეურნეო გეგმების მხარდაჭერას და მათს განხორციელებას“ (გვ. 51).

ავტორი ანალიზს უკეთებს მშრომელთა მიმდებარეობას ამ ქვეყნებში სახალხო-დემოკრატიული რეჟიმის დამყარებამდე, მოყავს საინტერესო ციფრობრივი მონაცემები და ხაზს უსვავს იმ დიდ თვისობრივ ნახტომს, რაც განხორციელდა იქ მშრომელი მასების ცხოვრებაში ახალი სახალხო-დემოკრატიული რეჟიმის დამყარებით.

სახელმწიფოებრივ წყობილებისადმი, გადმოცემულია უნიტარული და ფედერაციული სახელმწიფოებრივი წყობილების ძირითადი ნიშნები. განმარტებულია კონფედერაცია, როგორც სახელმწიფოთა ისეთი კავშირი, რომელიც არ ქმნის გაერთიანებულ საკავშირო სახელმწიფოს. ავტორი მოგვიხსრობს სოციალისტური სახელმწიფოებრივი უნიტარიზმისა და ფედერალიზმის პრინციპიულ განსხვავებაზე ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი უნიტარიზმისა და ფედერალიზმისაგან.

ამ თავში განხილულია სახალხო დემოკრატიული სახელმწიფოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური დაყოფის საკითხები. განმარტებულია, რომ სხვადასხვა სახალხო რესპუბლიკებში ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური დაყოფა სხვადასხვა ფორმით ჩატარდა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ ნაწილებს სხვადასხვა სახელწოდებები შეერქვათ. ისიც არის ხაზგასმული, რომ ზოგიერთ სახალხო რესპუბლიკებში მაგალითად — ჩინეთში, კორეაში, პოლონეთში შენარჩუნებული იქნა ძველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური დაყოფის ფორმა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ძველი ფორმის მიუხედავად იქ არ განხორციელდა ღრმა და ძირფესვიანი რეორგანიზაცია და ცვლილებები.

სარეცენზიო ნაშრომის V თავი „სახალხო რესპუბლიკების მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობის ძირითადი საწყისები“, გამოირჩევა გადმოცემისა და კვლევის ორიგინალობით. ავტორი საესებით სწორად ასაბუთებს, რომ სახალხო-დემოკრატიული რევოლუციების გამარჯვებით საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ცხოვრებაში დაიწყო

ახალი ხანა, ბოლო მოედო ბურჟუების ეკონომიურ და პოლიტიკურ ბატონობას, მშრომელი მასების ექსპლოატაციას.

მონოგრაფიაში ავტორი მთელი სისრულით ეხება იმ დიდ ვალდებულებას რაც სახალხო დემოკრატიული სახელმწიფოების მოსახლეობას აკისრია ამ ქვეყნებში სოციალიზმის საბოლოოდ გამარჯვებისათვის.

ნაშრომის VI თავში გადმოცემულია საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების საარჩევნო სისტემის ძირითადი საწყისები. განმარტებულია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის დემოკრატიულობის განმსაზღვრელს წარმოადგენს ამ ქვეყანაში არსებული საარჩევნო სისტემა. ავტორი ცოცხალ და საინტერესო ფაქტებზე დაყრდნობით მკაცრად აკრიტიკებს ბურჟუაზიულ ქვეყნებში არსებულ სიტუაციას, აღნიშნავს, რომ საარჩევნო სისტემა ყალბი ხასიათისაა, ააშკარავებს კაპიტალისტური არჩევნების კლასობრივ ბუნებას.

ნაშრომის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების სახელმწიფო ორგანოების სისტემისა და მათი ფუნქციების დახასიათებას. ეს საკითხები გადმოცემულია მონოგრაფიის VII თავში. ავტორი, სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ სახალხო დემოკრატიული სახელმწიფო აპარატი აგებულია და მოქმედებს კვლავ არააპარატიული პრინციპებზე.

VII თავის ბოლო ნაწილში მოცემულია მართლმსაჯულების ორგანოთა აგებულება, ნაჩვენებია მათი როლი საზღვარგარეთის სოციალისტურ ქვეყნებში კანონიერების განმტკიცების საქმეში.

ნაშრომის VIII თავის სათაურია — კომუნისტური და მუშათა პარტიები-სახალხო რესპუბლიკების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა. ავტორი სავსებით სწორად მიუთითებს, რომ ბრძოლაში გამოწრთობილი პარტიის გარეშე, ისეთი პარტიის გარეშე, რომელიც შეიარაღებულია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით, სარგებლობს მშრომელი მასების ნდობითა და მხარდაჭერით, თანმიმდევრულად იბრძვის მშრომელთა ინტერესებისათვის-ასეთი პარტიის გარეშე მუშათა კლასს არ შეუძლია მიაღწიოს სოციალურ გათავისუფლებას.

ნაშრომის ამ ნაწილში ყურადღებას იპყრობს იმ თავისებურებების განხილვა, რასაც ადგილი აქვს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მრავალპარტიული სისტემის არსებობის პირობებში. სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებში მრავალპარტიულობის არსებობა განაპირობა მათი ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების კონკრეტულმა ისტორიულმა პირობებმა. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში არსებული მრავალპარტიული სისტემა ძირფესვიანად განსხვავდება ბურჟუაზიულ ქვეყნებში არსებული მრავალპარტიული სისტემისაგან.

IV თავში ავტორი იხილავს სახალხო რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძვლებს. ამ გადმოცემულია ზოგიერთი უნიტარული სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი წყობილების მოკლე დახასიათება. ჩვენი აზრით კარგი იქნებოდა, რომ ამ თავში ავტორს მოეცა აგრეთვე მეტად ტიპური იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი წყობილების მოკლე დახასიათება.

სახალხო რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი წყობილების საერთო სისტემაში იუგოსლავიის ფედერაციის დახასიათება განსაკუთრებულ ყურადღებას იმითომ იმსახურებს, რომ ჯერჯერობით იგი ითვლება ერთადერთ სრულყოფილ ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკად, რომელშიც გაერთიანებულია ექვსი სახალხო რესპუბლიკა: სერბია, ხორვატია, სლოვენია, ბოსნია და გერცოგოვინა, მაკედონია, ჩერნოგორია. იუგოსლავიის ფედერაციის დახასიათების ინტერესს ის საკითხიც ადიდებს, რომ სერბიის სახალხო რესპუბლიკაში შედის ვოევოდინის ავტონომიური მხარე, რომელიც უნგრელებით, რუმინელებით და სლოვაკებით, აგრეთვე ალბანელებით დასახლებული კოსოვო-მეტოხიის ავტონომიური ოლქია.

ამასთან დაკავშირებით ნაშრომის 61 გვერდზე უდაოდ შესასწორებელია ის წინადადება, სადაც ნათქვამია, რომ „სახალხო რესპუბლიკები უნიტარული სოციალისტური სახელმწიფოებია“.

მონოგრაფიაში ხშირად ვხვდებით საზღვარ-

გარეთის სოციალისტური ქვეყნების სხვადასხვა ფორმის სახელწოდებებს, მაგალითად: სახალხო რესპუბლიკა, სოციალისტური რესპუბლიკა, დემოკრატიული რესპუბლიკა და სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. კარგი იქნებოდა, რომ ავტორს გამოეყოქვა თავისი აზრი, ზემოთ მოხსენებულ სახელწოდებათა შორის მხოლოდ უბრალო ტერმინოლოგიური განსხვა-

ვებაა თუ რესპუბლიკათა შორის არსებული შინაარსობრივად განსხვავებულ ბუნებას გამოხატავს იგი.

ეს შენიშვნები არ ამცირებს მონოგრაფიის მაღალ მეცნიერულ ღირებულებას. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ამ პრობლემის შესწავლით დაინტერესებულ საზოგადოებას.

დოც. პ. შარაშინაძე

ინფორმაცია

საქართველო კონფერენცია და სხვა ახალ კოდექსზე

საქართველოს სსრ ახალი სამოქალაქო სამართლის და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებს მიეძღვნა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მოაწყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულმა კომისიამ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში.

სამეცნიერო კონფერენცია შესავალი სიტყვით განხილავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის ხელმძღვანელმა, პროფ. თ. წერეთელმა.

მოხსენებით — „საქართველოს სსრ ახალი სამოქალაქო სამართლის კოდექსი“ — გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მ. ლომიძე.

მომხსენებელი შეეხო მთელ რიგ ახალ ნორმებს, რომელიც შეტანილია კოდექსში, აღნიშნა რომ კოდექსში დატოვებულია მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის ყველა ის ნორმა, რომელსაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

შემდეგ მომხსენებელი იძლევა კოდექსის 578 მუხლებში ჩამოყალიბებულ მოკლე დახასიათებას, ვერცლად ჩერდება სამოქალაქო უფლებების განხორციელების დაცვაზე, რომელსაც სამოქალაქო სამართლის კოდექსში დიდი ადგილი აქვს დათმობილი, აგრეთვე იმ მნიშვნელოვან სიახლეზე, რომელსაც კოდექსის მე-7 მუხლი ითვალისწინებს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პატივისცემის და ღირსების დაცვის შესახებ.

მომხსენებელი შეჩერდა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის ამჟამად მოქმედი კოდექსისაგან განსხვავებულ ახალ ნორმებზე, რომელიც შეტანილია კოდექსში, ამჟამად მოქმედი კოდექსის ნორმებზე, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა, მოკლედ განიხილა კოდექსის პირველ კარში შეტანილი ორი ახალი თავი (IV — „წარმომადგენლობა და მინდობილობა“ და V — „ვადების გამოთვლა“), ის არსებითი ცვლილებები, რაც შეტანილია მემკვიდრეობის სამართალში.

მოხსენებით — „საქართველოს სსრ ახალი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი“ — გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუ-

ტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი თ. ლილუაშვილი.

მომხსენებელმა ვერცლად ილაპარაკა უფლების დაცვის პროცესუალური ფორმის მნიშვნელობაზე, ახალი საპროცესო კოდექსით დადგენილ საქმეთა განხილვის წესების ზუსტად და განუხრელად დაცვის აუცილებლობაზე და იმ სიახლეებზე, რომლებსაც ეს კოდექსი შეიცავს.


ახალ საპროცესო კოდექსში ჩამოყალიბებულია სასამართლო წარმოების ამოცანები. საბჭოთა სამოქალაქო სასამართლო წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა სამოქალაქო საქმეების სწორი და სწრაფი განხილვა — გადაწყვეტა. პროცესის ყველა ინსტიტუტი აგებულია ისე, რომ სასამართლოს სრული შესაძლებლობა ეძლევა ამ ამოცანის სათანადოდ განხორციელებისათვის.

კოდექსით ნათლად და ამომწურავადაა რეგულაცირებული საქმეში მონაწილე პირების უფლებები და მოვალეობები, დამამტკიცებელი საბუთების შეგროვებისა და გამოყენების წესები, სამოქალაქო საქმეზე განცხადების მიღების პირობები, საქმის წარმოების შეჩერების, შეწყვეტისა და სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძვლები და ა. შ.

მნიშვნელოვანი და პრინციპული ხასიათის ცვლილებებია შეტანილი საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციაში საქმეების წარმოების წესებში. ზედამხედველობის წესით საქმის განხილველ სასამართლოს უფლება აქვს დაიბაროს სასამართლო სხდომაზე მხარეები და მათი წარმომადგენლები, რომელთაც უფლება აქვთ მისცენ სასამართლოს ზეპირი ახსნა-განმარტება. მხარეებს ეგზავნებათ აგრეთვე მათ საქმეზე შეტანილი პროტესტის ასლები.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახლა მთავარია, საქმის განხილვა სასამართლოში წარმართოს ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმების ზუსტი შესაბამისობით. ეს უზრუნველყოფს განსახილველ საქმეზე სწორი გადაწყვეტილებების გამოტანას და კიდევ უფრო მალა ასწევს ჩვენი სასამართლოების ავტორიტეტს.

თანამოხსენებელი გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი თ. ცაგურია, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატები შ. ჩიკვაშვილი და ს. ჯაფარიძე.



„ზიანის მიყენებით წარმოშობილი ვალდებულებანი ახალ სამოქალაქო სამართლის კოდექსში“, — ასეთი იყო თ. ცაგურიას მოხსენება.

— უკანასკნელ წლებში ზიანის ანაზღაურების საკითხები კანონმდებლის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შემდეგ გამოიცა მთელი რიგი საკავშირო მნიშვნელობის ნორმატიული აქტები. ამ პრობლემას მიეძღვნა ბროშურები, იურიდიულ ჟურნალებში გამოქვეყნებული წერილები. ამან შესაძლებლობა მისცა მოკავშირე რესპუბლიკებს მეტი სიზუსტით დაემუშავებინათ ახალი სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომელნიც ზიანის მიყენებით წარმოშობილ ვალდებულებებს ითვალისწინებენ. ახალი სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი თავი 28 მუხლისაგან შედგება. თ. ცაგურია ვრცლად შეჩერდა კოდექსის ახალ ნორმებზე. თავი, რომელიც ზიანის ანაზღაურებას მიეძღვნა, იწყება დადგენილებით, რომელშიც მოცემულია ამ პასუხისმგებლობის ზოგადი პირობები, ასეთებია: 1. რეალური ქონებრივი ზიანი, 2. მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, 3. მიზეზობრივი კავშირი და 4. ზიანის მიყენების ბრალი.

მომხსენებელი ვრცლად ეხება რა ზიანის ანაზღაურების საკითხს, აღნიშნავს, რომ რეალური ქონებრივი ზიანი და მიზეზობრივი კავშირი უნდა ჩაითვალოს ისეთ აუცილებელ პირობად, ურომლისოდაც არ შეიძლება წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების არც ერთი ვალდებულება, ხოლო რაც შეეხება მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათსა და ზიანის მიყენების ბრალს, კანონი უშვებს მათ მიმართ გამოწვევის.

თ. ცაგურიამ ყურადღება გაამახვილა იმ მუხლზე, რომელშიც ნათქვამია, რომ ორგანიზაცია მოვალეა ანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიყენებულია მისი მუშაობის ბრალით შრომითი მოვალეობის შესრულების დროს; აგრეთვე იმ შეცვლილ მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო დაწესებულების პასუხისმგებლობას მისი თანამდებობის პირის ადმინისტრაციულ დარგში არასწორი მოქმედების გამო.

ძველი კოდექსის 407 მუხლით ასეთი პასუხისმგებლობა შეზღუდული იყო, ახალმა კანონმა კი შეცვალა ეს წესი და დაადგინა, რომ იმ შემთხვევაში, როცა ზიანი აქვს მიყენებული მოქა-

ლაქეს, დაწესებულება პასუხს აგებს მის წინაშე თავისი თანამდებობის პირის არსწორი მოქმედების გამო საერთო წესით. შემდეგ განიხილავს ნორმას, რომელიც ითვალისწინებს ორგანიზაციის პასუხისმგებლობას წარმოებაში მუშაკის დაშავების გამო, ისეთ ნორმებს, რომლებსაც წინათ ნაკლები ყურადღება ექცეოდა და ახლა, ახალი სამოქალაქო კოდექსით კი უკვე მოწესრიგებულია.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის შ. ჩიკვაშვილის თემა იყო „საბინაო სამართლის საკითხები ახალ სამოქალაქო სამართლის კოდექსში“.

როგორც შ. ჩიკვაშვილი აღნიშნავს, სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსით ამოქურთვად და მკაფიოდ განხილულია საბჭოთა საბინაო სამართლის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

ახალი კოდექსის შესაბამისად მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლებში საცხოვრებელი ფართობის განაწილება წარმოებს აღმართულბელი კომიტეტის გადაწყვეტილებით საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით, ხოლო სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში — სათანადო ორგანიზაციის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებს მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი. ამ შემთხვევაში აღმასკომი ამოწმებს სათანადო ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის ორგანოს ერთობლივი გადაწყვეტილების სისწორეს, შემოწმების შედეგად ან ამტკიცებს ამ გადაწყვეტილებას, ან უარყოფს მას, თუ ის გამოტანილია კანონის მოთხოვნის დარღვევით.

მომხსენებელი ვრცლად ეხება მშრომელთა ინტერესების დამაყოფილებას ახალი კოდექსით, მაგალითად — საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით საბინაო სანიტარული ნორმა განსაზღვრულია თითოეული სულისათვის 12 კვ. მეტრი.

ახალი სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი უმნიშვნელოვანესი პრინციპები მიმართულია მოქალაქეთა საბინაო უფლებების დაცვისაკენ. დამჭირავების გასახლებისათვის საჭიროა სასამართლო გადაწყვეტილება და გა-

მოსახლეობულ უნდა მიეცეს სხვა კეთილმოწყობილი ფართობი, აღნიშნავს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება გამოსახლებულ დამქირავებელს არ მიეცეს სხვა საცხოვრებელი ფართობი.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ს. ჯაფარიძემ ილაპარაკა „მემკვიდრეობის სამართლის საკითხები ახალ სამოქალაქო სამართლის კოდექსში“. განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს კანონით და ანდერძით მემკვიდრეთა წრის განსაზღვრაზე მემკვიდრეობის მისაღებად მემკვიდრეთა გამოწვევის წესი და პირობები და სხვ. აღნიშნა ის, რომ ახალი კოდექსით მკვეთრად არის გაფართოებული კანონით მემკვიდრეთა წესი, ეხება რა ამ წესებს; მომხსენებელი აღნიშნავს, რომ რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამარ-

თლის კოდექსებისაგან განსხვავებით, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსით გარდაცვლილის ძმისშვილები და დისშვილები აღიარებულია კანონით მემკვიდრეებად.

მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობისაგან განსხვავებით ახალი კოდექსი შეიცავს სპეციალურ ნორმებს, რომლითაც მოწესრიგებულია საბჭოთა საავტორო სამართლის საკითხები. ამ ნორმებით მაქსიმალურად არის დაცული ავტორი და მისი მემკვიდრეების როგორც ქონებრივი, ისე პირადი არაქონებრივი უფლებები.

კამათში გამოვიდნენ დოც. ს. ჯორბენაძე, ადვოკატები გ. თარხნიშვილი, ჯ. ბაქრაძე და სხვ. კონფერენციის მუშაობა შეაჯამა პროფესორმა თ. წერეთელმა.

დ. ნანოზაშვილი

* * *

1 ივლისს ძალაში შევიდა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსები. ამასთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრამ ქ. გორში საზოგადოება „კოდნის“ გორის საქალაქო განყოფილების გამგეობასთან ერთად მოაწყო სამეცნიერო სესია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ს. ჯორბენაძე. მომხსენებელმა დრმა ანალიზი გაუკეთა კოდექსის ცალკეულ მუხლებს და შეჩერდა იმ სიახლეზე, რომელიც გააჩნია ახალ კოდექსს ძველთან შედარებით.

საქართველოს სსრ ახალი სამოქალაქო კოდექსი 1923 წლის კოდექსთან შედარებით ფართო თავისი შინაარსითა და სტრუქტურით. მასში ბევრი ისეთი ინსტიტუტია, რომელიც ადრე მოქმედი კოდექსით საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. მაგალითად, საავტორო სამართალი, საგამომგონებლო სამართალი, აღმოჩენის

სამართალი. კოდექსში მოცემულია პირველი კოდექსისათვის უცნობი ხელშეკრულებები. ამასთან მთელმა რიგმა ურთიერთობებმა პრინციპულად ახალი და სრული საკანონმდებლო მოწესრიგება ჰპოვეს.

ბევრი სიახლეა კოდექსით ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულების მოწესრიგებისას. ზიანის მიყენებისას ვალდებულება წარმოიშობა არამართლზომიერი ბრალეული ქმედობისას. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში, როცა ეს კანონითაა გათვალისწინებული, შეიძლება ანაზღაურდეს მართლზომიერი მოქმედებით მიყენებული ზიანი, მაგალითად უქიდიურესი აუცილებლობის დროს.

პირველადაა ჩვენს კანონმდებლობაში მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საფუძვლები.

მოხსენების დასასრულს პროფ. ს. ჯორბენაძე შეეხო უცხოელი მოქალაქეების და მოქალაქეობის არა მქონე პირების საქართველოში სამოქალაქო უფლებებუნარიანობის საკითხს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის ახალ საპროცესო კოდექსზე მოხსენება ვააკეთა დოც. ე. ნეიძემ.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს სასამართლოში საქმეთა განხილვის წესს იმ დებულებებზე, რომლებიც წარმოიშობა სამოქალაქო, საოჯახო, შრომის და საკოლმეურნეო სამართლებრივი ურთიერთობიდან და განსაკუთრებული წარმოების საქმეებზე.

სასამართლოს გადაწყვეტილება სოციალისტური მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი

აქტია, რომელიც ადრე მოქმედი კოდექსით სანადაოდ რეგლამენტირებული არ იყო.

დოც. ე. ნეიძემ თავის გამოსვლაში განსაკუთრებული ადგილი დაუთმო სიახლეებს შრომითი ურთიერთობით მოწესრიგებაში ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

სამეცნიერო სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სამოქალაქო კათედრის წევრებმა დოც. ლ. ჯომარჯიძემ, დოც. ლ. მათეშვილმა, გორის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებმა, ქალაქის საზოგადოებრიობამ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვ. მაყაშვილის და გ. ტყეშელაძის წიგნის განხილვა

იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის ინციტივიტ მოეწყო ვ. მაყაშვილისა და გ. ტყეშელაძის წიგნის — „პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის“ — საჯარო განხილვა. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ — თანამშრომლებმა, ადვოკატებმა, სტუდენტებმა.

მომხსენებელი, უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე პროფ. ბ. ფურცხვანიძე ვრცლად შეჩერდა რა ნაშრომის დადებით მხარეებზე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვ. მაყაშვილისა და გ. ტყეშელაძის წიგნი — „პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის“ მიძღვნილია სისხლის სამართლის ერთ-ერთი მეტად აქტუალური საკითხისადმი, ამდენად მისი გამოცემა მისასალმებელია. გამართლებულია წიგნის სისტემა. მართებულად არის განმარტებული ყველა ძირითადი საკითხი. ნაშრომის ღირსება ისიც არის, რომ დებულებები ილუსტრირებულია მაგალითებით საგამომიებლო — სასამართლო პრაქტიკიდან. წიგნი სარგებლობას მოუტანს მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ორგანოებს, სასამართლოს მუშაკებს, სტუდენტებს. შემდეგ მომხსენებელი შეეხო ნაშრომის ნაკლოვანებებს. ნაშრომი უთუოდ მოიგებდა, რომ ავტორებს მოეცათ სპეციალური თავი სსრ კავშირში მექრთამეობის გამომწვევი მიზეზების შესახებ და ზოგადად დაესახათ მათი აღმოფხვრის გზები. არადამაკაყოფილებელია მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ ამ დანაშაულის გამომწვევი მიზეზია კაპიტალიზმის გადმონაშთობა.

კაპიტალისტური სამყაროს გახრწნის დასახისათებლად წიგნში მოყვანილი მაგალითები მოქცეულნი არიან.

ნაშრომის ცალკეულ გვერდებზე გვხვდება არასწორი და არაზუსტი დებულებებიც. მაგალითად, წიგნის 42-ე გვერდზე არაზუსტია გამოთქმა, რომ ქრთამის საგნად უნდა ჩაითვალოს ყველაფერი ის, რასაც თანამდებობის პირი ღებულობს, თუმცა შედეგში ეს საკითხი არსებითად სწორადაა გადაწყვეტილი. საჭირო იყო ავტორებს აქაც გაეგვათ ხაზი მატერიალური ხასიათის გამოჩენისზე. 71-ე გვერდზე ავტორები სწორად შენიშნავენ, რომ მექრთამეობის შე-

დგენილობისათვის მნიშვნელობა არა აქვს თანამდებობის პირი ქრთამს იღებს კანონიერი თუ უკანონო მოქმედების შესრულებისათვის, მაგრამ ვფიქრობთ, აუცილებელი იყო ავტორებს ეთქვათ, რომ კანონის უხეში დარღვევის შედეგად ქრთამის აღების შემთხვევა უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულის ერთობლიობით. ავტორები არ უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ ექსპერტის, ქრთამის აღების სუბიექტად აღიარების უარყოფით (გვ. 99). მართებული იქნებოდა ასეთი შეხედულება უფრო კარგად დაესაბუთებინათ. მომხსენებლის აზრით სახელმწიფო საექსპორტო დაწესებულებაში მომუშავე ექსპერტის უარყოფა ქრთამის აღების შესაძლო სუბიექტად არ იქნებოდა სწორი.

ნაშრომის 129-ე გვერდის შინაარსი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ავტორები ერთმანეთისაგან ანსხვავებენ განუცხადებლობის ორ სახეს დაფარვის მსგავსად, მაშინ როდესაც მოქმედი კანონმდებლობისათვის განუცხადებლობის ასეთი დაყოფა უცნობია; მართალია, ნაშრომის 177,205-ე გვერდებზე ავტორები სწორად აშუქებენ უმადლესი სასამართლოს პლენუმის შესაბამის დადგენილებას იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწვევა ქრთამდ აღებულ ფულს, მაგრამ სპეციალურ საკითხზე მიძღვნილ მონოგრაფიაში სასურველი იყო ავტორებს გამოეთქვათ აზრი, რამდენად მართებულია ეს დადგენილება იმ ნაწილში, რომელიც ეხება ქრთამის გამოძალვას.

მომხსენებელმა მიუთითა, რომ ნაშრომში გვხვდება ზოგიერთი უკვე დადგენილი ტერმინების დამახინჯება, არასწორი გამოთქმები. ასე მაგალითად, შრომის მე-14 გვერდზე შეუსაბამოდ არის გამოყენებული სიტყვა „მართლწესრიგი“, ასევე შეუსაბამოა გამოთქმა „ქრთამის მიმცემი ილწვის“ (გვ. 79). ნაცვლად ტერმინისა „მსჯავრდებული“ ნახმარია „მსჯავრდად ე ბ უ ლ ი“ (გვ. 90). ავტორები ნაშრომის 133-134-ე გვერდებზე განმარტავენ რა სს კოდექსის 57-ე მუხლით დადგენილ წესს სასამართლობის მოხსნის შესახებ ხმარობენ ტერმინს „სასამართლობის გაქარწყლება“, რაც აღნიშნულ მუხლში არ არის მოხსენებული.

დასასრული. ბ. ფურცხვანიძემ აღნიშნა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი შენიშვნები არ ამცირებენ წიგნის ღირსებას და მისი გამოცემა სასარგებლოა.



მოსხენებისა და შრომის ირგვლივ გაიშალა კამათი.

სისხლის სამართლის კათედრის დოცენტმა ბ. ხარაზიშვილმა აღნიშნა, რომ ვ. მაყაშვილისა და გ. ტყეშელაძის წიგნი „პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის“ შეეხება ქრთამის მიცემის, ქრთამის აღების, მექრთამეობაში შუამავლობისა და ქრთამის გამოძალვის თითქმის ყველა საკითხს. მასში გაშუქებულია აგრეთვე ქრთამის გაცემა-აღების ფაქტის დადგენის პროცესუალური საკითხები, რაც უფრო სრულყოფილსა და საინტერესოს ხდის ნაშრომს. წიგნი მიძღვნილია ისეთი პრობლემისადმი, რომელიც ძნელად გადასაწყვეტია თეორიულად და პრაქტიკულად, შედგენილია მაღალკვალიფიციური ავტორების მიერ. ამ პრობლემის შესახებ ქართულ ენაზე ღღემდე არაფერი გამოქვეყნებულა და ამიტომ წიგნი ძეტად მნიშვნელოვან ხარვეზს აყვებს.

შემდეგ ბ. ხარაზიშვილი შეჩერდა ნაშრომის ნაკლოვანებებზე. მან აღნიშნა, რომ მეცნიერულ დონეზე არ არის დამუშავებული საკითხი ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობის ადგილის შესახებ სხვა დანაშაულთა სისტემაში. წიგნის 33-ე გვერდზე ავტორები არასწორად მიიჩნევენ თეორიულად დასაბუთებულ იმ კრიმინალისტების შეხედულებას, რომლებიც ქრთამის მიცემა-აღებას ერთიან და ორმხრივ დანაშაულად განიხილავენ. მაგალითად, ქრთამის გამოძალვის დროს შეუძლებელია ვილაპარაკოთ „ერთიან და ორმხრივ დანაშაულზე“. მან გაუმართლებლად მიიჩნია ის დებულება, რომ „როგორც ქრთამის მიცემა, ისე ქრთამის აღება საბოლოოდ ერთი და იმავე შედეგის მიღწევას ემსახურება“. (გვ. 34).

ავტორები ნაშრომის 42-ე გვერდზე წერენ, რომ „ქრთამის მიმცემი ამ დანაშაულის თანამსრულეებელია. ამიტომ მისი მოქმედება ხელყოფს იმავე ობიექტს, რაზეც მიმართულია ქრთამის ამღების მოქმედება“. ამ დებულების საწინააღმდეგოა ნაშრომის 79-ე გვერდზე გამოთქმული შეხედულება, სადაც ნათქვამია: „იმ ქმედობის განხორციელება, რომლისთვისაც ქრთამის მიმცემი იღწვის მხოლოდ თანამდებობის პირს შეუძლია“. ქრთამის აღებისა და ქრთამის მიცემის დროს რომ ერთსა და იმავე ობიექტზე ხელყოფა არ ხდება. ამაზე ავტორები სხვა ადგილზეც მიუთითებენ: „...სწორედ ასეთი პირი შეიძლება ცენოთ თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტად, მხოლოდ ასეთ პირს შეუძლია თავისი უკანონო მოქმედებით ან უმოქმედობით საფრთხე შეუქმნას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი აპარატის ავტორიტეტს, რომელიც მექრთამეობის უშუალო ობიექტს წარმოადგენს. ამიტომ უმართებულო იქნებოდა,

რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების, საწარმოს ან ორგანიზაციის ყველა მოსამსახურე თანამდებობის პირად მიგვეჩნია“ (გვ. 83).

ავტორებს არასაკმარისად აქვთ დასაბუთებული თუ ვინ ჩაითვლება თანამდებობის პირად. თეორიაში ეს საკითხი ღღემდე გადაუწყვეტელია და ავტორებს მართებლათ უფრო ღრმად ჩასწვდომოდნენ მას.

არაზუსტია დებულება იმის შესახებ, რომ „მექრთამეობა ანგარებითი ხასიათის მოქმედებაა და, მაშასადამე, თანამდებობის პირის გამდიდრების მომენტი ამ დანაშაულის არს წარმოადგენს“. (გვ. 44, 51). ქრთამის მიმცემის მოქმედებას ყოველთვის არ შეიძლება ეწოდოს ანგარება, „გამდიდრების მომენტი“ კი მექრთამეობის არსს არ წარმოადგენს.

ნაშრომის 46-ე გვერდზე აღნიშნულია: „ამრავალ ქრთამის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ფასეულობა ან რაიმე ქონებრივი გამოჩენა“. ამ დებულების საწინააღმდეგოდ 47-ე გვერდზე კი სწორად არის აღნიშნული, რომ ქრთამის საგანი შეიძლება იყოს არა მარტო მატერიალური ნივთი, არამედ აგრეთვე რაიმე მომსახურება და ქონებრივი ხასიათის გამოჩენა.

ავტორები ხშირად ლაპარაკობენ მექრთამეობა ანგარებით ბუნებაზე (გვ. 50) და ამით წინააღმდეგობაში ვარდებიან, რადგან, როგორც ცნობილია, ქრთამის საგანია აგრეთვე რაიმე მომსახურება და სამსახურში მოწყობა (გვ. 47), რაც ანგარებას ვერ გაუტოლდება.

ნაშრომის 82-ე გვერდზე ავტორები წერენ, რომ „სახალხო მსაჯული თანამდებობის პირია, თუმცა იგი მართლმსაჯულების განხორციელებაში არჩეული, დროებით და უსასყიდლოდ მონაწილეობს“. ავტორების ეს დებულება ეწინააღმდეგება სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 19-ე მუხლს, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ სახალხო მსაჯული პროცესში უსასყიდლოდ არ მონაწილეობს.

ნაშრომის 93-ე გვერდზე ავტორები პროფ. ნ. დურმანოვის საწინააღმდეგოდ იმ აზრს გამოთქვამენ, რომ ადვოკატი და ექსპერტი არ ჩაითვლებიან ქრთამის აღების სუბიექტად. საჭირო იყო ავტორებს ეს საკითხი უფრო მეტი სერიოზულობით გაეშუქებინათ და არ დაეკამათებინათ უარგუმენტაციო განცხადებით, რადგან თანამედროვე პირობებში საზოგადოებრივი ზრალმდებლის, დამცველის და სასამართლო ექსპერტიზის ინსტიტუტები სპეციალურ მიდგომას მოითხოვენ. სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის ავტორიტეტის ხელყოფა შეუძლია, მაგალითად, ექსპერტს, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობს, თუ იგი ექს

პერტიზის ჩატარების გამო უკანონოდ გასამრჯელოს აიღებს.

ავტორების განცხადება, რომ „ქრთამის მიმცემი ჩვეულებრივად უფრო აქტიურია“ (გვ. 104) არ უნდა გამომდინარეობდეს მექრთამეობის პრაქტიკიდან. სწორედ რომ უფრო ქრთამის მიმღები პირები არიან აქტიურნი, ისინი ზოგჯერ წამგლეჯობას ეწევიან. თუ ქრთამის ამღები არ უბიძგებს ქრთამის მიმცემს, ეს უკანასკნელი მას ვერ გაეკარება.

ნაწრომის 198-ე გვერდზე ავტორები მართებულად წერენ: „როდესაც კანონი ნებაყოფლობითი განცხადებისათვის ქრთამის მიმცემის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას აწესებს, მისი მიზანია ხელი შეუწყოს სახელმწიფო ორგანოებს მექრთამეობასთან ბრძოლაში“. როგორც ცნობილია, ქრთამის მიცემის შესახებ, როგორც წესი, პირი მხოლოდ მაშინ აცხადებს, როცა მას არ გაუმართლდება, შეიცვლება სიტუაცია და საქმის გარემოებათა მიხედვით იძულებულია განაცხადოს. ქრთამის მიმცემს, მიუხედავად ქრთამის მიცემის შესახებ მისი ნებაყოფლობითი განცხადებისა, მაინც აქვს ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა. მისი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ხდება მხოლოდ მიზანშეწონილობის თვალსაზრისით. ჩვენ ვფიქრობთ, მექრთამეობასთან ბრძოლის უფრო ეფექტური ღონისძიება იქნებოდა ქრთამის მიმცემის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან საერთოდ განთავისუფლება.

არ არის ზუსტი ავტორების გამოთქმა, რომ სხვა დანაშაულთაგან განსხვავებით, მექრთამეობა გარემოში არ ტოვებს ისეთ ხილულ კვალს, რაც გაადვილებდა ამ დანაშაულთან ბრძოლას“ (გვ. 188). დანაშაულის კვალის დატოვება ყოველთვის დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე, განურჩევლად დანაშაულთა კატეგორიებისა.

ავტორთა აზრით „მექრთამეობის საქმეთა განხილვისას დამამტკიცებელი მასალა ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა: დამამტკიცებელ საბუთად, რომლებიც თვით ქრთამის მიცემა—აღების ფაქტს შეეხება და დამამტკიცებელ საბუთებად, რომელთაც უნდა გამოარკვიონ იმ სამსახურებრივი მოქმედების ხასიათი, რომლის შესრულება—შეუსრულებლობასაც ქრთამის გადაცემა უკავშირდება“... „რაც შეეხება შესრულებულ თუ შეუსრულებულ სამსახურებრივ მოქმედებასა და მასთან დაკავშირებულ გარემოებებს მათ გამოკვლევას მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა აქვს მთავარი ფაქტის—ქრთამის მიცემა-აღების ნათელსაყოფად“ (გვ. 217 — 218). ავტორები იფიქრებენ, რომ მექრთამეობის საქმეების გამოძიებისათვის „დიდი მნიშვნელობა აქვს იმ დამამტკიცებელ საბუთებს, რომლებიც ბრალდებულის პიროვნებას შეეხება. გარდა ამისა შესრულებული თუ შეუსრულებელი სამსახურებრივი მოქმედების მხილება სწორედ რომ გამოძიების დასაწყისშივე ხშირად საგამომძიებლო ვერსიების შედგენის საფუძველი ხდება.


ავტორთა აზრით მექრთამეობის საქმეების განხილვისას „მთავარია მოწმეთა და ბრალდებულთა ჩვენებები“ (გვ. 217). როგორც ცნობილია, მოწმეთა და ბრალდებულთა ჩვენებებს, საქმეზე შეიძლება ჰქონდეთ ისეთივე მნიშვნელობა, როგორც დამამტკიცებელ საბუთების სხვა წყაროებს.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი თ. შავგულიძე შეეხო ავტორთა მიმართ გამოთქმული შენიშვნების საფუძვლიანობას და აღნიშნა, რომ ვ. მაყაშვილისა და გ. ტყეშელიაძის აზრით, კავშირი ქრთამის მიცემასა და ქრთამის აღებას შორის იმდენად მჭიდროა, რომ ერთის მთლიანი განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მეორეც განხორციელდა. ამ თავისებურების წყალობით მექრთამეობა ქმნის ერთიან, რთულ ორმხრივ დანაშაულს—ქრთამის მიცემა-აღებას.

დოც. ბ. ხარაზიშვილის მოსაზრება მექრთამეობის ორმხრივ დანაშაულად ცნობის შესახებ შეცდომაა. ჯერ ერთი, ქრთამის აღება არ შეიძლება ორმხრივ დანაშაულად განვიხილოთ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ქრთამის მიცემის განთავისუფლებას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, ქრთამის გამოძალვის ანდა მომხდარის შესახებ ნებაყოფლობითი განცხადების გამო. გარდა ამისა, მექრთამეობის ორმხრივ დანაშაულად აღიარება იქამდე მიგვიყვანს, რომ იძულებული ვიქნებით თანამონაწილეობის შემთხვევები ცნოთ სამხრით, ოთხმხრივ და ზოგჯერ ხუთმხრივ დანაშაულად, რადგან თანამონაწილეობა უფრო მჭიდრო და დანაშაულებრივი კავშირია, ვიდრე ქრთამის მიცემა-აღება.

დოც. ბ. ხარაზიშვილის მსჯელობა არ არის დამაჯერებელი. მართალია, გამოხატვის შემთხვევაში პასუხისმგებლობა შეიძლება მიეცეს ქრთამის მხოლოდ ამღები, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ქრთამის მიცემის ფაქტს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება დაზარალებულად აქცევს. სინამდვილეში ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებთან და არა გარემოებებთან, რომლებმაც შეიძლება მოსპონ ობიექტურად უკვე მომხდარი ფაქტი.

კიდევ უფრო დაუსაბუთებელია დოც. ბ. ხარაზიშვილის მოსაზრება, როდესაც იგი მექრთამეობის ორმხრივ დანაშაულად აღიარებას ითხოვს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მექრთამეობის ორმხრივ დანაშაულად აღიარება იქამდე მიგვიყვანს, რომ იძულებული ვიქნებით თანამონაწილეობის ცნოთ სამხრით, ოთხმხრივ და ზოგჯერ ხუთმხრივ დანაშაულად, რადგან თანამონაწილეობა უფრო მჭიდრო და დანაშაულებრივი კავშირია, ვიდრე ქრთამის მიცემა-აღება.



მეობის ორმხრივობას უარყოფს თანამონაწილეობის საკითხის მოშველებით. ქრთამის მიცემა-აღებას ორმხრივ დანაშაულს უწოდებენ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქრთამის მიმცემსა და ქრთამის ამღებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, არამედ იმიტომაც, რომ ასეთი დანაშაულის ჩადენის დროს არც ერთი მხარე დაზარალებულად არ გვევლინება და ორივე მხარე ამ დანაშაულის ჩადენის აუცილებელი კომპონენტია.

პროფ. ბ. ფურცხვანიძე ბრალს სდებს ავტორებს მექრთამეობის საგნის არასწორ გაგებაში. თითქოს ნაშრომის ავტორებს ქრთამის საგნად მიაჩნიათ ყველაფერი ის, რასაც თანამდებობის პირი ღებულობს ქრთამის მიმცემისაგან. ბ. ფურცხვანიძის შეხედულება არასწორია, რადგან ავტორები თვლიან, რომ „ესა თუ ის ნივთი ქრთამის საგნად რომ ჩავთვალოთ საკმარისი არ არის მის მხოლოდ მატერიალური, ფიზიკური ხასიათი ჰქონდეს. ასეთი მატერიალური ნივთი გარკვეულ ქონებრივ გამორჩენას უნდა აძლევდეს მის ამღებს. ამაშია მექრთამეობის ანგარებითი ბუნება.

პროფ. ბ. ფურცხვანიძე შეცდომად უთვლის ავტორებს ტერმინის—„ნასამართლობის გაქარწყლება“ ხმარებას. მისი აზრით საჭიროა ეცნობოთ ტერმინი „ნასამართლობის მოხსნა“. ჩვენი აზრით, ეს შენიშვნა უსაფუძვლოა. საჭიროა ორივე ტერმინის ხმარება, რადგან ისინი გამოხატავენ განსხვავებულ, თუმცა მახლობელ იურიდიულ ცნებებს.

ადვოკატმა ვ. კეკელიამ წიგნის გამოცემა დადებით მოვლენად ჩათვალა. ამასთან ერთად შეჩერდა ნაშრომის ნაკლოვან მხარეებზე. როდესაც ავტორები აკრიტიკებენ კრიმინალისტების შეხედულებებს ქრთამის ამღებისა და მიმცემის, როგორც სხვადასხვა სახის დანაშაულის შესახებ, ვერ ასაბუთებენ, თუ რატომ არ არის მისაღები სისხლის სამართლის კოდექსის სისტემის თვალსაზრისით მათი სხვადასხვა კარში მოთავსება. ქრთამის აღება უნდა ჩაითვალოს თანამდებობრივ დანაშაულად, ხოლო ქრთამის მიცემა კი მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულად. (გვ. 33—37).

არასწორია ავტორების მოსაზრება, რომ თანამდებობის პირისათვის თავის თანამშრომლის მიერ ძღვენის მიტანა ნიშნავს, რომ მომავალში მას შესარტლებინოს მისთვის სასარგებლო მოქმედება. ძღვენის მიტანა ან სხვა პატივისცემა თანამდებობის პირისათვის, როცა ადგილი არ ჰქონია წინასწარ შეთანხმებას, არ შეიძლება ჩაითვალოს ქრთამად. ქრთამის მიცემა და აღება შეიცავს პირდაპირ განზრახვას.

არ არის სწორად გარკვეული საკითხი იმის შესახებ, რომ თუ კი თანამდებობის პირმა ობ-

ექტურად, კანონიერად შესარტულა თავისი მოვალეობა კლიენტთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, ჩაითვლება თუ არა ქრთამად ასეთი პირის მიერ თავისი ინიციატივით თანამდებობის პირისადმი პატივისცემა. ავტორები ამას ქრთამად თვლიან, რაც ჩვენ არასწორად მიგვაჩნია, რადგან გამოირიცხებოდა ანგარება, ქრთამის მიცემის მოტივი.

წიგნის ერთ-ერთმა ავტორმა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ტყეშელიაძემ პასუხი გასცა ზოგიერთ უსაფუძვლო შენიშვნებს და აღნიშნა, რომ მექრთამეობა როგორც სოციალური, ისე სისხლის სამართლებრივი თვალსაზრისით მეტად რთული ბუნების დანაშაულია. მექრთამეობის ფაქტის დადგენა სასამართლო-საგამომძიებლო დარგის მუშაუბისაგან დიდ და დამატებულ მუშაობას მოითხოვს. განსახილველ ნაშრომში მექრთამეობა მეტნაკლებად სწორედ ამ ასპექტშია განხილული. მაგრამ როგორც ნაშრომის რედაქტორი აღნიშნავს, წიგნში ძირითადი ყურადღება გადატანილია მექრთამეობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებზე. რასაკვირველია, ნაშრომის ავტორებს გვერდი არ აუვლიათ მექრთამეობის ფაქტის გამოძიებისა და ამ დანაშაულთან საზოგადოებრიობის ბრძოლის საკითხებისათვის.

ამის გამო მან მიუღებლად ჩათვალა პროფ. ბ. ფურცხვანიძის შენიშვნა, თითქოს ნაშრომში მექრთამეობის მიზეზად მხოლოდ კაპიტალიზმის გადმონაშთების არსებობა იყოს ცნობილი. ნაშრომის მე-9 თავში საგანგებოდ არის გამოყოფილი საკითხი მექრთამეობასთან საზოგადოებრიობის ბრძოლის შესახებ. აქ ავტორები ცდილობენ დააზუსტონ და უფრო კონკრეტული გახადონ მექრთამეობის მიზეზები. ნაშრომის 234-ე გვერდზე მექრთამეობისათვის ხელშემწყობ მიზეზებად და პირობებად ჩამოთვლილია ცალკეული დაწესებულებების, საწარმოს ან ორგანიზაციის მუშაობაში შემორჩენილი ბიუროკრატისმი, უსუფულო და მოკიდებულება მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებებისადმი შინააღმწეობა ან სხვა სახის კონტროლის შესუსტება, გულგრილი დამოკიდებულება საზოგადოებრიობის სიგანლებისადმი, კადრების არასწორად შერჩევა და განაწილება და ა. შ.

გ. ტყეშელიაძე ასევე არ დაეთანხმა პროფ. ბ. ფურცხვანიძის შენიშვნას იმის შესახებ, თითქოს ნაშრომში არ იყოს ერთმანეთისაგან გამიჯნული ის შემთხვევა, როდესაც თანამდებობის პირი, ქრთამისათვის უკანონო სამსახურებრივ მოქმედებას ასრულებს, იმ შემთხვევისაგან, როდესაც ეს უკანასკნელი ქრთამის სანაცვლოდ კანონიერ სამსახურებრივ მოქმედებას განახორ-

ციელებს. სინამდვილეში ამ საკითხზე ნაშრომ-ში ცალკე პარაგრაფია გამოყოფილი.

ბ. ფურცხვანიძის მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს წიგნში მოყვანილი მექრთამეობის მაგალითები კაპიტალისტური სამყაროს გაზრდის დასაზიანებლად მოძველებული იყოს, არ არის სწორი. წიგნის ავტორები ცდილობენ მოეტანათ არა სენსაციური მაგალითები, არამედ ისეთი ფაქტები, რომლებიც თვალნათლივ, მთელი სისრულით აჩვენებს მკითხველს ამერიკის შეერთებული შტატების მთელ სახელმწიფო აპარატში გამეფებულ მექრთამეობას.

რაც შეეხება პროფ. ბ. ფურცხვანიძის და დოც. ბ. ხარაზიშვილის მოსაზრებას, რომ ექსპერტი თანამდებობის პირად უნდა ჩაითვალოს და ამიტომ შესაფერის შემთხვევაში ქრთამის ამღებ სუბიექტად, მიუღებელია უპირველეს ყოვლისა მოქმედი კანონმდებლობის თვალსაზრისით. სასამართლო პროცესზე ექსპერტი დასკვნას იძლევა როგორც კერძო პირი. ამ პლანში იგი არ ითვლება თანამდებობის პირად. ამიტომ ექსპერტის მიერ ანგარებით, შეგნებულად ყალბი დასკვნის მიცემა განიხილება არა როგორც ქრთამის აღება, არამედ იგი დამოუკიდებელი დანაშაულია და ისჯება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

გ. ტყეშელიაძე სადავოდ თვლის ბ. ფურცხვანიძის მოსაზრებას, რომ თუ კი განუცხადებლობა მექრთამეს თანამდებობის პირის მიერ წინასწარ ჰქონდა დაპირებული, მაშინ სათანადო თანამდებობის პირმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის. იგი ფიქრობს, რომ ასეთ შემთხვევაში თანამდებობის პირი არა მარტო ბოროტად სარგებლობს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით, არამედ ამასთან განუმტკიცებს მექრთამეს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას. თანამდებობის პირის ასეთი დაპირება მიზეზობრივ კავშირშია მექრთამეობასთან. ამიტომ მას პასუხი უნდა მოეთხოვოს მექრთამეობაში ფსიქიკური დახმარებისათვის.

როგორც ჩანს მომხსენებელს მხედველობიდან გამოპარვია ნაშრომის 213-ე 214-ე გვერდებზე დასაბუთებული დებულება. ამით უნდა აიხსნას ის, რომ ბ. ფურცხვანიძემ საჭიროდ ცნო ავტორებს თავიანთი შეხედულება გამოეთქვათ ქრთამად გადაცემული ფულის ან სხვა ქონების ბედის შესახებ ისეთ შემთხვევაში, როდესაც

თანამდებობის პირი თვითონვე მოითხოვს მისცენ მას ქრთამი და კერძო პირი მექრთამის გამოვლინების მიზნით თანხმდება ამ წინადადებაზე. ეს საკითხი განიხილილია ნაშრომში, სადაც გარკვევით არის აღნიშნული, რომ ასეთ შემთხვევაში კერძო პირის მოქმედება არ განიხილება ქრთამის პროვოკაციად, რადგან დანაშაულის ჩადენის ინიციატივა თანამდებობის პირისაგან გამომდინარეობს. ამის გამო კერძო პირი არც მიეცემა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში და მამასადამე, არც წარმოიშობა საკითხი ფულის ან სხვა ქონების სახელმწიფოს შემოსავალში ჩარიცხვის შესახებ.

მექრთამეობის ერთიანი და ამასთან ორმხრივი დანაშაულის ბუნება ნათლად არის ნაჩვენები ნაშრომში. გ. ტყეშელიაძე ამის გამო არ დაეთანხმა დოც. ბ. ხარაზიშვილისა და ადვოკატ ვ. კეკელიას მიერ ამ საკითხზე გაკეთებულ შენიშვნას და მოსაზრებას.

გ. ტყეშელიაძე თვლის, რომ ბ. ხარაზიშვილს არა აქვს ზუსტად გაგებული ნაშრომის ავტორთა მოსაზრება მექრთამეობის ობიექტის შესახებ. საქმე ისაა, რომ ქრთამის მიცემას თავისთავად არ გააჩნია ხელყოფის ობიექტი (ეს არის ერთ-ერთი, არსებითი მიზეზი იმისა, რომ ქრთამის მიცემა თანამდებობრივ დანაშაულთა თავშია გათვალისწინებული). სახელმწიფო აპარატის ავტორიტეტს ხელყოფს ქრთამის ამღები, მაგრამ ქრთამის აღება არ შეიძლება არსებობდეს ქრთამის მიუცემლად. ეს ორი ქმედობა მკიდროდა დაკავშირებული ერთმანეთთან. სწორედ ამიტომ არის ნათქვამი ნაშრომში, რომ ქრთამის მიმცემი ამ დანაშაულის თანამსრულტებელია. თუ ხარაზიშვილის თვალსაზრისი გავიზარებდით, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა კერძო პირის დასჯა თანამდებობრივ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის.

არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ მოსაზრება, თითქოს გამდიდრების მომენტი არ წარმოადგენს მექრთამეობის და კერძოდ, ქრთამის აღების არსს. აქ სიტყვა „გამდიდრება“ ნახშირაა ქონების გადიდების აზრით. თუ როგორ განკარგავს, ვის გადასცემს იგი ქრთამს, ეს უკვე ქრთამის აღების შემადგენლობის გარეთაა.

გ. ტყეშელიაძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ ნაშრომის ავტორებს მიზნად არ დაუსახავთ მოე-

ვით თანამდებობის პირის ანალიზი. ნაშრომში თანამდებობის პირის ცნების საკითხი განხილულია ქრთამის აღებისათვის პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. ავტორები შეეცადნენ დაედგინათ ის შემთხვევები, როდესაც ექიმი და მასწავლებელი ქრთამის ამღებ თანამდებობის პირებად უნდა ჩაითვალოს.

გარდა ამისა, ნაშრომის მოცულობის გათვალისწინებით ანალიზი აქვს გაკეთებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლს, რომელიც თანამდებობის პირის ცნების განსაზღვრებას შეიცავს. ამასთან დაკავშირებით გ. ტყეშელიაძე არ ეთანხმება ბ. ხარაზიშვილს თითქოს 185-ე მუხლში რაიმე ახალი არ იყოს გათვალისწინებული თანამდებობის პირის განსაზღვრებისას.

იგი მიუხედავად ბ. ხარაზიშვილის არგუმენტაციისა მაინც თვლის, რომ სახალხო მსაჯული უსასყიდლოდ მონაწილეობს მართლმსაჯულების განხორციელებაში.

გ. ტყეშელიაძემ არ გაიზიარა ვ. კეკელიას მოსაზრება, რომელიც თანამდებობის პირის მიერ გარკვეული სამსახურებრივი მოქმედების შესრულებისათვის წინასწარი შეპირების გარეშე ღებულობს „საჩუქარს“, არ თვლის ქრთამად. ნაშრომში დასაბუთებულია დებულება, რომ თუ კი არსებობს კავშირი „საჩუქარსა“ და თანამდებობის პირის სამსახურებრივ მოქმედებას ან მის სამსახურებრივ მდგომარეობას შორის აუცილებლად იჭრება მექრთამეობის საკითხი. მაგრამ თუ საჩუქარი გამიზნული არ იყო სამსახურებრივი მდგომარეობისათვის, მაშინ არც მექრთამეობასთან გვექნება საქმე.

დასასრულ, გ. ტყეშელიაძემ მადლობა გადაუხადა სისხლის სამართლის კათედრას, მომხსენებელსა და კამათში გამოსულ ამხანაგებს ნაშრომის გულდასმით განხილვისათვის.

ა. ვაყელიშვილი.

ინდოელი იურისტები სტუმრად საქართველოში

თბილისში სტუმრად იმყოფებოდა ინდოეთის რესპუბლიკის იუსტიციის თვალსაჩინო მოღვაწეთა დელეგაცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მოწვევით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ინდოეთის უმაღლესი სასამართლოს მთავარი მოსამართლე პ. ბ. ჰაჯენდრაპადკარი მეუღლითურთ, ანდჰრა პრადეშის შტატის უმაღლესი სასამართლოს მთავარი მოსამართლე პ. ს. რაჯუ, ინდოეთის გენერალური ატორნი ს. კ. დაფტრი, სრულიად ინდოეთის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი გ. ჩ. სეტალვადი, ინდოეთის უმაღლესი სასამართლოს რეჯისტრარი ი. დ. დესაი, ინდოეთის ადვოკატი, სააგენტო „პრესა ტრასტ ოფ ინლის“ დირექტორი გ. ს. პატაქი.

ინდოეთის რესპუბლიკის იუსტიციის მოღვაწეთა დელეგაცია ეწვია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გ. ს. ძოწენიძეს. გ. ძოწენიძე გულთბილად მიესალმა სტუმრებს, რომლებიც უყვართ საბჭოთა ხალხს შრომისმოყვარეობისა და მშვიდობის მოყვარეობისთვის, უმდიდრესი ძველი კულტურისათვის.

დელეგაცია ინდოეთის უმაღლესი სასამართლოს მთავარი მოსამართლის პ. ბ. ჰაჯენდრაპადკარის მეთაურობით მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

ვ. ი. მაისურაძემ. იგი გულთბილად მიესალმა ინდოელ კოლეგებს, გააცნო მათ რესპუბლიკის სასამართლო სისტემა, ადვოკატურის საქმიანობა.

ბატონმა ჰაჯენდრაპადკარმა აღნიშნა, რომ დელეგაციის წევრები მოხარული არიან საქართველოში ჩამოსვლით. ჩვენში, თქვა მან, არსებობს იურისტთა ძმობა, რომელიც აერთიანებს მოსამართლეებს, ადვოკატებს, მეცნიერებს. ჩვენი ჩამოსვლის მიზანია კონტაქტები დავამყაროთ საბჭოთა კავშირის იურისტებთან. გვინდა შევისწავლოთ თქვენი კანონმდებლობა, სასამართლო სისტემა, რათა გადავიღოთ ყოველივე ის, რაც ჩვენთვის საჭირო და სასარგებლოა.

დასასრულ პ. ბ. ჰაჯენდრაპადკარმა განაცხადა: დელეგაციის წევრებს სწამთ, რომ კიდევ უფრო განმტკიცდება ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობა, თუ მკიდრო კავშირი იქნება დამყარებული ორთავე ქვეყნის იუსტიციის მუშაკებს შორის.

მიღებას ეწვრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ტერებილოვი, საქართველოს სსრ პროკურორი პ. ე. ბერძენიშვილი, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები ს. ი. ქაჯაია, გ. ყ. იოსავა, გ. კ. ცქიტიშვილი, საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ნ. პაიჭაძე.

პირველი ტრადიციული მრეკელა

ისევ შეხვდნენ ამ ტრადიციულ დღეს ქართველი იურისტები ერთმანეთს, თავიანთ პროფესორ-მასწავლებლებს.

მიმდინარე წლის პირველი ივნისი განსაკუთრებით სამახსოვრო იყო. მაისის თვეში ფაშისტურ გერმანიაზე ჩვენი ქვეყნის ისტორიული გამარჯვების 20 წლისთავი იდღესასწაულა ყველა კეთილი ნების ადამიანმა. სამამულო ომში ბევრი ქართველი იურისტი მონაწილეობდა, გამარჯვებას ბევრმა შესწირა თავი.

შეკრება გახსნა დოც. ა. ფალიაშვილმა. მონ-

სენება — იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო-აღმზრდებლობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა 1964/65 სასწავლო წელს — გააკეთა იურიდიული ფაკულტეტის დეკანი დოც. გ. ინჭკირველმა.

მომხსენებელმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა კურსდამთავრებულთა განაწილების საკითხზე და აღნიშნა, რომ სტუდენტების განაწილება სასურველია ჩნდებოდეს მმართველობის ორგანოებშიც.

ომის მრისხანე დღეებზე მოგონებით გამოვიდა პროფ. გ. ერემოვი, რომელიც ხუთი წლია განმავლობაში — სოხუმიდან ბუქარესტამდე ებრძოდა გერმანელ ოკუპანტებს. გ. ერემოვმა მოიგონა საბრძოლო მეგობრები, რომლებიც გამარჯვების დღეს ვერ მოესწრნენ და გამირულად დაიღუპნენ ვერაგ მტერთან ბრძოლებში.

შეკრების მონაწილეებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს დაღუპულ მეგობრების ხსოვნას.

— ცივი ქარი ქროდა, ზღვა დაჭრილი ლომით ღმუღდა. მეგობრები ყინულის სქელმა ფენამ დაფარა. ამის მიუხედავად, გემები შეუპოვრად მიიწვედნენ წინ, ხოლო საბჭოთა მეომრები მოუთმენლად მოელოდნენ ნაპირთან მიდგომასა და საქულველ მტერთან მდგარ ბრძოლებში ჩაბმას. მალე ჰიტლერელთა სვავები გამოჩნდებიან. ხალხი ჩქარა უნდა გადავიყვანოთ ნაპირზე, თორემ ამდენი შრომა წყალში გადაიყრება, — იგონებს ყირიმის ბრძოლების მონა-

წილე დოც. ნ. ლომსაძე. სხვა გზა არ არის... ქართველი მებრძოლები პირველნი გადაეშენნენ წყალში. გემებიდან სწრაფად ტვირთავდნენ წყალგაუმტარ ქსოვილებში შეხვეულ ბოხჩებს. მათში მშრალი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, პროდუქტები და იარაღი იყო. ქართველმა მებრძოლებმა გერმანელები გარეკეს და ზღვის ნაპირას განლაგებულ ქვისსატეცების გამოქვაბულებს შეაფარეს თავი. აქვე გამოქვაბულებში იცვლიდნენ მეთაურები და მებრძოლები სველ გაყინულ ტანსაცმელს და შეუჩერებლად ებმოდნენ ბრძოლაში. მტერმა ვერ გაუძლო ქართველ მეომრებისა და რუსი მეზღვაურების მდგარ შეტევას და უწესრიგოდ უკან დაიხია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა ტრადიციული შეკრების შედეგები შეაჯამა დოც. ა. ფალიაშვილმა.

6¹¹/243



ფანო 50 კპკ.

ИНДЕКС 70186

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 4

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической комиссии при Совете Министров
Грузинской ССР